კვირის პალიტრა

გზა

N37 (275) 15/IX.-21/IX 2005 ... 60 თ.

1168
2005

„ფარული კამერა“: უხერხულ ადგილას ჩასაფრებული ჟურნალისტი და პროვინციელი დონჟუანი...

ვინ აშინებს ბურჯანაძეს?

სასკოლო სიახლეები

ანუ როდის დავამთავრებთ ბავშვებზე ექსპერიმენტების ჩატარებას?

გზავნილები: ჩემი მთავარი ცხოვრებისეული შეცდომა

ანომალია — „სტაჭიანი“ მანიაკის მოულოდნელი ჩავარდნა

დაუვიწყარი ზაფხული ნიკასთვის, „თაფლობის ღამე“ ცხინვალში მიშასთვის და... ინტერვიუში გამხელილი სიმართლე ცოლისთვის



გლუკოზას ქართველი მომღერლები მოსკოვში მიჰყავს...

გამოვიდა სექტემბრის ნომერი



თქვენ ხელმოწერილი გამოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

კვირის პალიტრა
№37 (275)
15 - 21 სექტემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„რაგბორკა“ პოლიტიკურად ანუ კომისიის კომისია 3
ჭრელი მსოფლიო 4
ერთი კითხვა 4
საზოგადოება
„ყველა პრობლემას ერთდროულად ვერ მოვაგვარებთ“ ანუ ევროპული სტანდარტების სასწავლებელი, 250-ლარიანი ვაუჩერი და რამდენიმე გაგზიფიცირებული სკოლა 6
კადრს მიღმა
დაუვიწყარი გაფხული – ნიკასთვის, „თაფლობის ღამე“ ციხეში – მიშასთვის და... ინტერვიუში გამხელილი სიმართლე – ცოლისთვის 9
შეჩერებული ნამი
ელჩის მეუღლის მახვილი თვალი და დაკვირვებული ფოტოობიექტივი 12
კრიმინალი
- ციხის საავადმყოფოდან აპრძალული ნივთები ამოიღეს 15
- „სტაქიანი“ მანიაკის მოულოდნელი ჩავარდნა 16
გზავნილები
„ცხვარივით დამჯერი ბავშვი ვიყავი და ამან დამღუპა“ 18
„ფარული კამერა“
უხერხულ ადგილას ჩასაფრებული ჟურნალისტი და პროვინციელი დონჟუანის საქმენი საგმირონი 22
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 23
გემოვნება
საყვარელი აქსესუარი – სათვალე, ჩაცმულობის სტილი – კლასიკური, მამაკაცი კი... 24
პრობლემა
ამერიკელი „ყარაჩოხელი“, ირანელი ინტელექტუალი ფლოსტებში და 10 ცენტი ხურდა მილიონერების ოჯახში 26
სტუმარი
რატომ უსვამენ ტანზე ინდოელ საპატარძლოს ჰალდს, რისი ტარებაა აუცილებელი გათხოვილი ქალისთვის და რით სჯობს ქართული ხინკალი იტალიურს 28
ტესტი
ერთგული მკითხველი 30
ჯანმრთელობა
- თმით დადგენილი დიაგნოზი 31
- სტომატოლოგთან ვიზიტის შემდეგ 32
საკითხავი ქალებისთვის
როგორ მოვუაროთ ხელებს? 33

ევროპული სტანდარტების სასწავლებელი, 250-ლარიანი ვაუჩერი და რამდენიმე გაზიფიცირებული სკოლა

„ყველა ბავშვი სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდება და შევძლებთ, რომ კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ იყოს....

წელს ქალაქის მუნიციპალიტეტი და განათლების სამინისტრო პირველკლასელებისთვის შეიძენენ სახელმძღვანელოებს...“

6

დაუვიწყარი ზაფხული – ნიკასთვის, „თაფლობის ღამე“ ციხეში – მიშასთვის და...

„ერთი ღამე ვისხედით თურქეთის ციხეში. ეს იყო ჩემი საქორწინო მოგზაურობაცა და პირველი ღამეც. ამიტომ ვიყავი სარფში და არა იმიტომ, რომ სააკაშვილმა ხალხს მოუწოდა, აჭარაში დაისვენეთო. ჩემი ადვოკატი ახლა სარჩელს ადგენს, რომ სახელმწიფომ ზარალი ამინაზღაუროს“.

9

„აქ ახალი და საინტერესო აღარაფერი ხდება“

„რაც შეეხება მშობლების დამოკიდებულებას – ჩვენ უკვე ოჯახებით ვმეგობრობთ ერთმანეთთან. გვენდობიან და იციან, რომ ეს მათივე შვილების საკეთილდღეოდ არის საჭირო. ამიტომაც არ ჩარეულან ჩვენს საქმეში...“

50

რატომ უსვამენ ტანზე ინდოელ საპატარძლოს ჰალდს

ის თითქმის ორ წელზე მეტია, საქართველოში ცხოვრობს და ქართველმა მეგობრებმა მიშა შეარქვეს „გამარდჟობა!“ – ასე მოგესალმებათ შეხვედრისას, საუბრისას ათასჯერ მაინც გეტყვით – „ბოდიში, ქალბატონო“, – და ბოლოს, ქართულადვე დაგემშვიდობებათ. კიდევ იცის ფრაზები: „მოგეწონათ საჭმელი? გემრიელია? ჭამე...“

28

ტაქარი
რა არის ცნობილი ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ 34
დღესასწაული
როგორ იშვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი 35
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 36
გამოცანა
გასროლა „ბუს ფერმაში“ 36
ასპარეზი
როგორ მოხვდა ინვალიდად მიჩნეული თეთრაძე იტალიის „რომაში“ 38
სპორტული მოზაიკა
ნახევარმცველი ბექჰემი დაცვაშიც მარჯვე აღმოჩნდა 41
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42
ეკრანი
მელოდია შავი მამბასათვის 46
ბომონდი 49
შოუბიზნესი
„აქ ახალი და საინტერესო აღარაფერი ხდება“ 50
ფავორიტები 52
ავტო 54
დიზაინერი
გალიკო ბერბერი: „მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ჩემი ჩვენება კარგად აქვთ დაცდილი...“ 56
ასტროლოგია
ვარსკვლავები, პლანეტები და დიეტა 58
ჰოროსკოპი
კვირის (15-21 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად ძლიერი პიროვნება ბრძანდებით? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ამერიკელი „ჟარაჩოხელი“, ირანელი ინტელექტუალი ფლოსტეგუი და ...

„მსგავსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძალიან დიდია განსხვავება. იქაც გვხვდება კარგი ხალხი, როგორიცაა როჯერი. რომ მოვდიოდით, გვეხვეწებოდა, დარჩით, ეს სად მგოვებთო, ლამის ტიროდა კაცი. ჩვენ გვაქვს ადამიანური სითბო, სიყვარული და დახმარება ვიცით. იქ კი მარგო ხარ ადამიანი...“

26

მელოდია შავი მამბასათვის

კომპოზიტორის სწორად შერჩევა რეჟისორთა და პროდიუსერთათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანადაა ქცეული. ფილმისათვის შექმნილი მუსიკალური შედევრი ჯერ სურათის სავიზიტო ბარათი ხდება, შემდეგ შესაძლოა, მობილურ ტელეფონებშიც გადაინაცვლოს და ფილმის ხანგრძლივი ეკრანული სიცოცხლე წარმატება და შემოსავალიც გარანტირებულია...

46

როგორ მოვუაროთ ხელებს?

„ხელებით ბევრი რამის გამოცნობაა შესაძლებელი. ექიმები მიიჩნევენ, რომ თითების საშუალებით შეუძლიათ დაადგინონ, აქვს თუ არა ადამიანს ესა თუ ის დაავადება. მაგალითად, თუ თითის წვერები მუქი წითელი ან მოლურჯო გაქვთ, თირკმლების და ღვიძლის პრობლემა გაქვთ; თუ თითის წვერები გიხურთ...“

33

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი



– ძალიან მომწონს, განსაკუთრებით – წითელი კაბა. – დავინახე, როგორ შეეცვალა სახე. – არ მომეკარო, შე დამპალო მკვლელო! – შევკივლე და ბილიკზე გავიქეცი.

გამომეკიდა, ბონი ყეფით მოსდევს და ფეხებში ედება. ჯერ ძაღლს მიარტყა წიხლი და ხევში გადაჩეხა, მერე მე მომწვდა მხარში, მომიქნია და...

42

„ოპოზიცია" პოლიტიკურად

ანუ კომისიის კომისია

საქართველოში დღეს მოქმედ კანონმდებლობას რომ გადახედო, გული დაგეწვება მთავრობის საცოდაობით: ყველა ჩინოვნიკი ვალდებულია საქვეყნოდ ცნობილი გახადოს, რა ქონების პატრონია. შევიბრალოთ ეს ხალხი, რა ჩამოწერს მაგათ ქონებას?! ყველა დეპუტატმა და მინისტრმა სუფთად და პატიოსნად რომ შეავსოს სია, რამდენი ბინის, აგარაკის, საბანკო ანგარიშის თუ ქარხნის მფლობელია, როდისღა იმუშაოს?! ახლა უძრავ ქონებას თავი დავანებოთ, „მოძრავი" ქონების (ცოლებისა და საყვარლების რაოდენობის) ჩამოთვლა ხომ უხერხულიცაა?!

გინდა თუ არა, მათი ქონების შესახებ ყველაფერი უნდა იცოდნენ რიგითმა მოქალაქეებმაო — ესაა დემოკრატია?! ვინ ჰკითხავს რიგით მოქალაქეს, რა ბიზნესი აქვს ამა თუ იმ დეპუტატს? მოსულა შენთან ოდესმე რომელიმე და ჩაგძიებია, რამდენი ნაყინი გაყიდე დღესო?! ეს ჩვენი მამა-მარჩენალიც ხომ ზედმეტად პატიოსანია: — ისეთი ადამიანის ადგილი არ არის ჩემს მთავრობაში, ვისაც რაიმე ბიზნესი აქვსო... სახელმწიფოს ფული სწორედ მსხვილ ბიზნესში ტრიალებს და ეს ფული და ბიზნესი მთავრობამ თუ არ გააკონტროლა, ხომ დაგვემხო ქვეყანა თავზე! თქვენ უნდა გქონდეთ, ძვირფასებო, აბა, მე რომ მქონდეს და თქვენ — არა, ვიცი, წამართმევთ და მაინც თქვენ არ გექნებათ?!



ერთი რამ არ მომეწონა მხოლოდ: კი არ მჯერა, მაგრამ ხმა რომ დაირხა, პარლამენტის თავმჯდომარე ნუცუბიძეზე ტყუპ სახლებს აშენებსო, გული კინაღამ გამისკდა. ტყუპი და ბინ ლადენი გვინდა ახლა ჩვენ ამ გაჭირვებისას?!

ოპოზიციას კიდევ თითქოს სხვა არაფერი პრობლემა აქვს, მთავრობის კრიტიკაზეა გადასული. მიკვირს, საიდან მოიტანეს, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილესა და ვიცე-სპიკერს საკუთარი საბაჟო აქვთო... ტყუილია, თქვენ არ მომიკვდეთ?! რამდენჯერ გამომიტარებია მაგ საბაჟოზე კონტრაბანდული სიგარეტი და მაკარონი, მაგრამ ჯერ არ მახსოვს, ბექაური ან მაჭავარიანი ჩამძვრალიყვნენ ჩემს ტომრებში.

არც „პოზიციამ" ჩაიგუბა პირში წყალი და ოპოზიციას შეუღრინა, საკუთარ სადაზღვევო კომპანიებსა და საბანკეტო-საქელეხო დარბაზებს მიხედეთო... ჰოდა, ატყდა ლანძღვა-გინება, მარა რა ატყდა: ამან „ნაძირალა" უწოდა, იმან — „არაკაცი", ამან — „ვიგინდარა", იმან — „გონებაჩლუნგი" და კიდევ ისეთი სიტყვები, რომ კიდევ კარგი, დაავიწყდათ ბატონ დეპუტატებს წინა წელს მიღებული კანონი პარლამენტში უწმაწურ სიტყვებზე ფულადი ჯარიმების შემოღების შესახებ, თორემ ვერც „ოპიზა" უშველიდათ და ვერც „ალდაგი", გაკოტრების პირას იქნებოდნენ ყველანი.

სიმართლე გითხრათ, იმ კანონის არც მიღება გამხარებია და არც დავიწყება, რადგან დამატებაში ის კი არ წერია, გინებით დაგროვილი ფული „პროვოკატორს" რომ წერს, იმ პატიოსან კაცს მივცეთო; ისევ დეპუტატების ხელფასებში უნდა წავიდესო და რა ენაღვლებათ: ერთი ჯიბიდან ამოიღებენ, მეორეში ჩაიდებენ, ნალანძღი და ნაგინები კი მე და ჩემნაირები გამოვდივართ...

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ვიღაც ჭკვიანი და თქვა, კომისია შევქმნათ და ის შეისწავლის, ვის რა ბიზნესი აქვსო. მაგრამ ხომ შეიძლება, იმ კომისიამ პატიოსნად არ იმუშაოს?! ესეც გაითვალისწინეს ჩვენმა ბრძენმა დეპუტატებმა და კომისიის კომისიაც შექმნეს.

კომისიას პროფესიონალი თავმჯდომარე სჭირდება. ამიტომ „ოპიზას" საქმიანობის შემსწავლელ კომისიას თავმჯდომარედ ბექაურს დაუნიშნავენ, „ალდაგის" საქმიანობასაც პროფესიონალი თავმჯდომარე შეისწავლის, ვინც კარგად ერკვევა სადაზღვევო ბიზნესში, ანუ ბატონი გამყრელიძე და მალე გამოქვეყნდება დასკვნები, რომ ორივე ბიზნესი პატიოსნად ვითარდება და დეპუტატთა ხელი არაფერში ურევია. აბა!!!

P.S. კომისიის თავმჯდომარე:

— გამაცანით პარლამენტის ბუფეტში დეპუტატების მიერ დახარჯული თანხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა!

— ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ დეპუტატი ბექაური ბუფეტში საშუალოდ, დღეში ხარჯავს 150-200 ლარს.

— ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მას ხომ უპროცენტო სესხი აქვს აღებული.

— დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი კი საერთოდ არ დადის ბუფეტში.

— ოოო, ე.ი. მას სადღაც საკუთარი რესტორანი აქვს და ფარული ბიზნესით იკვებება. გადააგზავნეთ დასკვნა პროკურატურაში საქმის აღსაძვრელად!..

პროვოკატორი

კომპიუტერით დაავადემულები

4,4 მლნ ჩინელი მოზარდი კომპიუტერული თამაშებისა და ინტერნეტისადმი ზედმეტი მიჯაჭვულობითაა დასნეულებული. ეს პრობლემა იმდენად მწვავედ დგას, რომ ქვეყანაში კომპიუტერზე დამოკიდებულებისგან სამკურნალო ცენტრების გახსნაც კი დაიწყო. მაგალითად, პეკინში მდებარე ასეთი დაწესებულება 14-ადგილიანია, მასში მკურნალობა კი 50 დოლარამდე ღირს. ცენტრის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ინტერნეტ-დამოკიდებულება, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფიზიოლოგიურ დონეზე ვლინდება. მათი მონაცემებით, ყველა პაციენტის ტვინის მუშაობა ქიმიური დისბალანსით ხასიათდება. კომპიუტერული თამაშის ან

ინტერნეტში მოგზაურობის დროს, ადამიანის ტვინი ორგანულ შენაერთს – 5-HT-ს გამოიმუშავებს, რომელიც ეიფორიის განცდას იწვევს და იმის ილუზიას ქმნის, რომ არც საკვები და არც დასვენება არ ესაჭიროება... ექიმების აზრით, ფიზიოლოგიური კომპიუტერული დამოკიდებულებისგან განკურნება ინიექციების მეშვეობითაა შესაძლებელი, ფსიქოლოგიური კი, გაცილებით რთული დასაძლევია.

■

„ჩემზე თავდასხმას არც მომავალში გამოვრიცხავ“

— ბატონო ვალერ, თუ თქვენზე განხორციელებული თავდასხმა ხელისუფლების შეკვეთით მოხდა, რა აზრი აქვს გამოძიებასთან თანამშრომლობას? თუ გაქვთ იმედი, რომ რეალური დამნაშავეების გვარები დასახელდება?

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, *პარლამენტარი:*

– თავდასხმის დღესვე ვთქვი, რომ ამ ფაქტის მიღმა, ხელისუფლების წარმომადგენლები იდგნენ. საკუთარი თვალით დავინახე ის მანქანები, რომლებმაც ჩემი ბლოკირება მოახდინეს – რამდენიმე „ოპელ-ვექტრა“ ძველი ნომრებით, რომლებსაც უკან მოჰყვებოდა „ფორდ ტრანზიტი“. მე მაქვს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც გამოძიებას უნდა მივაწოდო, რომ შემდგომ არ თქვან, ჭეშმარიტების დადგენას ხელი არ შეუწყოო. როცა ხელისუფლებას ასე ღიად ადანაშაულებენ დეპუტატის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმაში, მისივე ინტერესებში უნდა იყოს გამოძიების დამთავრება. ვინ იცის, იქნებ შეძლონ იმის დამტკიცება, რომ ეს მართლაც, ყაჩაღური თავდასხმა იყო. ვილნიუსში ჩემი მეგობრები მთხოვდნენ, საქართველოში აღარ დავბრუნებულიყავი, მაგრამ ცემატყეპით კაცს ვერ შეაშინებ. ვფიქრობ, ნაწილობრივ ამას მიხვდნენ, ამიტომ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ სამსახურთან შეთანხმებაც მოხდა. ჩემი ფირმის ანგარიშზე თანხა ჩაირიცხება და სახლის გაყიდვაც ამგვარად განხორციელდება. ერთ მნიშვნელოვან სადავო საკითხს დაესმება წერტილი. რაც შეეხება ჩემს კრიტიკულ გამოსვლებს და იმას, რომ რესპუბლიკური პარტიის წევრი ვარ – ხელისუფლება ამ ფაქტსაც უნდა შეეგუოს. თუმცა, თავდასხმას არც მომავალში გამოვრიცხავ, ამიტომ ვამბობ უარს დაცვაზე: 10 პირადი მცველიც რომ გყავდეს, სპეცსამსახურები ათივეს გაანეიტრალებენ – რისთვის დავღუპო ეს ადამიანები?!.

„ხელისუფლება ხუთივე ოლქში გააყალბებს შედეგებს“

— შუალედური არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოპოზიცია უფრო და უფრო დაბეჯითებით ირწმუნება, რომ არსებობს რესურსი, რითიც ხელისუფლებას დაუპირისპირდება. თქვენი აზრით, ოპოზიცია გაიმარჯვებს?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ, *მოძრაობა – „წინ საქართველო“:*

– ჩვენი ორგანიზაცია შუალედურ არჩევნებში არ მონაწილეობს. პირველ რიგში, უკანონო გზით მოსულ პარლამენტს უნდობლობას ვუცხადებთ. გარდა ამისა, ეს არჩევნები წინასწარ გაყალბებისთვის არის განწირული. მე არ ვიცი, რა რესურსზეა ლაპარაკი. თუ ვინმე საარჩევნო უბნებთან ხელჩართული ჩხუბის გაჩაღებას აპირებს, არა მგონია, ეს შედეგის მომტანი იყოს. ვფიქრობ, პრაიმერის ჩატარების შემდეგ, მასში მონაწილე ყველა პარტია ბოლოს და ბოლოს, იმ გადაწყვეტილებამდე მივა, რომ შუალედურ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს. დღესავით ნათელია, რომ ეს ხელისუფლება ხუთივე ოლქში გააყალბებს შედეგებს. თუმცა, ეს პარლამენტი მაინც ამ ხელისუფლების პირმშოა და მომავალ არჩევნებამდე ვეღარც მიატანს. დღეს, საკაშვილის მთავრობას მოსახლეობის 10%-ზე მეტი მხარს არ უჭერს. კრიზისი ღრმავდება. ანალოგიურ სიტუაციაში, უკრაინის პრეზიდენტმა სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა გამოიჩინა და მთავრობა გადააყენა. ჩვენს ხელისუფალთ გამოსავლის პოვნა, ცხინვალში დაშვებული შეცდომის შემდეგ უნდა ეცადათ, მაგრამ სახალხო სეირნობებითა და ფეიერვერკებით ცდილობენ კრიზისის მიჩქმალვას. ჰგონიათ, თუ ერთმანეთის ცოდვებზე თვალს დახუჭავენ და სულელურ გადაწყვეტილებებს ბოლომდე „მიაწვებიან“, ერთიანობასა და ძლევამოსილებაზე ლაპარაკით საზოგადოებას შეაშინებენ. ბოლოს ვინ დარჩება შეშინებული და დამარცხებული – ხალხი თუ ხელისუფლება – მაგასაც ვნახავთ.

■

„ჩემი შვილი აქციების შეძენას აპირებს...“

— კობა ბექაური აცხადებს, რომ თქვენი ვაჟი ტერმინალ „ზაჰესის“ მეწილეა და საგამოძიებო კომისიამ თქვენი ბიზნესსაქმიანობაც უნდა გამოიკვლიოს...

ელენე თევდორაძე, *პარლამენტის წევრი:*

— ჩვენ მართლაც ვაგროვებთ თანხას, რათა ტერმინალ „ზაჰესის“ აქციები შევიძინოთ, მაგრამ ჯერჯერობით, ჩემი ვაჟიშვილი ბიზნესსაქმიანობას არ ეწევა. თუმცა, წილიც რომ გვქონდეს, ბექაურის ბრალდება მაინც გაუგებარია: ჩემი შვილი არ არის პოლიტიკოსი და მისი ბიზნესთან კავშირით, ინტერესთა კონფლიქტი არ წარმოიშობა. ის აპარატის უფროსად მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში; თუ ტერმინალის მეწილე გახდება, ამ სამსახურსაც მიატოვებს. ბექაური-რამიშვილის ინციდენტთან დაკავშირებით ჩემ მიერ გაკეთებული განცხადებების გამოა გაღიზიანებული. მე არც ფილმის შესახებ ვიცოდი რაიმე და არც გარიგების თაობაზე. მხოლოდ ის ვთქვი — მინდა გავარკვიო, რეალურად რა პრობლემასთან გვაქვს საქმე-მეთქი. ბექაურთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე პასუხი დღემდე არ მიმიღია. მართლაც, კარგი იქნება თუ ყველა დეპუტატის საქმიანობას გამოიკვლევენ და გაირკვევა, ვის რა ბიზნესინტერესი აქვს. თუმცა, ამ გამოძიებას არ უნდა ჰქონდეს ზეწოლის სახე. ჯერ პროკურატურამ დაამთავროს მუშაობა, შემდეგ, საგამოძიებო კომისიის შექმნა იურიდიულადაც გამართლებული იქნება და უფრო ამომწურავი ინფორმაციის მიღებასაც შევძლებთ.

„თქვენ მათი გვარები, ვისაც ვაგინე“

— როგორც ცნობილია, გამოძიება „ჩატეხილი საწოლისა“ და „ვაკელების გინებასთან“ ერთად, სხვა ვერსიებზეც მუშაობს. თქვენი აზრით, საბოლოოდ რა კვალიფიკაცია მიეცემა მომხდარ ფაქტს?

ირაკლი კაკაბაძე, *მწერალი:*

— ამ დღეებში, რამდენჯერმე ვთხოვე ხელისუფლებას, რომ გამოიჩინონ გონიერება და არ გადააქციონ კრიმინალური შემთხვევა ბინძურ ავანტიურად. „ჩატეხილი საწოლით“ და პრეზერვატივით უნდოდათ დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ მე და ბენჯი საყვარლები ვართ და ეჭვიანობის ნიადაგზე ვიჩხუბეთ. როცა ეს განზარხვა ჩაიშალა, ზაალ ბაიდაშვილი, ყველა წესის დარღვევით, ზეწოლისა და შანტაჟის ქვეშ დაჰკითხეს. თუ ზაალი მათ მითითებას არ შეასრულებდა, მას სისხლში და ჯიბეში ნარკოტიკულ ნივთიერებას „აღმოუჩენდნენ“. მე დაჟინებით ვთხოვ პროკურატურას, დეტალურად შეისწავლოს საქმე და რადგან ამ ვერსიაზე თავად გიორგი ღვინიაშვილი ლაპარაკობდა, მოძებნოს ის ვაკელები: თუ ვინმეს ვაგინე, ეს ადამიანები რეალობაში ხომ უნდა არსებობდნენ!.. როცა ასეთ განცხადებას აკეთებს პროკურორი, ეს არის ფაქტის პოლიტიზება. მე ჯერ კიდევ მაქვს იმის იმედი, რომ მომხდარის განხილვა რიგითი კრიმინალის ფარგლებში მოექცევა, თუმცა ამ ეტაპზე, გამოძიება აშკარად უსაფუძვლო ვერსიებს ავრცელებს და ცდილობს, მეც დამთანხმოს ამაზე. არის მუქარაც, მაგრამ მე უკან დახევას არ ვაპირებ. არ მანაღვლებს, ვის ხიბლავს სიმართლე და ვის — არა... მალე ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდები. დღეს თუ ჟურნალისტები, პუბლიცისტები, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები არ გაერთიანდნენ და არ იბრძოლეს თუნდაც იმისთვის, რომ გავიდეს ფილმი ბექაურთან, მერაბიშვილთან, ჟვანიასთან დაკავშირებით, ძალიან მალე, პოლიტიკური ავანტიურა და მედიის შანტაჟი წარმატებით განხორციელდება. ■

25 მილიარდი ყვავილომისთვის

25 მლრდ დოლარი — ასეთია თანხა, რომელიც კენიისთვის ყვავილების ექსპორტს მოაქვს. ბოლო 10 წლის მანძილზე, ამ აფრიკული ქვეყნისთვის საზღვარგარეთ ყვავილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

ოთხჯერ გაიზარდა. სწრაფი ტემპით განვითარებადი მეყვავილეობა, ქვეყნისთვის უცხოეთიდან მიღებული ვალუტის თვალსაზრისით, მყარად ინარჩუნებს მეორე ადგილს და მხოლოდ ტრადიციულ ლიდერს — ჩაის მრეწველობას ჩამორჩება. ■

გადასახადების დათვრვის ოსტატები...

150 ათასი არგენტინელი უმალავს საგადასახადო ორგანოებს იმ ფაქტს, რომ საზღვარგარეთის ბანკში აქვს გახსნილი ანგარიში. მათ არ შეუტანიათ თავიანთი მონაცემები დეკლარაციებში, რადგან არ სურთ, გადაიხადონ მოგებისა თუ ქონების გადასახადი. ამასთანავე, ბევრ შეძლებულ არგენტინელს არალეგალური გზით აქვს გატანილი თავისი ქონება სხვა ქვეყანაში. როგორც შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა დაადგინეს, მხოლოდ 8 ათასმა მოქალაქემ ასახა პატიოსნად საკუთარი მონაცემები უცხოეთში არსებული საკუთარი ანგარიშების შესახებ და შესაბამისად, კანონით დადგენილი გადასახადებიც დაფარა. ■

„განსაცვიფრებელია თავდაცვის მინისტრის განცხადება...“

— სოხუმის დაცემის დღეს, სეპარატისტები ქართველების მხრიდან შეტევას ელოდებიან, მიხეილ სააკაშვილი კი გაეროს უმოქმედობაში ადანაშაულებს...

კახა კაციტაძე, *პოლიტოლოგი:*

— პრეზიდენტის ბოლო განცხადებებიდან გამომდინარე, სადაც ის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს შეეხო, შეუძლებელია ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს 27 სექტემბრისთვის რაიმე სახის ძალისმიერი ოპერაცია იგეგმებოდეს. თუმცა, სააკაშვილის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, რომელთაც სხვადასხვა დროს აკეთებს, ბადებს ეჭვს, რომ ხელისუფლებას მიზანმიმართული პოლიტიკა არ გააჩნია და ექსპრომტად მიღებული გადაწყვეტილებებით მოქმედებს. განსაცვიფრებელია თავდაცვის მინისტრის განცხადებაც, რომ მან აფხაზეთის ტერიტორიაზე გაატარა რამდენიმე ღამე. ჩვენ გვყავდა თავდაცვის მინისტრი, რომელიც ომის დროს, სანგარში იმყოფებოდა. ოქრუაშვილმა უფრო ფართოდ გაშალა ფრთები და მტრის ზურგში პირადად შედის... ასეთი რამ საერთოდ, გაუგებარია. სეპარატისტებს რომ ტყვედ აეყვანათ, მერე რა უნდა გვექნა?!. სამხედრო სფეროში ბევრი მიმუშავია და ვიცი, რომ თავდაცვის მინისტრი საომარი მოქმედებების ადგილს ახლოსაც არ უნდა გაეკაროს. ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან სასაყვედურო შეიძლება, მართლაც აქვს, მაგრამ ჯერ თავად უნდა ჩამოვაყალიბოთ სტრატეგიული მოქმედების გეგმა. აფხაზები გამუდმებით სპეკულირებენ იმით, თითქოს ქართველები სამხედრო იერიშისთვის ემზადებიან, ეს მათ ინტერესებში შედის. მაგრამ ჩვენც გამუდმებით, სეპარატისტების ინტერესებს რატომ ვემსახურებით, ეს არის უცნაური. ■

ვინ აშინებს პარლამენტის თავმჯდომარეს?

— მემარჯვენეები აცხადებთ, რომ თუ ნინო ბურჯანაძე გააქტიურდება, ხელისუფლების რისხვა მის მეუღლეს დაატყდება თავს. ფლობთ თუ არა კონკრეტულ ინფორმაციას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვინმესგან ზეწოლას განიცდის?

დავით საგანელიძე, *ფრაქცია „მემარჯვენეები“:*

— ბურჯანაძე აცხადებს, რომ არაფრის ეშინია. თუმცა, მისი განცხადებები, უმოქმედობა, თავშეკავებული კომენტარები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ის პრეზიდენტისა და ვანო მერაბიშვილის წნეხის ქვეშ იმყოფება. მით უფრო იმ ფონზე, როცა პარლამენტარებს აშანტაჟებენ და ქუჩაში სასიკვდილოდ სცემენ. ბურჯანაძის მეუღლე, მერაბიშვილის უწყებაში მუშაობს და თუ პარლამენტის სპიკერი თავშეკავებულ განცხადებებს გასცდება, ბადრი ბიწაძესაც ხელისუფლების მხრიდან შავ სიაში გადაისვრიან. მით უმეტეს, რომ ყოველთვის არსებობდა გახმაურებული თემები, ქალბატონი ნინოს მამისა თუ მეუღლის გარშემო. ბურჯანაძემ

ეს მდგომარეობა უნდა დაძლიოს, თორემ, ისედაც უმრავლესობით „გაჯერებული“ საკანონმდებლო ორგანო საერთოდ დაკარგავს ფუნქციას. ჩვენ პარლამენტის თავმჯდომარისგან მოვითხოვთ, რომ იყოს უფრო კონკრეტული, სამართალდამცავი ორგანოების და კერძოდ, ვანო მერაბიშვილის მიმართ, რომელმაც ხელი დააფარა გელაშვილზე თავდამსხმელებს და რომლის მითითებითაც ამ ქვეყანაში ათასგვარი უკანონობა ხდება. ■

რუბრიკა მოამზადა სათუნა მაღრაძემ

„ყველა პრობლემას ერთდროულად ვერ მოვაგვარებთ“ ანუ ევროპული სტანდარტების სასწავლებელი, 250-ლარიანი ვაუჩერი და რამდენიმე გამიფიცირებული სკოლა

ახალი სასწავლო წელი ისე დაიწყო, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გაურკვეველი რჩება: დირექტორებს ეს თანამდებობა დროებით უკავიათ, ახალშემოღებული სამეურვეო საბჭოები ჩამოყალიბებული არ არის, სახელმძღვანელოებს სკოლები საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევენ, თვით სასწავლო წელი სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა დროს იღებს სტარტს... ექსპერიმენტები, ექსპერიმენტები... ხშირად მათ სრული გაურკვევლობა მოსდევს, რომელიც შესაბამისად აისახება ჩვენი შვილების განათლებაზე... დიდი მიხვედრილობა არ ესაჭიროება იმას, რომ შესაძლოა, ბავშვი, რომელიც სკოლაში პირველად შედგამს ფეხს და პირველ კლასში შეუდგება სწავლას, სულ ცოტა ხანში, სრულიად განსხვავებულ სასწავლებელში „ამოყოფს თავს“... როგორც განათლების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა, ლევან გახელაძემ გვითხრა, სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება საკარაუდოდ, ნოემბრისთვის დასრულდება, მისი შემადგენლობა კანონით 6-12 წევრით განისაზღვრება (სკოლის მასშტაბისდა მიხედვით) და თავისუფალი არჩევნების წესით დაკომპლექტდება; ამის შემდეგ, სამინისტროსთან სკოლის სახელით, არა დირექტორს, არამედ სამეურვეო საბჭოს ექნება ურთიერთობა; რაც შეეხება დირექტორს, სამინისტრო საკვალიფიკაციო შერჩევას გამოაცხადებს და გარკვეულ ნორმატივებსაც დააწესებს, სკოლას დირექტორის 3 კანდიდატურას წარუდგენს და თუ სკოლამ სამივე დაიწუნა, ახალ კანდიდატურებს შესთავაზებს... ვფი-



ბავშვი, რომელიც სკოლაში პირველად შედგამს ფეხს და პირველ კლასში შეუდგება სწავლას, სულ ცოტა ხანში, სრულიად განსხვავებულ სასწავლებელში „ამოყოფს თავს“...

ქრობთ, აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, თქვენც ჩვენსავით ბევრი კითხვა დაგებადებოდათ... თუმცა, არსებობს სიახლეები, რომლებიც უკვე დანერგილად შეიძლება ჩაითვალოს. თუ კონკრეტულად რა სიახლეებია ეს და საერთოდ, როგორ ემზადება სასწავლო წლისათვის თბილისი — ამის გასარკვევად, დედაქალაქის განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს, ნატა მაჩალაძეს შევხვდით.

ემა ტუხიაშვილი

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც ახალ სასწავლო წელს ვხვდებით, ახალი სკოლის გახსნა გახლავთ. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ თბილისში სკოლა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში არ აშენებულა. ეს სკოლა ისნის რაიონში მდებარეობს და გეტყვით, რომ მას შეგვიძლია, ევროპული სტანდარტების სასწავლებელი ვუწოდოთ. გარდა ამისა, თბილისში იხსნება კიდევ ორი ახალი, სამოდელო ტიპის სკოლა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებზეა მორგებული, ერთ-ერთი მათგანი ნაძალადევის რაიონში მდებარეობს, ხოლო მეორე — მოსკოვის პროსპექტზე. აქვე უნდა ვაღიარო, რომ თბილისის სკოლებისა და ბაგა-ბაღების მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა, ამიტომ სწავლის დაწყებამდე ვცდილობთ, რომ ამ შენობებს მეტ-ნაკლებად სასურველი სახე მივცეთ. რა თქმა უნდა, ყველა პრობლემას ერთდროულად ვერ მოვაგვარებთ, საამისოდ არც სახსრები გაგვაჩნია, თუმცა არსებობს გეგმა, რომელშიც ყველა სკოლისა და ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოებია გათვალისწინებული.

— ახალი სასწავლო წელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალ დირექტორებთან ერთად იწყება. იქნებ გვითხრათ, რა კრიტერიუმებით ხდებოდა სკოლის დირექტორების შერჩევა?

— დირექტორის შერჩევა ამა თუ იმ სკოლისთვის, ჩვენი სამსახურის პრეროგატივა არ გახლავთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უკვე შემდგომ ვითანამშრომლოთ დირექტორთან და სკოლის მართვის პროცესში დავეხმაროთ. უნდა გითხრათ, რომ ყველა სკოლის დირექტორი მხოლოდ დროებით იკავებს ამ თანამდებობას და როგორც კი სკოლებში შეიქმნება სამეურვეო საბჭოები, მათ მოუწევთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

— თქვენ სკოლის მართვის პროცესი ახსენეთ. იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რა სიახლეებია გათვალისწინებული წლევანდელი წლიდან?

— მართალია, სკოლების დეცენტრალიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ნაწილობრივ უკვე შეგვაქვს ცვლილებები, სკოლის მართთვის საქმეში. მაგალითად, სკოლაზე პასუხისმგებელი ხდება თავად დირექტორი, საკუთარ გუნდთან ერთად. ჩვენ კი ვცდილობთ, რომ ყველა სკოლა მატერიალურად უზრუნველვყოთ, რათა შემდეგ თავად გადაწყვიტონ, რისი შეძენა სურთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც სკოლა, ერთი ხელსაბანის შესაძენად, იძულებულია, ჩვენ მოგვმართოს... რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე სკოლებს დიდ თანხებს ვერ დავპირდებით, მაგრამ იმდენით მაინც უზრუნველვყოფთ, რომ მათ აუცილებელი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ.

— როგორც ვიცი, საკმაოდ აქტუალური თემაა სახელმწიფო სკოლების შენობებში კერძო სასწავლებლების ფუნქციონირების საკითხი. მაშინ, როდესაც სახელმწიფო სკოლას მოსწავლეებისთვის კლასები არ ჰყოფნით, კერძო სასწავლებლები სარგებლობენ იმით, რომ სკოლის ყოფილ ხელმძღვანელობასთან რამდენიმეწლიანი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული...

— კანონი უკვე შესულია ძალაში და 2008 წლიდან, კერძო და სახელმწიფო სკოლა ერთ შენობაში ვერ იარსებებენ. კერძო სასწავლებლები იძულებული გახდებიან, მათ მიერ დაკავებული ფართი გაათავისუფლონ. საერთოდ კი, განათლების რეფორმა იმასაც ითვალისწინებს, რომ სკოლამ შეძლოს სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში წარმართოს. მაგალითად, დღეს თბილისში შეხვდებით სკოლებს, სადაც მოსწავლეები სამ ცვლაშიც კი სწავლობენ, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. რთულია, ყველა ცვლილება ერთდროულად დანერგო, მაგრამ ამასაც მივაღწევთ მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდება და შევძლებთ, რომ კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ იყოს.

ამ პრობლემას წლის ბოლომდე ნამდვილად ვერ მოვაგვარებთ... მაგრამ გვაქვს მისი ეტაპობრივი გადაჭრის გეგმა...

— კიდევ ერთ სიახლეს, მოსწავლეების ინდივიდუალური ვაუ-

ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც საკმაოდ ცნობილმა და გამოცდილმა სკოლის დირექტორებმა არც კი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა თანხა იყო გამოყოფილი მათი სკოლებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან

ნაგა მაჩალაძე: ყველა ბავშვი სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდება და შევძლებთ, რომ კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ იყოს.

ჩერებით უზრუნველყოფა წარმოადგენს...

— საქართველოს ნებისმიერ მოსწავლეზე, იმის მიუხედავად, კერძო სკოლაში სწავლობს ის თუ სახელმწიფო სკოლის მოსწავლეა, გამოყოფილი იქნება ვაუჩერი, რომელიც 250 ლარის ღირებულების გახლავთ. ეს თანხა ჩაიდება სკოლის ბიუჯეტში, მაგრამ ვინაიდან ეს სახსრები სკოლის არსებობისთვის საკმარისი არ გახლავთ, კაპიტალური რემონტის, გათბობისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს კვლავ მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლების დაფინანსება რეალურად მნიშვნელოვნად იზრდება.

— ეი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლის სახელზე იქნება ისეთი თანხა, რომ მის მშობელს სასწავლო წლის განმავლობაში აღარ მოუწევს ე.წ. „სკოლის ფონდის“ შევსება, დამლაგებლისა თუ გათბობის ხარჯების გაღება?

— სიმართლე გითხრათ, სკოლებს ახლაც აქვთ საკმარისი თანხები საიმისოდ, რომ ყველა ეს ხარჯი საკუთარი ბიუჯეტიდან დაფარონ. მთელი ამ წლების განმავლობაში, მუნიციპალური სახსრები არასწორი მიმართულებით იხარჯებოდა. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც კონკრეტული სკოლის გათბობისთვის შეძენილი იყო სოლიდური ოდენობის საწვავი, მაგრამ ამ სკოლას გათბობისთვის საჭირო საქვაბეც კი არ გააჩნდა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც საკმაოდ ცნობილმა და გამოცდილმა სკოლის დირექტორებმა არც კი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა თანხა იყო გამოყოფილი მათი სკოლებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან. გაკვირვებული ვრჩებოდი, როდესაც შემომჩივლებდნენ ხოლმე — ცარცის ფულიც კი არ გვაქვსო... მხოლოდ ამის შემდეგ შევძელით გაგვერკვია, რომ რამდენიმე სკოლას ბიუჯეტით გათვალისწინებული, ათასობით ლარი ჰქონდა აუთვისებელი.

— წელს რამდენად პრობლემატური იქნება სკოლების გათბობის საკითხი და კვლავ თუ ვიხილავთ თბილისის სკოლებში შეშის ღუმლებისა და ნავთქურებისგან გაჭვარტლულ კლასებს?..

— მინდა გითხრათ, რომ თქვენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ. ამ პრობლემას წლის ბოლომდე ნამდვილად ვერ მოვაგვარებთ, რადგან ის საკმაოდ სოლიდური თანხების მობილიზებას მოითხოვს. მაგრამ გვაქვს მისი ეტაპობრივი გადაჭრის გეგმა: მაგალითად, წლეულს, რამდენიმე სკოლის გაზიფიცირება მოხდება და, რა თქმა უნდა, საქვაბეებსაც დავამონტაჟებთ.

— რამდენად მოგვარებულია სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხი? როგორც ვიცით, ყოველწლიურად დგება ე.წ. კონტრაბანდული გამოცემების პრობლემა. აქვე მინდა გკითხოთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს, რომ საკუთარი ვაუჩერით გათვალისწინებული თანხით სასკოლო წიგნების შეძენა მოითხოვოს?

— ეს საკითხი თავად სკოლამ უნდა გადაწყვიტოს, მისი პრეროგატივაა, თუ რაში დახარჯავს ის ამ ფულს. წელს ქალაქის მუნიციპალიტეტი და განათლების სამინისტრო პირველკლასელებისთვის შეიძენენ სახელმძღვანელოებს. რაც შეეხება ე.წ. კონტრაბანდულ გამოცემებს, გამიჭირდება ჩვენს მოსახლეობას ამასთან დაკავშირებით კონკრეტული რჩევა მივცე; ალბათ, მაინც სკოლის ზუსტი მითითებები უნდა გაითვალისწინონ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინონ სასკოლო წიგნები. მოგეხსენებათ, რომ ყველა სკოლა ინდივიდუალურად ირჩევს წიგნსა და ავტორს, ამიტომ ისინი გამომცემლებთან ერთად უნდა შეეცადონ, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიაწოდონ.

— რაიმე საზეიმო ღონისძიება ხომ არ იგეგმება ქალაქში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით და თავად თქვენ სად გაატარებთ 26 სექტემბერს?

— პირადად მე, დაგეგმილი მაქვს, რომ თბილისში ყველა ახალაშენებული სკოლა მოვინახულო. იმ სკოლებსაც ვესტუმრები, სადაც ზაფხულის განმავლობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. რაც შეეხება საზეიმო ღონისძიებას — 25 სექტემბერს, ქალაქის მერია რუსთაველის გამზირზე მოაწყობს გასართობ კვირადღეს, რომელიც მიეძღვნება როგორც ყველა მოსწავლეს, ასევე ყველა პირველკურსელ სტუდენტს...

■

ყველა სკოლა ინდივიდუალურად ირჩევს წიგნსა და ავტორს, ამიტომ ისინი გამომცემლებთან ერთად უნდა შეეცადონ, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიაწოდონ



წელს ქალაქის მუნიციპალიტეტი და განათლების სამინისტრო პირველკლასელებისთვის შეიძენენ სახელმძღვანელოებს

შარშან, გადაცემა „ნ შოუ“ პოპულარობით სარგებლობდა. მცირე პაუზის შემდეგ, ის განახლებული ფორმატით ისევ გავა ეთერში. ნიკა ქავთარაძემ და მისმა გუნდმა კიდევ უამრავი სიურპრიზი მოგვიმზადა, რომელსაც სულ მალე შემოგვთავაზებენ. გარდა ამისა, ნიკა ქავთარიძისთვის და მიშა მშვილდაძისთვის ეს ზაფხული დაუვიწყარი დარჩება: ნიკას ოჯახს კიდევ ერთი შვილი, პატარა ნინო შეეძინა, მიშა კი ახლა გაბედნიერდა და ჯერ შვილებით გამოწვეული სიხარული წინ აქვს. რა სიახლეებია გუნდ „ფორმულა კრეატივში“ (ახლა ისინი ამ სახელით მოიხსენიებიან), კიდევ რატომ იქნება ეს ზაფხული მიშასთვის დაუვიწყარი და დაანგრევს თუ არა ოჯახს შონზო — ამ ყველაფერზე თავად მიშა მშვილდაძე, შონზო და გიგა ნასარიძე გვესაუბრებიან.

დაუვიწყარი ზაფხული – ნიკასთვის, „თაფლობის დამე" ციხეში – მიშასთვის და... ინტერვიუში გამხელილი სიმართლე – ცოლისთვის

ნათია ქივიძე

— მიშა, მოდი, საუბარი შენი ახალი გადაცემით დავიწყოთ. რა ფორმატის გადაცემა იქნება და იუმორს თუ ექნება მასში ადგილი?

— ეს იქნება ყოველკვირეული იუმორისტულ-ანალიტიკურ-შემეცნებით-სატირული გადაცემა, რომელსაც ავაგებთ პარალელებსა და ასოციაციებზე. სხვადასხვა ადამიანი ისაუბრებს სხვადასხვა თემაზე, მაგრამ ისე, რომ ბოლოს, ერთი და იგივე ნათქვამი გამოუვათ.

— რაღაც ვერ გავიგე. ცოტა უფრო კონკრეტულად ვერ ამიხსნი?

— სწორედ ეს არის გადაცემის მთელი ფოკუსი. გადაცემა იმიტომ კეთდება, რომ უყურო და გაერთო, თორემ, ასე, წინასწარ მოვყვებოდი ყველაფერს და რაღაში დაგვჭირდებოდა წვალება?!. ამ გადაცემას ერქმევა „ნაცნობი საქართველო“.

— შენს გადაცემაში მოწვეული სტუმრები ცნობილი სახეები იქნებიან?

— ცნობილი სახეებიც იქნებიან და სხვა, ინტელიგენტი ადამიანებიც — მოკლედ, ის ჭკვიანი ხალხი, რომელსაც საერთოდ, ჭკუა მოეკითხება. ყველა სტუმარი ცალკე ჩაიწერება და ისინი სხვადასხვა თემაზე მონოლოგის ფორმით ილაპარაკებენ. მეც ასევე მონოლოგით გამოვალ და მათგან აბსოლუტურად განსხვავებულ თემაზე ვილაპარაკებ, მაგრამ ეს ყველაფერი შექმნის ერთ დიდ მთლიანობას — ანუ ასოციაციები და პარალელები ძალიან კონკრეტული იქნება. მაგალითად, მე ვისაუბრებ ფეხბურთზე, იმაზე, თუ რა პრობლემები გვაქვს სპორტის ამ სახეობაში, სტუმარი კი ისაუბრებს გზების დაგებასა და იქ არსებულ პრობლემებზე, საბოლოოდ კი, მაყურებელი დაინახავს, რომ სხვადასხვა დარგში თითქმის ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს და ამ საერთო პრობლემას საქართველო ჰქვია. როგორც ყოველთვის, ახლაც, ამ და სხვა დანარჩენი გადაცემების რეჟისორები, სცენარის ავტორები და ა.შ. — ჩვენ ვართ.

— შონზო, ახლა თქვენი გადაცემის შესახებ მოგვიყევით...

— ეს არის გადაცემა „გვაროვნული წყობილება“. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდეს წლის საუკეთესო გვარი. მოდიან წინასწარ შერჩეული გვარების წარმომადგენლები, ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმღერაში, ცეკვაში, ძალოსნობაში, ხელსაქმესა და სილამაზეში... ერთ გადაცემაში ორი გვარის წარმომადგენლები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. გამოდის, რომ ერთ სეზონში 8 გვარის აპარეზობა მოეწყობა. მერე იქნება 4 გამარჯვებული გვარის შეჯიბრება, ბოლოს კი, წლის გამარჯვებული გვარი დასახელდება.

— რატომ გადაწყდა, რომ ამ გადაცემის წამყვანები მაინცდამაინც თქვენ უნდა ყოფილიყავით?

— კარგი გვარიშვილები ვართ და იმიტომ.

გიგა:

— ეს პატარა მიზეზი ხომ არ არის!..

შონზო:

— ალბათ იმიტომ, რომ ეს არის შოუ-პროგრამა, რომელსაც აუცილებლად ორი წამყვანი სჭირდება, რათა ერთი — ერთი გვარის მხარეს იყოს, მეორე კი — მეორე გვარის მხარეს.

— ნიკას მსგავსად, თქვენც ხომ არ გეყოლებათ მოცეკვავე გოგონები?

— ჩვენ გვეყოლება დამხმარე გოგონები, რომლებიც ალბათ, გადაცემის გარეთ იცეკვებენ კიდეც.

— პირველად რომელი გვარის წარმომადგენლებს შეაჯიბრებთ ერთმანეთს?

გიგა:

— ჯერ არ ვიცით. უკვე გამოცხადებულია კონკურსი და მსურველები უნდა დაგვიკავშირდნენ. ვნახოთ, ვინ მოვლენ...

— ვისი იდეა იყო ეს გადაცემა და რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები შეგეჯიბრებინათ ერთმანეთისთვის?

— ეს იდეა ერთად დაგვებადა ჩვენც და არხის ხელმძღვანელებსაც.

შონზო:

— ამასთან დაკავშირებით კონკრეტული საუბარი გვქონდა, სადაც არ გაგვირჩევია

– არა, მე დაგასწარი იდეის მოფიქრება და არა – მეო... მე მგონი, უფრო, არხის ხელმძღვანელობის იდეა იყო. თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს – მთავარია, რომ ისინი გვენდობიან და ჩვენც ერთ ძალიან მაგარ გადაცემას ვაკეთებთ... რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადავწყვიტეთ მაინცდამაინც გვარებს შორის შეჯიბრების მოწყობა, ვფიქრობთ, რომ ეს წმინდა ქართული ფენომენია და გვაქვს რაღაც სიამაყის განცდა, როდესაც ჩვენი გვარი რაღაცაში თავს გამოიჩენს. რადგან ეს ფენომენი არსებობს, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ?! ქართველ ხალხს რატომ არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ თავი გამარჯვებულად იგრძნოს?!.

— მნიშვნელობა არ ექნება, თქვენთან ბაგრატიონ-მუხრანსკის წარმომადგენლები მოვლენ თუ ღობეგლეჯიაშვილის?

გიგა:

– არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, ის 10 ადამიანი შეიკრიბოს, რომელიც თამაშისთვისაა საჭირო.

— ნასარიძეები და გაჩეჩილაძეები თუ მიიღებენ ამ შოუში მონაწილეობას?

შონზო:

– გამორიცხული არაფერია. პირველ ეტაპზე ალბათ, ჩვენი გვარის წარმომადგენლები არ იქნებიან, რომ მაყურებლებმა არ იფიქრონ – თავისიანები გამოიყვანეს და სულ ასე გაგრძელდებაო. ალბათ, საიუბილეო თარიღს რომ აღვნიშნავთ, მაშინ შევაჯიბრებთ ჩვენი გვარების წარმომადგენლებს ერთმანეთს. 10 წლის იუბილე რომ გვექნება...

— და თქვენ იმედი გაქვთ, რომ თქვენი გადაცემა 10 წლის მანძილზე იარსებებს?

– იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!..

— თქვენი გუნდის დანარჩენი წევრებიც თუ მიიღებენ ამ გადაცემაში რაიმე სახით მონაწილეობას?

– გადაცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ალბათ, მათი უშუალოდ ეკრანზე გამოჩენა დიდად საჭირო არ იქნება, მაგრამ გამორიცხული არაფერია. შესაძლოა, მათი გვარების წარმომადგენლები იყვნენ აქ და მათაც მხარი დაუჭირონ.

— ალბათ, სტუმრის სტატუსით ცნობილი სახეებიც იქნებიან, ხომ?

გიგა:

– თუ რომელიმე გვარის წარმომადგენელ ჯგუფს უნდა, რომ შეჯიბრების დროს, რომელიმე ცნობილი მოგვარე მომღერალი გამოიყვანოს, არც ეს იქნება პრობლემა. მათ ამის უფლება ნამდვილად ექნებათ, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

— გადაცემაში თქვენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნებს?

შონზო:

– ბევრ კონკრეტულ პიროვნებას აქვს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. ესენი არიან საქვეყნოდ ცნობილი დიზაინერები: გუჩი, ჯორჯო არმანი და ა.შ. მაგრამ ეს სურვილი ალბათ, განუხორციელებელი დაგვრჩება. ამიტომ ვინმე ადგილობრივ დიზაინერს მივმართავთ და ისინი იზრუნებენ ჩვენს ჩაცმულობაზე.

გიგა:

– გადაცემის წამყვანისთვის შესაბამისი ტანსაცმელი ძალზე მნიშვნელოვანია, რათა შექმნას შესაბამისი განწყობილება. ამიტომ ამ საკითხს ძალზე დიდი ყურადღება მიექცევა.

— მუსიკალურ გაფორმებაზე რას მეტყვით?

შონზო:

– მუსიკალური გაფორმება ძალიან მაგარი გვექნება და ამაში სულ მალე, თქვენც დარწმუნდებით. ამასთანავე, გადაცემის დასასრულს, მოგვარე ხალხი გადაცემის ჰიმნს შეასრულებს, რომლის მუსიკაც დათო ფორჩხიძეს ეკუთვნის, ტექსტი კი, ჩვენ დავწერეთ.

— როგორც ვიცი, ამ ორ ახალ გადაცემასთან ერთად, ახალ სერიალსაც იღებთ...

– მართალია. კვირაში ერთი სერია გავა, რომელიც დაახლოებით 50-წუთიანი იქნება. სერიალს კი „საპონი“ ჰქვია.

— რატომ ჰქვია ასეთი უცნაური სახელი?

გიგა:

– იმიტომ... თუკი შეიძლება, სერიალს ერქვას „გრძნობათა ტყვეობაში“, რატომ არ შეიძლება, რომ „საპონიც“ ერქვას?!.

შონზო:

– თანაც, ჩვენ სულ გვაქვს იმისკენ მიდრეკილება, რომ ჩვენ მიერ შექმნილ პროდუქციას ისეთი სახელი დავარქვათ, რომელიც ყოველთვის გამოიწვევს კითხვას – რატომ? მოკლედ, ამ ყველაფერს ფილოსოფიურად ვუდგებით.

მიშა:

– ამასთანავე, სერიალს ხომ საპნის ოპერად მოიხსენიებენ?

— ამ სერიალში ყველანი მიიღებთ მონაწილეობას?

შონზო:

– ყველა ვმონაწილეობთ, გარდა მიშა მშვილდაძის, ირაკლი საღინაძის, ნიკა რამიშვილის, ნიკა ქავთარაძისა და ა.შ. დანარჩენები, აბსოლუტურად ყველანი ვმონაწილეობთ, გამონაკლისების გარეშე... ამ სერიალს ექნება ერთი სიუჟეტური ხაზი თუ ღერძი, რომელზეც უამრავი სხვა ამბავიც იქნება აგებული. ამ სერიალით ყველა ასაკის, კატეგორიისა და სქესის ადამიანი დაინტერესდება.

მიშა:

– სერიალში მონაწილეობას მიიღებენ: შონზო, ზვიო, გიგა ნასარიძე, გიორგი გოგიჩაიშვილი (გოგიჩა), ბაკურ ბურდული და კიდევ რამდენიმე დამწყები მსახიობი, რომლის სახელი და გვარი ჯერ მაყურებლისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ისინი სულ მალე გახდებიან პოპულარულები, რადგან მართლა ძალიან ნიჭიერები არიან. ყველაზე მთავარი, იცი, რა არის?.. ხალხმა აღარ უნდა მოგვიხსენიოს „202“-ის ბიჭებად ან „105“-ელებად, რადგან ეს უკვე წარსულია. ახლა ჩვენს ჯგუფს „ფორმულა კრეატივი“ ჰქვია. ასე გადავწყვიტეთ.

— „202“-ელებს რომ გეძახიან, ღიზიანდებით?

– არა. მე არაფერი მაღიზიანებს. უბრალოდ, როგორც აღვნიშნე, ეს ჩვენი წარსულია და რატომ უნდა ვილაპარაკოთ წარსულზე?

შონზო:

– ძალიან გთხოვთ, ეს ახალი სახელი დაგვიძახეთ.

— როდის დაიწყება ეს თქვენი ახალი გადაცემები?

მიშა:

— 19 სექტემბრიდან რომ დაიწყება, სულ „ლიწინ-ლიწინით“ წავა.

— **ჰოდა, ვიდრე „ჩავალიწინებ-დეთ“, შენ რომ ოჯახი შექმენი და ასე ჩუმად გინდა ჩაატარო ეს ამბავი, არ გამოგივა... მომიყევი ერთი, შენი დაოჯახების შესახებ...**

— ამას ველოდი კიდეც... ვერ ვიტან პირად ცხოვრებაზე საუბარს. ვის რაში აინტერესებს, მე ოჯახში რა ფერის ჩუსტები მაცვია?!

— **მერე, ვინმემ გკითხა?.. შენს მეუღლეზე გვითხარი რამე...**

— ჩემი მეუღლე არის თეონა ავალიანი, რომელიც ტელეკომპანია „202“-ში გავიცანი. დაახლოებით ორწელიწად-ნახევრის ურთიერთობის შემდეგ, შევუღლდით.

— **ამდენ ხანს რას ელოდებოდით?..**

— არაფერს. ადამიანებმა ერთმანეთი კარგად უნდა გაიცნონ, მერე ოჯახი რომ შექმნან. ეს დრო ჩვენთვის ერთმანეთის გასაცნობად საკმარისი აღმოჩნდა და შევუღლდით. ოჯახის შექმნას სერიოზული ფიქრი სჭირდება, ეს ამბავი ნახევარ საათში არ ხდება.

— **შენი მეუღლე ჟურნალისტებთან მწყრალად რატომაა?**

— არა, მწყრალად არ არის — უბრალოდ, მასაც, ჩემსავით, არ უყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი და ამიტომ არიდებს თავს ინტერვიუებს. ჩვენ ამ სფეროში ვტრიალებთ და კიდევ გასაგებია, რატომაც ვიძლევი ინტერვიუს, მაგრამ სხვა ნორმალური ადამიანი ამას არ გააკეთებს. აბა, ვის აინტერესებს, ვიღაც ცნობილ ადამიანს რა აცვია, რას აკეთებს, ცოლს თუ უღალატა და ა.შ. პრინციპში,ასეთი რაღაცები მეც არ მაინტერესებს...

— **ოფიციალურად დაქორწინდით თუ მოჰკიდე ხელი და წაიყვანე?**

— ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელები და წავედით. ოქტომბრის დასაწყისში ვაპირებთ ხელის მოწერას და ჯვრის დაწერას.

შონზო:

— და რა ფერის ჩუსტები უნდა იყიდოთ *(იცინიან)*?..

— **მერე, სად დაისვენეთ?**

მიშა:

— აი, ამიტომ არ მინდოდა ინტერვიუ...

შონზო:

— სარფში, მე ვარ ამის მოწმე: ჩავედი და იქ დამხვდნენ.

მიშა:

— ვიცი, ახლა მკითხავ, სარფში რატომ იყავით, თურქეთში წასასვლელი ფული არ გქონდაო?..

— **არა, აღარ გკითხავ...**

— რას ჰქვია, აღარ მკითხავ?! ეგ არის ყველაზე საინტერესო!..

— **არ გქონდა ალბათ და მტკივნეულ საკითხს ხომ არ შევეხები!**

— რა არ მქონდა?! წავედი თურქეთში. ჩავედი და არ გადამიშვეს საზღვარზე. სკანდალი არ გაინტერესებს?

— **სკანდალიც მაინტერესებს და ინტრიგაც...**

— თურქეთში წასვლის წინ, ჩემმა მეუღლემ მიიღო პასპორტი, რომელშიც ჩაუწერეს, რომ თურმე, ეს პასპორტი 2000 წელს გაუციათ და 2003 წლამდე აქვს ვადა... ეს ახლა ხდება — 2005 წელს!..

შალვას სასამართლოს გულისხმობ?.. მართალი ხარ. იქ ნამდვილად ვიყავით.

ერთი ღამე ვისხედით თურქეთის ციხეში. ეს იყო ჩემი საქორწინო მოგზაურობაცა და პირველი ღამეც. ამიტომ ვიყავი სარფში და არა იმიტომ, რომ სააკაშვილმა ხალხს მოუწოდა, აჭარაში დაისვენეთო. ჩემი ადვოკატი ახლა სარჩელს ადგენს, რომ სახელმწიფომ ზარალი ამინაზღაუროს. არაფრის გადამხდელი ის არ არის, მაგრამ მე მაინც ვივლი ამაყად — ბიჭო, სახელმწიფოს ჩემი ვალი აქვს-მეთქი...

— **იმედი მაქვს, თქვენც რომელიმე ციხეში არ გაგიტარებიათ ეს ზაფხული...**

შონზო:

— არა. სამსახურებრივი მივლინებით მე და ნიკა რამიშვილი, იგივე დრუპი, პრაღაში გახლდით. მერე, ერთი 4 დღე კიდევ მოვახერხე ურეკში დასვენება.

— **პრაღაში რას აკეთებდით?**

— ხომ გითხარი — სამსახურებრივი მივლინება მქონდა-მეთქი. ეს ისეთი საკითხია, საჭირო რომ ყოფილიყო, თავიდანვე ვიტყოდი... მაგრამ ჯანდაბას შენი თავი — ფარულ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი რადიო „თავისუფლებასთან“.

— **ამ მივლინებისთვის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მაინცდამაინც შენ რატომ შეგარჩია?**

— იმიტომ, რომ თავისუფალი კაცი ვარ...

გიგა:

— მთელი ზაფხულის განმავლობაში, რაჭაში, ჩემს სოფელში ვიყავი, მაგრამ დავისვენე-მეთქი, — ვერ გეტყვი: ამის დიდი იმედი მქონდა, მაგრამ ჩემი შვილებიც თან მყავდნენ წაყვანილები და ასე, ისევ დაუსვენებელი ჩამოვედი და შევუდექი მუშაობას.

— **ნიკა ქავთარაძის მაგაქვად, ოჯახში თქვენც ხომ არ გაქვთ მატება?**

— არა, ჯერ არა. ორი შვილი მყავს.

შონზო:

— ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები მაქვს გადასაჭრელი... საერთოდ ვფიქრობ, შევინარჩუნო თუ არა ოჯახი.

— **მერე, ეს ამბავი შენმა მეუღლემ თუ იცის?**

— არა. გაიგებს, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს.

— **მოდი, ისევ თქვენს გუნდს დავუბრუნდეთ. გიგა ნასარიძესავით, ძველი თანაგუნდელი რომ დაგიბრუნდეთ, ისევ მიიღებთ?**

— რატომაც არა?! ჯერ ისედაც მითი დადის, თითქოს ჩვენ მეგობრები აღარ ვართ. რა სისულელეა!.. ჩვენ ერთად დავდივართ კალათბურთზეც კი, ოღონდ... სხვადასხვა სექციაში ვსხედვართ.

— **კი, ერთად დადიხართ სასამართლო დარბაზებშიც...**

მიშა:

— შალვას სასამართლოს გულისხმობ?.. მართალი ხარ. იქ ნამდვილად ვიყავით. ძალიან ცუდი ამბავი მოხდა. გამოძიება ალბათ გვიჩვენებს, ამ საქმეში არის თუ არა კრიმინალური ფონი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ამ მთავრობამ კიდევ ერთხელ გამოავლინა ის ხარვეზები, რომლებიც სახელმწიფოს აქვს. ჩვენ შალვას გვერდით ვდგავართ და ვიდგებით. ის გამომძალველი არ არის. ■

ბრიტანული ენის დარბაზი

ინგლისური ენის შესწავლის ცენტრი

კომფორტული, მოსახერხებელი და მეგობრული გარემო — იდეალური მათთვის, ვისაც სურს ინგლისური ენის გაუმჯობესება

სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების — მაკმილანის, პარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის გამომცემლობების უახლესი სასწავლო ლიტერატურა.

განკუთვნილია 15 წლის და უფროსი ასაკის სტუდენტებისთვის

ისწავლეთ ინგლისური პროფესიონალებთან!

მისამართი: რუსთაველის 36 (არკაში მარჯვნივ). ტელ: 99-84-35. ელ. ფოსტა: british_language@posta.ge

ელჩის მეუღლის ძახილი თიჟლი და დაკარგული ფოტოობიექტივი



ახალგაზრდა წყვილი — კინგა ნეტმან მოლტანოვსკა და იაცეკ მოლტანოვსკი ჩვენს ქვეყანაში დიპლომატიური მისიით ჩამოვიდნენ. პან იაცეკი პოლონეთის ელჩი გახლავთ საქართველოში, მისი მეუღლე, პანი კინგა კი პროფესიით ფილოლოგია, მაგრამ აქ მთელ დროს თავის გატაცებებს უთმობს. დიპლომატიური წყვილის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ორი წლის განმავლობაში, მათ საქართველოს ყველა კუთხე და ღირსშესანიშნაობა მოინახულეს. ფოტოგრაფია პანი კინგას ერთ-ერთი გატაცებაა, ამიტომ საქართველოში გადაღებული ფოტოებით მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა საკუთარი არქივი.

ემა ტუხიაშვილი

— თქვენს სახელს სამეფო წარმომავლობასთან რაიმე კავშირი ხომ არა აქვს?

— ეს სახელი დედამ შემირჩია და პოლონეთში იშვიათად შეხვდებით ქალს, რომელიც ამ სახელს ატარებს. კინგა, პოლონეთის ერთ-ერთ დედოფალს ერქვა, რომელიც წარმოშობით უნგრეთიდან იყო და მის სახელს ერთი მშვენიერი ლეგენდა უკავშირდება. ამ ლეგენდის მიხედვით, პოლონეთის მეფის უნგრელ საცოლეს მზითევი არ ჰქონია, მაგრამ კინგას პირობა მიუცია პოლონელი ხალხისთვის, რომ მზითევს ისინი სამეფო წყვილის დაქორწინების შემდეგ მიიღებდნენ, კერძოდ — ქორწილის მსვლელობისას, ის გარკვეული მიმართულებით თავის ძვირფას ბეჭედს გადააგდებდა და იქ, სადაც პოლონელები მას იპოვიდნენ, მის მზითევსაც აღმოაჩენდნენ. ლეგენდის მიხედვით, მრავალი წლის შემდეგ, ვიღაცას მართლაც აღმოუჩენია დედოფალ კინგას ბეჭედი და მასთან ერთად — მარილის საბადოც. ახლა იმ ადგილას უძველესი მარილის შახტაა, რომელიც დედოფალ კინგას სახელს ატარებს, პოლონელები მას „ველიჩკასაც“ უწოდებენ. ამ მარილის საბადოს ახლა სამუზეუმო დატვირთვა აქვს და იქ მომუშავე გიდები ამ ლეგენდას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს უამბობენ.

ჩემი მზითევი პოლონეთშია და ჯერ ის არავის აღმოუჩენია

— თქვენი მზითევიც გაგვანდეთ...

— ჩემი მზითევი პოლონეთშია და ჯერ ის არავის აღმოუჩენია *(იცინის)*...

— კინგა, თქვენ შესახებ მიამბეთ — სად დაიბადეთ, სად სწავლობდით, რას საქმიანობთ?

— დავიბადე ქალაქ პოზნანში, რომელიც პოლონეთის დასავლეთ მხარეში მდებარეობს. მიმაჩნია, რომ პოზნანი ძალიან ლამაზი ქალაქია. მართალია, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ლამაზი ადგილი არსებობს, მაგრამ მე მაინც ჩემი ქალაქის პატრიოტი ვარ. პროფესიით ფილოლოგი გახლავართ, ჩემი ვიწრო სპეციალობა კი, შედარებითი ლინგვისტიკა გახლავთ. ინგლისური და გერმანული ის ორი ძირითადი ენაა, რომელზეც ვმუშაობ. ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდი, პოზნანის უნივერსიტეტში ვმუშაობდი და სტუდენტებს ინგლისურს ვასწავლიდი. არაპროფესიონალური თვალსაზრისით კი, ცხოვრებაში ბევრი გატაცება მაქვს. ერთ-ერთი ჩემი ჰობი ფოტოგრაფია გახლავთ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ამიტომ ხშირად, უნიკალური ფოტოების გადაღების საშუალება მეძლევა. მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიყვარს ველო-

სიპედით მოძრაობა. ამას ხშირად ვაკეთებთ პოლონეთში. თბილისში კი საყვარელი ტრანსპორტით სეირნობის საშუალება იშვიათად გვაქვს. საერთოდ, სპორტი ბავშვობიდან მიტაცებს. მართალია, პროფესიონალი სპორტსმენი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის მივდევდი სპორტის ამა თუ იმ სახეობას. მაგალითად, გატაცებული ვიყავი ძიუდოთი, თხილამურებით და რამდენჯერმე პარაშუტითაც კი გადმოვხტი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო და დაუვიწყარი წუთები.

— საინტერესოა, რა სიმაღლიდან გაბედეთ გადმოხტომა?

— რა თქმა უნდა, წინასწარ გავიარე გარკვეული მოსამზადებელი კურსი და მინდა გითხრათ, რომ ჯგუფში ერთადერთი ქალი ვიყავი. ჩვენ არ დაგვიძლევია პროფესიონალური სიმაღლე, თუმცა, 1500 მეტრი სიმაღლიდან ხტომაც საკმაოდ შიშის მომგვრელი აღმოჩნდა. გამოგიტყდებით, როდესაც ვერტმფრენიდან გადმოსახტომად მოვემზადე, შიშმა მძლია და ვორჭოფობდი კიდეც, თუმცა ვიცოდი — თუ ამას თავად არ გავაკეთებდი, ინსტრუქტორი ძალით გადმომაგდებდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ვერტმფრენიდან თავად გადმოვეშვი. მინდა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი აგიხსნათ: ჩვენნაირი, დამწყები პარაშუტისტები ვერტმფრენთან სპეციალური თოკით არიან დაკავშირებული და როდესაც ხტები, ამ თოკის მეშვეობით ხდება პარაშუტის გახსნა, ასე რომ, ღილაკზე თითის დაჭერა არ გჭირდება. როდესაც პირველად ასეთი სიმაღლიდან ეშვები, ისეთი დაბნეული ხარ, რომ შესაძლოა, რაღაც ღილაკის არსებობა საერთოდაც დაგავიწყდეს...

— მითხარით, რომ ძიუდოს ეუფლებოდით. პრაქტიკაში თუ დაგჭირვებიათ ამ ცოდნის გამოყენება?..

— ძიუდოს 13 წლის ასაკიდან ვეუფლები. მართალია, ქუჩაში თავდამსხმელის მოსაგერიებლად ჩემი შესაძლებლობების გამოყენება არასდროს დამჭირვებია, მაგრამ სპორტული შეჯიბრებების დროს, ჩემს თანატოლებთან არაერთხელ მომისინჯავს ძალები. ისე კი, ერთ რამეში გამოგიტყდებით: იყო შემთხვევები, როდესაც თანაკლასელ ბიჭებთან მიჩხუბია და მაშინ ხშირად გამომიყენებია ძიუდოს ილეთები.

— პანი კინგა — ალბათ, ასე მოგმართავენ პოლონეთში, არა?

— დიახ, პოლონეთშიც და თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოშიც...

— თქვენი მშობლიური ქალაქის უმთავრეს ღირსშესანიშნაობებზე მოგვიყევით, თუ შეიძლება...

— ჩემი ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა, ძველი რატუშა გახლავთ, რომელიც რენესანსის ეპოქაშია აგებული და იუნესკოს წიგნში — „არქიტექტურის მარგალიტები“ — გახლავთ შეტანილი. შენობის შიგნით ქალაქის მუზეუმია განთავსებული, ხოლო შენობის თავზე საათია მოთავსებული, სადაც ქვემოდან მომზირალი ადამიანი მცირე ზომის კარს შეამჩნევს. ზუსტად 12 საათზე ეს კარი იღება და იქიდან ორი სათამაშო თხა გამოდის, რომლებიც ზუსტად თორმეტჯერ ერკინებიან ხოლმე ერთმანეთს. ამ სანახაობისთვის თვალის დევნება განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს, ამიტომ ამ დროს, მოედანზე, რატუშის წინ უამრავი ადამიანი იკრიბება. ჩვენს ქალაქში შეგიძლიათ ნახოთ ბაროკოს სტილში აგებული ეკლესია — ფარა და ამავე დროს, პოზნანს, როგორც უძველეს ქალაქს, პოლონეთში საკუთარი საკათედრო ტაძარი აქვს. სწორედ ამ საკათედრო ტაძარში არიან დაკრძალული პოლონეთის პირველი მმართველები. პოზნანში შეგიძლიათ ნახოთ აგრეთვე, გერმანიის კანცლერ ბისმარკის მიერ აგებული ციხესიმაგრე. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ერთ დროს, პოლონეთი სამ ნაწილად იყო გაყოფილი, საიდანაც ერთი — რუსეთს, მეორე — ავსტრიას, მესამე კი — გერმანიას ეკუთვნოდა. მაშინ პოზნანი გერმანიის ნაწილში მოხვდა და ბისმარკმაც თავისთვის მშვენიერი ციხესიმაგრე ააგო, თუმცა იქ არასდროს გაჩერებულა. ამჟამად ამ შენობაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეა განთავსებული... ისევე, როგორც თქვენთან, ჩვენშიც თითოეული ქალაქის მკვიდრი, მისთვის დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევა — მაგალითად, ქალაქ კრაკოვის მცხოვრებნი ძალიან ამაყები არიან და მუდამ ცხვირაწეულები დადიან. ხოლო ჩვენზე, პოზნანის მცხოვრებლებზე ამბობენ, რომ გერმანული მენტალიტეტი შემოგვრჩა: არ გვიყვარს ფულის ფლანგვა, ყველაფერს ზედმიწევნით ვანგარიშობთ და ა.შ. კიდევ პოზნანში ყველას ძალიან უყვარს კარტოფილი, ამიტომ სხვა ქალაქების მცხოვრებნი ხუმრობით „კარტოფილებსაც“ გვიწოდებენ.



იქ გადაღებული ქვევრების ფოტოები სასწრაფოდ გავუგზავნე პოლონეთში ახლობლებს, რომ ენახათ, თუ რამი აყენებენ ღვინოს ქართველები

— ცოტა ხნის წინ, საქართველოს პრეზიდენტი თქვენს სამშობლოში, გდანსკში მოძრაობა „სოლიდარობის“ იუბილისადმი მიძღვნილ ზეიმს ესწრებოდა. თქვენ რა შემოგრჩათ მეხსიერებაში იმდროინდელი მოვლენებიდან?

— 1980 წელს, როდესაც გდანსკში

მოძრაობა „სოლიდარობა“ ჩამოყალიბდა, მხოლოდ 9 წლის ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ შემომრჩა მეხსიერებაში. მე ვუყურებდი იმას, თუ როგორ იქცეოდნენ ამ დროს მოზრდილები. ყველა ემოციური და აღგზნებული იყო და არავინ იცოდა, როგორი შედეგი მოჰყვებოდა მშრომელთა გაფიცვებს. იმ დროს, მხოლოდ ერთი კითხვა ისმოდა – შემოვიდოდა თუ არა საბჭოთა არმია პოლონეთში. იმის გამო, რომ ოფიციალურ გამოცემებში „სოლიდარობის“ შესახებ არაფერი იბეჭდებოდა, მოზრდილები ობიექტური ინფორმაციის მისაღებად „ევროპის ხმას“ უსმენდნენ. მოგეხსენებათ, რომ პოლონეთის პრეზიდენტი, იმ დროს კი „სოლიდარობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლეხ ვალენსა გრძელ ულვაშს ატარებს. ჰოდა, პოლონელმა მამაკაცებმა, მათ შორის მამაჩემმაც, ვალენსას მხარდასაჭერად, ულვაში მოუშვეს და მხოლოდ 1989 წელს მოიპარსეს, როდესაც პოლონეთში პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. თუმცა, მანამდე, ქვეყანა 18-თვიან ეიფორიაში იმყოფებოდა – 1981 წლიდან, როდესაც მეამბოხეებსა და მთავრობას შორის ხელშეკრულება გაფორმდა; ამ ეიფორიას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოჰყვა, რომელიც ომის მდგომარეობის ტოლფასი იყო: არ მუშაობდა ტელეკომუნიკაციები, გამოდიოდა მხოლოდ ერთი, სახელმწიფო გაზეთი, რადიოთი კი მხოლოდ შოპენის ყველაზე სევდიან კომპოზიციებს გადმოსცემდნენ (სხვათა შორის, მას შემდეგ არ მიყვარს შოპენის მუსიკა), ხალხს არ შეეძლო, სპეციალური საშვის გარეშე, ერთი ქალაქიდან მეორეში წასვლა. ყველა ოპოზიციონერი დააპატიმრეს, ხოლო მათ შვილებს ბავშვთა სახლებში აბარებდნენ...

— პირადად თუ შეხვედრიხართ ოდესმე ლეხ ვალენსას?

– მე ეს ბედნიერება არასდროს მრგებია წილად. მაგრამ მამიდაჩემი გახლდათ მისი თანამებრძოლი, მასზე როგორც ლიდერზე, უზომოდ შეყვარებული და ხშირად გვიყვებოდა ვალენსას შესახებ.

— ახლა მიამბეთ, როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?

– მე და იაცეკი ერთმანეთს 1999 წელს ყირგიზეთში შევხვდით. მე ბიშკეკის უნივერსიტეტში პოლონურ ენას ვასწავლიდი სტუდენტებს, ხოლო იაცეკი ალმა-ათაში, პოლონეთის საელჩოში მუშაობდა და ბიშკეკის უნივერსიტეტში პოლონური ენის კაბინეტის გახსნა სწორედ მისი იდეა გახლდათ. თავდაპირველად, მხოლოდ ოფიციალური შეხვედრებით შემოვიფარგლებოდით. შემდეგ დავმეგობრდით, ხოლო ერთი წლის თავზე, პოლონეთში ჩასვლისთანავე ვიქორწინეთ. ამრიგად, ჩვენთვის შუა აზია დღემდე, მსოფლიოში ყველაზე რომანტიკული ადგილი გახლავთ... შემდეგ, ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა ცოტა სასაცილოდაც კი წარიმართა. მე პოზნანიდან ვარ, სადაც ჩემი საქმე და სამსახური მქონდა, იაცეკს კი ვარშავაში ყოფნა უწევდა. ამიტომ მთელი ორი წლის განმავლობაში, მე და ჩემი მეუღლე ვარშავასა და პოზნანს შორის ვმოგზაურობდით... თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თანაცხოვრების პირველი დღეები სწორედ საქართველოში გავატარეთ, ახლა კი, უკვე თითქმის ორი წელია, თბილისში ვცხოვრობთ.

— ვიდრე აქ ჩამოხვიდოდით, რა იცოდით საქართველოსა და ქართველების შესახებ?

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ჩამოსვლა ჩვენი იდეა იყო. პირველად, მე და ჩემი მეუღლე აქ არდადეგებზე 2000 წელს ჩამოვედით და ისე მოგვეწონა თქვენი ქვეყანა, რომ გადავწყვიტეთ, იაცეკს, როგორც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელს, არჩევანი სწორედ საქართველოზე შეეჩერებინა. ასევე მინდა გითხრათ, რომ პოლონელებს ქართველების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, თუ ქუჩაში პოლონელს გააჩერებთ და საყვარელი მხატვრული ფილმის დასახელებას სთხოვთ, გიპასუხებთ – „ოთხი ტანკისტი და ძაღლიო“, – ხოლო საყვარელი ტელეგმირი – ტანკისტი გიორგი საკაშვილი...



ჩვენთვის დილა 9 საათია, ხოლო ქართველი მეგობრისთვის დილა თურმე, 11 ყოფილა...

— ნახევრად გერმანულ ქალაქში აღზრდილს, რა გეუცხოებათ ქართულ ხასიათში?

– ის, რომ ქართველებს დროის შეგრძნება არ გააჩნიათ. დრო, რა თქმა უნდა, თქვენთანაც არსებობს, მაგრამ მას ანგარიშს არავინ უწევს... მახსოვს, თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი და ქართველმა მეგობარმა მთხოვა, მასთან სახლში დილით მივსულიყავი. ჩვენთვის დილა 9 საათია, ხოლო ქართველი მეგობრისთვის დილა თურმე, 11 ყოფილა... კარგია, რომ დრო წინასწარ დავაზუსტე, თორემ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. მაგრამ მაინც არ მესმის, როგორ შეიძლება, დილა 11 საათზე იწყებოდეს. გამოდის, რომ ფაქტობრივად, მთელი დღე დაგიკარგავს... კიდევ ქართველებს შენარჩუნებული გაქვთ ის, რაც პოლონელებში უკვე აღარ არსებობს – ქალისა და მამაკაცის განსაზღვრული როლები საზოგადოებაში. მეჩვენება, რომ ამ როლების შეცვლა არც არავის სურს: ქართველ კაცს ურჩევნია, აჩვენოს გარშემო მყოფებს, თუ როგორი ძლევამოსილია, ქალი კი ამჯობინებს, ისეთივე ნაზი და სუსტი იყოს, როგორადაც ის ქართულ ნაციონალურ ცეკვებში წარმოგვიდგება...

— ქართული ენის დაუფლების სურვილი არ გაგჩენიათ?

– საკმაოდ რთული ენა გაქვთ, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ლამაზი. განსაკუთრებით მომწონს მისი ჟღერადობა. მინდა გითხრათ, რომ ქართულად ვკითხულობ, ვინაიდან ანბანი სწრაფად ვისწავლე, მაგრამ გრამატიკაში მოვიკოჭლებ.

— მგონი, დროა, ფოტოგრაფიაზეც ვისაუბროთ. საქართველოში რას იღებთ?

– შესაძლოა, ფოტოხელოვნების სიყვარული ბებიისაგან მერგო, რადგან ის გახლდათ ფოტოგრაფიით გატაცებული და ბავშვობაში უამრავ სურათს მიღებდა. 11 წლის ასაკში კი, ახალგაზრდა ფოტოგრაფების კლუბში გავწევრდი და ისევე, როგორც ყველა პოლონელს, მეც „ზენიტის“ მარკის ფოტოაპარატი მქონდა. ამის შემდეგ, დროდადრო უმჯობესდებოდა, როგორც ჩემი ფოტოაპარატის ხარისხი, აგრეთვე, ფოტოსურათებისაც. ძალიან ბევრს დავდივარ თბილისის ქუჩებში და რა თქმა უნდა, ყოველთვის თან დამაქვს ჩემი ფოტოკამერა. ზოგჯერ ცნობისმოყვარეობა თბილისის ძველ უბნებში შემიტყუებს,

სადაც ბევრი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება. ჩემს ფოტოებში აღმოაჩენთ ორიგინალური ვიტრაჟის სურათს, რომელიც ყოველთვის ქართულ სტუმართმოყვარეობას მახსენებს. ცოტა ხნის წინ, ქალაქის ძველ უბნებში სეირნობისას, აივნების გადაღება გადავწყვიტე და სართულებს შორის მიმავალ კიბეს ავუყევი. უეცრად, ჩემ უკან ფეხის ხმა გაისმა და პირველი რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ფოტოაპარატთან განშორება მომიწევდა... მამაკაცმა გამასწრო, კარი შეაღო და მშვენიერი ვერანდა დავინახე. მან ჩემს გამოხედვაში ცნობისმოყვარეობა ამოიკითხა და როდესაც გამომკითხა, თუ ვინ ვიყავი და როგორ მოვხვდი თბილისში, შინ შემიპატიჟა. რა თქმა უნდა,მისი მიპატიჟება უადგილოდ მომეჩვენა და უკვე უარის თქმას ვაპირებდი, რომ ღია კარში ბავშვები გამოჩნდნენ, რომლებიც სახლში დაბრუნებულ მამას შეეგებნენ. მივხვდი, რომ მამაკაცის თავაზიანი ჟესტის მიღმა მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა იდგა, შევყევი და საინტერესო ვიტრაჟები გადავიღე. მინდა გითხრათ, რომ იმ ოჯახში ჩაიც დავლიე და გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორ შეიძლება, ქუჩიდან შემოსული ადამიანი ქართულ ოჯახში შინაურად იქცეს... კიდევ მიყვარს ის ფოტო, სადაც ქართული მურაბები, ტყემლები და სხვადასხვა სანოვაგე მაქვს აღბეჭდილი. ყველა ჩვენი ქართველი ნაცნობი საჩუქრად მოგვართმევს ხოლმე ტყემალს და მურაბას, ხოლო მე და იაცეკი ისე მივეჩვიეთ ამას, რომ ცოტა ხნის წინ, ქლიავის მურაბა ჩვენც მოვხარშეთ... მე და ჩემი მეუღლე გახლდით ბოდბეში, სადაც ასევე შესანიშნავი ფოტოები გადავიღე. ვიმოგზაურე კახეთშიც და იქ გადაღებული ქვევრების ფოტოები სასწრაფოდ გავუგზავნე პოლონეთში ახლობლებს, რომ ენახათ, თუ რაში აყენებენ ღვინოს ქართველები. გადაღებული მაქვს ქართული აბანოები, სადაც მე და ჩემს მეუღლეს ძალიან მოგვწონს სიარული. სულ ცოტა ხნის წინ კი, ანანურში ვიყავით და ყაზბეგიც მოვინახულეთ, ერთ-ერთ სოფელში კი ყოფილი მეზღვაურიც გავიცანით...



მივხვდი, რომ მამაკაცის თავაზიანი ჟესტის მიღმა მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა იდგა, შევყევი და საინტერესო ვიტრაჟები გადავიღე

ციხის საავადმყოფოდან აკრძალული ნივთები ამოიღეს

11 სექტემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს. ამ ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების შედეგად, მათ ციხის საავადმყოფოდან სხვადასხვა აკრძალული ნივთი ამოიღეს.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ჩხრეკა სპეცდანიშნულების რაზმისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს. პალატებიდან მობილური ტელეფონები, დამტენები, 14 მაკრატელი, 16 დანა, 8 სადგისი, 40 ჩანგალი, 20 ბანქოს დასტა ამოიღეს.

ამ ფაქტის გამო, სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილეს, რეჟიმისა და უსაფრთხოების დარგში ვლადიმერ კაპანაძეს და ოპერატიული მორიგის თანაშემწეს – კახა ბრეგვაძეს თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუწერდათ.

ჩხრეკის პარალელურად, სამართალდამცველებმა ავადმყოფ პატიმართა საქმეებიც გადაამოწმეს. ამის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 100-მდე პატიმარი №1 საპყრობილეში გადაიყვანეს. როგორც ამბობენ, ზემოთ აღნიშნული პროფილაქტიკური ღონისძიება 10 სექტემბრს მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა. ამ დღეს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მიღებაზე გამოცხადდა, წარსულში ნასამართლევი, ამჯერად კი, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის მსჯავრდებული – 45 წლის ლევან ცანავა. ის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შეურაცხადია. კაბინეტში შესულმა პატიმარმა მოულოდნელად, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების დირექტორს – გურამ მენთეშაშვილსა და მთავარ ექიმს – დავით ასათიანს. პატიმარი თბილისის მე-7 საპყრობილეში გადაიყვანეს, მომხდარი ფაქტის შესახებ კი, გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს აცნობეს.

კრიმინალი

კონტრაბანდისტების საქმეზე გამოძიება დაიწყეს

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტის გამოძიება დაიწყო. სამართლადამცველთა ინფორმაციით, მოქალაქე კ. გაბადავას 2650 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აფხაზეთიდან ენგურის ხიდით გადმოჰქონდა. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლებმა 3384 კოლოფი უაქციზო სიგარეტი მდინარე ენგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. კონტრაბანდის მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. მსგავსი ფაქტები შიდა ქართლშიც დაფიქსირდა. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლითაა აღძრული და გამოძიება წარმოებს.

■

ეჭვმიტანილმა ჩხუბისას საკუთარი ძმა მოკლა

თერჯოლის რაიონში შემზარავი მკვლელობა მოხდა. ეჭვმიტანილმა საკუთარი ძმა ურთიერთშელაპარაკებისას სასიკვდილოდ გაიმეტა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მკვლელობა სანადირო თოფით მოხდა. ეჭვმიტანილი – 58 წლის რომან ფოცხვერაშვილი უკვე დაკავებულია. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, შემთხვევის ადგილიდან „იჟ-17“ სისტემის სანადირო თოფიც ამოიღეს. აღნიშნული იარაღი რეგისტრირებული არ გახლავთ.

■

ნარკორეალიზატორებს ჰეროინი აზერბაიჯანიდან მოჰქონდათ

12 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს. 38 წლის გენო კაჭარავასა და 37 წლის ზაზა ჩხაიძეს, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, აზერბაიჯანიდან ტრანზიტით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება შემოჰქონდათ საქართველოში. ეჭვმიტანილები გამთენიისას, გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისთან დააკავეს. დაკავებულებს ჩხრეკისას, შს სამინისტროს ინფორმაციით, 4,979 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოაჩნდათ. ამავე ინფორმაციის თანახმად, კაჭავარამ და ჩხაიძემ სამართლდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ისინი ავტომანქანაში ჩაიკეტნენ და ამის გამო, პოლიციელები იძულებული გახდნენ, ცეცხლი გაეხსნათ. სროლის შედეგად, არავინ დაშავებულა. იმ შემთხვევაში, თუკი კაჭარავასა და ჩხაიძეს ბრალდება დაუდასტურდებათ, კანონის თანახმად, ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-რეალიზაციისთვის მათ 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

■

"სტაჟიანი" მანიაკის მოულოდნელი ჩავარდნა

იმ საფუნთუშის გამყიდველ ქალს, სადაც პატიმარი პურს ყიდულობდა და მის 5 წლის გოგონას ეალერსებოდა, დღესაც არ სჯერა, რომ ეს კეთილი, მოღიმარი კაცი — სერიული მკვლელია. პოლოგელი მანიაკის მეზობლებიც გაოგნებულნი არიან: გამრჯე, მეოჯახე კაცი ქალაქის განაპირას ერთი წლის წინ დასახლდა და გაპარტახებული კარმიდამო მალე ბაღნარად აქცია...

– ძია სერიოჟა აქ ღამეს თითქმის არ ათევდა, – იხსენებს მეზობლად მცხოვრები ნატაშა კუჩმა. – სამსახურიდან მოვიდოდა, დაიბანდა, ღუმელზე საჭმელს მოიმზადებდა და ბოსტანში მუშაობდა, შემდეგ ისევ იბანდა და ველოსიპედით ქალაქში, მეგობარ ქალთან ბრუნდებოდა. საოცრად მოწესრიგებული, გულღია კაცი იყო...

– ვმეგობრობდით, ერთად ვსვამდით და ცხოვრებაზე ვბაასობდით, მაგრამ ცუდი არაფერი შემიმჩნევია. ქალებს აგინებდა, რადგან 3 ცოლი გამოიცვალა და თითოეულ მათგანთან შვილები ჰყავდა, მაგრამ ქალებს ვინ არ აგინებს?! ისე, როცა დავლევდით, მაშინვე ველოსიპედს მოაჯდებოდა და სადღაც მიდიოდა. თუ შევეკითხებოდი, ეშმაკურად მპასუხობდა: ქალებში მივდივარო – იხსენებს პენსიონერი ანატოლი გლადინი.

52 წლის სერგეი, კაოლინის მომპოვებელ კომბინატში მუშაობდა. მას თანამშრომლებიც კარგად ახასიათებენ.

19 წლის ოლიას დღისით, მზისით, ბოსტანში დაესხა თავს...

– ჩემს ბოსტანში ვმუშაობდი, ის კი მეზობელ ნაკვეთს მარგლავდა. ჩემთან გამოლაპარაკებას ცდილობდა. როდესაც ველოსიპედის საბარგულზე ტომარას ვდებდი, დასახმარებლად მოვიდა და თან გამოკითხვა დამიწყო: რამდენი წლის ვარ? შეყვარებული თუ მყავს? შემდეგ ბილწი სიტყვებით მომმართა, მკაცრად ვუპასუხე და ერთი წამით ზურგი შევაქციე. სწორედ ამ დროს, ყელში მწვდა და მაგრად მომიჭირა...

ოლია საღამო ხანს, ნაკვეთიდან 15 მეტრის მოშორებით მოვიდა გონს. გარშემო ტანსაცმლის ნაფლეთები ეყარა, ფეხსაცმე-

ლი კი, კოხტად დაეწყო ველოსიპედთან... დანაშაულის ადგილზე მისულმა მილიციამ მხოლოდ ოლიას ნაკვალევი აღმოაჩინა – დამნაშავეს საკუთარი კვალი გულდასმით წაეშალა და ოლიას ფეხსაცმლით გადაექელა. გოგონამ ორი კვირა რეანიმაციულ განყოფილებაში გაატარა. გამომძიებლები მისი ცოცხლად გადარჩენის ფაქტს საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ მალე მის წყნარ ქუჩაზე ორმოცდაათიოდე წლის უცნობი მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ოლიას მშობლების სახლს უთვალთვალებდა და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას აპირებდა. თუმცა, ცოტა ხანში, მისი ყურადღება 20 წლის მარინაზე გადაერთო... აგვისტოს პირველ რიცხვებში, ამ გოგონას დამხრჩვალი და გაუპატიურებული გვამი იპოვეს.

ქალაქის ყოველ კუთხეში სასწაულებრივად გადარჩენილი ოლიას აღწერილობის მიხედვით შექმნილი მანიაკის ფოტოროობოტი ეკიდა. პოლოგიში კიეველ გამომძიებელთა ბრიგადა და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გენადი მოსკალიც ჩავიდა.

– დანაშაულის ხელწერამ მაშინვე, პავლოგრადელი მანიაკი მომაგონა, რომელზეც 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაძებრები ნადირობდნენ. მას ყველა სერიული მკვლელის მსგავსად, საკუთარი ხელწერა ჰქონდა. პავლოგრადელი მანიაკი, როგორც წესი, მსხვერპლს ჯერ ახრჩობდა და მხოლოდ ამის შემდეგ აუპატიურებდა, – განუცხადა მოსკალმა ჟურნალისტებს.

პოლოგი მილიციონერთა რაზმებით აივსო. მანიაკის აღწერილობა ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცა; ყოველ კუთხეში პატრული იდგა, ოპერატიული მუშაკები ბინიდან ბინაში დადიოდნენ, მაგრამ დამნაშავე თითქოს მილიციას ეთამაშებაო, არ ცხრებოდა: მარინას მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ, მდინარე კონკის პლაჟზე 9 წლის გოგონა დაიკარგა. მდინარეზე მამასთან ერთად საბანაოდ წასული კატია მეგობრებთან ერთად წყალში ჭყუმპალაობდა და უეცრად თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. ბავშვების შორიახლოს ბევრმა შეამჩნია მამაკაცი, რომელიც მზეზე ირუჯებოდა და თან პატარებს ართობდა.

...როდესაც ქალაქის განაპირას მდებარე სახლს მილიციელთა რაზმი მიადგა. მათ 52 წლის მარტოხელა მამაკაცი მშვიდად შეეგება. სამახსოვროდ შენახული სხვადასხვა ქალის ნივთების კოლექცია მილიციამ მალევე იპოვა. რას არ ნახავდით ამ საშინელ კოლექციაში: თმის სამაგრებსა და ქვედა საცვალს, სანოტო რვეულსა და იაფფასიან საათებს, პაწია საყურეებსა თუ სათამაშოებს...

სერიულმა მკვლელმა იმავე საღამოს აღიარა ჩადენილი დანაშაული და უჩვენა მილიციელებს, თუ სად მოკლა და გააუპატიურა პატარა კატია; მალე, უგზო-უკვლოდ დაკარგული ალბინას მკვლელობაშიც გამოტყდა, რომლის გვამი მიტოვებულ ჭაში ჩააგდო... როგორც გამომძიებელი ამბობს, ბოროტმოქმედმა 50 დანაშაული აღიარა, ყოველი მათგანის დეტალები გაიხსენა და უდიდესი სიამოვნებითაც კი აღწერა. მანიაკი სიმშვიდეს ინარჩუნებს, მოსალოდნელი განაჩენი არ აშინებს, მასზე გამწარებულ ოპერმუშაკებს ,,მამაშვილურად" კიცხავს და შეახსენებს, რომ სასიკვდილო განაჩენი დიდი ხანია, გაუქმებულია. მრავალრიცხოვანი დანაშაულის მოტივებს კი მარტივად ხსნის: ,,მე მათ სქესობრივი კავშირის დამყარებას ვთავაზობდი, ისინი კი უარზე იყვნენ. ზოგიერთმა მასხრადაც კი ამიგდო და ბებერი მიწოდა. ამისთვის მკაცრად დაისაჯნენ"...

მანიაკი მკვლელის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი პოლოგიში კემეროვოს ოლქიდან ჩავიდა, სადაც სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მუშაობდა... სამ ქორწინებაში 2 შვილი შეეძინა. მისი დედა და ერთი ძმა სიმფეროპოლში ცხოვრობენ, მეორე ძმა კი კემეროვოში დარჩა.

პავლოგრადის მილიციის არქივში დღესაც ინახება საგამომძიებლო დოკუმენტაციის 700 ტომი, რომელიც 5 წლის მანძილზე მოუხელთებელი მანიაკის ძიების პროცესში დაგროვდა. 1985 წელს, როდესაც სერიულმა მკვლელმა ორი მოსწავლე გოგონა იმსხვერპლა, ქალაქში უკრაინის 700 საუკეთესო გამომძიებელი ჩავიდა, მაგრამ მკვლელობები არ შეწყვეტილა. ქალაქის მოსახლეობა შიშმა მოიცვა. ქალთა საქალაქო კომიტეტმა დახმარებისათვის საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, მიხაილ გორბაჩოვს მიმართა და მან პავლოგრადში საუკეთესო გამომძიებლები მიავლინა. ქალაქში ფართომასშტაბიანი სამძებრო ოპერაცია დაიწყო. გამომძიებლები 4 ჯგუფად დაიყვნენ: საგამოძიებო ჯგუფმა ძიების ტაქტიკა და სტრატეგია შეიმუშავა, პროფილაქტიკური ჯგუფი მოსწავლე გოგონებთან მუშაობდა, საპატრულო ჯგუფი ქუჩებსა და ქალაქის მიმდებარე ტყეებში მორიგეობდა, ახალგაზრდა ოფიცერ ქალთა ერთმა ნაწილმა კი სასკოლო ფორმები ჩაიცვა და ქალაქის მიყრუებულ ადგილებში გაიფანტა, რათა მანიაკი სატყუარაზე წამოეგოთ, მაგრამ მკვლელი მოუხელთებელი იყო.

3 წლის მანძილზე, სისხლიანმა მხეცმა ზაპოროჟიესა და ხარკოვის ოლქებში 9 ბავშვი იმსხვერპლა. 1989 წელს, 9 წლის გოგონას გვამი იპოვეს, რომელიც პურის საყიდლად გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. მილიციამ ეჭვი ბავშვის მამაზე მიიტანა, რომელმაც მორიგი დაკითხვის შემდეგ, საგამოძიებო იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო და ადგილობრივმა შერლოკ ჰოლმსებმა მთავრობას პავლოგრადელი მანიაკის აღსასრული უპატაკეს... ოლქში სიწყნარემ დაისადგურა. საგამოძიებო ჯგუფმა მუშაობა დასრულა და დაიშალა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, პავლოგრადში 15 წლის დამხრჩვალი გოგონას გვამი იპოვეს. ცოტა ხანში, მანიაკმა ერთ-ერთ სოფელში კიდევ ერთი ბავშვის ქამრით მოხრჩობა სცადა, მაგრამ გოგონა შემთხვევით გადარჩა, თვითმხილველებმა კი, რომლებმაც შემთხვევით შეუშალეს ხელი ბოროტმოქმედს შავი საქმის დასრულებაში, შუახნის ჩასკვნილი ველოსიპედისტი აღწერეს.

მომდევნო წლებში მანიაკი ფრთხილად მოქმედებდა. სისხლიან თავგადასავალთა ძიებაში მთელ უკრაინაში დაძრწოდა და ბოლოს, პოლოგიში დასახლდა, სადაც 2003 წლიდან მოყოლებული, 9 ბავშვი მოკლა და გააუპატიურა.

,,ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ მაშინ მკვლელი ვერ ვიპოვეთ. შვილების კუბოების გვერდით მიმავალი გამწარებული დედების გულის გამგმირავი მოთქმა-გოდება დღესაც ჩამესმის და მოსვენებას მიკარგავს", – ამბობს პავლოგრადის ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თადარიგის პოლკოვნიკი ანატოლი ბელი...

■



ჩემი მთავარი ცხოვრებისეული შეცდომა

„ცხვარივით დამჯერი ბავშვი ვიყავი და ამან დამღუპა“

შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ მისი აღიარება ყველას როდი შეუძლია. ბევრი შეცდომა ძალზე უმნიშვნელოა და მისი გამოსწორება იოლია. მაგრამ ხანდახან ისე ვიქცევით, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი საბედისწერო ალმოჩნდება და ჩვენს ცხოვრებას ისეთ დაღს ასვამს, რომ სურვილი გვიჩნდება, განვლილი გზა კინოფირივით უკან დავაბრუნოთ და იმ მომენტამდე გავაჩეროთ, როდესაც შეცდომა დავუშვით...

მკითხველთა მესიჯებიდან ჩანს, რომ დაშვებული შეცდომები კარგად აქვთ გაცნობიერებული და ნანობენ კიდეც. მაგრამ ზოგი მაინც ახერხებს საკუთარი თავის გამართლებას და ცდილობს, თავისი შეცდომა სხვას გადააბრალოს. ჩვენი პირველი რესპონდენტისთვის ის „სხვა“, საკუთარი დედაა და მშობელს იმაში ადანაშაულებს, რომ ამქვეყნად მოავლინა...

მარი ხაშარიძე

„ბელა მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მე კი – ნაბიჭვარი...“

„ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ დედაჩემმა გამაჩინა. დაბადებისთანავე მომეწება იარლიყი – ნაბიჭვარი, რადგან მალული სიყვარულის ნაყოფი გახლავართ. დედაჩემს ახალგაზრდობაში ცოლიანი კაცი შეჰყვარებია. არ ვიცი, მასაც ისევე უყვარდა თუ არა დედა, მაგრამ ვიცი, რომ დედაჩემს მთელი ცხოვრება მასზე ოცნებაში ამოსდიოდა სული. მამაჩემს კანონიერ ცოლთან შვილი არ ჰყავს. მათ თურმე, ერთი თვის ბიჭუნა იშვილეს, რომელიც ახლა 30 წლის კაცია. მე რომ დავიბადე, ის მაშინ 5 წლის ყოფილა. ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მამამ არ დამკარგა და შვილად მაღიარა, თორემ, დარწმუნებული ვარ, მას რომ თავისი შვილი ჰყოლოდა, ზედაც არ შემომხედავდა. გარეგნობით ძალზე კარგი გოგო ვარ და ხშირად, ჩემ შესახებ ისიც მსმენია – ნაბიჭვრები ყოველთვის კარგები გამოდიანო... ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია ასეთი ფრაზებისთვის, მაგრამ ყოველთვის გული მტკიოდა და დედასაც სიცოცხლეს ვუმწარებდი ჩემი საყვედურით – რატომ გამაჩინე-მეთქი?!. 19 წლის ვიყავი, როცა ერთი ბიჭი შემიყვარდა. ისეთი კარგი იყო, რომ მინდოდა, ყველასთვის გამეცნო და მეტრაბახა – აი, როგორი კარგი შეყვარებული მყავს-მეთქი!.. ბავშვობის მეგობარი მყავდა – ბელა. ის საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი იყო და ძალზე განებივრებულიც. 15 წლიდან, უკვე მამაკაცებისკენ მიილტვოდა და მალე, კლასელ ბიჭს ლოგინშიც ჩაუსტა... ბელას ჩემი შეყვარებული რომ გავაცანი, მაშინვე არ მომწონა მისი მზერა. მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი, მაგრამ ვცადე, გამომესწორებინა და ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ ისინი აღარ შეეხვედრებინა. ცოტა ხნის შემდეგ, ეჭვი გამიჩნდა, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ. ერთ დღეს კი, ბელას სწორედ ისეთ დროს ვესტუმრე, როცა მარტონი იყვნენ მის სახლში. არ გამოვამჟღავნე, რომ შოკში ჩავვარდი. გადავწყვიტე, მებრძოლა და დათოს სიყვარული შემენარჩუნებინა. ბელა მიმტკიცებდა, ჩვენ შორის არაფერი მომხდარაო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ერთად იწვნენ. მოკლედ, ძალიან გავიხლართე ჩემს გრძნობებსა და სიტუაციაში. გადავწყვიტე, მეც არ მეთქვა დათოსთან ფიზიკურ ურთიერთობაზე უარი და ასეც მოვიქეცი. გაოცებულმა მითხრა – ბელა მეუბნებოდა შენზე, რომ ქალწული არ იყავი, რატომ გაწირე თავიო?.. ამის შემდეგ, ერთი თვე გავიდა და გავიგე, რომ ისინი დაქორწინდნენ... დათოს ასეთი საქციელის მიზეზი კი ის იყო, რომ ბელა მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მე კი – ნაბიჭვარი. აბა, სხვა რით შეიძლება ამის ახსნა?.. დედაჩემის მიერ დაშვებული შეცდომისთვის მე ვაგე პასუხი და ამის შემდეგ, სულ შეცდომებით ვცხოვრობ... ელა“.

შეცდომები ბორკვებს ჰგავს: ვდგავართ საკუთარზე, მაგრამ ვხედავთ – მეზობლისას... არ მახსოვს, ვის ეკუთვნის ეს ფრაზა, მაგრამ ვფიქრობ, ელას ნამბობს ზუსტად შეესამჩნა.

თუ ვერ თოკავთ საკუთარ ენებას, იქნებ ღირდეს, სექსუალური პარტნიორი უცხო მამაკაცთა შორის ეძებოთ, გაზეთში „პამანის“ რუბრიკაში გამოაქვეყნოთ განცხადება, „შემთხვევით“ გაიცნოთ ვინმე ან ბოლოს და ბოლოს, ისარგებლოთ მომსახურებით – „კაცი გამოძახებით“?.. აი, ქმრის ძმაკაცს კი, ისევე, როგორც მეზობლის ქალს, ხელი არ უნდა ახლოთ...

„რა აზრი აქვს შერიგებას?..“

„შეცდომის მეტი რა ჩამიდენია ცხოვრებაში, მაგრამ ერთ-ერთი ძალზე სერიოზული და გამოუსწორებელი ის ჩავიდინე, რომ ქმრის ძმაკაცს ჩავუწექი ლოგინში... ყველაფერი კი ასე დაიწყო: სიყვარულით გავთხოვდი და როგორც ყველა „ახალგამომცხვარი“ ცოლი, მეც დაუსრულებელ ბედნიერებასა და ლამაზ ოჯახზე ვოცნებობდი. მაგრამ მე და გოგიტამ ვერა და ვერ ავაწყვეთ ურთიერთობა. ვერც იმას ვიტყვი, რომ თავიდან ყველაფერი კარგად იყო და მერე აირია ურთიერთობა, ცოლქმრობის პირველსავე დღეებიდან, სიტუაცია დაძაბული იყო. ვერ ვიგებდი, რა ხდებოდა. ვტიროდი, ვნერვიულობდი, მაგრამ ამით ვერაფერს ვშველოდი ჩვენს ურთიერთობას. ჩემი ქმარი შინ გვიან ბრუნდებოდა, მთვრალი, მეჩხუბებოდა. თვითონაც არ იცოდა, რას მოითხოვდა ჩემგან. მთელი ხმით ყვიროდა ხოლმე, ფეხებს აბაკუნებდა, თვალებს აბრიალებდა... მერე დავჯდებოდა და ტიროდა... ყოველდღე, უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა ყველაფერი. თუმცა, სულ იმას მიმტკიცებდა, რომ ვუყვარდი და უჩემოდ ვერ იცხოვრებდა... ამასობაში, 3 წელი გავიდა. შვილი არ შეგვეძინა, ის კი ექიმთან წამოსვლაზე არ მთანხმდებოდა და არც მე მიშვებდა. როცა ღმერთი მოგვცემს, მაშინ გვეყოლებაო, – ამბობდა. ერთ საღამოს, სწორედ ამის გამო ვიკამათეთ. ღამის 2 საათზე, გაბრაზებულმა გამოვიხურე სახლის კარი და წამოვედი. დედასთან დავბრუნდი. ჩემი ქმრის დანახვაც კი აღარ მინდოდა. გოგიტა მირეკავდა, შერიგებას მთხოვდა, შინ მაკითხავდა, მაგრამ თავს ვარიდებდი მასთან შეხვედრასა და საუბარს... ერთ დღეს, მისმა ძმაკაცმა დამირეკა. მთხოვა, სალაპარაკო მაქვს და შემხვდიო. აღმოჩნდა, რომ გოგიტას უთხოვია მისთვის, გაეგო, ვაპირებდი თუ არა შერიგებას და თუ არა, იქნებ, დავეყოლიებინე, რომ ქმართან დავბრუნებულიყავი. აკაკის ყველაფერი გულწრფელად მოვუყევი. მან კი ისეთი რამ მითხრა, რომ გაოცებისგან ენა ჩამივარდა: ეს ყველაფერი გოგიტას დედის

ბრალია, პირველივე დღიდან ეჩიჩინება, რომ გაგშორდეს, გოგიტა კი ორ ცეცხლს შუაა ჩავარდნილი და თვითონაც ვერ გაუგია, რა უნდაო... — მითხრა. წარმოიდგინეთ, ცუდად იმიტომ მექცეოდა და ექიმთანაც იმიტომ არ მიშვებდა, რომ ჩემთან გაყრა ჰქონია გადაწყვეტილი. ჰოდა, თუ ასეა, მაშ რაღა აზრი აქვს შერიგებას-მეთქი?.. — ვთქვი და ცრემლები წამომცვივდა. აკაკიმ დამამშვიდა, შემპირდა, გოგიტას ცალკე მოველაპარაკებიო, — და წავიდა. მეორედ ისევ შევხვდით ერთმანეთს და ისევ გოგიტას თხოვნით. ამჯერადაც აკაკი ჩემთან შინ მოვიდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ და ახლაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი მის მკლავებში... იმ დღეს, ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, მხოლოდ მაკოცა. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში, აკაკიზე ფიქრს თავიდან ვეღარ ვიგდებდი. ერთი თვის შემდეგ, მე თვითონ დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. უარი მითხრა. ვგრძნობდი, რომ თავს მარიდებდა, მაგრამ არ მოვეშვი. ჩემი და გოგიტას ურთიერთობას ვიმიზეზებდი და დაჟინებით ვთხოვდი, ჩემთან კიდევ ერთხელ მოსულიყო. ისეთი დრო შევარჩიე, როცა დედაჩემი შინ არ იყო... ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, თუ რა იყო მამაკაცის სითბო და ალერსი... ამის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. აკაკის ცოლი არ ჰყავდა, ამიტომ სინდისის ქენჯნას სულაც არ ვგრძნობდი. ერთ დღეს კი, გოგიტამ ორივე ერთად გვნახა... მისი თვალები არასოდეს დამავიწყდება. ჩვენ ქუჩის ერთ მხარეს ვიდექით, ხელკავით, გოგიტა საპირისპირო მხრიდან გადმოდიოდა; შუა გზაზე გაჩერდა და გაოცებული გვიყურებდა... მეორე დღეს შევიტყვე, რომ გოგიტას ვენები გადაუჭრია და თავის მოკვლა უცდია... მასთან სანახავად მივედი. დედამისის თვალწინ მუხლებზე დამდგარი მეხვეწებოდა, შემირიგდიო... შევრიგდით. ჩემი და აკაკის ურთიერთობაზე არასოდეს ვლაპარაკობთ, მაგრამ ვიცი, რომ გამუდმებით ფიქრობს ამის შესახებ... აკაკი დაიკარგა. აღარასოდეს გამოჩენილა ჩვენთან და არც მე მიძებნია... აი, ასეთი შეცდომა დავუშვი. მაგრამ შესაძლოა, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ჩვენი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართულიყო?..“

ბავშვობაში მამამ კავკასიური ნაგაზის ძუ ლეკვი მომიყვანა. ლეკვი გაიზარდა და პირველად, 3 ლეკვი გააჩინა. ორი დაიღუპა და მხოლოდ ერთის გადარჩენა მოვახერხეთ. 2 თვის შემდეგ კი, ის ლეკვიც „გავუშვილეთ“. ბათურამ ჭამა შეწყვიტა, მთელი დღეები იწვა და ადამიანივით, ცრემლებით ტიროდა. ლამის სიკვდილის პირამდე მივიდა. ამის გამო იძულებული გავხდით, მისი ლეკვი უკან დაგვებრუნებინა. დედა-შვილის შეხვედრის სცენა ისეთი ამაღელვებელი იყო, რომ მთელი ოჯახი ვტიროდით... შვილის ალერსით გული რომ ოჯერა, ბათურამ, მადლობის ნიშნად, ყველა სათითაოდ აგვლოკა, მერე ლეკვს კბილები ჩაავლო და ჩვენთან მოიყვანა. თითქოს გვაგრძნობინა, რომ მიუხედავად ჩვენი საქციელისა, მაინც გვენდობოდა...

ეს ამბავი რატომ გავიხსენე — ამას მაშინ მიხვდებით, როცა შემდეგი რესპონდენტის ნაამბობს წაიკითხავთ.

„ვაითუ გვიანია?..“

„ახალგაზრდობაში ძალზე ბევრი ადამიანი უშვებს შეცდომას. შემდეგ, წლები გვემატება და მოვლენების გადაფასებას ვახდენთ. მინდა მოგიყვეთ ამბავი, რომელიც მხოლოდ ორმა ადამიანმა ვიცით. ყველას სახელი შევცვალე, რომ ვერავინ მიხვდეს, ვინ არის ამ მესიჯის ავტორი... 36 წლის ქალი ვარ. ჩემი ბავშვობა ძალზე კარგად და ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიდიოდა, ვიდრე მე თვითონ არ გამოვუძებნე საკუთარ თავს თავსატეხი. მამაჩემის მეგობრის ოჯახთან ძალზე ახლო ურთიერთობა გვქონდა. მე დედისერთა ვიყავი, მათ კი 3 შვილი ჰყავდათ. ჩვენი ოჯახები ერთმანეთის გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდნენ. ბიძია ნუგზარის უფროსი ვაჟი კობა ჩემზე 4 წლით უფროსი გახლდათ. ჯერ კიდევ 10 წლის ვიყავი, როცა კობა შემიყვარდა. რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ვმალავდი ჩემს გრძნობას. რომ წამოვიზარდე, კობამაც გამიმხილა სიყვარული. იმ დროს მას სკოლა უკვე დამთავრებული ჰქონდა, მე კი 15 წლის ვიყავი. ჩვენი მშობლები სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ და-ძმასავით უნდა გვყვარებოდა ერთმანეთი. ამიტომ მათგან მალულად ვხვდებოდით ერთმანეთს. როცა მთელი ოჯახი ერთად ვიყავით, მაშინ ისე ვიქცეოდით, როგორც მეგობრები... სკოლა რომ დავამთავრე, კობამ ოჯახს გაუმხილა, რომ ჩემზე დაქორწინებას აპირებდა. ჩემსა და მის მშობლებს შორის პირველი განხეთქილება მაშინ მოხდა. დედამისი ძალზე დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა და გაგონებაც არ უნდოდა, რომ მე მათი რძალი გავმხდარიყავი. არადა, ჩვენ უკვე ერთად ვიყავით, ხან სად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან — სად... კობას სასწრაფოდ მოაყვანინეს ცოლი. საშინლად განვიცადე, მაგრამ ისევ კობამ დამამშვიდა — ერთმანეთს ვერავინ დაგვაშორებს, მე შენთან ვიქნები, ცოლს მალე გავშორდები და შენ დაგიბრუნდებიო... მისი ქორწინებიდან 2 თვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. თავდაპირველად, მე ვეხვეწებოდი კობას — დამეხმარე, ექიმთან მიმყვეი, რომ ბავშვი მოვიშორო-მეთქი, — მაგრამ ის წინააღმდეგი იყო. შემდეგ, უკვე 5 თვის ორსული რომ ვიყავი, ის მეხვეწებოდა — ბავშვი მოიშორეო, — მაგრამ უკვე გვიანი იყო... ერთი სიტყვით, ბავშვი, რომელიც ჩემს სხეულში ჩაისახა, არც ერთს არ გვინდოდა, მაგრამ მაინც დაიბადა. ფეხმძიმობის ბოლო 4 თვე ქუთაისში გავატარე. იქ კობას მიერ დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობდი. ოჯახმა კი იცოდა, თითქოს სამუშაოდ ვიყავი განწილებული ინსტიტუტიდან. როცა მშობიარობის დრო მოვიდა, კობა გვერდიდან არ მომშორებია. ბავშვი ურთიერთშეთანხმებით გავაშვილეთ ერთ ქუთაისურ ოჯახში. ამის შემდეგ, მე და კობა ერთმანეთს აღარ ვხვდებოდით... მალე მთხოვნელი გამოჩნდა და გავთხოვდი. ჩემმა ქმარმა ისიც კი ვერ გაიგო, რომ ქალწული არ ვიყავი... ახლა 2 მოზრდილი შვილი მყავს. ჩემი და კობას შვილი კი, უკვე 17 წლისაა... ორი წლის წინ, სრულიად შემთხვევით აფთიაქში შევხვდი კობას. ერთმანეთს თვალი ავარიდეთ... ერთი კვირის შემდეგ კი, შინ დამირეკა. ერთმანეთს შევხვდით და წარსულზე ბევრი ვილაპარაკეთ. გადავწყვიტეთ, შვილი მოგვეძებნა. ქუთაისში გავემგზავრეთ და იმ ოჯახს მივაკითხეთ, სადაც ჩვენი გოგონა ჩვენი ხელით მივიყვანეთ... გოგონასთვის ქეთი დაურქმევიათ. მისი მამობილი დიდი ხნის წინ გარდაცვლილა და მხოლოდ დედობილი ზრდიდა. როდესაც შინ შევედით, ერთმანეთს გადავხედეთ და მათი ღარიბული ბინის დანახვისას, ორივემ გავიფიქრეთ — ჩვენი შვილი ასე უნდა ცხოვრობდეს-თქო?!. დედობილს დიდი გაოცება არ გამოუხატავს ჩვენს დანახვაზე. მოგვიანებით ისიც კი გვითხრა — ველოდი, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდითო. ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მთელი ავლადიდება ერთ ოთახში ჰქონდათ თავმოყრილი, დანარჩენი ოთახები დაეცარიელებინათ. ჭერიდან წვიმა ჩამოდიოდა და იატაკიც აყრილი გახლდათ... ქეთი სკოლიდან რომ დაბრუნდა, შემოგვხედა და სამზარეულოში გავიდა... დედობილი უკან გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ, გოგონა ოთახში შემოვიდა და ჩვენ პირდაპირ დავჯდა. ხმის ამოღება ვერც ერთმა ვერ გავბედეთ. ისევ ქეთიმ დაარღვია სიჩუმე: თურმე, მამას ვგავარო, — თქვა. ამის შემდეგ, ბუნდოვნად მახსოვს, თუ რა ხდებოდა — სიცილი, ტირილი, ხვევნა და ალერსი ერთმანეთში აირია... ქეთი და მისი დედობილი თბილისში გადმოვიყვანეთ. მათი ბინა გავყიდეთ, ერთოთახიანი ვუყიდეთ და ორივე ვზრუნავთ დედა-შვილზე. რა თქმა უნდა, ეს ამბავი არც ჩემმა ქმარმა იცის და არც კობას ცოლმა. ჩვენი შეცდომა შემლებისდაგვარად გამოვასწორეთ, მაგრამ თან ვშიშობ — ვაითუ, დაგვიანებულია?..“

„მოკლე გზა ავირჩიე და...“

„ამ მესიჯს ახალგაზრდა, 30 წლის ინვალიდი კაცი გწერთ. ჩემ მიერ დაშვებულმა შეცდომამ მთელი ცხოვრება დამიმახინჯა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. ჩემი მომავალი მეუღლეც იქ გავიცანი. საამქროში, სადაც ვმუშაობდი, ხდებოდა ჟანგბადის მიღება, რომელსაც წარმოებაში ვიყ-

ენებდით. მე მევალებოდა აპარატურის მეთვალყურეობა, იმის გაკონტროლება, რომ ყველა სკალაზე ისარი დასაშვები ნორმის ზევით არ ასულიყო. ერთ დღეს, სამსახურში მთვრალი მივედი. რაღა თქმა უნდა, ჩამეძინა და სულ აღარ მახსოვდა აღარც „პრიბორები“ და აღარც სამსახური... როცა საგანგაშო სიგნალის ხმამ გამაღვიძა, უკვე გვიანი იყო. საამქრო დაცლილი იყო, სიგნალი კი არ ჩერდებოდა. არც არავის გახსენებია, რომ კუთხეში მიყუჟულს მეძინა... ხელსაწყოებს მივვარდი, სახელურები გადავატრიალე, ყველაფერი მწყობრ მდგომარეობაში დავაბრუნე, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ საამქრო არ აფეთქდებოდა და თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. ვცადე, მოკლე გზით გავსულიყავი საამქროდან. ამის გამო, კიბის მოაჯირს გადავახტი, მაგრამ ეტყობა, ვიჩქარე და 30 მეტრის სიმაღლიდან ცემენტის იატაკზე მოვადინე ბრაგვანი... ორივე ფეხი მომკვეთეს, რადგან მათი „გამრთელება“ შეუძლებელი იყო. ყველას ღვთის სასწაულად მიაჩნდა ჩემი გადარჩენა... ახლა ვარ ასე, პროთეზებზე დაყრდნობილი მივათრევ ამ ცხოვრებას და ცოლის შესანახი გავხდი. ისიც არ ვიცი, როდის მოჰბეზრდება ჩემზე ზრუნვა და როდის მიმატოვებს. აბა, ამ შეცდომას როგორ გამოვასწოებ?!. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ საამქრო აფეთქებას გადაურჩა და მხოლოდ მე დავზიანდი... ნახვამდის“.

შურისმაძიებელი დაქალი

„საკმაოდ ლამაზი გოგო ვარ. ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, 5 წლის წინ მოხდა. მაშინ 19 წლის ვიყავი. ძალზე მხიარული და ნაზი გოგო გახლდით. მყავდა 3 დაქალი, რომლებიც დებივით მიყვარდა. ყველას გვყავდა შეყვარებული, მათ შორის – მეც. ერთ-ერთ დაქალთან, ფიქრიასთან საკმაოდ დიდი ჩხუბი მომივიდა. მომენტალურად, წამში შევიძულე მეგობარი და გადავწყვიტე, შური მეძია მასზე. მოვიფიქრე გეგმა და განვახორციელე კიდეც. მას შეყვარებული წავართვი. ყოფილ დაქალს ბიჭი სულ იოლად დავაწერე... ერთი წლის შემდეგ, ფიქრია მომვარდა და გამლანძღა. რა არ მიწოდა, მაგრამ ხმაც არ გამიცია. მალე გოგას ცოლად გავყევი და სწორედ აქ დავუშვი ძალზე დიდი შეცდომა. მას საშინელი სიმთვრალე აღმოაჩნდა. მცემდა, მამწარებდა და 2 თვის ორსულს, მუცელი მომეშალა. გოგას გავცილდი. მას შემდეგ, 2 წელი გავიდა. ახლა გოგას და ფიქრიას ხშირად ვხედავ ერთად. ისინი რომ ხელგადახვეული დავინახე, მივხვდი, რომ გოგა არასოდეს მყვარებია. მინდა, რომ დაქორწინდნენ. დარწმუნებული ვარ, გოგა არც ფიქრიას დააკლებს ცემა-ტყეპას. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ მათი დაქორწინებით, კიდევ ერთხელ ვიძიებ შურს ბავშვური წყენის გამო... „მოკა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ:

„...კუდიანმა დედაჩემმა სიძედ არ ინდომა...“

„ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ალბათ ის არის, რომ ერთი ბიჭი მომეწონა და მისი ტელეფონის ნომრის დადგენაც მოვახერხე. ახლა შეყვარებულები ვართ და უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ შორეული ნათესავები ვართ... იმედია, ბედისწერა ერთმანეთს არ დაგვაშორებს“.

„ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა, უჩას სიყვარულია. უკვე 7 წელია, მიყვარს და ძალიან ვიტანჯები. თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, აუცილებლად მიხვდება, ვინ ვარ. თ“.

„ჩემი შეცდომა ჯერ ის იყო, რომ 15 წლის გავთხოვდი. ცხოვრება ვერ ავაწყვეთ და ერთ წელიწადში გავიყარეთ. მისი ძმა საფრანგეთში იყო. როდესაც ჩამოვიდა, გავიცანი, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ჩემი ყოფილი მაზლი იყო. უზომოდ შემიყვარდა და მისი ცოლი გავხდი. ახლა ძალზე ბედნიერი ვარ, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ყოფილი ქმარი ახლა ჩემი მაზლია, ყოფილი მაზლი კი – ქმარი...“

„მე და რომას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. კუდიანმა დედაჩემმა კი სიძედ არ ინდომა და ერთმანეთს დაგვაშორა... რომა, მაპატიე, ვიცი, ახლაც გიყვარვარ, მაგრამ შენთან რომ დავბრუნდე, მშობლებს დავკარგავ... ეცადე, დამივიწყო, სიყვარულო. ბედნიერებას გისურვებ“.

„ისეთი ადამიანი შემიყვარდა, რომელიც ამას არ იმსახურებდა. მთელი ცხოვრება მძულდა და ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ სულ კუდში დამყვებოდა... მერე, 3 წელი ისე გავიდა, რომ ირაკლი აღარ მინახავს. ვგრძნობდი, რომ უიმისოდ მიჭირდა და თავს არ ვუმზელდი, რომ მიყვარდა. ერთ დღესაც შევიტყვე, რომ ჩემს სათაყვანებელ ირაკლის ჩემს ჯიბრზე ცოლი მოუყვანია. მეც ავდექი და გაბრაზებულ გულზე, უსიყვარულოდ გავთხოვდი...“

„ჩემს ყველაზე დიდ შეცდომას კოტე ჰქვია. თუმცა, ამ შეცდომას პატარა ანგელოზი მოჰყვა საჩუქრად. არ ვნანობ, რადგან მე შვილი მყავს, თვითონ კი სულაც არაფერში მჭირდება. ნათია“.

„მე შენ გიწოდე ოცნების ღმერთი, გული მაქვს ერთი, ისიც შენ გეტრფის... აი, შეცდომაც ეს არის, რომ გიორგი ტ-შვილმა გამაგიჟა. „ბარბი“.

„შეცდომად ის მიმაჩნია, როცა ვინმეს მიმართ სითბოს ვამჟღავნებ. დავაკვირდი და მივხვდი: ვინც თავს იფასებს, „გამარჯობას“ არ კადრულობს და ღიმილს გამადლის, იმას უფრო აფასებენ და „ეტენებიან“, სამწუხაროდ...“

„ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა იმ კაცთან ურთიერთობაა, ვინც უკვე სხვისი ქმარია. მაგრამ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს. ვიცი, არ შეიძლება ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ არც მისი სიყვარულის გარეშე შემიძლია ცხოვრება. ჩემი სიწმინდე და უმანკოება მას მივუძღვენი და სამაგიეროდ, არაფერი მითხოვია, სიყვარულის გარდა. მის ოჯახს არაფერს ვავნებ. მე კი ბევრი რამ მაკლდება. უპირველესად კი ის, რომ არასოდეს მექნება ოჯახი. თუმცა, ასეც ბედნიერად ვგრძნობ თავს. მაპატიე, სიხარულო, ჩემი ცხოვრების შეცდომა რომ გიწოდე. მიყვარხარ და ჩვენი სიყვარული ყველაფერზე ძვირფასია ჩემთვის... შენი ანგელოზი“.

„ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ჩემი შეყვარებული სანდრო ჩემს ეჭვიან ძმასა და მკაცრ მამას არ გავაცანი... მე კი ის თავდავიწყებით მიყვარს. სანდრიკ, თუ „გზავნილებს“ კითხულობ, გთხოვ, დამირეკე. მენატრები... ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ... პატარა, უტვინო გოგჩო“.

„შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, როცა მეგობარმა მითხრა – სიცხე მაქვსო, – ვუპასუხე – შენ სულ სიცხე გაქვს-მეთქი. მალე შეგრიგდით, მაგრამ ძალზე ეტკინა გული. მაშინ კი გადავურჩი თავის ჩამოხრჩობას, მაგრამ თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებთ, ხუთშაბათს უკვე ველარ გადავურჩები... მარიკუზა“.

„შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა შარშან ის გოგო არ მივიტაცე, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა. ახლა უკვე ჯარში ვარ. რომ მომეტაცებინა, ხომ აღარ წამიყვანდნენ?!. ვიქნებოდი „ჩემი სიცოცხლის“ გვერდით. ვიტალი“.

„ისეთი ცხოვრებისეული შეცდომა მაქვს დაშვებული წლების წინ, რომ მის გამო დღემდე ხშირად ვიტანჯები, მაგრამ ვიცი, ყველაფერი თავიდან რომ დავიწყო, მაინც იმავეს გავიმეორებ. საქმე ის არის, რომ უტვინო გოგონების საფიქრალი მხოლოდ სიყვარულია, რომელიც წლების შემდეგ, სისულელედ იქცევა ხოლმე. გამონაკლისი არც მე ვარ. 14 წლის ასაკში კინაღამ გადავირიე ვიღაც გოიმის გამო. რა არ გავაკეთე, რა სისულელე არ ჩავიდინე, მაგრამ რა? მისი უტვინო თავი ვერ დავიპყარი და ახლა ღმერთს მადლობას ვუხდი, იმ კრეტინმა რომ „დამახვევინა“, თორემ, ახლა უფრო დავიტანჯებოდი... ის რომ გამოვიტირე, უფრო მაგარი კრეტინი შევაბი და ჰოი, საოცრებავ! 18 წლის ასაკში, როგორც იქნა, მომეფერა და სიყვარული ამიხსნა. ჰოდა, დაიწყო მორიგი ტრაგედიები... ვიცოდი, რომ ჩემი შესაფერისი არ იყო, მაგრამ ცოლად გავყევი... რაც მისი ცოლი ვარ, სულ ვტირი, მაგრამ რა უნდა ვქნა?.. ჰო, მართლა! ამ ზამთარს კიდევ ერთი კრეტინი გამოვუძებნე ჩემს თავს და ლამის იდიოტ მეუღლეს რქები დავადგი... კიდევ კარგი, რომ ისიც მორიგი გოიმი აღმოჩნდა და ურთიერთობა ვერ შედგა. ასეა, ასე! შეცდომებზე ჯერ კიდევ ვერ ვსწავლობ, თუმცა, იმედი სულ ბოლოს კვდება... დაბოლოს, მადლობა უფალს, რომ კიდევ უფრო საშინელი შეცდომები არ დავუშვი!..“

,,სიგიჟემდე მიყვარდა. მისი გულისთვის მოვკვდებოდი კიდეც. ჩემმა ოჯახმა ისე შემარცხვინა მის წინაშე, რომ მე თვითონ ვთქვი უარი მასზე. მან კი ცოლი მოიყვანა. მეც გავთხოვდი... ახლა ის მკვდარია და მე კი – ერთ-ერთი უბედური ქალი. შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა უგულო და ბოროტი ხალხის გამო მასზე უარი ვთქვი...''

,,ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ შვილი არ გავაჩინე, ვიდრე მისი გაზრდის საშუალება მქონდა. რას იტყვის ხალხი?.. მამას საფლავში ხომ ვერ ამოვაბრუნებ?!. ძმას ვერ შევარცხვენ და დედას გულს ვერ ვატკენ!.. აი, ეს იყო მიზეზი. არადა, 16 წლის ასაკშიც კი ვიცოდი, რომ შვილი მინდოდა, ქმარი – არა, რადგან მიზნების განხორციელებაში კაცი ხელს შემიშლიდა (კარიერა მაქვს მხედველობაში). ახლა კი ყველაფერი მაქვს, მაგრამ რისთვის ან ვისთვის?.. ჯერ 40 წლისაც არ ვარ და ვინ იცის, იქნებ, კიდევ შეიძლება ჩემი შეცდომის გამოსწორება?.. ახლა უკვე ისიც ვიცი, რომ ხალხი ცოტა ხანს იჭორავებს და უცებ მიგივიწყებს. შენ კი მარტო რჩები შენს ბედნიერებასა თუ უბედურებასთან ერთად... ინო''.

,,მგონი, ახლაც შეცდომას ვუშვებ: უცხოეთში მივდივარ და ჩემს სამშობლოს ვტოვებ, მაგრამ ჩემი სიყვარული აქ რჩება. დიდი ხნით მივდივარ და ალბათ, ეს იქნება სასჯელი ჩემი წარსული შეცდომებისთვის... თანაც, აქაც არავინ მაკავებს... პავლიკ''.

,,მთელი ჩემი ცხოვრება შეცდომების გრძელი ჯაჭვია. ყველაზე მეტ შეცდომას კი მაშინ ვუშვებდი, როცა მშობლებს ვუჯერებდი. ცხვარივით დამჯერი ბავშვი ვიყავი და ამან დამღუპა. არც პროფესიის არჩევის უფლება მომცეს, არც – ცხოვრების თანამგზავრის. ერთგანაც კრახი განვიცადე და მეორეგანაც. დედაჩემი მოკვდება და არ აღიარებს, რომ ჩემი მთავარი ცხოვრებისეული შეცდომები მისი ბრალია. ახლაც ხშირად ცდილობს, ისევ მისი ჭკუით ვიცხოვრო, მაგრამ ვეღარ მივართვი! უკვე საკმაო ძალა მაქვს საიმისოდ, რომ წინააღმდეგობა გავუწიო და ნელ-ნელა ჩემს ცხოვრებას ვაუმჯობესებ კიდეც. ჩემი ჭკუით რომ მეცხოვრა, ასე ხომ არ დამემართებოდა!''

,,შეცდომა?.. არ ვიცი, შეცდომა როდის დავუშვი – მაშინ, როცა ის შევიყვარე, თუ მაშინ, როცა ცოლობაზე უარი ვუთხარი. საქმე ის არის, რომ ცოლს გაცილებული მამაკაცი შემიყვარდა, რომელიც 5 წლის შვილს მშობლების დახმარებით ზრდის. ის 23 წლისაა, მე – 19-ის. ერთმანეთი გვიყვარდა... ახლაც მიყვარს და არ ვამჟღავნებ... უარის მიზეზი კი ის იყო, რომ ალბათ, პასუხისმგებლობის შემეშინდა. იმან შემაშინა, რომ ჩემზე მხოლოდ 14 წლით უმცროსი ბიჭუნას დედინაცვალი უნდა გავმხდარიყავი. ისიც არ ვიცოდი, როგორ მიმიღებდა... იცით, რა საყვარელი ბავშვია?.. ანგელოზი...''

,,გამარჯობა, მარი. ჩემო კარგო, ერთადერთი იმედი, რაც დამრჩა ამქვეყნად, ეს თქვენ და თქვენი ჟურნალი ხართ. ბოლო ,,კაპიკები'' გამიღია თქვენი ჟურნალის საყიდლად და არ დამნანებია, რადგან ასე უანგაროდ ემსახურებით თქვენს ერთგულ მკითხველს. დიდი მადლობა, რომ არსებობთ. ახლა, რაც შეეხება შეცდომას... პირადად ჩემი შეცდომა ის არის, რომ ამქვეყნად გავჩნდი... გარშემო მყოფთა უმადურობამ დამღალა... ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ ტალახიდან ამოვათრიე ის პიროვნება, რომელიც თურმე, შიგ უნდა ჩამეხრჩო... მარინა''.

,,ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა ერთი ბიჭის ზარებს ვუპასუხე. ახლა ის ჩემ გამო ციხეში მოხვდა... რა ვქნა, დაველოდო მის გამოსვლას?.. ალბათ დაველოდები. ბელა''.

,,ჯერ იყო და ,,უსერიოზულესი'' ბიზნესმენის ქალიშვილს ვუყვარდი. შემდეგ – ელჩის ქალიშვილს. შემდეგ, ისეთი გოგონას საყვარელი გავხდი, რომ ავყოლოდი და მყვარებოდა, ახლა ევროპაში ვიცხოვრებდი და თანაც – უზრუნველად... ახლა, გათხოვილ გოგოს ვუყვარვარ, მაგრამ ცოლად ვერ მოვიყვან, არადა, ფული თავზე საყრელად აქვს. ვინც ჩამოვთვალე, ყველა ერთმანეთზე უკეთესია ფიზიკურად და მე მაინც იდიოტად ვრჩები, რადგან არც ერთი არ ვიკადრე. ვااა!''

,,ძალიან პრინციპული და ჯიუტი ვარ, რის გამოც, ხშირად დამიშვია შეცდომა. ყველაზე მეტად ის ვერ მომინელებია, რომ უსაყვარლესი ადამიანი ჩემი სიამაყის გამო დავკარგე. დათოს ვერასოდეს დავივიწყებ. ვიცი, ახლაც ვუყვარვარ, მაგრამ ისე ვატკინე გული, რომ არასოდეს მაპატიებს. არადა, რა მაგრად მიყვარდა!.. მხოლოდ იმის გამო დავსაჯე, რომ ჩემზე ეჭვიანობდა და ცდილობდა, წუთითაც არ მომშორებოდა გვერდიდან. ამ შეცდომას ვერასოდეს გამოვასწორებ. რატომ ხდება, რომ ხანდახან, თვითონვე ვამბობთ უარს ბედნიერებაზე?.. დათო, მენატრება შენი ქურდული გამოხედვა და ჭკვიანი, მწვანე თვალები. გახსოვს, ,,მწარეს'' რომ მეძახდი?.. ალბათ ვერასოდეს დაივიწყებ ჩემს საქციელს. მენატრები... უსაშველოდ მენატრები...''

,,მაშინ შევცდი, როცა ჩემი ნათესავი შემიყვარდა. ის ჩემი დეიდაშვილის ბიძაშვილია. 6 წელია, ერთმანეთი გვიყვარს და საგულდაგულოდ ვმალავთ. ალბათ, ცხოვრების ბოლომდე უბედური ვიქნები... ჩემებმა ეს რომ გაიგონ, ალბათ შემიძულებენ. ამდენი წელია, ამაზე ფიქრმა დამღალა...''

,,ჩემი შეცდომა ის არის, რომ კაცი გავაიდეალე. 9 სექტემბერს დაბადების დღე ჰქონდა და წელს პირველად მოვითმინე, რომ არ დამერეკა მისთვის. მერე, შუაღამისას, თითებმა ნაცნობი ნომერი თავისით აკრიბა და გაისმა მისი ,,ალო''... ასეთი საოცნებო და სანატრელი... ტელეფონი გავთიშე... ახლა სახლის ტელეფონზე დავრეკე. შესაძლოა, მიხვდა კიდეც, ვინ რეკავდა... მთელი ღამე ბალიშში თავჩარგული ვტიროდი. აღარავის ვერიდებოდი. აი, ასეა – იმის შემხედვარე ვეღარავის ვამჩნევდი...''

,,ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ნიკა შევიყვარე. მის გამო ცხვირის ოპერაციაც კი გავიკეთე. მან კი მითხრა – ძველი, ,,ბულდოგა'' ცხვირი ჯობდაო... ახლა იყოს თავის ,,პინოქიოსთან'' ერთად, სასოფლოში...''

,,ჩემი შეცდომების რა მოგახსენოთ – ყველაფერი ჯერ კიდევ წინ მაქვს და ალბათ, ბევრჯერ ცხვირსაც წავიმტვრევ, მაგრამ დედაჩემმა კი ნამდვილად დიდი შეცდომა დაუშვა, მე რომ გამაჩინა. აბა, მე რა დასაბადებელი ვიყავი?.. ნამდვილი ,,გადკი უტიონოკი'' ვარ. რა ვქნა?.. რას გადამეკიდნენ, მაინც ვისზე ნაკლები ვარ?!. ანა''.

,,მარი, მოგესალმები შენც და იმათაც, ვისაც ,,გზავნილები'' უყვარს... ჩემი შეცდომის შესახებ უნდა მოგიყვეთ. ტელეფონით გავიცანი ერთი ბიჭი. მას მალხო ჰქვია. ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ. ზოგჯერ ვჩხუბობთ კიდეც, მერე ვრიგდებით. მეუბნება, მიყვარხარო... ზოგჯერ მგონია, რომ სიმართლეს ამბობს, მაგრამ ხანდახან ვავიწყდები... მე კი ის მართლა ძალიან მიყვარს და ისე ვიქცევი, რომ ხანდახან მგონია, გავგიჟდი-მეთქი. არავის სახელის გაგონება არ მინდა, მის გარდა''...

,,მარი, მერამდენე მესიჯი გადამიგდე?!. იმედია, ახლა მაინც წავიკითხავ ჩემს მესიჯს ,,გზაში''... 2004 წლის 6 ოქტომბერს, ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ გაგას შევხვდი... ახლა კი ძალზე მტკივა გული... გაგა, უზომოდ მიყვარხარ! ნუ ხარ ანცი... მარი, შენთან არც სვანობამ გაჭრა, არც უამრავმა მესიჯმა. ახლა მაინც ნუ გამაწბილებ, თორემ, ,,გზას'' აღარ ვიყიდი და იცი, როგორ ერთგულ მკითხველს დაკარგავთ?.. ,,გზის'' ყველა ნომერი შენახული მაქვს...''

,,თითქმის 2 წელი მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. ამ ზაფხულს კი, გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი და გაუგებარ სიტუაციაში ცოლი მოვიყვანე... ახლა ცოლს საზღვარგარეთ მივყავარ და ისიც არ ვიცი, როდის დავბრუნდები. მარის კი ვერ ვივიწყებ. მის გარეშე ცხოვრება ნამდვილი კოშმარია. მე ის ისევ ისე ძალიან მიყვარს. ოდესმე გამოვასწორებ ამ შეცდომას?.. მას არასოდეს მივატოვებ. დათო აუცილებლად დაბრუნდება!..''

დღეს ,,გზავნილებს'' ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – სივიუტე... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომრზე: 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, რა გამოიწვია თქვენმა (ან ახლობლის) ჯიუტმა ხასიათმა... გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

უხერხულ სდგილას ჩასაფრებული ჟურნალისტი და ჰრიკვინციელი დინჟუანის საქმენი საგმირონი



მეგობრები ხშირად მიყვებოდნენ ბატონი გურამის ამბავს, რომელიც მთელ თავის ოჯახურ და ინტიმურ ამბებს ისე უყვება მამაკაცთა ნაწილს, არც კი ფიქრობს, რომ ეს ამბავი თითქმის მთელმა სოფელმა იცის. მთავარია, ნახევარი ბოთლი არაყი მიუტანო და პურსაც და ყველსაც თავად გამოგიტანს, სასაცილო თავგადასავალსაც მოგიყვება, თანაც, ისე „ეშხიანად", რომ თვალებიდან ცრელები წამოგცვივდება... ბატონი გურამი, ერთი გულუბრყვილო კაცია, რომელიც სოფელში დაიბადა და გაიზარდა. თბილისი მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც 28 წლის ასაკში, სწორედ მაშინ, როცა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა... მისი თავგადასავლების საკუთარი ყურით მოსმენა და დაწერა, დიდი ხანია, ჩავიფიქრე, მაგრამ ამას კარგა ხანს ვერ ვახერხებდი. მეგობრებმა, ამ რამდენიმე დღის წინ სიურპრიზი მომიწყვეს, გურამის ეზოში შემიყვანეს, საპირფარეშოში ჩამკეტეს, თვითონ კი იქვე, ახლოს მდებარე გადაჭრილ მორებზე მოკალათდნენ, პურმარილი გაშალეს და ბატონი გურამიც აიყოლიეს...

ლიკა ქაჯაია

— გურამ, ცოლი როდის მოიყვანე?

— 28 წლის ვიყავი. ბიჭო, მანამდეც კი მინდოდა, ქალი მომეყვანა, მაგრამ არავინ მომწონდა.

— კარგი ერთი, არავინ მოგწონდა თუ არავინ მოგყვებოდა?

— მაგაშიც არის სიმართლე, ხო იცი... დიპლომი მე არ მქონდა და ფული — ვის რაში ვენდომებოდი?

— აბა, ცირას როგორ მოაწონე თავი? მოიტაცე, ხომ?

— მოვიტაცე არა, ღომი. აქეთ მომიტაცა. ვერ თხოვდებოდა და არჩევანის საშუალებაც არ ჰქონდა. ისეთ წერილებს მწერდა, რომ... ერთხელ, მომწერა: 11-მეტრიანიდან გაიტანე ჩემს კარში გოლი, თუ მაგარი ბიჭი ხარო... მაბამდა.

— ეგ რაღაა?

— ოჰ, ვითომ ვერ ხვდებით. ისაა, რა... რა იყო, ქალი არ გყოლიათ?..

— სანამ ცირას მოიყვანდი, მანამ შენ თვითონ თუ იცოდი 11-მეტრიანიდან ქალის კარში გოლის გატანა?

— არა, მანამდე მარტო ერთი ქალი მყავდა. ისიც, 1 ცალ პურზე იძლეოდა და მეც ხშირად დავბანდალებდი იმასთან. თუ პურს ვერ მივუტანდი, მაშინ შეშას ვუჩეხდი, ყანას ვუთოხნიდი... ცირა რომ მოვიყვანე, რაღაც გამოცდილება კი მქონდა, მაგრამ შემეცოდა: როგორ უნდა შევეხო, ისეთი დალეულია, ხელში შემომაკვდება-მეთქი... მარა, გაგიგონია? ქალი მართლა კატაა, ქე გამიძლო. ის კი არა და, შობელძაღლი, თვითონ მხდიდა ტანზე. ასეთი რამე თბილისშიც არ მინახავს.

— თბილისშიც ხარ, კაცო, ნამყოფი? აუ, რა მაგარია!..

— კი, ერთხელ ვიყავი. სანამ ცირას მოვიყვანდი, მამაჩემმა ფული მომცა — წადი, ქალაქი ნახე და ნიშანიც უყიდე საცოლესო, — მითხრა. წავედი, მარა ბეჭდის მაგიერ, სულ ტანსაცმელი ვიყიდე, ქალთანაც ვიყავი, მერე რაღაც ბეჭედიც ვიყიდე, მაგრამ საბავშვო აღმოჩნდა, შეჩვენებული.

— როგორ ვერ მიხვდი, რომ ოქროსი უნდა გეყიდა?

— რა ვიცი, მასეთი ფერი იყო და ლამაზიც. მეტი რა უნდოდა?!

— ვინ ქალთან იყავი?

— რამინა ერქვა, მგონი, თურქი იყო. ისეთი ქალი იყო, ხორციანი, უჰ... თითებს ჩაიკვნეტდი. ასე მითხრა, ჩემთან წამოდიო, მაგრამ არ გავყევი. მაშინ სად იყო ტვინი?! ვავა, უტვინო კაცების ცოდვა!..

— ბიჭო, ცოლთან პირველი ღამე გახსოვს?

— მახსოვს, აბა *(იცინის)*... თქვენ რა, შტერი ხომ არ გგონივართ? მაგრამ ის ამბავი უფრო კარგად მახსოვს ტელევიზორში პორნოკინო თუ რაღაც ჯანდაბა ჰქვია, რომ ვნახე. კინაღამ გავგიჟდი, ასეთი არაფერი მინახავს. თმა მაღლა წავიდა... რას ეძახიან, კაცო?.. ხო — ყალყზე დამიდგა...

— კაცო, მარტო თმა?..

— ნუ ხართ თქვენ უზრდელები! ვინმე რომ გვისმენდეს, რას იტყვის?!.

— ვინ უნდა გვისმენდეს? თუ ვინმე მართლა გვისმენს, შენგან ბევრ რამეს ისწავლის *(იცინიან, თან ჩემს ძვირფას „სადგომს" კენჭებს ესვრიან. — ავტ.)*.

— ეჰ, ჩემგან მართლაც შეიძლება რაღაცის სწავლა, მარა ახალგაზრდებს ჭკუის დარიგება არ უყვართ... ჰოდა, იმას გეუბნებოდით, სასწაული ვნახე, ისეთი, რომ ავ თვალს არ ენახვება. რა მექნა? ოთახიდან გამოვედი და ცოლს დავუწყე ძებნა. საცოდავი, საღორეს წმენდდა. მივვარდი, შიგნით შევაგდე, კაბა შემოვაგლიჯე და მერე რა მოხდებოდა, თქვენც იცით... ისე, გიჟდებიან ქალები ჩემზე... რას იცინით, თქვე სულელებო? მე რომ მაგ საქმეში ვიცი, იმდენი თქვენ არც დაგესიზმრებათ.

— მაინც, ასეთი რა იცი?

— აბა, დამისახელეთ კაცი, რომელსაც ყველგან შეუძლია ამ საქმის გაკეთება. ყანაში, საძროხეში, ბუხარში, მაგიდაზე, საქათმეში შეგიძლიათ? მე გამიკეთებია...

— საქათმეშიც, კაცო?! შენ რა მაგარი ყოფილხარ! არა, არა, ვერ დავიჯერებთ.

— როგორ ვერ დაიჯერებთ?.. ერთხელ აქ ვიჯექი და ბიჭებმა

სასწაული ამბავი მითხრეს: ვიღაც შობელძაღლი ისეთი მაგარია, ქათმებსაც უშვრებაო. ჰოდა, გავგიჟდი კაცი. კარგა ხანს ვცდილობდი, სხვა რამეზე მეფიქრა, მერე ვერ მოვითმინე და სახლში გავიქეცი. ცოლს ვუთხარი – საქათმეში ადი, რაღაც სიზმარი ვნახე-მეთქი. ავიდა ჩემი ცირიკო და იქვე, ქათმის პოზაში „მივაპეტრუშკე“...

— **ახლა ის მოგვიყევი, დასასვენებლად რომ წახვედით.**

– სად, კაცო?.. აუ, რამდენჯერ უნდა მომაყოლოთ ერთი და იგივე ამბავი?!. კარგი, ჯანდაბას ჩემი თავი!.. ცირიკომ თქვა – ჰაერი უნდა გამოვიცვალოო და ლებარდეში წავედით. იქვე, ტყეში მივდიოდით ხოლმე ხშირად. ერთხელ დავინახეთ, ქალი და კაცი „თავის საქმეს“ აკეთებდნენ. ორივენი იქვე დავიმალეთ, კარგა ხანს ვუყურეთ იმათ ტლაშუნს, მერე ჩვენც ვერ მოვითმინეთ და... ეს თურმე ვიღაც ქალმა დაინახა. ისე მოვეწონე, რომ სულ კუდში დამდევდა. მეც მომეწონა, მარა ცოლისთვის რა მექნა?.. ერთ საღამოს გავიპარე და სეირნობა დავიწყე. ის ქალი სახლიდან გამოვიდა, წინ გადამიდგა: საოცრება ხარ, შენთან დაწოლა მინდაო... იმ „კატამ“ კინაღამ ჭკუიდან შემშალა. იმ საღამოს, ზუტად 8-ჯერ მომთხოვა... სახლში ისეთი დაღლილი მივედი, არაფრის თავი აღარ მქონდა. ცოლმა რომ გაიღვიძა, გაკვირვებულმა მკითხა: რა იყო, გლუკოზა არ გინდაო? – არა, დასვენება მჭირდება-მეთქი, – რომ ვუთხარი, მგონი, გაუხარდა კიდეც... მეორე დღეს, იმ ქალს ვემალებოდი, მაგრამ სახლში მომაკითხა – თქვენი მეზობელი ვარ, მარტო ვცხოვრობ და დროის გასაყვანად მოვედიო. ჩემი ცირიკო საჭმლის მოსამზადებლად რომ გავიდა, ლამის კალთაში ჩამიჯდა: ამ საღამოს თუ არ მოხვალ, შენს ცოლს ყველაფერს მოვუყვებიო. ჰოდა, რა მექნა? იმ საღამოსაც მივაკითხე იმ შობელძაღლს. ვინ იცის, რას არ მიშვრებოდა – მკბენდა, მფხაჭნიდა, მპწკენდა... ჭკუიდან შემშალა. ასეთი ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია.

— **ამხელა კაცს ქალის შეგეშინდა?**

– თქვენ სულელები ხომ არ ხართ? იმას ვინ გაუძლებდა? ჩემს მტერს ჰყავდეს იმისთანა კატა სახლში! ფუი ეშმაკს!..

— **აბა, მაგარი ვარო?!**

– კი, კაცო, მაგრამ მთელი დღეები იმასთან რომ ვყოფილიყავი, ცირას მიტოვება მომიწევდა, იმასაც ხომ უნდოდა კაცი! ჰოდა, მეორე დღეს, ცოლს ვუთხარი: სახლში უნდა წავიდეთ-მეთქი... ისე, მერე ხშირად მახსენდებოდა ის ქალი და ყოველ გახსენებაზე სამსახურიდან სახლში გავრბოდი... ჩემი უფროსი, ზურია მეჩხუბებოდა: რა ჭირი გჭირს ამისთანა, კაცი ხარ თუ რობოტიო?..

— **ცირა რომ გემალებოდა, ისიც თქვი.**

– კაი, კაცო, ეს რა მოსაყოლია?!

— **მიდი, რა! გრცხვენია?**

– მრცხვენია არა... რა იყო და ერთ დღეს სახლში სამჯერ გადავედი. იმ საღამოს ცირა თავისიანებს ელოდებოდა – სახლს ალაგებდა, საჭმელს აკეთებდა. მეოთხეჯერ რომ მივედი, ვერსად ვნახე. – დამემალა. თურმე, მეზობლებში გაქცეულა – ვერ მიპოვისო, – იფიქრა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიხელთე. სად დამემალებოდა?.. ახლა კი ახერხებს დამალვას ის შობელძაღლი...

— **კაცო, 60 წელს მიუკაკუნე და ახლაც ვერ ისვენებ?**

– ახლა იმდენის თავი სადღა მაქვს... მაგრამ მაინც კარგ ფორმაში ვარ. თუ გინდა, დავნაძლევდეთ: მოიყვანე ქალი და დრო დავინიშნოთ – ვინ უფრო მეტხანს გაძლებს – თქვენ თუ მე!.. ესაა, რომ ჩემი ცირიკო დამიბერდა, აღარაფერი ახარებს, შვილები რატომ არ გვიჩნდებაო? – მეკითხება. აბა, მე რა ვიცი?! ეტყობა, თვითონაა ბერწი, თორემ მე კი „ჩავბეჭდავდი“ 4 ბიჭს ერთად.

ეს თქვა და ბანცალ-ბანცალით საპირფარეშოსკენ წამოვიდა. ვიფიქრე, ბიჭები მოაბრუნებენ-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!.. გარედან ბატონი გურამი ეჭიდებოდა კარს, შიგნიდან – მე. თან იგინებოდა: ვინც შენ ასე ჩაგკეტა, იმისი ასე და ისეა!.. ჩემი მეგობრები (თუ შეიძლება, მათ მეგობრები უწოდო) სიცილით იხოცებოდნენ. ბოლოს, იქვე მიყუდებული ცოცხი ავიღე და როცა ბატონი გურამი უკვე ფეხით აპირებდა კარის შემომტვრევას კარის შემომტვრევა კი თავისუფლად შეიძლებოდა – ფანერისაგან იყო გამოჭრილი), კარი გავაღე, ცოცხი ზედ თვალებზე ავაფარე, სირბილით გადავჭერი ეზო და მივიმალე... დიდხანს მესმოდა ხარხარი და ბატონი გურამის ყვირილი: „ეს თქვენი ნამოქმედარია, მაშაყირებთ, ხომ?! აწი, თქვენი ფეხი აქ აღარ ვნახოო!..“ გამწარებულმა თუ გაღიზიანებულმა კაცმა, ქვის სროლა დაიწყო და ბიჭები სულ კისრისტეხით გამორბოდნენ ეზოდან...

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. რას ნიშნავს იაპონურ ენაზე „ქარატე“?

ა) მოქნილ მოძრაობას;
ბ) შიშველ ხელს;
გ) ელვისებურ დარტყმას.

2. რომელი ცხოველის ეშინოდა ნაპოლეონ ბონაპარტეს?

ა) კატის;
ბ) ცხენის;
გ) პინგვინის.

3. ჩინელები 5 ათას იეროგლიფზე მეტს პრაქტიკულად არ იყენებენ. სულ რამდენი ჩინური იეროგლიფი არსებობს?

ა) 10 ათასამდე;
ბ) 30 ათასამდე;
გ) 50 ათასამდე.

4. წიგნის წერისას თავის უპირველეს მიზნად რას ისახავდა ჟიულ ვერნი?

ა) დედამიწის აღწერას;
ბ) ნაწარმოების კომერციულ წარმატებას;
გ) წიგნის დასრულებას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მომხიბვლელი ქალბატონი, ლელა წურწუმია თავს გემოვნებიან ადამიანად მიიჩნევს. ის სარკის წინ ბევრ დროს ატარებს. უყვარს კლასიკურად ჩაცმა და სუნამოს ხშირი ცვლა. მისი აზრით, იმისათვის, რომ ქალი გემოვნებიანად გამოიყურებოდეს, სულაც არ არის საჭირო ძვირად ღირებული ტანისამოსის ჩაცმა — მთავარია, ის გემოვნებით იყოს შერჩეული.

საყვარელი აქსესუარი — საათი, ჩაცმულობის ხერხი — ყოასიყური, მამაკაცი — ხელოვანი და ადამიანის მოყვარული...

ეკა მინდაძე

— ლელა, თქვენი აზრით, რა ახდენს გავლენას ადამიანის გემოვნების ჩამოყალიბებაზე?

— რა თქმა უნდა, თავდაპირველად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, ხოლო შემდეგ — გარემოს და ატმოსფეროს, რომელშიც ტრიალებ.

— ეთანხმებით გამონათქვამს — გემოვნებაზე არ დაობენო?

— არ დაობენ, მაგრამ ზოგჯერ დავა გარდაუვალია. რამდენიც ადამიანია, იმდენნაირია გემოვნებაც.

— ქართველი მწერლებიდან ყველაზე მეტად რომელს გამოყოფდით?

— ძალიან მიყვარს კონსტანტინე გამსახურდია და ნოდარ დუმბაძე.

— საყვარელი პოეტი?

— გალაკტიონ ტაბიძე, ვაჟა-ფშაველა, ლადო ასათიანი და შანდორ პეტეფი.

— რა სტილის მუსიკა გიყვართ?

— ძალიან მიყვარს ბლუზი, სოული, ტრადიციული ჯაზი და, რა თქმა უნდა, მიყვარს პოპმუსიკაც.

— დღეს რამდენად გემოვნებიანია ქართული ესტრადა?

— სხვათა შორის, თითქმის ყველა ჟურნალისტს ერთი და იგივე თვისება გაქვთ — ყველა მომღერალს ერთ ქვაბში ხარშავთ. ასე არ შეიძლება. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. საქართველოში შეიძლება იყოს გემოვნებიანი მომღერალიც და უგემოვნოც. ასევეა სხვა სფეროშიც. პირადად მე, სულაც არ მივიჩნევ, რომ დღეს ქართული ესტრადა უგემოვნოა — პირიქით, ვფიქრობ, მომღერლების უმეტესობა, საკმაოდ გემოვნებიან მუსიკას მღერის.

— საყვარელი მომღერალი თუ გყავთ?

— ძალიან მიყვარს ჯორჯ მაიკლი, უიტნი ჰიუსტონი და ასე შემდეგ.

— თქვენ გემოვნებიანი ქალის სახელი გაქვთ...

— იცით, მე უბრალოდ, იმას ვიცვამ, რაც მომწონს. არ მიყვარს ვულგარულად ჩაცმა. ვიცი, სად და როდის რა უნდა ჩავიცვა. ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე ჩაცმულობას. ამ დროს, ჩაცმა მომღერლის შესაძლებლობების ტოლფასია.

— დაასახელეთ მომღერალი, რომელიც გემოვნებიანად იცვამს?

— ყოველთვის მაოცებდა ლაიმა ვაიკულეს გემოვნება. ამ ქალბატონის ჩაცმულობის კულტურა და გემოვნება ბევრ რამეზე მეტყველებს.

— რა ასაკიდან დაიწყეთ დამოუკიდებლად ჩაცმა?

— დამოუკიდებლად ჩაცმა მერვე კლასიდან დავიწყე. მიყვარდა გაპრანჭვა და ყოველთვის წესრიგში ყოფნა. სხვათა შორის, ბავშვობაში პრეტენზიული ჩამცმელი ვიყავი. მახსოვს, ზამთარში, თოვლიან ამინდში ლაკის ფეხსაცმლის ჩაცმა ავიჩემე. ისტერიკა დავიმართე, სანამ ჩემი არ გავიტანე და საბავშვო ბაღში ამ ფეხსაცმლით არ წავედი. მინდა აღვნიშნო, რომ ჩაცმაში პრეტენზიული ჩემი შვილი, მარიამიცაა. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ პატარაა, საკმაოდ პრინციპული ბავშვია. თუ ამოიჩემა ერთი ფეხსაცმელი, მეორეზე დიდი ომის შედეგად, ძლივს გადადის. ბავშვობიდან დღემდე, ფერთა შეხამება მეხერხება. ვფიქრობ, ამაში დიდი გავლენა იქონია მამაჩემმა. ის არაჩვეულებრივად ხატავდა და ფერთა აღქმისა და შეხამების განსაკუთრებული ხედვა სწორედ მისგან გადმომეცა.

— ახლა რა სტილის სამოსს ამჯობინებთ?

— ყველანაირს. მიყვარს კლასიკურიც და სპორტული სტილიც. ყოველდღიურობაში, უპირატესობას სპორტულ სტილს ვანიჭებ. მაგრამ საღამოს წვეულებებზე მიყვარს კლასიკურად ჩაცმა. „კლასიკასთან" მიახლოებულად ვიცვამ სცენაზეც.

— თქვენს ჩაცმულობაში რა ფერი ჭარბობს?

— ძირითადად, შავი. მაგრამ ბოლო დროს გადავწყვიტე, რომ ჩემი გარდერობი ფერადი ტანსაცმლით შევავსო.

— სად ყიდულობთ ტანსაცმელს?

— ძირითადად, საზღვარგარეთ. ძალიან მიყვარს ცნობილი დიზაინერები: გოტიე, ფერე, გუჩი, ქლოე.

— ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილ ტანსაცმელს თუ იცვამთ?

— რა თქმა უნდა. მაქვს მაკა ასათიანის მიერ შექმნილი სამოსი და ავთო ცქვიტინიძის რამდენიმე შესანიშნავი ნამუშევარი, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ვიცვამ.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლით?

— დიახ. ვარცხნილობას ტანისამოსის მიხედვით ვირჩევ. ისე, ძალიან მიყვარს გაშლილი თმის ტარება.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად რა გიყვართ?

— ძალიან მიყვარს ძვირფასი ლითონი, მაგრამ არც ბიჟუტერიაზე ვამბობ უარს, თუ ის ორიგინალური იქნება. მიყვარს მასიური სამკაულის და დიდი ბეჭდების ტარება, აქსესუარებიდან გამორჩეულად — სათვალე და ჩანთა, თან მათი ხშირი ცვლა.

ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. საქართველოში შეიძლება იყოს გემოვნებიანი მომღერალიც და უგემოვნოც. ასევეა სხვა სფეროშიც (მაკა ასათიანთან და დათო სუჯაძესთან ერთად)

ჩაცმაში პრეტენზიული ჩემი შვილი, მარიამიცაა

სათვალე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქსესუარია.

— როცა რაიმეს იძენთ, ფასს ანიჭებთ უპირატესობას თუ ხარისხს?

— რა თქმა უნდა, ხარისხს. ვჯობს, იყიდო ერთი, მაგრამ ხარისხიანი. პირველად, ამა თუ იმ ტანსაცმლის ხარისხს, კერძოდ, მის ქსოვილს ვაკვირდები. სწორედ ხარისხის გამო ვამჯობინებ ცნობილი დიზაინერების ნამუშევრებს.

— იაფფასიან, ხარისხიან ტანსაცმელს თუ შეიძენთ?

— რა თქმა უნდა, შევიძენ. ამ შემთხვევაში, ფასს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

— სარკის წინ ბევრ დროს ატარებთ?

— რა თქმა უნდა. ძალიან მიყვარს დიდხანს სარკეში ყურება *(იცინის)*...

— საკუთარ გარეგნობაში რაიმეს ხომ არ შეცვლიდით?

— არა.

— ეი. თქვენი გარეგნობით კმაყოფილი ხართ?

— სხვა რა გზა მაქვს *(იცინის)*?!.

— სუნამოს ხშირად იცვლით?

— დიახ. ამჟამად ერთდროულად რამდენიმე სუნამო მაქვს გახსნილი და მათგან — ერთ-ერთს, ხასიათის მიხედვით, ვირჩევ ხოლმე. არის ისეთი სუნამო, რომელსაც სისტემატურად ვხმარობ. მაგალითად, ჟან-პოლ გოტიეს „ფრაჟელი". ამ სუნამოს 5 წელია, ვხმარობ.

— იმისათვის, რომ ქალი ფორმაში იყოს, რა არის მთავარი?

— მთავარია, ქალს ამის განწყობილება და სურვილი ჰქონდეს. თუ ეს ექნება, ყოველთის ეცდება, მიმზიდველად და ლამაზად გამოიყურებოდეს. სულაც არ არის საჭირო, რომ ძვირად ღირებული ტანისამოსი გეცვას — მთავარია, გემოვნებით შერჩეული და შეხამებელი იყოს.

— ჩაცმულობის თაობაზე რჩევისთვის ვის მიმართავთ ხოლმე?

— არავის, ჩემი გემოვნებით ვირჩევ ამა თუ ტანსაცმელს.

— მაკიაჟსაც თქვენ თვითონ იკეთებთ?

— რა თქმა უნდა. მაკიაჟს თითქმის ყოველდღიურად ვატარებ — სახეს მხოლოდ ზღვაზე ყოფნის დროს ვასვენებ.

— თქვენი და მამულიჩას გემოვნება თუ ემთხვევა ერთმანეთს?

— რა თქმა უნდა. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებდით. სხვათა შორის, მინდა, აღვნიშნო, რომ მამულიჩას ჩაცმულობაზე მე ვზრუნავ. თუკი რაიმეს შევიძენთ, ყოველთვის ჩემი არჩეულია.

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მამაკაცი?

— მამაკაცი, პირველ რიგში, უნდა იყოს კაცი. სულაც არ არის საჭირო მისი სილამაზე — მთავარია, იყოს მამაკაცური.

— მამაკაცში ყველაზე მეტად რას ვერ იტანთ?

— მამაკაცში ვერ ვიტან ტყუილს და სიძუნწეს. არ შემიძლია, ძუნწ მამაკაცთან ურთიერთობა. მიყვარს დინჯი და ამავე დროს, იუმორის მოყვარული მამაკაცები.

— თაყვანისმცემლები ხშირად განებივრებენ?

— კი და ამით ბედნიერი ვარ. უმეტესობა, გარდა თბილი სიტყვისა, საჩუქრით გამოხატავს ჩემდამი პატივისცემას. ხშირად მოურთმევიათ საჩუქრად: სუნამო, სამკაული, ყვავილი, ლამაზი თოჯინა და წერილიც მოუწერიათ.

— ამის გამო მეულლე არ ეჭვიანობს?

— არა. რატომ უნდა იეჭვიანოს?.. მომღერალი ხომ თაყვანისმცემლის გარეშე წარმოუდგენელია.

— ბინა თქვენი გემოვნებით გაქვთ მოწყობილი?

— რა თქმა უნდა. ბინა მთლიანად ჩემი დიზაინით მოვაწყვე. სხვათა შორის, პროექტიც ჩემი მოგონილია. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ფართით არ გამოირჩევა, სულ 78 კვმ-ია, მარიკოსაც საკუთარი ოთახი არ აქვს, მე მაინც მიყვარს ეს ბინა იმიტომ, რომ ის ჩემი კუთხეა... აი, სულ მალე, უფრო დიდი ფართობის ბინა გვექნება: „ვარსკვლავების კორპუსში", საკმაოდ დიდი ფართობის ბინა გამოგვივა.

— კულინარობა თუ გეხერხებათ?

— შეძლებისდაგვარად. შეიძლება, ბევრი რამე არ ვიცი, მაგრამ რასაც ვაკეთებ, საკმაოდ გემრიელია. მამულიჩას ჩემ მიერ შემწვარი კარტოფილი მოსწონს. მარიამი კი ბებიასთან ცხოვრობს და ამიტომაც მას უკეთესი და განსაკუთრებული კვება აქვს.

— მუდამ ფორმაში ყოფნას როგორ ახერხებთ? დიეტაზე ხომ არ ხართ?

— დიეტაზეც ვარ და ვვარჯიშობ კიდეც. დღეში ერთი საათით აუცილებლად ვიცლი სავარჯიშოდ. პარალელურად, რეჟიმით ვიკვებები — მივირთმევ მხოლოდ უცხიმო საკვებს, თავს ვარიდებ ყოველგვარ ცომეულს და ტკბილეულს.

— წელიწადის რომელი დრო გიყვართ?

— გაზაფხული და ზაფხული.

— ამ ზაფხულს სად დაისვენეთ?

— წლეულს, მთელი აგვისტო ბათუმში ვისვენებდით, მარიკოს ნათლულის ოჯახში, გოგიტიძეებთან. მართალი გითხრათ, იქ დასვენებასთან ერთად საკმაოდ აქტიურად ვიმუშავე: გავმართე სოლო კონცერტი, მივიღე მონაწილეობა რამდენიმე კონცერტში, სხვადასხვა ზღვისპირა ქალაქში. სულ მალე,

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე ჩაცმულობას. ამ დროს, ჩაცმა მომღერლის შესაძლებლობების ტოლფასია...

ერთი კვირით მე და მამულიჩა ანტალიაში წასვლას ვაპირებთ, ხოლო შემდეგ — მოსკოვში, მიუნხენსა და ბერლინში მივდივართ. 29 ოქტომბერს გაიმართება ჩემი პირველი შოუ ისრაელის დედაქალაქ ტელ-ავივში. ხოლო დეკემბერში საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ვგეგმავთ კონცერტს.

— საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?

— რა გითხრათ... თავისებურად თითქმის ყველა ქვეყანა ლამაზია. ყველა ქალაქს თავისი ხიბლი აქვს, საინტერესოა თითოეული ქვეყნის არქიტექტურა და კულტურა. ძალიან მომეწონა ამერიკა, ულამაზესია ნიუ-იორკი — ასფალტიდან დაწყებული, ყველაფერი ბრწყინავს და ეს ძალიან ლამაზი სანახავია. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს ისრაელში მოგზაურობაც.

— საცხოვრებლად, საქართველოს გარდა, რომელ ქვეყანას აირჩევდით?

— არა, მუდმივად საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებდი, ჩემი ნოსტალგიური ბუნებიდან გამომდინარე... ■

ამ რუბრიკის თემა პირობითად ასე განვსაზღვრეთ — „სხვა საქართველო სად არის?“ პირველ ინტერვიუში („გზა“, №35) გია ბულაძემ იტალიაში მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებზე გვესაუბრა. რატომ არიან აშშ-ში ადამიანები რობოტებად ქცეულნი, რამ გააკვირვა მწერალი და არსებობს თუ არა მისთვის სხვა საქართველო — ყოველივე ამის შესახებ მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ამერიკელი „ყარაჩოსელი“, ირანელი ინტელექტუალი ფლოსტებში და 10 ცენტი სურდა მილიონერების ოჯახში

გვანცა მამისაშვილი

— პირველად როდის ჩახვედით ამერიკაში?

— პირველად 1978 წელს ჩავედი, როგორც ტურისტი. საბჭოთა კავშირიდან ხელოვანთა დელეგაცია წავიდა, სადაც მხოლოდ 2 ქართველი ვიყავით. ჩვენი ქვეყნის შესახებ აშშ-ში ლექციებს ვკითხულობდით. მაშინ მაინც ტურისტები გვერქვა და ქვეყნის დათვალიერება ზედაპირულად მოგვიხდა. შემდეგ კი ამერიკაში დაგვპატიჟა როჯერ როზენმა, გამომცემელმა, რომელიც გახლავთ ნიუ-იორკიდან. ეს ადამიანი თბილისში გავიცანი. ის საქართველოში აქაურობის გასაცნობად იყო ჩამოსული, რადგანაც ჩვენს ქვეყანაზე წიგნის დაწერა და გამოცემა ჰქონდა გადაწყვეტილი. საქართველოში ყოფნისას, გარდა ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისა, ველაპარაკებოდი ჩვენს კულტურაზე და ცოცხალ მაგალითს ვუჩვენებდი ქართული სუფრისას. როჯერმა უშესანიშნავესი წიგნი გამოსცა საქართველოზე. ამ წიგნში აღნიშნა, რომ მადლობას გვიხდიდა მე და ინგლისურის სპეციალისტს, ბატონ ზაზა ალექსიძეს. მადლობის ნიშნად მე და ზაზა ამერიკაში მიგვიწვია. ეს იყო 1989 წელს. ჩვენ როჯერის სტუმრები ვიყავით, მის ოჯახში ვცხოვრობდით და ეს უკვე, რა თქმა უნდა, იყო ამერიკული ოჯახის წესით ცხოვრება.

— რა შეგიძლიათ თქვათ ამერიკელების ცხოვრების შესახებ?

— როჯერმა, რა თქმა უნდა, დაგვათვალიერებინა ყველაფერი, რაც ნიუ-იორკში ღირებული იყო. როდესაც მე ამერიკელების ცხოვრებით დავინტერესდი, შემომთავაზა, მილიონერების ოჯახებში წავიდეთო. ვთხოვე, მატარებლით გვემგზავრა. ეს იყო არაჩვეულებრივი მატარებელი. როდესაც მივედით იმ მილიონერთან, აღმოჩნდა, რომ ეს იყო „ყარაჩოხელი კაცი“, რომელსაც სმა უყვარდა. ვისკის რომ გვისხამდა, თან გვიყურებდა, როდის ვეტყოდით — გეყოფათო, ხოლო როცა სოდიანი წყლის გარეშე მოვითხოვე, სადღეგრძელო ვთქვი და ბოლომდე დავლიე, კაცი გაგიჟდა, ძლივს არ ვნახე ვაჟკაციო?! კარგად გვიმასპინძლა. მან მითხრა, რომ როჯერის წიგნით შეეტყო საქართველოს შესახებ და თბილისში უნდოდა ცოტა ხნით საცხოვრებლად წამოსვლა და ბიზნესის აწყობა. მაგრამ არეულობა საქართველოში ზუსტად იმ წლებში დაიწყო. როდესაც წამოვედით, როჯერმა შემომთავაზა, ახლა მეორე მილიონერს გაჩვენებო. ეს კაცი წარმოშობით ირანელი ყოფილა, ინგლისში გაზრდილი, მაშინ კი ლონგაილენდის კუნძულზე ცხოვრობდა. ეს კუნძული ისეთი პატარაა, რომ ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირი ჩანს, ყველაზე სწრაფი ტრანსპორტი არის ველოსიპედი. ძირითადად, ფეხით დადიან, მხოლოდ ქოხმახები დგას, სადაც მილიონერები ცხოვრობენ. მათთვის ესეც თავისებური ეგზოტიკაა. ეს კაცი ყოფილა ფიზიკოსი, რომელიც თავისი გამოგონების წყალობით გამხდარა მილიონერი. როდესაც მივედით, დაგვხვდა შორტში, პლაჟის ფლოსტებით. იცით, როგორი? ინტელექტუალები რომ არიან და ჩაცმას ყურადღებას არ აქცევენ, სწორედ ისეთი. როდესაც როჯერმა ის გამაცნო, სპარსულად მივესალმე. კინაღამ გაგიჟდა, საიდან იცით სპარსულიო? ეს კაცი იყო ნამდვილი ინტელექტუალი. შირაზის ღვინით გაგვიმასპინძლდა და ისე გამოგვიშვა.



— რაიმე მსგავსება ან განსხვავება თუ აღმოაჩინეთ ამერიკასა და საქართველოს შორის?

— მსგავსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძალიან დიდია განსხვავება. იქაც გვხვდება კარგი ხალხი, როგორიცაა როჯერი. რომ მოვდიოდით, გვეხვეწებოდა, დარჩით, ეს სად მტოვებთო, ლამის ტიროდა კაცი. ჩვენ გვაქვს ადამიანური სითბო, ერთმანეთის გაგება, სიყვარული და დახმარება ვიცით. იქ კი მარტო ხარ ადამიანი. მშობლებს, და-ძმებს წელიწად-

ში ერთხელ ნახულობენ, დანარჩენი დრო კი ერთმანეთის ცხოვრებაში არ ერევიან. ამიტომ რობოტებად არიან ქცეულები – მხოლოდ საქმე და საქმე. აქაურ კაცს იქ გაუჭირდება, რა თქმა უნდა, თუ ბაიყუში არ არის. მაგრამ საკვირველია, რომ იმათ ჩვენთან ცხოვრება არ უჭირთ. ძალიან ბევრ უცხოელს ვიცნობ, რომელიც საქართველოდან უბრალოდ აღარ მიდის იმიტომ, რომ აქ, საკუთარი ქვეყნისგან განსხვავებით, უფრო კარგად გრძნობს თავს. კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით: როჯერმა წაგვიყვანა ბიზნესმენების წრეში, რომლებსაც უყვართ ლიტერატურა, იქ როჯერი თავისებურ კონსულტანტად გვევლინებოდა. მართლა არაჩვეულებრივი ხალხი ვნახე, კაცებიც იყვნენ და ქალებიც. მასპინძელი კი ბანკირი ქალი იყო, ისეთი ლამაზი, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი გეგონებოდათ. ასეთი წესი აქვთ: აიღებენ წიგნს, რომელსაც წაიკითხავს ყველა და შემდეგ აწყობენ გარჩევას. იმ დღეს ჰქონდათ რაღაც ახალი რომანის გარჩევა. ძირითადად, სიუჟეტს არჩევდნენ: იმან იმას რა უთხრა, სხვამ რა უპასუხა და ა.შ. მე ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი: მხატვრული ნაწარმოებისთვის მთავარია მხატვრული მხარე, ჰოდა, მხატვრული მხარე როგორი აქვს ამ წიგნს-მეთქი? ვერაფერი მიპასუხეს. მერე შესვენებასავით მოაწყვეს. მიგვიწვიეს სუფრასთან, ცოტა გეახელით, ცოტა დავლიეთ და განაგრძეს თავიანთი გარჩევები. ყველაზე მეტად კი რა გამიკვირდა, იცით? როცა ყველაფერი მორჩა, თითოეულმა იქ მყოფმა გაიკრა ჯიბეზე ხელი და იმ საჭმლის საფასური გადაიხადა, რაც მიირთვა მილიონერის ოჯახში. თითო კაცისაგან გადასახდელი იყო 2 დოლარი და 30 ცენტი. როჯერმა 7 დოლარი გადაიხადა და 10 ცენტი ხურდა აიღო. რომ წამოვედით, როჯერმა გვითხრა: აი, ეს არის ამერიკაო.

— თქვენი აზრით, ქართული ტრადიციებიდან რომელი უფრო ფასეულია?

– ჩემთვის ყველა ტრადიცია ფასეულია, მაგრამ არსებობს ჩვევა, რომელიც არის ძალიან უმნიშვნელო. მაგალითად, ქორწილის მეორე დღეს რომ გამოკიდებდნენ ზეწარს, ეს მე შეურაცხმყოფლად მიმაჩნია. ტრადიცია არის ის, რაც ისტორიულად არის გამართლებული.

— თუ არსებობს ამერიკაში ქართული ტრადიციის მსგავსი ტრადიციები?

– ამერიკა მრავალეროვანი ქვეყანაა. იქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები კომპაქტურად, ერთ უბნად ცხოვრობენ. მაგალითად: ჩინეთის უბანში ყველაფერი ჩინურია, ჩინურად ლაპარაკობენ და თავი ჩინეთშიც კი გეგონება, თუმცა ეს შუა ნიუ-იორკში ხდება. იქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთის ტრადიციებს პატივს სცემენ. ნიუ-იორკი განსხვავდება სხვა ქალაქებისგან, ჩვენთვის ის უფრო ახლოა, რადგან ცოცხალი ქალაქია.

— რა როლი აქვს რელიგიას ორივე ქვეყნის ცხოვრებაში?

– როგორც აღვნიშნე, ამერიკა მრავალეროვანი ქვეყანაა და შესაბამისად, სხვადასხვა რელიგიას მისდევენ. იქ ყველანაირი სალოცავი არსებობს და მშვიდობიანად თანაარსებობენ ეს რელიგიები. მაგრამ ჩვენთვის ეს გასაკვირი არაა, რადგან თბილისიც ჭრელი ქალაქია – ერთ მუჭა ტერიტორიაზე თანაარსებობს სხვადასხვა რელიგია. თუმცა, ბოლო დროს, რაღაც დაირღვა ამ თანაარსებობაში. საერთოდ, მე ასე მჯერა, რომ არ უნდა შეეხო სხვის რწმენას, რადგან ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ღმერთის საქმეებში ჩავერიოთ.

— რა განსხვავებაა ქართველ და ამერიკელ ლიტერატორებს შორის?

– საშუალო დონის ამერიკელი ლიტერატორის ცოდნა გაცილებით ვიწროა, მაგრამ ღრმა და ზედმიწევნითი. საშუალო დონის ქართველი ლიტერატორის ცოდნა უფრო ფართო არეალს მოიცავს, მაგრამ ზედაპირულია. როგორ შეიძლება, ქართველმა ლიტერატორმა არ იცოდეს ბალზაკი, ბერნარდ შოუ ან სხვა ასეთი მწერლები?! იქ კი ისეთ რაღაცებს წააწყდები, რომ შეიძლება გაგიჟდე კაცი. არ იცის იმიტომ, რომ არ დასჭირვებია. მაგრამ იქაც არიან ძლიერი ლიტერატორები და ჩვენთანაც.

— თქვენი აზრით, რომელი უფრო უკეთესია?

– ეს უკვე ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ შეგრძნებები ისე გვაქვს განვითარებული, რომ რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო კარგად გრძნობ პოეზიას, მხატვრობას და ა.შ. ერთ მაგალითს გეტყვით: როჯერმა წაგვიყვანა გამოფენაზე, სადაც ერთ-ერთ მხატვარს დაბადების დღეს უხდიდნენ. ძალიან თბილად მიგვიღეს. მართალია, მხოლოდ ხელოვნებაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ირგვლივ ისეთი საშინელი ნამუშევრები იყო, რომ ალბათ, თოიძის სახელობის სასწავლებლის სტუდენტიც კი გაცილებით უკეთ ხატავს. სამაგიეროდ, ფასები ედო... 30 ათასი, 50 ათასი დოლარი. მე არ ვიცი, ვინ გიჟი ყიდულობს, მე მუქთად რომ მომცე, იმას სახლში არ დავკიდებ. ასე რომ, მე ლიტერატორიც და მხატვარიც ქართველი მირჩევნია.

— როგორ ფიქრობთ, არსებობს სადმე სხვა საქართველო?

– მე ამ კითხვასთან დაკავშირებით გეტყვით ჩემს კაფიას:

„გავიბითურეთ საშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი,
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არის?!“

სამწუხაროდ, ამ სტროფში დევს სიმართლის მარცვალი. დღეს, რომ ვყურებ საქართველოს, ეს ისეთი საქართველო არ არის, როგორიც მე მიყვარდა, რომლისაც მწამდა და რომელიც ხატივით სალოცავი იყო ჩემთვის. არ ვიცი, რატომ გადავჯიშდით... უპირველეს ყოვლისა, მისახედია საქართველო. მისახედია ის ხალხი, რომელსაც ნამდვილად უყვარს საშობლო, მაგრამ გაჭირვებისგან სულს ღაფავს. ეს ის ხალხია, რომელიც გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას. ახლა ყურადღება გამახვილებულია ნავთობსადენზე და ასეთ რაღაცებზე, არადა, მთავარია, საქართველოს სულიერებას მივხედოთ, რადგან ჩვენი სულიერება განაპირობებს ჩვენი საშობლოს მომავალს. ■

რატომ ყასვამენ ტანზე ინდოეთის საპატარძლოს ჰალდს, რისი ტარებაა აყვილებული გათხოვილი ქალისთვის და რით სჯობს ქართული ხინკალი იტალიურს

ჩვენი მკითხველების უმეტესობას ინდოეთის შესახებ ალბათ მხოლოდ, კინოდან აქვს შექმნილი წარმოდგენა. თუ თბილისის ქუჩებში შემთხვევით, სარიში გამოწყობილ ქალბატონს შევხვდებით, ინტერესით გავადევნებთ თვალს და რომელიმე ფილმის ამა თუ იმ ეპიზოდს გაგვახსენებს. არადა, ამ ქვეყნის ცხოვრება თურმე, სრულიად განხვავებულია იმისგან, რაც ეკრანზე გვინახავს...

მარი ჯაფარიძე

აღსანიშნავია ინდური ქორწილი, რომელიც ძალზე ლამაზ სანახაობას წარმოადგენს. ინდოეთში შვილების ბედს მშობლები წყვეტენ და ხარჯსაც ორივე ოჯახი თანაბრად ინაწილებს. ქორწილი რამდენიმე დღე გრძელდება და თავდაპირველად, სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახში ცალ-ცალკე იმართება. პირველ დღეს ჰქვია ჰალდის დღე. ამ დღეს, ორივე ოჯახში ნათესავები იკრიბებიან. გოგონას მთელ ტანსა და სახეზე უსვამენ რძეში გახსნილ ყვითელ მცენარეს — ჰალდს, თან მხიარულობენ. დაბანის შემდეგ, პატარძლის კანი რბილი და სურნელოვანი ხდება... მეორე დღე სიმღერას ეთმობა. ისევ ცალ-ცალკე იკრიბებიან ნეფე-პატარძლის ნათესავები და მთელი დღეღამის განმავლობაში მღერიან. მესამე დღე გახლავთ — მეჰენდი. ამ დღეს პატარძალს ინით მოუხატავენ ხელებს — იდაყვამდე და ფეხებს — წვივამდე. რამდენიმე საათის შემდეგ, ინა შრება და პატარძლის კიდურებზე ძალზე ლამაზი ორნამენტები რჩება. შემდეგ, თუ ოჯახი ჰინდის რელიგიის მიმდევარია, სასულიერო პირი შეუღლების რიტუალს აღასრულებს. ამ დროს, ნეფე-პატარძალი 7 წრეს შემოუვლის ცეცხლის გარშემო. ამას სათფერა (სათ — შვიდი, ფერა — წრე) ჰქვია. წყვილი დებს ფიცს, რომ ერთმანეთს არ უღალატებს... თუ ოჯახი მუსლიმანური რელიგიის მიმდევარია, მეჩეთიდან მოდის მოლა... ამ დროს პატარძალი სადედამთილოსთან და სტუმარ ქალბატონებთან ერთად ოთახშია განცალკევებული. მოლა სამჯერ ეკითხება, არის თუ არა თანახმა ცოლად გაჰყვეს რჩეულს. შემდეგ აკეთებს ჩანაწერს თავის წიგნში, გადის მამაკაცების ოთახში და ახარებს მათ, რომ პატარძალი თანახმაა... ამის შემდეგ იწყება ლხინი.

ქორწილის დროს მთელი სახლი ვარდებითა და ზაფრან)ებითაა მორთული და ნეფე-პატარძალსაც ,ისერზე ყვავილების გირლანდები ჰკიდია, რომელსაც მალა ეწოდება. ინდოეთში არ ითვლება სირცხვილად ჭიპის ან მხრების გამოჩენა. სამაგიეროდ, მამამთილს თავსაბურავის გარეშე ვერ დაენახვები. ბრინჯსა და ზოგიერთ ეროვნულ კერძს პირდაპირ ბანანის ფოთლებიდან მიირთმევენ. ერთ რუპიად კი იმდენი ბანანი მოგივათ, რომ სახლამდე ვერ ზიდავთ...

სარის გარდა, ინდოელ ქალს შეუძლია, შარვალი და ზევიდან — კაბა ჩაიცვას. ამას შალვარ-კამირ ჰქვია; ასევე — სპეციალური, გამოსასვლელი კაბა, რომელსაც ლეჰენგა ეწოდება და მხოლოდ საკუთარ ან სხვის ქორწილში იცვამენ. სარის ფასი 2,5 დოლარიდან იწყება და შესაძლოა, რამდენიმე ათასსაც კი მიაღწიოს. ხალს, რომელიც გათხოვილი ქალის აუცილებელი ატრიბუტია, პინდი ჰქვია. ის შესაძლოა, სხვადასხვა ზომის და ფორმის იყოს, მისი ფერი კი, ტანისამოსთან შეხამებული უნდა იყოს. ამბობენ, რომ ეს მესამე თვალის სიმბოლოა. გასათხოვარი გოგონასთვის პინდი აუცილებელი არ არის, ის მხოლოდ წვეულებაზე წასვლისას იკეთებს ძალზე მბრწყინავ ხალს. გათხოვილი ქალისთვის ასევე აუცილებელია ფეხის თითზე ვერცხლის ბეჭდის, ფეხზე კი — ვერცხლის სამაჯურის გაკეთება, ასევე — ცხვირზე რგოლი. თუ ქალი დაქვრივდება, ცხვირიდან რგოლი უნდა მოიხსნას და ასევე, შუშის სამაჯურები, რომელსაც ყოველდღიურად ატარებს, კედელზე მირტყმით უნდა გატეხოს... სამაჯურების სიმრავლე იმის ნიშანია, თუ რამდენად უყვარს იგი ქმარს. თუ ქმარმა რამდენიმე მოწმის თანდასწრებით თქვა სიტყვა „გაყრა“, ქორწინება დარღვეულად ითვლება და ქალი შინიდან მიდის. მას უფლება აქვს წაიღოს ის ძვირფასი ნივთები, რომელიც უკეთია...

ინდოეთში თურმე ნარკომანია არ არის ისე გავრცელებული, როგორც მაგალითად, ევროპაში. სამაგიეროდ, იქ ქუჩაში

„ის თითქმის წელია საქართველოში ცხოვრობს და ქართველმა მეგობრებმა მიშა შეარქვეს“ (მაიკლ დაკოსტა მეუღლესთან ერთად)

იყიდება ე.წ. პლანი და მისი მოწევის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს. ასევე იყიდება თამბაქოს ფურცელზე მოთავსებული სხვადასხვა მცენარის ნარევი, რომელსაც პაან ჰქვია. მისი დაღეჭვის შედეგადაც, პირში წითელი ფერის სითხე გროვდება, რომელსაც გადააფურთხებენ; ეს პროცესი ადამიანზე ისეთსავე ზემოქმედებას ახდენს, როგორსაც ნარკოტიკი. პაანს იყენებენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები და ეს ძალზე მიღებულიც გახლავთ...

კომპანიას მსოფლიოს ყველა კუთხეში უამრავი სასტუმრო აქვს. ამის გამო გვიწევს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა

ზოგიერთი ინდური ტრადიციის გაცნობის შემდეგ, დროა, ჩვენი ინდოელი რესპონდენტი წარმოგიდგინოთ. ეს გახლავთ **მაიკლ დიკუსტა**. *ის თითქმის ორ წელზე მეტია, საქართველოში ცხოვრობს და ქართველმა მეგობრებმა მიშა შეარქვეს „გამარდჯობა!“ – ასე მოგესალმებათ შეხვედრისას, საუბრისას ათასჯერ მაინც გეტყვით – „ბოდიში, ქალბატონო“, – და ბოლოს, ქართულადვე დაგემშვიდობებათ. კიდევ იცის ფრაზები: „მოგეწონათ საჭმელი? გემრიელია? ჭამე...“ მაიკლი, ახვლედიანის ქუჩაზე, ძალზე ლამაზად მოწყობილ ბინაში ცხოვრობს და კედელზე ჩხეიძების საგვარეულო გერბიც უკიდია. რატომ?.. ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— ბატონო მიშა, როგორ მოხვდით საქართველოში?

– უკვე დიდი ხანია, „მერიოტ-კომპანიაში“ ვმუშაობ და კომპანია ხშირად მგზავნის სხვადასხვა ქვეყანაში. ამჯერად საქართველოში მომიწია წამოსვლამ. „ქორთიარდ-მერიოტში“ შეფ-მზარეულად ვმუშაობ...

— მარტო ხართ? თუ თქვენი ოჯახიც აქ ცხოვრობს?

– საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ოჯახის გარეშე მომიწია ჩამოსვლამ, რადგან აქ არ არის ინდური და ინგლისური სკოლა. ჩემი შვილები უკვე კოლეჯში სწავლობენ და ამიტომ უმჯობესი იყო, სამშობლოში დარჩენილიყვნენ. არც მე მქონდა უკან დახევის საშუალება და იძულებული გავხდი, ცოტა ხნით ოჯახს დავშორებოდი. უკვე 15 თვეა, საქართველოში ვცხოვრობ.

— მანამდე თუ იცოდით რაიმე ამ ქვეყნის შესახებ?

– საქართველოს შესახებ არაფერი მსმენოდა. როდესაც ფირმის წარმომადგენელმა მითხრა, ჯორჯიაში უნდა წახვიდეო, მეგონა, ამერიკის ჯორჯიაში მივდიოდი. შემდეგ მითხრეს, რომ ეს არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩეჩნეთის საზღვარზე მდებარეობდა. როდესაც ისტორიას ვსწავლობდი, მახსოვს, რომ ბაქოს შესახებ მასწავლებელმა გვითხრა – იქ ძალზე ბევრი ნავთობიაო. გავიხსენე, სად მდებარეობდა აზერბაიჯანი და შემდეგ, საქართველოც გავიხსენე. თავდაპირველად, აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ მენახა, რა პირობებში მომიხდებოდა ცხოვრება და მუშაობა; თუ არ მომეწონებოდა, შემეძლო უარი მეთქვა აქ დარჩენაზე...

— რატომ გადაწყვიტეთ დარჩენა?

– მე გახლავართ მართლმადიდებელი ქრისტიანი. პირველად თბილისში რომ ჩამოვედი, თვალში მეცა ეკლესიების სიუხვე. საითაც გავიხედე, ყველა მხარეს ტაძარი დავინახე. ოფისებშიც ყველგან წმინდა მარიამისა და წმინდი გიორგის ხატები დამხვდა. სწორედ ამან გადამწყვეტინა, რომ საქართველოში დავრჩენილიყავი. შემდეგ, გამაოცა აქაური ხალხის სითბომ. სამსახურში ყველამ ისე თბილად და გულღიად მიმიღო, რომ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... შემდეგ მაჩვენეს რამდენიმე ბინა, სადაც ქირით უნდა მეცხოვრა. მე ეს ავირჩიე. ძალზე მყუდრო და კარგი ბინაა. მის პატრონებს არ შევხვედრივარ, მათთან მოლაპარაკებას კომპანია აწარმოებდა. ვიცი, მხოლოდ, რომ გვარად ჩხეიძეები არიან და კედელზე მათი საგვარეულო გერბიც დამხვდა. მეც ხელი არ მიხლია. მომეწონა და დავტოვე...

— კიდევ რომელ ქვეყანაში მოგიწიათ მუშაობამ?

– კომპანია „მერიოტს“ მსოფლიოს ყველა კუთხეში უამრავი სასტუმრო აქვს. ამის გამო გვიწევს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა. ვყოფილვარ იორდანიაში, ჰონკონგში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მიმუშავია ინდოეთშიც... იქიდან კი საქართველოში წამოვედი. ალბათ მკითხავთ, რომელმა ქვეყანამ მოახდინა ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება. ძალზე მომეწონა ჰონკონგი. ეს უზარმაზარი ქალაქია. ყველაფერი ავტომატურად მუშაობს და ძალზე მაღალ დონეზეა მოწყობილი. ძალზე მაღალი შენობებია, ულამაზესი სავაჭრო ცენტრები... დუბაიში ცხოვრების დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სამშობლოში ვიმყოფებოდი, რადგან იქ ძალზე ბევრი ინდოელი ცხოვრობს. საქართველო ყველა ქვეყნისგან განსხვავებულია, რადგან იქ სილამაზე ადამიანის ხელითაა შექმნილი, აქ კი – ბუნებრივია. მოხიბლული ვარ ამ ქვეყნით. თანაც, იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩამოვთვალე, ძალზე ცივი ხალხი ცხოვრობს, ქართველები კი მეგობრული ადამიანები არიან.

— ახლა თქვენი აქაური საქმიანობის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვიყევით.

– მე ვხელმძღვანელობ სამზარეულოს. უშუალოდ კერძებთან შეხება არ მაქვს. ვანაწილებ თანხას, საქმეს და თუ რაიმე ახალი რეცეპტი შემომაქვს, მხოლოდ მაშინ ვიღებ ჩემს თავზე კერძის მომზადებას.

— რომელი კერძი ნახეთ საქართველოში ისეთი, მანამდე რომ არ გინახავთ?

– ეს გახლავთ ხაჭაპური. ჯერ მარტო მისმა უამრავმა სახესხვაობამ გამაოცა: აჭარული, იმერული, მეგრული, ფენოვანი, აჩმა... ასევე არსად მინახავს ჩაქფული, „ოსტრი“, ბაჟე... რაც შეეხება ხინკალს – ასეთი კერძი სხვა ქვეყნებშიც კეთდება. მაგალითად, იტალიაში მას დამპლინი ჰქვია, ჩინეთში – მომო, მაგრამ ყველაზე გემრიელი ხინკალი საქართველოში კეთდება.

— სხვა ქვეყანაში სამუშაოდ რომ წახვიდეთ, ქართული კერძების რეცეპტებით თუ გაამდიდრებთ სამზარეულოს?

– რაც ჩამოვთვალე, ყველა ამ კერძს აუცილებლად გავაკეთებ ევროპულ რესტორნებში: დარწმუნებული ვარ, რომ დიდი მოწონებით ისარგებლებს და კარგადაც გაიყიდება.

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა მოითხოვა დიუმა-უფროსმა პირველად ფოთში ჩასვლისას?

ა) თევზი;
ბ) ზღვაში გასეირნება;
გ) ღვინო.

2. რას ასმევდნენ ზანზიბარელი მეომრები თავიანთ საბრძოლო სპილოებს ბრძოლის წინ?

ა) მარილიან წყალს;
ბ) სპირტიან სასმელს;
გ) თაფლიან წყალს.

3. ვინაა განათლებით დათო გომართელი?

ა) ოკეანოლოგი;
ბ) ექიმი;
გ) მეღვინე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— ინდური კერძების შესახებ გვიამბეთ...

— ჩვენთან ყველა კერძს უკეთდება ძალზე ბევრი სუნელი და აუცილებლად ძალზე ცხარე უნდა იყოს. ქართველები ამბობენ, მეგრელების მოსაწონი კერძებიაო. ჩვენთან ნებისმიერი კერძი ისეთი ცხარეა, რომ შესაძლოა, მეგრელსაც კი გაუჭირდეს მისი შეჭმა.

— როგორც ვიცი, ინდოეთში ძროხის ხორცს არ ჭამენ...

— გააჩნია, ადამიანი რომელი სარწმუნოების მიმდევარია. პირადად მე, მშვენივრად გეახლებით. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები არ ჭამენ ღორის ხორცს, ზოგიერთი ინდოელი — საქონლისას, მაღალი კლასის რესტორნებში ყველანაირი კერძი მზადდება, ოღონდ, ჭურჭელი, რომელშიც ეს კერძი კეთდება, ცალკე უნდა ირეცხებოდეს და ინახებოდეს: ჩვენ ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ სხვათა ტრადიციებს.

— ინდოეთის შესახებ რას გვეტყვით? რით არის ის განსაკუთრებით გამორჩეული სხვა ქვეყნებისგან?

— აბა, რა გითხრათ... ჩემი სამშობლო ძალზე მიყვარს. მართალია, ისეთი სულაც არ არის, როგორსაც ფილმებში ხედავთ, მაგრამ საოცარი და ლამაზია. სხვა ქვეყნებისგან იმით გამოირჩევა, რომ ჩვენ დღესაც ეროვნული ტანისამოსით დავდივართ. ძალზე ძლიერად არის შემონახული ოჯახური ტრადიციები. ზოგიერთი უბანი საოცრად მდიდრულია, იქ ყველაფერი ყვავის და ბრწყინავს. ზოგ ადგილას კი საშინელი სიღარიბე სუფევს და ამასთან — სიბინძურეც. აქ გავიგე, რომ თბილისთან ახლოს ყოფილა ლილოს ბაზრობა. ჩემს თანამშრომელს კარგა ხანს ვეხვეწებოდი — ან წამიყვანე, ან მიმასწავლე, როგორ მოვხვდე ამ ბაზრობაზე-მეთქი. ბოლოს მითხრა — იქ რა გინდა, საშინელი სიბინძურეა და თავსა და ბოლოს ვერ გაუგებო. გულში გავიფიქრე — ინდოეთზე მეტი სიბინძურე ხომ არ იქნება-მეთქი. თუმცა, გადავიფიქრე და აღარ წავედი...

— ქართულ სასმელს თუ გაუსინჯეთ გემო?

— კი, ძალზე მომწონს სახლში დამზადებული ქართული ღვინო, განსაკუთრებით — წითელი. დავმთვრალვარ და ჩავმთვრალვარ კიდეც ამ ღვინით. ჩემმა ქართველმა მეგობრებმა იციან, რომ აქაური ღვინო მიყვარს და თუ სადმე მოიხელთებენ, აუცილებლად მჩუქნიან ხოლმე.

— ეკლესიაში დადიხართ?

— ძალზე მიჭირს დილით ადრე ადგომა, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც ვახერხებ, რომ წირვაზე წავიდე. ყოველ დილით და საღამოს, დაწოლის წინ, შინ ვანთებ სანთელს და ვლოცულობ.

— სამშობლოში რომ დაბრუნდებით და ოჯახის წევრები საქართველოს შესახებ გკითხავენ, რას მოუყვებით?

— ვუამბობ, თუ როგორი ლამაზია საქართველო, რა თბილი და მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს, ასევე თქვენი ტრადიციებისა და აუცილებლად სასმელების შესახებ. საქართველოდან სუვენირებს წავიღებ და ჩემი ოჯახის წევრებს გავახარებ... ნელ-ნელა ენასაც ვითვისებ. ჩემი თანამშრომლები ძალზე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საქმეს და თითოეული ქართული სიტყვის მნიშვნელობას დაწვრილებით მიხსნიან ხოლმე. წასვლამდე, ალბათ კარგად ვისწავლი. მინდა, რომ ჩემს ქართველ მეგობრებს მშობლიურ ენაზე ველაპარაკო.

საუბრის დასასრულს მაიკლის მიერ მომზადებული ინდური კერძებიც დავაგემოვნე და მაშინ მივხვდი, თუ რატომ ლაპარაკობენ მეგრელები ასე სხაპასხუპით და თან თვალებიდან ნაპერწკლებს რატომ ყრიან... ■

ჩემი შვილები კოლეჯში სწავლობენ და უმჯობესი იყო სამშობლოში დარჩენილიყვნენ...

თმით დადგენილი დიაგნოზი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ბავშვების თითქმის 45%-ს აღენიშნება ტვინის მცირე დისფუნქციის სინდრომი, რომელიც სისხლში მაგნიუმის დეფიციტთანაა დაკავშირებული. ეს სინდრომი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ბიჭუნებში. მაგნიუმის დეფიციტი იწვევს ნერვებიდან ორგანოებზე ნერვული იმპულსის გადამცემი ნეირომედიატორების დისბალანსს. მაგნიუმი მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე უჯრედული პროცესების სტიმულაციაში, თავის ტვინში ნეიროპეპტიდების სინთეზში, შედის 300-ზე მეტი ფერმენტის შემადგენლობაში. მასზეა დამოკიდებული მეხსიერება, ქცევითი რეაქციები ზოგადად და განსაკუთრებით — სტრესის დროს.

მინერალს განსაზღვრავენ სისხლის ერითროციტებში შემცველობით, მაგრამ უფრო სარწმუნოა თმის სპექტრული ანალიზი: ნორმაში ერითროციტში მისი შემცველობა 0,65-1,1 მმოლ/ლ-ია, თმაში კი — 23 მკგ/გ.

მაგნიუმი სხვა მიკროელემენტების მსგავსად არ სინთეზირდება ორგანიზმში — მას საკვებთან ერთად ვიღებთ. დღიური მოთხოვნილება ბავშვებისათვის თითოეულ კგ-ზე 5-10 მკგ-ია, მოზრდილთათვის კი — 350 მკგ.

მაგნიუმის დეფიციტი ბავშვებში ჯერ კიდევ დედის ორსულობის პერიოდში იწყებს განვითარებას. თუ მომავალი დედა ფიგურის შენარჩუნების მიზნით დიეტით იტანჯავს თავს ან ეტანება ალკოჰოლს, ნარკოტიკებს, ეწევა სიგარეტს, იღებს ანტიბიოტიკებს, საფაღარათო საშუალებებს, შარდმდენებს, მაშინ ბავშვს მაგნიუმის დეფიციტი გარანტირებული აქვს.

ადრეულ ასაკში, ტვინის მცირე დისფუნქციის მქონე ბავშვები მოუსვენრები, მტირალები არიან, ასაკის მატებისას კი, არ შეუძლიათ ერთ ადგილას ყოფნა, დარბიან, ხტუნავენ. ბევრი ძილშიც კი იქნევს ფეხებს, საწოლში წრიალებს. მათ შეიძლება ჰქონდეთ კრუნჩხვა, გახშირებული სუნთქვა, გულის აჩქარება, ღამით შარდის შეუკავებლობა. ბავშვები ვერ აკონტროლებენ თავიანთ ქცევას სტრესის დროს და არაადეკვატურად რეაგირებენ, რის გამოც მათ ხშირად, უმართავებსაც კი უწოდებენ. თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კანზე ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება, უსაფუძვლო გულის წასვლის შეგრძნება, დეზორიენტაცია — ამ სინდრომის დამახასიათებელი ნიშნებია. ნევროპათოლოგები კიდევ პოულობენ პათოლოგიურ სიმპტომებს: თავის ქნევას, ხელების კანკალს, კანის მგრძნობელობის დარღვევას. ღრმა დეფიციტის დროს კი, ტვინის სიმპტომატიკა ვლინდება.

დეფიციტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი პათოლოგიების განვითარებისას, როგორებიცაა: ბრონქული ასთმა, ხშირი გაცივება, სიმსივნე, რევმატიზმი, მგლურა, ნეიროდერმიტი, თირკმლების დაავადებები.

მაგნიუმის რაოდენობის შემცირების კვალდაკვალ, ხდება სხვა მიკროელემენტების: სელენის, ქრომის, ტყვიის, რკინის, კალიუმის, ნატრიუმის მნიშვნელოვანი მატება, რაც უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე.

ტვინის მცირე დისფუნქციის დიაგნოზის დასმა დაკვირვებულ მშობლებს თავად შეუძლიათ, თუ ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ მათი დამჯერი შვილი გაღიზიანებული, ფეთქებადი, ბრაზიანი გახდა, ვეღარ სწავლობს, დაიკლო წონაში, ერთი სიტყვით — „რთულ“ ბავშვად იქცა.

მკურნალობის გარეშე სიმპტომატიკა ძლიერდება და ვითარდება ტვინის სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, ნევროზი, ჰიპერტონია, ბრონქული ასთმა. რაც უფრო დროულად დაიწყება მკურნალობა, მით მეტია გამოჯანმრთელებისა და ბევრი უსიამოვნების თავიდან აცილების შანსი.

ტვინის მცირე დისფუნქციის მკურნალობაში მნიშვნელოვანი როლი მშობლებს ეკისრებათ. ბავშვს სჭირდება გაგება, ყურადღება და სითბო. არ შეიძლება ავადმყოფობასთან პირისპირ მისი მარტო დატოვება, სხვაგვარად სიტუაცია გამწვავდება და უკონტროლო გახდება.

დაიწყეთ დღის რეჟიმის მოწესრიგებით. დასვენება შეუნაცვლეთ გაკვეთილების მომზადებას. არ შეიძლება შუადამემდე გაკვეთილების ზუთხვა. დღის მეორე ნახევარში, ბავშვი მოარიდეთ საშინელებათა ფილმებს, გამაღიზიანებელ მუსიკას, საუბრებს. ძილის წინ სასურველია გასეირნება. დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დააწვინეთ.

კვება დიდ როლს თამაშობს ორგანიზმში მაგნიუმის რეზერვის შევსებაში. სწრაფი კვების პროდუქტების მიღება მაგნიუმის 70-80%-ის დაკარგვას იწვევს! მინერალები ბევრია თევზში (განსაკუთრებით წითელში), ნიგოზში, სოიაში, ჰალვაში, შოკოლადში, ხილში, კენრაში, შავ მოცხარში, მარწყვში, ბალსა და ალუბალში, საზამთროში. მწვანე ხახვის ფოჩები, კამა და ოხრახუში ლიდერობს მინერალის შემცველობის თვალსაზრისით. მიეცით ბავშვს ყვითელი ციტრუსი (თუ ალერგია არა აქვს), ჭარხალი. ხორცი, ხაჭო, კვერცხი არ უნდა შეუზღუდოთ, ყავა კი მისთვის საჭირო არ არის, ალკოჰოლი და ლუდი დაუშვებელია!

თქვენს შვილს არ წაადგება „კოკა-კოლა“ და სხვა აღმგზნები სასმელები, სხვადასხვაგვარი „სახრამუნო“ ჩიფსები, ალეჭი რეზინი, ცხარე სანელებლები, რომლებიც თრგუნავს იმუნიტეტს.

ტვინის მცირე დისფუნქციის მკურნალობაში გარკვეულ როლს თამაშობს **ფიტო და არომათერაპია**. აიღეთ თანაბარი რაოდენობით ვალერიანის ძირები, გვირილა, პიტნა და შვიტა, შეურიეთ ერთმანეთს; ამ ნარევის ერთ ს/კ-ს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი; ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 10-15 წთ. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დოზა 1 ჩ/კ-ია, სკოლის მოსწავლებისთვის — 1 ჩაროზის კოვზი, ხოლო უფროსებისთვის — 1 ს/კ; მიიღეთ 3-ჯერ დღეში ჭამამდე, 1 თვის განმავლობაში.

კარგი დამამშვიდებელი ეფექტი აქვს ლიმონს, კოწახურს, ნესვს, კიტრს.

ასევე დამამშვიდებლად მოქმედებს მარილის აბაზანები გვირილითა და ლავანდით. პროცედურის ხანგრძლივობა 20-30 წთ უნდა იყოს, კურსი — 10 აბაზანა.

ტვინის კვების გასაუმჯობესებლად ნევროპათოლოგებს უყვართ გლიცინის, ანინალონის, ნოოტროპილის, ცერებროლიზინის, პიკამილონის დანიშვნა. ენცეფაბოლი ინიშნება ბავშვის ასაკის მიუხედავად, ნოოპასიტი კი — 12 წლიდან.

მშობლებო, გახსოვდეთ, ტვინის მცირე დისფუნქციის პროფილაქტიკა უფრო იოლია, ვიდრე მისი მკურნალობა. ■

სტომატოლოგთან ვიზიტის შემდეგ



თუჯი გაუტკივარება გაგიკეთეს

გაუტკივარების ნემსის გაკეთების შედეგად, შეიძლება შენელდეს ორგანიზმის რეაქციები, ამიტომ არ ღირს უახლოესი რამდენიმე საათის განმავლობაში საჭესთან დაჯდომა. ვიდრე გაუტკივარების პრეპარატი მოქმედებს, ნუ შეჭამთ ცხელ კერძს და ნუ დალევთ ცხელ სასმელს – ლორწოვანის მგძნობელობა დაქვეითებულია და შესაძლოა, დაიწვათ ისე, რომ ვერ იგრძნოთ.

თუ რაღაც გიშლით

ახალნამკურნალევი კბილი შეიძლება მგრძნობიარე იყოს ცხელსა და ცივზე. დროთა განმავლობაში ეს მომატებული მგრძნობელობა გაივლის. თუ კბილი „რეაგირებს" ერთი თვის შემდეგაც განაგრძობს, მიმართეთ ექიმს!

თუ გაუტკივარების გავლის შემდეგ შენიშნავთ, რომ ბუენი ან გადაკრული გვირგვინი გიშლით ღეჭვისას ან რომელიმე ადგილას ფხაჭნის ირგვლივ მდებარე ქსოვილებს, ნუ დაელოდებით, რომ ყველაფერი თავისთავად გაივლის. თუ დიდხანს მოითმენთ, დატვირთვა გაიზრდება ამ კბილებთან კონტაქტში მყოფ სხვა კბილებზე, რაც მათი ფესვების ანთებასა და კბილის ძლიერ დაზიანებას გამოიწვევს.

თუ სისხლდენა დაიწყო

თუ კბილი ამოგიღეს ან რაიმე ოპერაციული ჩარევა დაგჭირდათ, ექიმი აუცილებლად დაგადებთ ბამბის ტამპონს ჭრილობაზე სისხლდენის შესაჩერებლად. თუ ექიმი არ მოგცემთ სპეციალურ მითითებებს, ტამპონი შეგიძლიათ მოიშოროთ დაახლოებით ერთ საათში. თუ ჭრილობიდან სისხლი ისევ მოდის, შეგიძლიათ ჩაიდოთ ახალი სტერილური ტამპონი, დააჭიროთ ჭრილობას ყბის ძვლების მოჭერით. თუ ამის შემდეგაც ორი საათის განმავლობაში სისხლდენა არ შეწყდება, ისევ მიმართეთ ექიმს.

ნუ გამოწვავთ სისხლს ჭრილობიდან, თუ ასეთი რეკომენდაცია ექიმს არ მოუცია. კბილები ჩვეულებისამებრ გაიხეხეთ ისე, რომ ჭრილობას არ შეეხოთ.

თუ ტკივილმა არ გაგიარათ

ყველანაირი ოპერაციული ჩარევის შემდეგ, ტკივილი და შეშუპება ჩვეულებრივი ამბავია. შეშუპება, როგორც წესი, განსაკუთრებულად გამოიხატება მეორე დღეს, შემდეგ თანდათანობით ცხრება. პირველი 3 დღის განმავლობაში შეშუპების არეში შეიძლება ცივი კომპრესების გაკეთება (გარედან, ღრძილის შესაბამის ადგილას). ეს ხელს უწყობს შეშუპების შემცირებას და ტკივილსაც აყუჩებს. კომპრესისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ყინულის ნატეხი: 15 წუთით დაიდეთ ანთებით უბანზე, 15 წუთი შეისვენეთ.

ოპერაციული ჩარევიდან პირველი 3 დღის განმავლობაში უნდა დაზოგოთ საკუთარი თავი: არ შეიძლება დატვირთვა, ფიზიკური ვარჯიში. თუ მესამე დღეს, მოულოდნელად დაგეწყებათ ტკივილი ან განვითარდება შეშუპება, დაუყოვნებლივ მიმართეთ სტომატოლოგს. ■

მოცეკვავე რობოტები

სამეჯლისო ცეკვების შესწავლაში ან უბრალოდ დროის სასიამოვნოდ გატარებაში დაგეხმარებიან იაპონური კომპანია Nomura Unison-ის მიერ შექმნილი რობოტები. ლაზერული სენსორების მეშვეობით რობოტი აღიქვამს პარტნიორის თითოეულ მოძრაობას და შეუძლია თავისი სამი ბორბლით ნებისმიერი მიმართულებით იმოძრაოს. ავტორთა აზრით, რობოტი წარმატებით შეასრულებს ცეკვის მასწავლებლის როლს. მის პროგრამაში ჩადებულია კლასიკური მოძრაობები, რომელთა ათვისების შემდეგ ნებისმიერი მსურველი შეძლებს საღამოს წვეულებაზე ღირსეულად გამოიყურებოდეს. ■

როგორ მოვუაროთ ხელებს?

ხელებს ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორიც თმას, სახეს. მოვლილი ხელები პატრონის ელეგანტურობაზე მიგვანიშნებს. ბუნებამ ყველას ერთნაირად ლამაზი ხელები როდი არგუნა, მაგრამ მათი მოვლა ნებისმიერს შეუძლია. ხელები, ოდითგანვე სილამაზის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. მათი საშუალებით შეგვიძლია ამოვიცნოთ — ვინ დგას ჩვენ წინ. ამბობენ: ქალი რაც არ უნდა კარგად გამოიყურებოდეს, მის ასაკს ხელები გათქვამსო. როგორ მოვუაროთ ხელებს ისე, რომ იდეალურად გამოიყურებოდეს? ამ პრობლემის გადაჭრაში კოსმეტოლოგი ნანა სტურუა დაგვეხმარება.

ლიკა ქაჯაია

– ხელებით ბევრი რამის გამოცნობაა შესაძლებელი. ექიმები მიიჩნევენ, რომ თითების საშუალებით შეუძლიათ დადგინონ, აქვს თუ არა ადამიანს ესა თუ ის დაავადება. მაგალითად, თუ თითის წვერები მუქი წითელი ან მოლურჯო გაქვთ, თირკმლების და ღვიძლის პრობლემა გაქვთ; თუ თითის წვერები გიხურთ, საჭმლის მომნელებელ სისტემას უნდა მიხედოთ; თუ ხელები მუდმივად ცივი გაქვთ, შესაძლოა, ანემია ან გულის უკმარისობა გაწუხებთ და ა.შ.

— ხელებს იმდენი საქმის კეთება უწევს, რომ ყველაზე ხშირად, სწორედ მისი კანი უხეშდება...

– ნებისმიერი შავი სამუშაოს შესრულების დროს, მით უმეტეს, თუ წყალთან გაქვთ საქმე, რეზინის ხელთათმანი ჩაიცვით. თუ

| ქართული ბალეტის დამსახურებული მოღვაწე, ვახტანგ... | | |

მძიმე (ე.წ. ეზოს) სამუშაოს ასრულებთ, ხელებზე კრემი წაისვით, პუდრი დაიყარეთ და ხელთათმანი ამის შემდეგ ჩაიცვით... როგორც სახის კანს, ხელებსაც უყვარს ნიღაბი, კომპრესი, აბაზანა. განსაკუთრებით ეფექტურია მცენარეული ზეთის (მაგალითად, ვარდის ზეთის) აბაზანა, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. სხვათა შორის, ეს პროცედურა ფრჩხილებისთვისაც სასარგებლოა.

— თუ მუშაობის დროს ხელზე კოჟრი გაგვიჩნდა, როგორ მოვიქცეთ?

– მის მოსაშორებლად კარგია სოდიანი თბილი წყლის აბაზანები, რომლის შემდეგაც, აუცილებლად უნდა იხმაროთ მცენარეული ცხიმი ან მკვებავი კრემი... მძიმე სამუშაოს შესრულების შემდეგ, ხშირად, ხელის კანი უხეშდება და სკდება. ამ შემთხვევაში კარგია, თუ მოვამზადებთ გვირილის ან ვირისტერფას ნახარშს: 2 ს/კ ბალახი შევურიოთ 1 ლ წყალს, გავაცხელოთ, ჩავასხათ ტაშტში და ცხელ ნახარშში (ისეთში, რომ ხელი არ დავიწვათ) ჩავყოთ ხელი 15-20 წთ-ის განმავლობაში. აბაზანის შემდეგ, ხელები კრემით დავიტენიანოთ. თუ ამ ნახარშის მომზადების საშუალება არა გვაქვს, ავიღოთ ლორის გამდნარი ქონი, კარგად წავისვათ ხელებზე, 30 წთ-ის შემდეგ ჩამოვბანოთ ჯაგრისით და თბილი, საპნიანი წყლით. კარგად გავიმშრალოთ და კანის დასამშვიდებლად წავისვათ ნებისმიერი კრემი.

— რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხელის კანი არ გამოშრეს?

– მშრალი კანი უფრო თხელია, ნაზი, ადვილად ღიზიანდება ქარის, მზის, ყინვის, საპნის, კოსმეტიკური საშუალებების ზემოქმედებით. თუ ასეთი კანი საპონს ვერ იტანს (წითლდება, დაჭიმვის შეგრძნება ვითარდება, იქერცლება), დაბანის შემდეგ აუცილებლად უნდა ვიხმაროთ მკვებავი კრემი, რომელიც 2-3 თვეში ერთხელ უნდა შევცვალოთ. მშრალი კანისათვის რეკომენდებულია ალოეს, სპერმაცეტის და სხვა კრემები... ხელების დაბანა საჭიროა თბილი წყლითა და ხელის საპნით. ამ მიზნით სარეცხი საპნის ხმარება არ შეიძლება, რადგან მისი შემცველი ტუტე აშრობს და აღიზიანებს კანს. ხელები კარგად უნდა გაიმშრალოთ რბილი პირსახოცით და წაისვათ მკვებავი კრემი... ცხიმიან კანს დღეში 2-3-ჯერ სჭირდება ცხელი წყლითა და საპნით დაბანა. საპნით დაბანის შემდეგ კარგია, თუ ძმრიან წყალს (1 ჩ/კ 1 ლ წყალზე) ან ლიმონის მჟავის წყალხსნარს (1 ჩ/კ 1 ლ წყალზე) გადაივლებთ.

— თუ კანი უკვე გამოგვიშრა, როგორ მოვიქცეთ?

– ძილის წინ უნდა გაიკეთოთ ე.წ. კონტრასტული აბაზანები: აიღეთ 2 თასი, თითოეულ მათგანში თანაბარი რაოდენობით ჩაასხით სახამებლის წყალხსნარი (1 ჩ/კ სახამებელი 1 ჩ/ჭ წყალში). ერთი თასი შეათბეთ, მეორეში ცივი ხსნარი დატოვეთ... ხელები მონაცვლეობით – ჯერ თბილ ხსნარში ჩაყავით, მერე – ცივში. ასე გაიმეორეთ რამდენჯერმე... კარგია ასევე ალოეს ნიღაბი: გაასუფთავეთ მცენარის ფოთლები, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებულ ფაფას დაამატეთ წყალი (2 ს/კ 1 ლ წყალზე). ამ ნარევში ხელები 10-15 წუთი გააჩერეთ. აბაზანის შემდეგ, ცხიმიანი კრემი წაისვით.

— თუ ხელები ხშირად გვიოფლიანდება, რა პროცედურები უნდა ჩავიტაროთ?

– ხელების კანის ზედმეტი ოფლიანობის შემთხვევაში, დასაბან წყალში ჩავასხათ ნიშადურის სპირტი (1 ჩ/კ 1 ლ წყალზე). ოფლიანობის გამო, კანი ხშირად უხეშდება, მერე კი აქერცლას იწყებს: 1 ლ წყალში ჩავასხათ 2 ჩ/კ ნიშადურის სპირტი, 1 ჩ/კ საჭმელი სოდა, 1 ჩ/კ შამპუნი, 2 ს/კ ალოეს ფაფა. 10-15 წთ-ის განმავლობაში, ხელები ხსნარში გააჩერეთ, შემდეგ გაიმშრალეთ და კრემი წაისვით.

— როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს?

– ფრჩხილების მიხედვით შეიძლება შეიტყოთ, რომელი ორგანოს დაავადება გაქვთ: თუ ფრჩხილზე თეთრი ლაქები შეინიშნება, ეს ხშირად, სისხლში შაქრის მაღალი დონის მაჩვენებელია ან ტკბილეულის გადამეტებულ მირთმევაზე მიგვითითებს; ყვითელი ლაქები – ზედმეტად ცხიმიან საკვებს იღებთ ან სიგარეტს ეწევით; თუ ფრჩხილები გიშრებათ, ეს საკვერცხეების დისფუნქციაზე მიუთითებს, მტვრევადი ფრჩხილები კი – ანემიაზე.

— როგორ მოვიქცეთ, თუ ფრჩხილები გვემტრევა ან გვექერცლება?

– აიღეთ 2 ს/კ ზეითუნის ზეთი, დაუმატეთ 5 წვეთი ლიმონის წვენი და შეათბეთ. ამ სითხეში 15 წუთის განმავლობაში გააჩერეთ თითები. პროცედურა ყოველდღე, ძილის წინ გაიმეორეთ. სითხეს ნუ გამოცვლით, შემდეგი ხმრებისას ახლოდ გაათბეთ. კარგია ასევე, შემდეგი ხსნარი: 1 ჩ/კ გადადუღებულ წყალს შეურიეთ 2 ს/კ მარილი. ოდნავ ცხელ ხსნარში თითები 15-20 წთ-ით გააჩერეთ. ამ პროცედურის შემდეგ, ხელები დაიბანეთ თბილი წყლით, კარგად შეიმშრალეთ და ფრჩხილებზე გადაისვით იოდი. გაითვალისწინეთ: რაც უფრო ხშირად იჭრით ნუნებს, მით უფრო სწრაფად იზრდება იგი. უმჯობესია, კი არ მოიჭრათ, არამედ გადაწოთ ხოლმე. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ნუნების დაჭრის დროს ვაზიანებთ ფრჩხილს... ფრჩხილის გადაჭრას მისი გაქლიბვა სჯობს. ამ შემთხვევაში, ფრჩხილი სიმაგრეს ინარჩუნებს. დაბოლოს: თუ რომელიმე თითზე ფრჩხილის სოკო გაქვთ, არ მოიჭრათ ან არ გაიქლიბოთ დაავადებული ფრჩხილი იმავე მაკრატლით ან ქლიბით, რომლითაც სხვა ფრჩხილებს იმუშავებთ. ■

...ში ...ლი ...სი, ...ო	... მოტანილს ქარივე წაიღებსო	ქალაქი სამეგრელოში	აკირა კუროსავა „... სამურაი“	ტალახი	ინდოეთის დედაქალაქი	ლაშქარი	კუმ ფეხი გამოყო: მეც ...-ნახირო	იუპიტერის თანამგზავრი			
ტკბილი ნივთიერება	სულხან-... ორბელიანი	„იყო ... მგალობელი“	დღის დასაწყისი	კუბის ლიდერი ... კასტრო რუსი	ფოთლოვანი ბოსტნეული	...-დეკანეირო					

რა არის ცნობილი ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ

საქართველოში არსებულ სიწმინდეთაგან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდეა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი, რომელიც ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ეს უდიდესი სიწმინდე, მუზეუმში, ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიიდან 1923-36 წლებში მოხვედრილა (ცნობილია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ძველთაგანვე თაყვანს სცემდა და მოკრძალებით ეპყრობოდა ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიწმინდეებს, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო — გარეშე მტრების შემოსევებისა და შინააშლილობების დროს, სიწმინდეების დიდი ნაწილი განადგურებულა, ნაწილი კი მუზეუმებსა და სხვა ადგილებში დამკვიდრებულა და დღემდეა შემონახული, რომელთა შორისაა ზუგდიდის მუზეუმში დაცული სახელგანთქმული კვართი ღვთისმშობლისა). ღვთისმშობლის კვართი მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის სკივრში. იგი შემკობილია ძვირფასი თვლებით, ღვთისმშობლის გამოსახულებით და აქვს მხედრული წარწერა, რომელიც ლევან II დადიანის (1611-67 წწ.) დაკვეთით გაუკეთებიათ.

შორენა მერკვილაძე

საეკლესიო გადმოცემა გვაუწყებს, რომ კვართი, რომელიც დღესდღეობით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს და უიშვიათეს სიწმინდეს წარმოადგენს, წმინდა მარიამს იესოზე მშობიარობის დროს ემოსა. იგი სელისგანაა ნაქსოვი: „კვართი თავის დროზე დეკორით ყოფილა შემკობილი, მაგრამ დროთა განმავლობაში საღებავი გადასულა. ამჟამად იგი უფრო ტილოს წაგავს, თუმცა როდესაც კვართი ფირზე გადაიღეს, გამოჩნდა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება და სხვადასხვა კონტურები, რომელთა დანახვა ჩვეულებრივი, შეუიარაღებელი თვალით ვერ ხერხდება“ („ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები“).



ღვთისმშობლის კვართის საქართველოში არსებობის შესახებ, მითითებულია ისტორიულ წყაროებში: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „ჰერანგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა სასწაულმოქმედი“ ინახება ხობის მონასტერში. ამ უდიდესი სიწმინდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობას ადასტურებენ: 1640 წელს, ლევან დადიანთან მყოფი რუსი ელჩები — ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარევი; XVII საუკუნის თეატინელთა ორდენის ბერი, ჯუზეპე მარია ძამპი, ალექსანდრიის პატრიარქი, რომელიც XVII საუკუნეში მოგზაურობდა საქართველოში; იმერეთის სამეფო კარზე 1650-1652 წლებში მყოფი რუსი ელჩები — ალექსი ივლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ათონელი ბერები, რომლებიც ათონის მონასტრიდან იყვნენ გამოგზავნილი შესაწირავის ასაკრებად; ექვთიმე თაყაიშვილი, თავის არქეოლოგიურ მოგზაურობაში, ხობის ეკლესიაში დაცულ საგანძურთა შორის აღწერს სანაწილე კოლოფს, რომელშიც ინახებოდა ღვთისმშობლის კვართი და სხვა ნაწილები.

რა არის ცნობილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ?

ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ, ორი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ერთი ვარაუდით, ეს უდიდესი სიწმინდე, ჩამოიტანეს VIII საუკუნეში, ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან; მეორე ვარაუდით, კვართი საქართველოში ჩამოტანილია XV საუკუნეში, იმ წმინდა მამათა მიერ, რომლებიც კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ, თურქთა ტირანიას სამეგრელოში გამოერიდნენ.

აი, რას წერს ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ თეატინელთა ორდენის ბერი, ჯუზეპე მარია ძამპი, რომში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში: „ამ ხალხს (ე.ი. ქართველებს) ბევრი რელიკვია აქვს, რომლებიც მათ უპირველეს ყოვლისა მიიღეს იმ დროს, როცა აქ, საქართველოში ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიკვიებს უგზავნიდნენ საჩუქრად. ეს რელიკვიები, მიიღეს აგრეთვე, ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. დაბოლოს, რელიკვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომლებიც თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ. ამბობენ, რომ მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველისოდენი ნაჭერი ძელი ჭეშმარიტებისა და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა; ჩვენს პატარებს უნახავთ ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი — ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება“...

გადმოცემით, ღვთისმშობლის კვართთან უამრავი კურნებანი და სასწაულები აღესრულებოდა, ეს უდიდესი სიწმინდე დღემდე მრავალ სასწაულს ახდენს. ამიტომ მასთან შეხებისა და თაყვანისცემის სურვილი უამრავ მორწმუნეს უჩნდება. ყოველწლიურად, 15 ივლისს (როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულს აღნიშნავს), ღვთისმშობლის კვართი მუზეუმიდან გამოაქვთ და მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დააბრძანებენ. საღღესასწაულო წირვა-ლოცვის შემდეგ, მორწმუნეებს საშუალება ეძლევათ, მიეახლონ და თაყვანი სცენ ამ უდიდეს სიწმიდეს. ■

როგორ იშვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი

მორენა მერკვილაძე

21 სექტემბერს, მართლმადიდებლური სამყარო ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობას დღესასწაულობს. შობა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როდესაც უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყნიერებას მოუვლინა მშობელი უფლისა — ყოვლადწმინდა მარიამი, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა...

ღვთისმშობელი დაიბადა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში. წმინდა მარიამის შობის შესახებ, მოთხრობილია იაკობ მოციქულის აპოკრიფულ თხზულებაში — „შობა მარიამისა“.

წმინდა ქალწულ მარიამის მშობლები იყვნენ მართალი იოაკიმე (წინასწარმეტყველი დავით მეფის ტომისა) და მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის — აარონის შთამომავალი. ისინი ძალზედ ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ, მაგრამ დიდი სადარდებელი ჰქონდათ — შვილი არ ეძლეოდათ, რადგან ანა უშვილო იყო. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობის ასაკს. იოაკიმე, უფლის დიდ დღესასწაულებზე, ყოველთვის ორმაგ მსხვერპლს სწირავდა — ერთს ღმერთის სახელზე, მეორეს კი ღარიბ-ღატაკთათვის. ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლშეწირვის დროს, იოაკიმემ პირველმა გადასცა რაბინს თავისი შესაწირავი, მაგრამ ებრაელებმა იუკადრისეს ეს და უთხრეს, რომ მას არ ჰქონდა უფლება პირველს შეეწირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა დაასახელეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).

მომხდარის გამო იოაკიმე ღრმა მწუხარებით აღივსო, გადაწყვიტა მოევლო ისრაელის თორმეტივე ტომი, რათა ენახა, მის გარდა თუ იყო კიდევ რომელიმე მართალი უშვილოდ დარჩენილი. აღმოჩნდა, რომ ყველა მართალს შვილი ჰყავდა. იოაკიმემ ჩათვალა, რომ იგი არ იყო საკმარისად მორწმუნე და ამიტომაც არ წყალობდა ღმერთი. დარდით მოსილმა, ისე, რომ შინაც არ შეუვლია, სამოღვაწეოდ უდაბნოს მიაშურა, სადაც 40 დღე-ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა, მხურვალე ლოცვაში.

შინ დარჩენილმა ანამ მეუღლის შესახებ არაფერი იცოდა და უშვილობასთან ერთად უკვე ქვრივობასაც გლოვობდა. იგი თითქმის არავის ეჩვენებოდა.

როდესაც უფლისათვის მსხვერპლის შეწირვის დღე დადგა, მხევალმა იუთინემ ანას სამეფობეჭდიანი თავსაფარი მიუტანა და უთხრა რომ დღესასწაულზე გაჰყოლოდა. ანამ მის წინადადებაზე უარი განაცხადა, იუთინემ უშვილობა დააყვედრა: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორის!“ მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსი გაიხადა, საზეიმო სამოსით შეიმოსა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩაჯდა და უფალს მხურვალედ შესთხოვა, რომ მისთვის შვილი მიენიჭებინა. თან მწარედ მოთქვამდა: „ვერ ვემსგავსები მიწასაც კი, რადგან მიწაც გამოიღებს ნაყოფს ჟამსა თვისსა და ისიც შენ გაკურთხებს უფალო“.

ამ უსაზღვრო მწუხარების ჟამს, ანას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა აღთქმა დადო, შვილი უფლისთვის შეეწირა, რათა მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმსაც აუწყა, რომ მალე შვილი შეეძინებოდა. იოაკიმემ მადლი შესწირა უფალს მისი ვედრების შესმენისთვის და შინისაკენ გაემართა. შინ მისულს წინ მეუღლე შეეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მეორე დღეს იოაკიმემ უხვი საბოძვარი შესწირა ტაძარს: ათი უმანკო კრავი ღვთისთვის, თორმეტი ჩვილი ხბო მღვდლებისა და პატივსაცემი მოხუცებისათვის და ასი ვაცი მთელი ხალხისათვის.

9 თვის თავზე ანამ იმშობიარა. მას ასული შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს (სახელი მარიამი მას ღმერთის ბრძანებით მიეცა და ნიშნავს ქალბატონს). ასე იშვა ყოვლადწმინდა მარიამი, მშობელი განკაცებული უფლისა: „წმინდა ქალწული უმაღლესია ყველა გონიერ არსებათა შორის. იგი შეუდარებლად აღემატება თვით უმაღლეს ანგელოზებს — ქერუბიმებსა და სერაფიმებს, ყველა წმინდა ადამიანს. იგი — ყველა მიწიერი და ზეციური ქმნილების მფლობელი და დედოფალია“, — ბრძანებს წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე ბრიანჩანინოვი.

ღვთისმშობლის შობის სადღესასწაულო წირვაზე განდიდებულია ეს უდიდესი მოვლენა — შობა ყოვლადწმინდა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისა, რომლის ქვეყნად მოვლინებითაც დასაბამი მიეცა ცოდვით დაცემული კაცობრიობის მარადიული სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნას, რამეთუ მას ხორციელად უნდა ეშვა შემოქმედი ყოველი ხილულისა და უხილავისა — უფალი ჩვენი იესო ქრისტე. სწორედ ღმერთის — თავისი და ყველა ადამიანის გამომხსნელი — შობით, ღვთისმშობელი იმ უცოდველ ანგელოზებზე მეტად განდიდდა, რომელთაც სიკვდილი არ განუცდიათ და გამოხსნასაც არ საჭიროებენ.

„მართალი მშობლებისგან შობილი წმინდა მარიამი თავის ცხოვრებასაც მართლად წარმართავდა, მისი მთავარი სათნოება იყო სიწმინდე და სიმდაბლე. იგი განუწყვეტლივ ლოცულობდა, კითხულობდა და სწავლობდა წმინდა წერილს. იგი არამცთუ არ იყო რაიმე სასიკვდილო ცოდვის თანაზიარი, არამედ ღვთის სჯულის აშკარად საწინააღმდეგო ყოველი საქმისა და სიტყვისაგან შორს იდგა“, — გვამცნობს წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე.

არსებობს ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების თანამედროვე ათენელი სწავლულის, წმინდა დიონისე არეოპაგელის მონათხრობი ღვთისმშობლის შესახებ. იგი ქრისტიანულ სჯულზე პავლე მოციქულმა მოაქცია. მოქცევიდან სამი წლის შემდეგ, არეოპაგელმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოინახულა. მისი ხილვით გამოწვეული შთაბეჭდილება, პავლე მოციქულს ასეთნაირად გაუზიარა: „ღვთის წინაშე ვაღიარებ, დაუჯერებლად მიმაჩნდა, რომ გარდა მაღალი ღმერთისა ასეთი ღვთაებრივი ძალითა და გასაოცარი მადლით აღვსილი სხვა ვინმეც იქნებოდა. ვერც ერთი ადამიანი ვერ გაიგებს იმას, რაც ვნახე და გულისხმავყავი არა მხოლოდ სულიერი, არამედ ხორციელი თვალით; მე ვიხილე ღვთივსახიერი და სიწმინდით ზეციურ სულებზე აღმატებული დედა იესო ქრისტესი — უფლისა ჩვენისა. ვიმოწმებ ღმერთს, რომელიც ქალწულის უპატიოსნეს საშოში იმყოფებოდა, რომ ჩემს მახსოვრობასა და ახალგანათლებულ გონებაში შენი ღვთაებრივი სწავლანი დამარხული რომ არ მქონოდა, ქალწულს ღმერთად მივიჩნევდი და როგორც ერთ ჭეშმარიტ ღმერთს — თაყვანს ვცემდი მას“. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. „ღოღო“ და „ზაქი“ სინონიმებია.
2. დაკბილულ ნამგალს ღული ჰქვია.
3. პიერ ოგიუსტ რენუარის მამა მკერავი იყო.
4. თარის დასაკრავ თხელ ფირფიტას მიზრაფი ჰქვია.
5. სან-ფრანცისკოს ხიდი — „ოქროს კარიბჭე“ — ფორთოხლისფრად არის შეღებილი. მის შესაღებად 10000 გალონი საღებავი იხარჯება.
6. ჯონ კენედი კათოლიკე იყო, ბილ კლინტონი — ბაპტისტი.
7. ყოფილა შემთხვევა, როდესაც შიმპანზეს ბავშვი მოუტაცია და მოუკლავს.
8. დართლო, თუშეთის სოფელია. იგი სოფელ-მუზეუმად არის გამოცხადებული.
9. თბილისის ოპერაში სეზონი ტრადიციულად, „აბესალომ და ეთერით“ იხსნება.
10. იზრაელ ჭენკსი ბომბარდირი იყო, კაპიტან ფლინტის მეკობრეთა ხომალდზე.
11. საშუალო ევროპელი, ცხოვრების 2,5 წელიწადს ტელეფონით ლაპარაკში ატარებს.
12. „ქალების ატანა მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შეიძლება“, — ამბობენ ფრანგები.
13. ჯეკ ნიკოლსონი ლოს-ანჯელესის საკალათბურთო გუნდის — „ლეიკერსის“ თავგადადებული ფანია.
14. ლეონიდ ბრეჟნევი საბჭოთა ლიდერებიდან პირველი იყო, ვინც ფულსა და ძვირფასეულობას გაუგო გემო.
15. „დისნეილენდი“ პირველად, კალიფორნიის ქალაქ ანაჰაიმში გაიხსნა. წელს, 18 ივლისს მას 50 წელი შეუსრულდა.
16. „— კტო ბოლშე ზნაეტ, მუდრეც ილი დურაკ? — დურაკ! მუდრეც ვა ვსიომ სამნევაეტსა! — ხარაშო ბიტ დურაკომ! — მნოგა მუდრასტი, მნოგა პეჩალი!“ — ეს დიალოგი ლოიკო ზაბარსა და მჭედელ ჩუდრას შორის იყო გამართული ფილმში — „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“.

17. პიზის კოშკი 4,5 მეტრით არის დახრილი სამხრეთისაკენ.
18. — ვი ტაკ ბაგატა ადეტი! — უთქვამს გენადი ხაზანოვს ერთ-ერთი იუმორისტისათვის. — ატ ბაგატავა სლიშუ! — იყო პასუხი.
19. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად 5.000-დან 10.000-მდე დოლარია საჭირო. იქ ისეთი მაფია მოქმედებს, რომელიც საჭირო თანხის გადახდის შემთხ-

მასროლა „ბუს ფერმაში“

ზარბაზნის ზარპმა თვითმკვლელი მწერლის ფეხფლი ახემახეს მოჰფინა

ამა წლის 20 აგვისტოს, კოლორადოს შტატის ცნობილ სამთო კურორტ ასპენში კინოვარსკვლავები, ცნობილი რეჟისორები, ლიტერატორები და ე.წ. „გონზო მწერლობის“ უბრალო თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ. ამერიკული ლექსიკონების განმარტებით ტერმინი „გონზო“ შეუნიღბავად სუბიექტურ სტილს ნიშნავს, რომელიც მწერალმა და ჟურნალისტმა ჰანტერ ტომფსონმა შექმნა. ტომფსონი მრავალი წიგნის ავტორია. მათში აღწერილ მოვლენებზე ბევრად მნიშვნელოვანი და საინტერესო, თავად ავტორი, მისი აზრები, ქცევა და სიტყვებია...

ჰანტერ ტომფსონი, სიცოცხლეშიც მუდამ პუბლიკის გაოგნებას ცდილობდა და საზოგადოებასთან მწერლის გამომშვიდობებაც მეტისმეტად ორიგინალური და ექსტრავაგანტური აღმოჩნდა. 20 თებერვალს ჰანტერის ერთადერთმა ვაჟმა ხუანმა ტყვიით შუბლგახვრეტილი მამის ცხედარი იმ სახლის სამზარეულოში აღმოაჩინა, რომელსაც თავად მწერალმა „ბუს ფერმა“ შეარქვა. 67 წლის ჰანტერს ახლობლებთან გამოსამშვიდობებელი წერილი არ დაუტოვებია და ადრეც არავისთვის გაუმხელია, რომ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას აპირებდა.

მეგობრებს და მის 32 წლის მეუღლეს კარგად ახსოვთ: მწერალს ხშირად გამოუთქვამს სურვილი, რომ გარდაცვალების შემდეგ, მისი ფერფლი ზარბაზნიდან გაესროლათ. გამორიცხული სულაც არ არის, რომ ამ საუბრებით ტომფსონი ჩვეულებისამებრ, მათ გაოცებას ცდილობდა. მაგრამ ეს უცნაური სურვილი იმდენად ზუსტად გამოხატავდა მის ხასიათს, რომ ყველამ გარდაცვლილის უკანასკნელ ნებად აღიქვა და 20 აგვისტოს მწერლის ახლობლები და თაყვანისმცემლები ასპენის მახლობლად მდებარე „ბუს ფერმაში“ დაკრძალვის ამ ძალზე უცნაური ცერემონიის ჩასატარებლად შეიკრიბნენ.

ფერმის შორიახლოს სპეციალურად დამზადებული ზარბაზნის 5-მეტრიანი ღულა აღმართულიყო. ეს ზარბაზანი ჯონი დეპის შეკვეთით გაკეთდა და მსახიობს 2 მილიონი დოლარი დაუჯდა. დეპი ტომფსონს მას შემდეგ დაუმეგობრდა, რაც მისი გონზო-რომანის — „ძრწოლა და სიძულვილი ლას-ვეგასში“ — ეკრანიზაციაში ფაქტობრივად, თავად ტომფსონის სახე შექმნა, რომანში აღწერილია ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით გაჟღენთილი სპორტული ჟურნალისტის რაულ დიუკის ხეტია-

ლის აპოკრიფული თავგადასავალი, რომელიც ლას-ვეგასის კაზინოებსა და ქუჩებში დაძრწის. რომანში მოთხრობილი ამბები ნახევრად შეთხზული და ნახევრად ავტობიოგრაფიულია, მაგრამ მათ შორის არსებული ზღვრის შესახებ ავტორს არასდროს უსაუბრია.

ბურუსითაა მოცული მწერლის წარმოშობაც. დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი კენტუკის შტატში დაიბადა. 26 წლის იყო, როდესაც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებში სცადა კარიერის გაკეთება, მაგრამ მისგან მფრინავი ვერ დადგა და მხოლოდ არმიის გაზეთის სპორტული სვეტის რედაქტორობას მიაღწია. ტომფსონის მონათხრობიდან ცნობილია, რომ სიმთვრალისა თუ ახალგაზრდული თავქარიანობის გამო ხშირად, უსიამოვნებაში ეხვეოდა და ციხეშიც კი აღმოჩნდა. ამის გამო ჰანტერს სამხედრო კარიერაზე უარის თქმა მოუხდა, არმია დატოვა და რამდენიმე წლის განმავლობაში ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში იხეტიალა. ტომფსონი ზოგჯერ, „საკუთარი თავის ძიებაში“ სადღაც უჩინარდებოდა. ერთ მშვენიერ დილას კი, გაიღვიძა და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ საქვეყნოდ ცნობილი და მდიდარი იყო – ეს მაშინ მოხდა, როდესაც 30 წლის მწერლის პირველი რომანი – „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ გამოქვეყნდა.

50-60-იან წლებში ამერიკას მოტოციკლეტისტთა ბანდები – ბაიკერები ატერორებდნენ. ტომფსონმა ამ სერიოზულ სოციალურ პრობლემაში ჩახედვა გადაწყვიტა, ერთ-ერთ მოტორიზებულ ბანდას მიეკედლა, მასთან ერთად ამერიკის გზებზე დაქროდა და თან ჩანაწერებს აკეთებდა. ბაიკერებმა მისი ჩანაწერები იპოვეს,ტომფსონი გაშიფრეს და ისე სცემეს, რომ სიკვდილს მხოლოდ სასწაულის წყალობით გადაურჩა. ჰანტერი სწორედ მაშინ მიხვდა, რომ თავის ნამდვილ მოწოდებას მიაგნო. მალე ერთიმეორეს მიყოლებით გამოქვეყნდა მძაფრი, გესლიანი და არაპოლიტკორექტული რომანები და ამერიკული ლექსიკონები ახალი ცნებით – „გონზო“ გამდიდრდა.

ახლა უკვე მრავლად არსებობს ინტერნეტ-კლუბი „გონზო“, სადაც ამ სტილის მიმდევრები ერთმანეთს ახალ ამბებსა და საკუთარ აზრებს უზიარებენ და ამ იდეების რეალობასთან შეუთავსებლობის პრობლემა ნაკლებად აღელვებთ. თავად ჰანტერ ტომფსონსაც საკუთარ სკანდალურ ნაწარმოებებზე მეტად ის ფაქტი ეამაყებოდა, რომ „გონზო-მწერლობის“ კულტისა და იმ სტილის შემქმნელი იყო, რომელიც ქადაგებს: წერე ისე, როგორც მოგესურვება, წერე და ნუ ფიქრობ იმაზე, სიმართლეს აღწერ თუ არა, წერე და სხვების აზრი ფეხებზე დაიკიდე!

რომანი – „ძრწოლა და სიძულვილი ლოს-ანჯელესში“ – მრავალ ენაზე ითარგმნა, ავტორს უზარმაზარი ჰონორარები და ამავდროულად ველური, უმართავი, ნარკოტიკების მოყვარული და თვითგანადგურების გზაზე მდგარი ადამიანის რეპუტაცია შესძინა. ტომფსონი კი მკითხველის გაოცებას, არად ჩაგდებასა და მასხრად აგდებას აგრძელებდა. პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის საარჩევნო კამპანიის თემაზე დაწერილ რომანში – „1972 წლის ძრწოლა და სიძულვილი“ – მწერალი რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს, გადასახადების პატიოსან გადამხდელებსა და გონიერ ამომრჩეველს ერთნაირად ამათრახებდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამავე სტილში შექმნილი მომდევნო რომანები – „ღორების თაობა“ და „განწირულთა სიმღერა“ მაშინდელმა კრიტიკამ ასე შეაფასა: „ამ თაობის ამერიკელ ავტორთა შორის ძნელად თუ მოიძებნება ამერიკული იდეალებისადმი უფრო ერთგული და ამასთან, მისი ნაკლოვანებებისა და ფობიებისადმი უფრო სასტიკი მიდგომის მწერალი, ვიდრე ჰანტერ ტომფსონია“.

ერთი რამ კი სრულიად უდავოა: ბოლო 30 წლის მანძილზე, ტომფსონი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისადმი „მიძღვნილი“ მისი უკანასკნელი წიგნი – „უფსკრულისკენ მიმავალი სიბრიყვის სპირალი“ – დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა შორის ნამდვილ ბესტსელერად იქცა. ჯორჯ ბუში ბოლო წლებში, ტომფსონის ნამდვილ სამიზნედ იქცა, რამაც მწერალს ჰოლივუდში ახალი თაყვანისმცემლები შესძინა. სწორედ ისინი ესტუმრნენ ასპენს 20 აგვისტოს, სადაც მისი ხსოვნის პატივსაცემად, ჯერ „ტომფსონური საღამო“ და მუსიკალური წარმოდგენა შედგა, შემდეგ კი, მწერლის გარდაცვალებიდან ზუსტად 6 თვის თავზე, ზარბაზნის ხმა გაისმა, რომელმაც „ბუს ფერმიდან“ ჰაერში გაუშვა მისი მფლობელის ფერფლი...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლვალილ
უბის წიგნაკიდან:

ევაში, თუ საჭირო გახდა, თქვენს ორეულსაც კი მოძებნის, რომელიც თქვენს ნაცვლად ჩაბარებს გამოცდას.

20. „ეგეთი ტვინი რომ მქონდეს, თეთრ სახლში ვიჯდებოდი და მონიკა ლევინსკი ჩემთან ორ ცვლაში იმუშავებდა“, – აქებდა ვიღაცას მიხაილ ჟვანეცკი.

21. ოპერაში არსებობს ტრადიცია: ორკესტრის დირიჟორი თავის ჯოხს საჩუქრად გადასცემს იმ მომღერალს, რომელთან მუშაობამაც მას დიდი სიამოვნება მიანიჭა. პაატა ბურჭულაძეს 117 ასეთი ჯოხი აქვს მიღებული.

22. „ონ ბილ დისპეტჩერომ მატჩა. ონ კაკბი პუტეშესტვოვალ პოპოლიუ, ნიკაგდა ნე ჟადნიჩალ, ვსეგდა რაბოტალ ნა კამანდუ“, – ამბობდა ინტერვიუში ფეხბურთის რუსი კომენტატორი, ვლადიმირ პერეტურინი დავით ყიფიანის შესახებ.



23. ლეონიდ გაიდაის გადასალებ მოედანზე ჯგუფის წევრები ხშირად აქებდნენ – რა კარგია, როგორც ჩპლინს, ისე გამოგვდისო. გაიდაი პასუხად იტიბოდა: „დამშვიდდით, ისე, როგორც ჩპლინს, ჩვენ არასდროს გამოგვივა“.

24. არლიში ვან გოგთან სტუმრობისას პოლ გოგენს ისეთი ცხარე კამათი მოუვიდა მასპინძელთან, რომ ეს უკანასკნელი სამართებლით ხელში დაესხა მას თავს. მოგვიანებით, ვან გოგმა ამავე სამართებლით ყური მოიჭრა.

25. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს ცოლშვილი არ ჰყოლია. მთელი ცხოვრება მას მამობის დაუძლეველი სურვილი არ ასვენებდა. მან გარდაცვლილი ძმის ცოლს სასამართლოს გზით წაართვა შვილი და მასზე მეურვეობის უფლება მოიპოვა. ამ სასამართლოზე დიდ მაესტროს ძალზე გაუტყდა სახელი. მან უამრავი ცუდი თვისება გამოავლინა. ყველამ თვალნათლივ დაინახა მისი ეგოიზმი, სიცრუე, სიძუნწე. ასეთ ბეთჰოვენს მანამდე, ხალხი არ იცნობდა. ამ სასამართლოზე საქვეყნოდ გამჟღავნდა ის ფაქტი, რომ ბეთჰოვენი არ იყო არისტოკრატიული წარმომავლობის კაცი, რასაც მთელი თავისი ცხოვრება ამტკიცებდა. დიდმა მაესტრომ დამცირებულად იგრძნო თავი. სასამართლოს შემდეგ, მან ძმისშვილი სახლში წაიყვანა, მაგრამ თავად არ იყო მამობისათვის მზად და ბავშვსაც სიყვარულითა და სითბოთი არ უპასუხია. ამით გულნატკენი ბეთჰოვენი ისევ მუსიკაში პოულობდა შვებას.

როგორ მოხვდა ინვალიდად მიჩნეული თეთრაძე იტალიის «რომაში»

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ქართველ მცველს რუსეთის ნაკრებში თამაში აიძულა

გიორგი ლანჩავა

საქართველო დიდი ქვეყანა ნამდვილად არ გახლავთ და შესაბამისად, არც იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, რომ ისინი ხელაღებით ვკარგოთ. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ამის მაგალითები გვაქვს და თუნდაც აქ დაბადებულ-გაზრდილ, ხოლო საბერძნეთში ანდრიას ნინიადისად ცნობილი ანდრო კურჯიევის გახსენება რად ღირს! ამ ნიჭიერ ფეხბურთელზე, რომელიც თბილისის „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილია, საქართველოში უარი თქვეს და წარმოშობით ბერძენმა, თავის ისტორიულ სამშობლოში წასულმა, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბ „ოლიმპიაკოსში“ თამაშთან ერთად, ელადელთა ნაკრების ღირსების დაცვაც შეძლო. ანდრო ზედიზედ რამდენჯერმე გახდა თავისი კლუბის რიგებში საბერძნეთის ჩემპიონი, ხოლო ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თბილისშიც იყო ჩამოსული. თითქმის იგივე გზა გაიარა ომარ თეთრაძემ, რომელიც თავის დროზე, არც თბილისის „დინამოში“ დაიტოვეს და არც საქართველოს ნაკრებში უხმეს. ასეთ სიტუაციაში მყოფმა, ომარმა რუსეთს მიაშურა და გარდა იმისა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წამყვან გუნდებში ითამაშა, იტალიის „რომასა“ და საბერძნეთის „პაოკის“ ღირსებასაც იცავდა. აქვე გეტყვით, რომ თეთრაძემ რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში 1994 წელს აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო 1996 წელს — ინგლისში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე იასპარეზა. დღესდღეობით, თეთრაძე სამარის „კრილია სოვეტოვის“ მოთამაშე-მწვრთნელი გახლავთ და მასთან საუბარი რუსეთის ჩემპიონატში არსებული პაუზის დროს მოვახერხეთ, როდესაც იგი თბილისში მცირე ხნით იყო ჩამოსული.

გაზეთიდან მიღებული ცნობა საკუთარი თავის შესახებ

— წარმოშობით დმანისის რაიონის სოფელ ველისპირიდან ვარ, ხოლო ფეხბურთში ვარჯიში 35-ე საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელ ზურაბ მაისურაძესთან დავიწყე. 1987 წელს თბილისის „დინამოში“ მოვხვდი, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაშმა არ მომიწია და მხოლოდ დუბლებში გამოსვლით შემოვიფარგლებოდი. ამის პარალელურად, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც ვიყავი, რომელთან ერთადაც, 1988 წელს ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოვიპოვე. ამავე წელს, „დინამოში“ 9 შეხვედრა ჩავატარე და უმეტესად, შეცვლაზე გამოვდიოდი. თბილისელთა ძირითად შემადგენლობაში დებიუტი 1989 წელს მქონდა, როდესაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სეზონის გახსნის მატჩში კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ ვითამაშე. ის შეხვედრა ჩემთვის წარმატებული ნამდვილად არ გახლდათ, რადგან ერთ-ერთ ეპიზოდში კიეველთა მოწოდებული კუთხურისას, საკუთარ კარში ჩავჭერი ბურთი. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა იმ დროს... 1989 წლის სეზონში საერთო ჯამში 15 მატჩი ჩავატარე, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში მუხლის მძიმე ტრავმა მივიღე, რის გამოც 7 თვის განმავლობაში, მოსკოვში ვმკურნალობდი. ამ პერიოდში საქართველოში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს, რომელსაც მაშინ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. თუმცა მე ვთვლიდი, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი რამ მაინც მოხდებოდა და რაც უფრო ადრე გავმართავდით დამოუკიდებელ პირველობას, მით უფრო კარგი იქნებოდა. მოსკოვში ყოფნისას, ხელმძღვანელობას იმის შესახებ, რომ თბილისის „დინამოდან“ გავურიცხივარ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამ აიძულა კლუბის ხელმძღვანელობა, ამგვარი ნაბიჯი გადაედგა. იმის გამო, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვმკურნალობდი და საბოლოოდ ვერ გამოვჯანმრთელდი, ალბათ იფიქრეს, რომ ფეხბურთის თამაშს ველარ შევძლებდი. ერთი სიტყვით, „დინამოში“ ინვალიდად ჩამთვალეს და ამიტომ ხელი მკრეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკა ამირეჯიბმა ოზურგეთის „მერცხალში“ მიმიწვია, რომელიც იმხანად ეროვნული პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. მან ჩემი პრობლემის შესახებ კარგად იცოდა და მითხრა, რომ თუ მუხლი ისევ შემახსენებდა თავს, მაშინ შემეძლო, გუნდში მწვრთნელად მემუშავა. სხვათა შორის, თბილისის „დინამოში“ როდესაც შეიტყვეს, რომ ოზურგეთში თამაშს ვაპირებდი, კლუბის მესვეურებმა „მერცხალის“ ხელმძღვანელობას გარკვეული პრეტენზია წაუყენეს — კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ „დინამოს“ საკუთრება ვიყავი. ბოლოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეს დავა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა და ოზურგეთში თამაშის უფლება დამრთო.

ნაკრებისთვის დაწუნებული და... ნაკრებში მიწვეული

– „მერცხალში“ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა, რუსეთის ჩემპიონატში გამომეცადა თავი. ოზურგეთიდან თბილისში ჩამოსულმა, ჩემი ჩანაფიქრი ბავშვობის დროინდელ მწვრთნელს, ზურა მაისურაძეს გავანდე. მან მირჩია, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად, იგნატიევისთვის დამერეკა, რომელიც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მავარჯიშებდა. მართლაც, იგნატიევს დავუკავშირდი და იგი მოსკოვის „დინამოში“ გადასვლაში დამეხმარა. ეს 1991 წელს მოხდა და იქიდან მოყოლებული, ჩვენ მამაშვილური დამოკიდებულება გვაქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდ ფეხბურთში მას საკუთარ მამად მივიჩნევ. მოსკოვურ კლუბში დამკვიდრება არ გამჭირვებია და 1992-93 წლებში გუნდთან ერთად რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავე, ხოლო 1994-ში – მეორე. იმ პერიოდში საქართველო ფიფასა და უეფას წევრი გახდა, რამაც ქართულ კლუბებსა და ქვეყნის ნაკრებს საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობის საშუალება მისცა. მოსკოვის „დინამოში“ თამაშისას, ყოველთვის ველოდი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან დამიკავშირდებოდნენ და ეროვნულ გუნდში მიმიწვევდნენ. კახა ცხადაძე, რომელიც მოსკოვურ კლუბში ჩემი პარტნიორი გახლდათ, მოწმეა შემთხვევისა, რომელიც მაშინ ნაკრებთან დაკავშირებით მოხდა – კერძოდ, რუსეთის ჩემპიონატში ჩატარებული ერთ-ერთი თამაშის შემდეგ, ორივე, გუნდის გასახდელისკენ მივდიოდით, როდესაც ქართული ფედერაციის წარმომადგენელი დაგვხვდა, რომლის სახელი და გვარი დღესაც არ ვიცი. მან ცხადაძე ცალკე გაიხმო და 15 წუთი ესაუბრა. მერე კახამ მითხრა, რომ საქართველოს ნაკრებში მიმიწვიესო. იმ პერიოდში 21 წლის ვიყავი და ცხადია, ამ ფაქტმა ძალიან მატკინა გული, რადგან ნაკრებში გამოძახებას მოუთმენლად ველოდი. ამ ამბიდან ერთი კვირა არ იყო გასული, რომ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციიდან დამიკავშირდნენ და მკითხეს, მქონდა თუ არა მათი ქვეყნის ღირსების დაცვის სურვილი. ჩემი თანხმობის შემთხვევაში, ფედერაციასთან კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. მოსაფიქრებლად დრო მოვითხოვე, რადგან კიდევ მქონდა იმედი, რომ საქართველოდან შემეხმიანებოდნენ და ნაკრებში თამაშს შემომთავაზებდნენ. მაგრამ არავის გავხსენებივარ და გადაწყვეტილებაც სასწრაფოდ უნდა მიმეღო, რადგან არ მსურდა, რუსეთის ეროვნულ გუნდში თამაშის შანსიც დამეკარგა. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებას დავთანხმდი და ამაზე დღესაც არ ვნანობ. 1994 წელს, გუნდთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზე, სადაც ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი, კამერუნთან ჩატარებული შეხვედრა გახლდათ. მაშინ 6:1 მოვიგეთ და მე ძირითად შემადგენლობაში ვიმყოფებოდი. სხვათა შორის, კამერუნელებთან ოლეგ სალენკომ 5 ბურთი მიითვალა პირად ანგარიშზე და ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობით მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში რეკორდი დაამყარა.

ომარ თეთრაძე სამარამში

ვლადიკავკაზში გატარებული საუკეთესო სეზონი

– 1994 წელს, რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მიმიწვია მოსკოვის „სპარტაკმა“, რომელსაც ოლეგ რომანცევი ხელმძღვანელობდა. 1995 წლის იანვარში გუნდთან ერთად დსთ-ის თასზეც ვითამაშე, სადაც ფინალში თბილისის „დინამო“ ანგარიშით 5:1 დავამარცხეთ. იმ პერიოდში, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიიდან“ ვალერი გაზაევი დამიკავშირდა და თავის გუნდში გადასვლა შემომთავაზა. მის წინადადებას დავთანხმდი და არც წამიგია, რადგან „სპარტაკ-ალანიაში“ გატარებული, 1995 წლის სეზონი ჩემს სპორტულ კარიერაში საუკეთესოდ მიმაჩნია. იმ წელს, „სპარტაკ-ალანიამ“ არსებობის ისტორიაში პირველად, რუსეთის ჩემპიონის წოდება მოიპოვა და მოსკოვის „სპარტაკის“ ჰეგემონიას დაუსვა წერტილი. თან აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა მაშინ პირველად შეძლო მათსავე მოედანზე მოსკოველთა დამარცხება – 2:1. ჩვენთვის გადამწყვეტი კი, ასევე რუსეთის დედაქალაქში „ცეესკასთან“ ჩატარებული შეხვედრა აღმოჩნდა, რომელიც ამავე ანგარიშით 2:1 მოვიგეთ და უკვე ცხადი გახდა, რომ ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. მაშინ „სპარტაკ-ალანიაში“ ჩემთან ერთად მიხეილ ყაველაშვილი, მურთაზ შელია და ზაზა რევიშვილი გამოდიოდნენ. თუმცა, ამ უკანასკნელს ძალიან ცოტა მატჩის ჩატარება მოუხდა, რადგან ჰეპატიტი დაემართა, ხოლო ყაველაშვილმა გუნდი პირველი წრის დასრულების შემდეგ დატოვა. 1996 წელს, „სპარტაკ-ალანიის“ რიგებში დსთ-ის თასზე ვითამაშე და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი. აქვე გეტყვით, რომ მანამდე, მოსკოვის „დინამოში“ ასპარეზობისას „წლის ჯენტლმენის“ წოდება მომანიჭეს, რომელიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ დაწესებული იყო და პრიზის სახით, შავი სმოკინგი გადმომცეს, როგორც ნამდვილი ჯენტლმენის სამოსი... 1996 წელს, რუსეთის პირველობაზე „სპარტაკ-ალანიასთან“ ერთად, ვერცხლის მედალი მოვიპოვე. გასათვალისწინებელია, რომ გადამწყვეტი მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“ წავაგეთ. იმავე წელს, რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ინგლისში ევროპის პირველობაზე ვითამაშე, სადაც საუკეთესო შეხვედრა ჩეხების წინააღმდეგ ჩავატარე და გოლის გატანაც მოვახერხე.

„შავი ლაქა“

– იტალიურ „რომასთან“ კონტრაქტი 1997 წლის 15 დეკემბერს გავაფორმე. ახალი კლუბის შემადგენლობაში სერია A-ში დებიუტი „ვიჩენცასთან“ მატჩში მქონდა. 2:0 მოვიგეთ და ერთ-ერთმა პოპულარულმა იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ – „კორიერე დელო სპორტმა“ ჩემი თამაში საკმაოდ კარგად შეაფასა და აღნიშნა, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე საკმაოდ დიდი სამუშაო შეასრულე და „რომას“ უკანა ხაზს სოლიდურობა შევძინე... ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ცოტა ხანში, ჩემს კარიერაში საკმაოდ ცუდი პერიოდი დაიწყო, რომელსაც შემდგომში, „შავი ლაქა“ ვუწოდე. 1998 წლის 30 აპრილს, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუსეთის ნაკრები ლუქსემბურგს ეთამაშებოდა. მატჩის ერთ-

ერთ ეპიზოდში, მოწინააღმდეგისთვის ბურთის ართმევას ვცდილობდი და უწყინარ სიტუაციაში ძალიან მძიმე ტრავმა მივიღე. კერძოდ, მარცხენა მუხლის მენისკი დამიზიანდა და ჯვარედინი მყესები ისე დამეჭიმა, რომ კინაღამ გამიწყდა. იმაშიც არ გამიმართლა, რომ მკურნალობა საკმაოდ გამიგრძელდა და 6 თვის ნაცვლად, ფეხის მორჩენას წელიწად-ნახევარი მოვანდომე. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, უბრალოდ ძუნძულიც კი არ შემეძლო. იმდენად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც კი ვაპირებდი. არც ვიცი, ამ ყოველივეს როგორ გადავიტანდი, გვერდით ჩემი მეუღლე ანი და მეგობრები რომ არ მყოლოდნენ. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მამხნევებდა იგნატიევი, მირეკავდნენ სიომინი და გერშკოვიჩი. ძალიან ვწვალობდი და სამკურნალოდ ვის აღარ მივმართე. იტალიაში რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ ტრავმის მოსარჩენად ხალხურ მედიცინასაც გამოვიყენებდი. ბოლოს და ბოლოს, ღვთის წყალობით, ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა მოვახერხე, თუმცა ორწელიწად-ნახევარი გამიცდა. გული მწყდება, რომ ეს „ოქროს წლები“ დავკარგე და ამიტომაა, რომ ასაკის მიუხედავად, ფეხბურთის თამაშს ჯერ კიდევ თავს არ ვანებებ – ასე ვთქვათ, იმ დროის ანაზღაურებას ვცდილობ რომელიც იძულებით გამიცდა. სიმართლე უნდა ითქვას: „რომას“ მეპატრონეები ჩემს საკითხს ყურადღებით მოეკიდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ არ ვთამაშობდი, მათ შეეძლოთ, ხელფასი არ მოეცათ, მაგრამ თანხა, რომელიც კონტრაქტით მეკუთვნოდა, რომაელებმა სრულად გადამიხადეს. საერთოდ, „რომა“ ძალიან მეგობრული გუნდი იყო. ამის დასტური თუნდაც ის გახლდათ, რომ ყოველ კვირას, 5-6 ფეხბურთელი ოჯახებით ტრადიციულად, რესტორანში დავდიოდით სავახშმოდ და დროის გასატარებლად. იმ პერიოდში, როდესაც „რომაში“ გადავედი, ამ გუნდში ფრანჩესკო ტოტი იმყოფებოდა და მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. იყო პერიოდი, როდესაც ერთწლიანი იჯარით „პარმაში“ მის გაშვებას აპირებდნენ, მაგრამ ფრანჩესკომ თამაში უცებ გაუმჯობესა და ისევ „რომაში“ დატოვეს. საერთოდ, ტოტი ძალიან კარგი ადამიანია და ამიტომ გამაკვირვა მისმა საქციელმა, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც მეტოქეს შეაფურთხა. შესაძლოა, მან გუნდის ლიდერის ტვირთს ვერ გაუძლო, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ პორტუგალიაში გამართული ევროპის პირველობა მისთვის საბენეფისო იქნებოდა...

„პაოკში“ ფსიქოლოგიურად დაღლილი

– ტრავმის მოშუშების შემდეგ, „რომას“ დატოვება მომიხდა და თამაშის გაგრძელება ბერძნულ „პაოკში“ გადავწყვიტე. მართალია, ამბიციური იტალიური კლუბიდან საშუალო დონის ბერძნულ გუნდში გადასვლა ჩემთვის უკან გადადგმული

ნაბიჯი იყო, მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალი არ მქონდა. თავიდან, „პაოკში“ ყველაფერი კარგად მიდიოდა და 2001 წელს, გუნდთან ერთად საბერძნეთის თასიც მოვიგე. გარდა ამისა, უეფას თასის გათამაშებიდან იტალიური „უდინეზე“ გამოვთიშეთ, რომელთან პირველი შეხვედრა სტუმრად 0:1 წავაგეთ, ხოლო საბერძნეთში 3:0 ვძლიეთ. იმ მატჩში გუნდის კაპიტანი ვიყავი. შეხვედრის ძირითადი დრო 1:0 დასრულდა. დამატებით 30 წუთში „პაოკმა“ ორი გოლი სწორედ ჩემი შეტევების შემდეგ გაიტანა. თამაშის დამთავრებისას, ბერძენმა გულშემატკივრებმა, რომლებიც თავიანთი ექსპანსიურობით გამოირჩევიან, მაისური გამხადეს და მისი ნაგლეჯები სუვენირებად დაინაწილეს. მომდევნო წელს, „პაოკში“ ფინანსური სიტუაცია გაუარესდა და თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში, კლუბის ხელმძღვანელობა ხელფასს არ მიხდიდა. ამის გამო, ბერძნებთან კონტრაქტის შეჩერება გადავწყვიტე. თუმცა, ამ ნაბიჯის გადადგმა, გარდა თანხის გადაუხდელობისა, მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტმაც მაიძულა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პიროვნება თითქმის წელიწადნახევარი არ მოსულა ვარჯიშზე. ჩვენ მისგან განცალკევებით ვატარებდით საწვრთნელ პროცესს, ის კი ან სიგარით გამოდიოდა მინდორზე, ან კიდევ ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდა და საერთოდ არ გვაქცევდა ყურადღებას. გუნდში უდისციპლინობა და ანარქია სუფევდა. ყველაზე გასაკვირი კი ის გახლდათ, რომ წაგების შემთხვევაში, მწვრთნელი ყველაფერს ფეხბურთელებს გვაბრალებდა. ამან ფსიქოლოგიურად ძალიან დამღალა და როგორც ფეხბურთელები იტყვიან, ფორმიდან ამოვვარდი. ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაშიც აღარ მათამაშებდა. არადა, რუსეთის ნაკრების კანდიდატი ვიყავი და იაპონია-კორეაში დაგეგმილ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში მსურდა... „პაოკის“ დატოვების შემდეგ, თბილისში ჩამოვედი, მორალურად რომ დამესვენა და იმაზე მეფიქრა, თუ სად გავაგრძელებდი კარიერას. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთიდან წამოსვლისას ჩემ მიმართ ინტერესს რამდენიმე რუსული კლუბი იჩენდა, ვლადიკავკაზის „ალანიაზე“ შევაჩერე არჩევანი, რომლის მაშინდელმა პრეზიდენტმა, სერგეი ტაკოევმა კონკრეტული წინადადებით პირველმა მომმართა.

სავალდებულო სამსახური ბერძნულად

– შეიძლება, ცოტა გასაკვირი იყოს, მაგრამ საბერძნეთში ყოფნისას, 31 წლის ასაკში, ადგილობრივ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდამ მომიწია. საქმე ის არის, რომ მშობლები წარმოშობით ბერძნები მყავს და საბერძნეთში ჩასვლამდე რამდენიმე წლით ადრე, ამ ქვეყნის მოქალაქეობა უკვე მიღებული მქონდა. საერთოდ, ჩემი ნამდვილი გვარი ოსიპოვია, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს, თბილისის „დინამოში“ არაქართული გვარის მქონეთ ნაკლებად წყალობდნენ, ამიტომ ბებიის გვარზე გადასვლა მომიხდა... გამომდინარე იქიდან, რომ საბერძნეთში არმიაში სამსახური ყველასთვის სავალდებულოა, ადგილობრივი ხელისუფლება შეღავათს არავის უწევს. ამ ქვეყნის მოქალაქე 30 წლის ასაკში რომ გავმხდრიყავი, ჯარში წასვლას 1.000 დოლარის გადახდით ავარიდებდი თავს, მაგრამ როდესაც ბერძნული პასპორტი ავიღე, 25 წლისაც არ ვიყავი და ამიტომ, იქაური კანონმდებლობით, ჯარში 3 თვე უნდა მემსახურა. ბერძნებს სულ არ ადარდებდათ, საბჭოთა კავშირის ჯარში რომ უკვე ნამყოფი ვიყავი. ისინი მხოლოდ ცნობილ სპორტსმენებსა და კინომსახიობებს უწევენ შეღავათს, რომელთაც შეიარაღებულ ძალებში 3-კვირიანი სამსახური ეკისრებათ. ასე რომ, სალონიკიდან დაახლოებით 40 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქ კილკისში წამიყვანეს, სადაც განთავსე-

ბული იყო სამხედრო ნაწილი. მართალია, ჯარისკაცის ფორმა პირველსავე დღეს მომცეს, მაგრამ არც მეთაურებისთვის და არც სხვა ჯარისკაცებისთვის არავის წარვუდგენივარ. ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ ბერძნულ ენას კარგად ვერ ვფლობდი და გუნდში ყოფნისას, თარჯიმნობას „პაოკის“ მასაჟისტი ან ექიმი მიწევდა. სამხედროებისთვის რა უნდა გამეგებინებინა, თავად არ ვიცოდი... ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი არც ისე ცუდად დასრულდა, როგორც მე წარმომედგინა. ბერძნულ ჯარში სამსახური ჩემთვის, იმით შემოიფარგლებოდა, რომ კვირაში რამდენჯერმე, სამხედრო ნაწილში შევივლიდი და მეთაურს ერთორ საათს ფეხბურთზე ველაპარაკებოდი...

პრემიერ-მინისტრთან მოგებული დავა

– „ალანიაში“ ჩემი გადასვლის შემდეგ, მალე კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა და გუნდის პრეზიდენტი, ტაკოევის ნაცვლად, ჩრდილოეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრი მიხაილ შატალოვი გახდა. 2003 წლის იანვარში, ჩვენ შორის კონფლიქტი მოხდა, რისი მიზეზიც ის გახლდათ, რომ მას საკონტრაქტო თანხის, ხელფასისა და ჩემთვის კუთვნილი პრემიალური თანხის გადახდა არ სურდა. შატალოვი თითქმის მუქარაზე გადავიდა და ისიც კი მითხრა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა კარიერა დამესრულებინა. გადავწყვიტე, რუსეთის საფეხბურთო კავშირის დავათა განხილვის პალატისთვის მიმემართა, რომლის პირველ სხდომაზე „ალანიის“ გენდირექტორმა ბათხაზ ბიტაროვმა აღიარა, რომ კლუბს ჩემი ვალი მართლაც ჰქონდა. პალატის სხდომის მიმდინარეობისას, კლუბის წარმომადგენლებს შევთავაზე, რომ კუთვნილ თანხაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გავეშვი სხვა კლუბში. თითქოს შეთანხმებას მივაღწიეთ, მაგრამ მალე, მეორე მხარემ გადაწყვეტილება შეცვალა და განაცხადა, რომ სატრანსფერო ფურცელს იმ შემთხვევაში მომცემდა, თუ ჩემი შეძენის მსურველი კლუბი მათ 250.000 დოლარს გადაუხდიდა. ეს პროცესი, რომელიც თითქმის ორი თვე გაგრძელდა, ჩემი გამარჯვებით დასრულდა: პალატამ გამოიტანა ვერდიქტი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ კლუბში გადასვლა შემეძლო. სხვათა შორის, მაშინ ვთქვი, რომ ფიფაში ვიჩივლებდი, რათა ის თანხა მიმეღო, რომელიც „ალანიაში“ თამაშით გამოვიმუშავე. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან „ალანიას“ ჩემი ვალი ჰქონდა, მას ახალი ფეხბურთელების განაცხადში შეყვანის უფლებას არ აძლევდნენ. ბოლოს, კლუბის პრეზიდენტის პოსტზე ისევ ტაკოევი დაბრუნდა და ფიფაში ჩივილი აღარ დამჭირვებია, რადგან მან ვალი გამისტუმრა. შესაბამისად, „ალანიასაც“ ვეტო მოეხსნა ახალი მოთამაშეების მოწვევასთან დაკავშირებით. ვლადიკავკაზიდან პირველი ლიგის გუნდში – მახაჩყალის „ანჟიში“ გადავედი, სადაც კახა ცხადაძესთან ერთად, 2003 წლის სეზონი ვითამაშე. იმ დროს, გუნდს გაჯი გაჯიევი წვრთნიდა, რომელიც მომდევნო წელს, სამარის „კრილია სოვეტოვის“ თავკაცი გახდა, ხოლო მე მოთამაშე-მწვრთნელად წამიყვანა. მიუხედავად ჩემი სტატუსისა, თავს ჯერჯერობით ფეხბურთელად უფრო ვგრძნობ, ვიდრე მწვრთნელად. გუნდის საქმიანობაში დიდად არ ვერევი და ვცდილობ, ისეთი სპეციალისტისგან, როგორიც გაჯიევია, ბევრი რამ ვისწავლო. ამისთვის სპეციალური კონსპექტიც კი მაქვს, რომელიც კარიერის დასრულებისას აუცილებლად გამომადგება, რადგან მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში ჩაბარებას და შესაბამისი ლიცენზიის მიღებას ვაპირებ.

■

ო'ნილის ჯალათაში 100 მილიონი „ჩავარდა“



სწორედ ეს თანხაა დასახელებული კონტრაქტში, რომელსაც სახელგანთქმულმა კალათბურთელმა კლუბთან – Miami Heat – მოაწერა ხელი. წინა სეზონში შაკილ ო'ნილმა 30,6 მლნ დოლარი მიიღო და ყველა ვარაუდობდა, რომ წლეულსაც ამავე თანხას შესთავაზებდნენ. მაგრამ მან გრძელვადიანი კონტრაქტი ამჯობინა და ამის შედეგად შეუძლია, აღარ იღელვოს საკუთარ მომავალზე. თუმცა ამავე დროს, კალათბურთელმა განაცხადა, რომ მისთვის NBA-ს ჩემპიონის ტიტული ფულზე გაცილებით მეტს ნიშნავს. „ძალზე კმაყოფილი ვარ კლუბთან დადებული ახალი შეთანხმებით, – აღნიშნა ო'ნილმა. – ეს კონტრაქტი ჩემი ოჯახისთვის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. Miami-ს კი საშუალებას მისცემს, კიდევ გამონახოს სახსრები ახალი მოთამაშეების შესაძენად, რომლებიც ჩემპიონატის მოგებაში დაგვეხმარებიან“, – დასძინა შაკილ ო'ნილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

■

ნახევარმცველი ბექჰემი დაცვაშიც მარჯვე აღმოჩნდა

ამჯერად ის მოსარჩლის როლში მოგვევლინა და წარმატებასაც მიაღწია: დევიდმა სასამართლო პროცესი მოუგო ავტორიტეტულ გამოცემას, ჟურნალს – The People, რომლის ავტორიც ცილისწამებაში დაადანაშაულა. ფეხბურთის ვარსკვლავმა სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც ჟურნალში დაიბეჭდა მომცრო წერილი, სადაც მისი შვილების ყოფილი ძიძა, ები გიბსონი ირწმუნებოდა, რომ დევიდი მას ყოველდღე ურეკავდა და ემუქრებოდა. ბექჰემის ადვოკატმა, ჯერარდ ტირელმა დაამტკიცა, რომ ეს კორესპონდენცია აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. მისი თქმით, დევიდ ბექჰემს მართლაც ულაპარაკია ები გიბსონთან, სამსახურიდან ქალის დათხოვნის შემდეგ, მაგრამ არც შეურაცხყოფა მიუყენებია მისთვის და, მით უმეტეს, არც დამუქრებია მას. საგამომცემლო სახლი MGN Limited იძულებული გახდა, დასთანხმებოდა სოლიდური თანხის გადახდას ფეხბურთელისთვის მიყენებული მორალური ზარალის საკომპენსაციოდ და ამასთანავე პირობა დადო, რომ მომავალში არასდროს იკადრებს ბექჰემის მიმართ ცილისწამების შემცველი წერილების გამოქვეყნებას...

■

მასპინძის ძმები

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი „გზა“ №28-36)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა ცდილობს, იდუმალებით მოცული მკვლელობის ამბავში გაერკვეს: ღამით, მთაწმინდაზე ვიღაცამ მოკლა განდეგილად მცხოვრები მხატვარი თომა და დაჭრა ნიორას ლაბრადორი. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული. სამ მეგობარს — ანტონ დარჩიას, თომა გოგოლაშვილსა და ლევან მანჯავიძეს ერთი გოგო — თამარ სანაძე ჰყვარებია. მან თომას გრძნობას უპასუხა, მაგრამ ქალ-ვაჟის ურთიერთობას გოგოს ბებია, ნუცა დადიანი აღუდგა წინ. წლების შემდეგ, თამარი ვინმე არდაშელიას გაჰყოლია ცოლად, ბებიამისმა კი, რაღაც ძვირფასეულობა ანტონსა და მის ნაშვილებ ბიჭს — ბაკურს დაუტოვა... ნიორა დროებით, სწორედ ანტონის სახლში ცხოვრობს, რომელიც ახლა მის მეგობარს, ამერიკაში მყოფ მაგდას ეკუთვნის.

რადიოგადაცემის დროს, რომლის თემაა მოჩვენებები, სტუდიაში რეკავს კაცი, რომელიც ჟურნალისტს ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და ქალის მკვლელობას ახსენებს. მოკლული, ვინმე თამილა არდაშელია იყო. მკვლელობის მსხვერპლი გახდა აგრეთვე, მისი ქალიშვილი სალომე... თამილას მეზობელი, მეტსახელად „შავი მარო“, წარსულში ბებიაქალი, ჩვილის გაყიდვის ბრალდებით იყო გასამართლებული. მშობიარე, სწორედ თამილა არდაშელია — იგივე თამარ სანაძე ყოფილა...

ლევან მანჯავიძე ნორას შინ ეწვევა და სთხოვს, მისი შვილის — 22 წლის ბაიას მოძებნაში დაეხმაროს. როგორც შემდგომ, ლევანის ცოლთან, ესმასთან შეხვედრისას მარიანა შეიტყობს, ბაია ნარკოტიკებს ეძალება და ახალგაზრდა მხატვარ ბაკურ სანაძეზეა შეყვარებული.

ნორა ხეზე აგებულ ქოხში მცხოვრები, შერეკილი თომას სანახავად მიდის, რომელიც რაღაც სურათის ჩვენებას დაჰპირდა. მის ცარიელ ქოხში ჟურნალისტი ერთ უცნაურ სურათს ნახავს: მასზე თავად მხატვარია გამოსახული, რომელსაც მუხლებზე საკუთარი ასლები, ოღონდ, ერთი — კეთილი და ხალისიანი, მეორე კი — მოღუშული და ბოროტი — უსხედან.

სათვალთვალო ვიდეოკამერები ნორას სახლში დააფიქსირებენ ლევანის ფარულ ვიზიტს. მოსამსახურე ნაზიკო გამოუტყდება ჟურნალისტს, რომ დაშანტაჟების გზით, მანჯავიძემ დაითანხმა იმაზე, რომ შინ შეეშვა. ლევანი იქ ნუცა დადიანის მიერ ანტონისთვის ნაანდერძევ, „ფაბერჟეს“ კვერცხს ეძებს.

ნორა „შავ მაროს“ ესტუმრება, რათა მისგან 3 მეგობრისა და თამილას ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ შეიტყოს და დაადგენს, რომ ბაია, თამილას შვილია და არა — ესმასი. მაგრამ მთავარ კითხვაზე — თუ რა კავშირი ჰქონდა ამ ამბებთან თომას მკვლელობას? — პასუხს ვერ მიიღებს.

მოულოდნელად, თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს ლევან მანჯავიძე. თომას სავარაუდო მკვლელთა ნორასეულ სიაში მხოლოდ ბაკური რჩება. მიუხედავად ამისა, მხატვრის დაჟინებული თხოვნით, ჟურნალისტი მას სახელოსნოში მიჰყვება. საუბრისას, ბაკური მოულოდნელად ოთახიდან გადის და ცოტა ხანში, აბანოს ხალათითა და ჩუსტებით ბრუნდება, თითქოს ეს-ესაა, აბაზანიდან გამოვიდა. მისი უეცარი თავდასხმისას მარიანა იატაკზე დადებულ შანდალს დასწვდება, თავში ჩაარტყამს ბაკურს და კარისკენ გაიქცევა. ამ დროს, მის წინ „მეორე ბაკური“ გაჩნდება, რომელიც მოძალადისგან თავის დაღწევაში დაეხმარება... ბინიდან გაღწევისას, ნორა გაიგონებს ქალის განწირულ ხმას, რომელიც შველას ითხოვს; ერთ-ერთი ბინიდან ქერა ქალი გამოყოფს თავს. ნორას ვარაუდით, ეს ბაია უნდა იყოს. გარეთ გამოსულებს, მათ პოლიცია შეეფეთება...

ამერიკიდან მაგდა და მარინა დარჩა ჩამოდიან. მარინას თქმით, მისი შვილი ნინიკო, რომელმაც თავი მოიკლა, სინამდვილეში ასევე თამილას ბიოლოგიური შვილი ყოფილა. მაგრამ არც გამოძიებას და არც სხვებს არ სჯერათ, რომ „ორი ბაკური“ არსებობს... თამილას შვილებისა და სხვა გარემოებებში უკეთ გასარკვევად ნორა და მისი უფროსი, ირაკლი „შავ მაროსთან“ მიდიან. ქალი მათ სასიკვდილოდ დაჭრილი დახვდება...

ეს რა ბედი მაქვს — მეორედ მაკვდება ხელში უცხო ადამიანი! ჩემს ასაკში, ნამდვილად მეტისმეტია...

— ახლავე გიშველით! — გამოუცხადა ჩემს კივილზე ოთახში შემოვარდნილმა მაღრაძემ და ,,სასწრაფოში'' რეკვა დაიწყო.

— ვერ გავიმეტე ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭი. იმ ღამეს დავინახე ბექა, თამილას რომ შეჰყვა ოთახში. მერე სადღაც გადაიკარგა... იმიტომ არ გითხარი, ბიჭებიც რომ ჰყავდა თამილას, ტყუპი: ერთი ჩემმა დამ გაზარდა, ერთი წლის წინ მომიკვდა. მარტო ეს ბიჭი დარჩა, მეორე ბავშვი ვინ წაიყვანა, არ ვიცი... — მარომ ერთხელაც ამოიკვნესა და გაჩუმდა.

— ეს ამბავი ვინ დაგმართათ? — სულ დავკარგე ადამიანობა და მომაკვდავი ქალის დაკითხვა განვაგრძე.

— იმან მიყო, ბექამ... თავისი ძაღლი რაც წაიყვანა და წავიდა, თვალით აღარ მინახავს. მერე იქ დავინახე, თამილასთან... მე ხელი დავაფარე, თვითონ კი ასე გამიმეტა... — მარომ უმწეოდ დააღო პირი, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო. მერე თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

— გუშინ მოვიდა შუადღეზე, სახლში შემოვუშვი. პირი ამიკრა, თავისი საბუთები მოძებნა, გაქცევა უნდოდა. მე დარჩენა ვთხოვე. გაბრაზდა და გულში ჩამარტყა დანა...

ქალს რაღაც ეშლება: თუ გუშინ შუადღეზე მოხდა ეს ამბავი, ამდენ ხანს ცოცხალი როგორ არის?.. თანაც, იმ დროს, ორივე ბაკური თუ ერთი — ბაკური

და მეორეც – ბექა... მოკლედ, ორივე ტყუპისცალი ცოცხალი იყო. ისევ არ ვიცი, რომელია მკვლელი – ის, ვინც მოკვდა თუ ვინც გადარჩა...

მარო „სასწრაფო დახმარების“ მანქანამ წაიყვანა. მისი უცნაური სიცოცხლისუნარიანობის ამბავიც გავარკვიეთ: ქალს პათოლოგია აღმოაჩნდა – გული მარჯვენა მხარეზე აქვს, ამიტომაც არ აღმოჩნდა ჭრილობა სასიკვდილო, მაგრამ იმდენი სისხლი დაკარგა, რომ მაინც ვერ გადაარჩინეს, საავადმყოფოში მიყვანიდან ერთ საათში გარდაიცვალა.

საგონებელში ჩავარდნილი დავბრუნდი შინ. დაქალისა და მისი სტუმრის მარტო დატოვება შემეშინდა, დედაჩემი ძლივს დავითანხმე და გადაცემის შემდეგ, მთაწმინდაზე გავქანდი.

მარინა და მაგდა ლევან მანჯავიძის პანაშვიდზე ყოფილან. შთაბეჭდილებები გამიზიარეს.

– ესმა მაინცდამაინც მგლოვიარეს არ ჰგავდა. მკითხა – იმ საწერ მაგიდას ხომ არ მომყიდი, ნუცამ რომ დაგიტოვა? ლევანი ოცნებობდა მაგის შეძენაზე, ხომ იცი, ანტიკვარიატზე როგორ გიჟდებოდაო. მე ვუთხარი, წყნეთში მაქვს და ბაკური რომ გამოჩნდება, იმას შეუთანხმდი-მეთქი, ვითომ არ ვიცი მისი დაღუპვის ამბავი...

– მერე, რა გიპასუხა? – ვკითხე მეგობარს.

– არაფერი. ძალიან დაიძაბა. მითხრა – მაგ ბაკურს ვერ ვიტან, ჩემი ქალიშვილი ჰყავდა ჩაკეტილი და აწამებდაო... საავადმყოფოდან დაურეკავთ და ბაიას ამბავი უთქვამთ.

– ის მაგიდა ლევანმაც მოიკითხა თავისი სიკვდილის დღეს, – გამახსენდა მე. – შაქროსთან ულაპარაკია.

– ნეტავ, რაში სჭირდებათ? ერთი ჩვეულებრივი, წითელი ხის მაგიდაა, ლომის ფეხებზე.

– „ფაბერჟე“! – აღმომხდა უნებურად. – იმ ლექსში სწორედ ასე ეწერა: „წითელ ლომს ფეხებს დააცლი“... იმ დღეს, სურათზე წაწერილი ლექსი ესმამ ნახა, ის სურათი მკვლელის ხელშიც მოხვდა! ახლავე უნდა წავიდეთ წყნეთში... – ავტყდი მე. ქალებიც დავიყოლიე. ლადოს გამოვუძახეთ და აგარაკისკენ გავქანდით.

ჭიშკარი ღია დაგვხვდა. შუკაში ლევან მანჯავიძის მანქანა იდგა. როგორც ჩანს, ესმა ისე ჩქარობდა, სულ დაივიწყა სიფრთხილე...

ჩუმად შევიპარეთ ეზოში. სარდაფიდან ხმაური და მძიმე საგნის დავარდნის ხმა მოგვესმა. ახლა კი შევშინდი... ალეკოს დავურეკე და ჩემი აღმოჩენის შესახებ მოვახსენე.

– ახლავე ჩასხედით მანქანაში და სახლს მოშორდით! – გვიბრძანა მან. – შესაძლოა, მძარცველი შეიარაღებულია. ექსპერტიზამ დაადგინა: იმ ტყვიის ტრაექტორია, რომელმაც ლევან მანჯავიძე მოკლა, თვითმკვლელობას გამორიცხავს – ვიღაც მიეხმარა ამ ქვეყანასთან გამოთხოვებაში... ეგ ესმა ძალიან საშიში ქალია...

გამომძიებელს ისეთი კატეგორიული ტონი ჰქონდა, დავემორჩილეთ და შორიახლო გავაჩერეთ მანქანა. ლადომ იარაღი ამოიღო და სარდაფში შესვლა დააპირა, მაგრამ მაგდამ დაუშალა. უეცრად, ესმა დავინახეთ. ბარბაცით გამოდის ალაყაფის კარიდან, მხრები უცახცახებს, თითქოს ტირის... ლადო მანქანიდან გადახტა და ქალს პისტოლეტი მიუშვირა. ერთად დავაკავეთ მძარცველი... ესმა ცრემლებს აფრქვევს და არაფერს ამბობს. უეცრად ხმამაღლა შეკივლა და გზისკენ მიგვითითა. მანქანის დაქოქვის ხმა გავიგონეთ. დავინახეთ, როგორ მოწყდა ადგილიდან მანჯავიძეების მანქანა. საჭესთან ვიღაც ქუდჩამოფხატული ტიპი ზის. ლადომ ჯერ გაკიდება დააპირა, მაგრამ მერე, ჩვენი დატოვება შეეშინდა და გადაიფიქრა.

ამასობაში, ალეკოც მოვიდა. მან ყველა პოსტს გადასცა გატაცებული მანქანის ნომერი. ესმაც იქვე გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს. სარდაფში, გადაბრუნებული და დაშლილი ეგდო ძველებური მაგიდა, ლომის ფეხები დახსნილი ჰქონდა, იატაკზე მაგიდის ფუღურეროიანი საყრდენი სვეტებიდან გამოღებული, ძველი, დაჭმუჭნილი გაზეთები ეყარა. „ფაბერჟეს“ კვერცხები არსად ჩანდა.

– ტყუილად ეძებთ, იმ დამპალმა ბაკურმა წაიღო კვერცხები. მაგიდის დაშლაში გამომიყენა, მერე თავში მუშტი ჩამცხო და გაიპარა... სულ ბებიამისის და დედამისის ლანძღვაში იყო. იმათი ქონების მისაკუთრების უფლება არა აქვს! მაგას არაფერი ეკუთვნის, დედის მკვლელი და გარეწარია!.. – გაკიოდა ისტერიკაში ჩავარდნილი ესმა.

ალეკომ ატირებული ქალი პოლიციის მანქანაში ჩასვა და სადღაც წაიყვანა. მანჯავიძეების მანქანა იქვე, წყნეთის გზაზე იპოვეს. ბაკური არსად ჩანდა. ნირწამხდრები გამოვემგზავრეთ თბილისში. მოგვიანებით, სახლში ალეკო გვეწვია. იმის გაგება აინტერესებდა, თუ როგორ აღმოვჩნდით წყნეთში. დარცხვენილმა, ყველაფერი ვუამბე – ფოტოსურათის ამბავიც და ლექსის შინაარსიც. ყურადღებით მისმენდა. მერე მისმა ტელეფონმა დარეკა და სალაპარაკოდ, დერეფანში გავიდა.

– ბაკურ სანაძე დაიჭირეს! – გამოგვიცხადა ამაყად. – აეროპორტში დააკავეს, ბექა მაისურაძის საბუთებით აპირებდა საზღვარზე გადასვლას. „ფაბერჟეს“ ორი კვერცხიც უპოვეს, ბარგში ჰქონდა დამალული. – ალეკო ბაღაშვილის თქმით, ესმა, ბაკურს აბრალებდა ქმრის მოკვლას. როდესაც ესმამ ჩემს მიწოდებულ ფოტოზე ლექსი წაიკითხა, ყველაფერს მიხვდა და ლევანს სთხოვა, გაეგო, სად წაიღო მაგდამ ნუცას ძველებური მაგიდა. წყნეთის აგარაკის მისამართიც და მაგიდის ადგილსამყოფელიც ლევანმა შაქროსაგან გაიგო და ესმას აცნობა. ესმას თქმით, ეს საუბარი ბაკურმა შემთხვევით მოისმინა და ალბათ, მან მოკლა ლევანი, თან ისე მოაწყო, რომ ესმას თვითმკვლელობა ჰგონებოდა. მგლოვიარე ესმას, მამაკაცმა წყნეთში ჩასვლა და „ფაბერჟეს“ პოვნაში დახმარება სთხოვა.

– მოკლედ, მის ნათქვამს თუ ვენდობით, თვითონ, უმანკო კრავი გამოდის... – გაეცინა ალეკო ბაღაშვილს. – ჩვენ სხვა ჩვენებაც მოგვეპოვება, რომელიც ქალის ბრალეულობას ამტკიცებს... ბაია გამოვიდა შოკიდან. დარწმუნებულია, რომ მამამისის სიკვდილში ესმას ხელი ურევია. ბაიას თქმით, ბაკურს ესმამ აურია ტვინი, თამილასაც მიუქსია და თავის საყვარლადაც აქცია. ის ჩასჩიჩინებდა – შენს უბედურებაში დამ-

ნაშავე, უზნეო დედაშენიაო... ბაია ამბობს, რომ ბაკური სხვა ქალებთან იმპოტენტივით იყო, დედაჩემს კი ეთაყვანებოდაო... ნინიკოს სიკვდილის შემდეგ, ბაკური ესმას მოსაკლავად მისულა, რადგან მას თვლიდა მთავარ დამნაშავედ. იმას კი ისე მოუნუსხავს, თავის მონად უქცევია. ესმა ბაიას დიდხანს ატყუებდა – მინდა, შენ და ბაკური შეგარიგოთო, – მაგრამ ერთხელ, სახლში შემთხვევით დარჩენილ ბაიას მათი საუბრისთვის მოუსმენია და ყველაფერს მიმხვდარა. ქალიშვილს თუ დავუჯერებთ, ეგ ლევანიც კარგი ტირანი ყოფილა: სადმე წასვლას თუ დავაპირებდი, ფეხებში შოლტს გამიტყლაშუნებდა და კიბეზე წამაქცევდა ხოლმეო, – უთქვამს ბაღაშვილისთვის ბაია მანჯავიძეს.

– მეც ასე დამაგორა კიბეზე – სიბნელეში მომეპარა და შოლტი გამომდო! – წამოვიძახე აღმოჩენით გაოცებულმა. რატომღაც გამახსენდა, თუ როგორ სცემდა შოლტს თომას სახლისაკენ მიმავალი ლევანი ბუჩქებს...

– როგორც ჩანს, ესმამ საიდანღაც შეიტყო, რომ ბაიამ უკვე იცოდა მისი და ბაკურის ამბავი, შეეშინდა, ლევანს არ უთხრასო და თვითონ გააპარა ქალიშვილი სახლიდან, ქუჩაში კი, ბაკური დაახვედრა: საკუთარი პირმშო მანიაკს ჩაუგდო ხელში! – ბრაზობს გამომძიებელი.

– საიდან მიხვდით, რომ ბაკური ძმის საბუთებით შეეცდებოდა მიმალვას? – შეეკითხა მაგდა.

– ყველა პოსტს ოპერატიულად გადავეცით ორივე ძმის მონაცემები. დილას, აეროპორტმა ძებნილის გამოჩენა შეგვატყობინა. ეგ საქმე კარგად ვიცით – გვეტრაბახება ალეკო.

ნაზიკო ისე გაახარა ბაკურის დაჭერის ამბავმა, რომ სულ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები დაგვაყარა თავზე. თურმე, ძალიან შიშობდა, რომ მანიაკი, თომას სამარხის გათქმისთვის ყელს გამოსჭრიდა ლუკას. კარგად მოვილხინეთ, ირაკლი მაღრაძეც შემოგვიერთდა და მაგდას ჩამოსვლა აღვნიშნეთ. მე, მარინას და მაგდას შექეიფიანებული ბაღაშვილი ჩამორთმეული „ფაბერჟეს“ ჩვენებასაც დაგვპირდა. ორივე კვერცხი ულამაზესია. ერთი – გამჭვირვალე ვარდისფერი ემალისაა, მეორე – თეთრი. შიგნით ციცქნა ფიგურებია ჩამალული, რომლებიც პატარა ოქროს გასაღებით დაქოქვისას იწყებს მოძრაობას; თუ რა ფიგურებია – ეს საიდუმლოა, თვითონ გახსნით და ნახავთ, სიურპრიზი იქნებაო, – გვეუბნება.

მეორე დილას, პრესა უკვე აჭრელებული იყო „წითელი მანიაკის“ დაღუპვის შესახებ სტატიებით. რამდენიმე ჟურნალი კი, ბაკურისთვის ჩამორთმეული „ფაბერჟეს“ კვერცხების ფოტოთი იწონებდა თავს. დაკავებული ამტკიცებდა, რომ ბექა მაისურაძე კი არა – ბაკურ სანაძეა და მხოლოდ საკუთარი, მანიაკი ძმის მკვლელობას აღიარებდა.

– ჩემი ძმა შეიშალა. ჯერ დედა, და და მამა მომიკლა, მერე მეც დამიპირა განადგურება, – ჯიუტად იმეორებდა თამილას ერთადერთი გადარჩენილი შთამომავალი და მოწმედ მე მასახელებდა.

დაპირისპირებაზე შეხვედრისას, ვერაფრით მივხვდი, რომელი ძმა ივჯდა ჩემ წინ – მანიაკი თუ მეორე, კეთილგანწყობილი და ჩემში შეყვარებული. თვალები ცივად აღარ უელავდა, მზერა ჩაჰქრობოდა... ხმა კი ჰქონდა ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვთქვი, რომელი იყო. არაფერი დამიშავებია, – გვიმტკიცებდა ტყუპისცალი, – რაც მეკუთვნოდა, ის ავიღეო.

გამომძიებელთანაც მომიწია მოწმედ გამოსვლამ. მირიან ბოკუჩავა და ალეკო ბაღაშვილი ყურადღებით მისმენდნენ. მოვყევი, როგორ მიცავდა ერთი ძმა მეორის – მოძალადისგან. ისე გამოვიდა, რომ მე თვითონ გადავარჩინე აეროპორტში დაკავებული ბექა სანაძე თუ მისი ტყუპისცალი დაპატიმრებას...

– ვიცოდი, რომ ჩემზე ძებნას გამოაცხადებდით, ბექას საბუთები სახელოსნოში ვიპოვე და თან წავიღე, – ამტკიცებდა დაკავებული. მისი თქმით, ძმას ბებიამისის სიკვდილის მერე მიაგნო და ამ რამდენიმე ხნის წინ, შინაც მიიყვანა. უფრო სწორად, ბექა თვითონ მიადგა სახლში, მოუყვა, თუ რა მძიმე პირობებში იზრდებოდა, როგორ უჭირდა სიღარიბეში ცხოვრება და თავშესაფარი სთხოვა. ბაკურმა თავის ბინაში დაასახლა, თვითონ კი სახელოსნოში გადავიდა. კომფორტი შეუქმნა, მანქანა ათხოვა... მაგრამ ბექა დაჟინებით სთხოვდა, საიდუმლოდ შეენახა მისი ამბავი: ერთი ჩხუბის გამო, პოლიცია მეძებსო, – უთქვამს.

– ყველაფერში მბაძავდა, თმაც ჩემსავით მოუშვა, ხატვაც დაიწყო... დილაუთენია, კლდეებშიც კი დამყვებოდა სასეირნოდ და საბრძოლო ხელოვნებას მასწავლიდა, – გამოაცხადა ბაკურმა სასამართლოზე. მისი ნათქვამიდან გამოდიოდა, რომ ბექას, ძმის მოკვლა და მისი ჩანაცვლება სურდა.

– ერთხელ, თომა გადაგვეყარა ტყეში. მამაჩემისთვის მარინას ჰქონდა ნათქვამი, რომ მისი შვილი ვიყავი. სულ ცდილობდა ჩვენთან დამეგობრებას, ძალიან გაიხარა, ერთის ნაცვლად, ორნი რომ აღმოვჩნდით. ბექა კი გაბრაზდა: არ მოსწონდა, თომამ მისი არსებობის შესახებ რომ იცოდა.

– როგორ მიხვდით, რომ ბექამ მამა მოგიკლათ? – ჰკითხა მირიან ბოკუჩავამ.

– თომამ სურათი დახატა. თვითონ იყო, ახალგაზრდა, ორი შვილით თუ ბექა იყო, გაორებული, ზუსტად არ ვიცი... ბექას ეს სურათი ჩემთან, სახელოსნოში დაუმალავს. ვიცოდი, ძალიან არ მოსწონდა. მაგის გამო სულ შეიძულა მამაჩემი. რომ ვკითხე – საიდან გაქვსმეთქი? – არაფერი მიპასუხა. მერე, აღარც თომა გამოჩნდა და მივხვდი, რომ ცუდი ამბავი იყო მის თავს.

– დედის ამბავი როგორღა შეიტყვეთ?

– თვითონ მითხრა სიკვდილის წინ. იმ დღეს, მარიანასთვის მინდოდა ჩემი ეჭვის გაზიარება. სახელოსნოში ავედით, მეორე ოთახიდან ხმაური შემომესმა. მივხვდი – ჩემი ძმა იქნებოდა, მარიანა სახელოსნოში დავტოვე და საძინებელში გავედი. მოულოდნელად, ბექა თავზე დამახტა და გამთიშა. მერე თვითონ შევიდა მარიანასთან. გონს რომ მოვედი და მისი სიტყვები მოვისმინე, ეჭვი აღარ შემპარვია, რომ მანიაკთან მქონდა საქმე. ორთაბრძოლისას, ჯერ დამჯაბნა, თავი გამიტეხა. ეგონა, მომერია. თავგატეხილს და იატაკზე დაგდებულს მიამბო, თუ როგორ მოკლა და და დედა. თვითონაც გატეხილი ჰქონდა თავი, მარიანამ ჩაარტყა. სისხლში მოთხვრილი, საზარელი სანახავი იყო. მეც მოკვლას მიპირებდა, მაგრამ ხელიდან დავუსხლტი. კედლიდან ხმალი ჩამოვხსენი და მოვუქნიე... მერე შემეშინდა, რომ დამიჭერდით და გავიქეცი. ჩემს გასვლამდე, სახელოსნოში ტელეფონმა დარეკა. ესმა იყო, თავისთან მიბარებდა. იქ ბექა დაძვრებოდა ხოლმე. მეგონა, ბაია უყვარდა და არ ვუშლიდი. მე ბაიასთან, ნინიკოს სიკვდილის შემდეგ, არ ვურთიერთობდი, მაგრამ ძმისთვის არაფერი მითქვამს. ამიტომ, ყურმილში ესმას ხმის გაგონება არ გამკვირვებია. მითხრა – ბებიაშენის განძს მივაგენი და წამოღებაში მომეხმარეო. იცოდა, მაგიდის გადაბრუნება მარტოს რომ აღარ შეეძლო. დანარჩენი იცით, მე მხოლოდ ის ავიღე, რაც კანონით მეკუთვნოდა. მკვლელი რომ ვიყო, არც ესმას ვაცოცხლებდი... – დაასრულა თხრობა ბაკურმა.

ტყუპისცალები ერთმანეთისგან ვერც ბაიამ განასხვავა. ამიტომ სასამართლომ სამხილები არასაკმარისად მიიჩნია და ბაკურს წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა. ესმაც გადაურჩა ამ ეტაპზე, ციხეს. ბოლო მარცხმა მისი მდგომარეობა ისე დაამძიმა, რომ ლოგინად ჩა-

ვარდა და ლევან მანჯავიძე, მეზობლებისა და კლინიკიდან სპეციალურად ამისათვის გამოსული, ავადმყოფი ქალიშვილის დასამარხი გახდა. ხანდახან, გონდაკარგულ, მწოლიარე მეზობელს ნაზიკოც უვლის. ჯოგლიძე დარწმუნებულია, რომ ლევანი ესმამ მოკლა: ხანდახან აბოდებს და მისი ნალაპარაკებიდან ასეთი აზრი გამოვიტანეო, – ირწმუნება.

ბექა სანაძის სიკვდილმა ნაზიკო სულაც არ დააწყნარა. ისევ ლუკას დარდი აქვს. ამას წინათ, გულგახეთქილი მოვარდა და მოგვახსენა, რომ „ის თმაგაშლილი მხეცი“ კვლავ გამოჩნდა კლდეებზე...

– ბიჭი ვეღარ გამიშვია გარეთ, მომიკლავს... – წუწუნებს შეშინებული ნაზიკო. მეც გული მკარნახობს, რომ გადარჩენილი ბაკური, სწორედ ის ბოროტი მანიაკია, რომელიც ყველას მკვდარი ჰგონია. ის, მეორე რომ იყოს ცოცხალი, რომელიც ბონის გადარჩენაში დამეხმარა, უეჭველად მოვიდოდა ჩემს სანახავად...

ვერ მოვისვენე: გადავწყვიტე, ბონისთან ერთად გამესეირნა კლდეზე და კიდევ ერთხელ მენახა გადარჩენილი მხატვარი. ვიცოდი, ამ განზრახვას არავინ მომიწონებდა, ამიტომ მაგდას წერილი დავუტოვე და დილაუთენია, უჩუმრად გავუყევი გზას.

მისი მოძებნა არ გამჭირვებია. წელს ზემოთ შიშველი, წყაროსთან იჯდა, ბექობზე, ლოტოსის პოზაში, თვალები დაეხუჭა... უხმოდ მომინდა მიახლოება, მაგრამ ბონიმ აღარ დამაცადა – საშინელი ყეფა ატეხა და მისკენ გაექანა. ქერათმიანი ათლეტი ძღივს იგერიებდა ყოველთვის მშვიდ, მოსიყვარულე ძაღლს... გამახსენდა, თუ რაოდენ უპრობლემოდ მიენდო თავგატეხილი ბონი ბაკურს, როგორ ფრთხილად დააწვინა საოპერაციო მაგიდაზე, ვეტერინართან... ხალი! მაშინ ცხადად დავინახე – ბაკურს მხარზე ხალი ჰქონდა, ამას კი არა აქვს... არც იმ მანიაკს ჰქონდა, გავეშებული რომ მოიწევდა ჩემკენ სახელოსნოში. სწორედ ამან შემაცბუნა მაშინ და ვერ გავაცნობიერე... ბაკურმა წიხლი უთავაზა ბონის, ისიც შარვლის ტოტში სწვდა...

– ბონი, ჩემთან! – დავიყვირე განწირული ხმით, როცა დავინახე, როგორ მოუღერა ბაკურმა ძაღლს იქვე ნაპოვნი მძიმე ჯოხი. ალბათ, მაშინაც ასე გაუხეთქა თავი, იმიტომაც ერჩის ძაღლი... – მივხვდი უცებ. ბონიმ მაშინვე დამიჯერა, მოირბინა და ჩემსა და სანაძეს შორის ჩადგა.

– ეტყობა, ის ახსოვს, ექიმთან რომ წავიყვანეთ და ძალით რომ გააკავეთ საოპერაციო მაგიდაზე, – ვიცრუე მე. არაფერი უთქვამს, მხოლოდ გამიღიმა.

– მადლობაც ვერ გითხარით, იმ ღამეს იმდენი მატარეთ, საბურთალოს ბოლოში გავედით. სულ დაგისვარეთ მანქანა... – ტყუილს ტყუილზე ვაცხობ და თვალს არ ვაშორებ. აშკარად დაბნეულია, მაგრამ არ იმჩნევს. – ვიქტორს რამე ხომ არ უთქვამს, იმ ვეტერინარს? – ჩემსას მივერეკები მე. – დამპირდა, რომ თქვენ გამოგატანდათ წამალს.

– არაფერი უთქვამს, – მიღრენს უკმაყოფილოდ. – იმის შემდეგ, აღარც მინახავს. – არც ვეტექიმის სახელი შემისწორა, არც მისამართი...

– თქვენი ძალიან მადლიერი ვარ, ორჯერ მიხსენით გასაჭირისგან. ძალიან მინდა, ჩემს დაბადების დღეზე დაგპატიჟოთ. დღეს, შვიდ საათზე გელოდებით, ნუ გამაწბილებთ, – აღარ ვიცი, რას ვბოდავ, მაგრამ მინდა, ყურადღება გავუფანტო.

– დიდი სიამოვნებით, – მიღიმის ბაკური და ჩემკენ მოდის. აქ კი ვბედავ და იმ ფრაზას ვამბობ, რომლის გამოც ამდენი ვიქაქანე: – ძალიან გამახარებთ, თქვენს დახატულ პორტრეტს თუ მაჩუქებთ, იმ დღეს რომ მაჩვენეთ, სახელოსნოში.

– მართლა მოგწონთ? – სახე გაებადრა ბაკურს. მიზანს მივაღწიე – სულ დაკარგა სიფრთხილე.

– ძალიან მომწონს, განსაკუთრებით – წითელი კაბა. – დავინახე, როგორ შეეცვალა სახე. – არ მომეკარო, შე დამპალო მკვლელო! – შევკივლე და ბილიკზე გავიქეცი.

გამომეკიდა, ბონი ყეფით მოსდევს და ფეხებში ედება. ჯერ ძაღლს მიარტყა წიხლი და ხევში გადაჩეხა, მერე მე მომწვდა მხარში, მომიქნია და კლდეზე მიმაგდო. თვალები ბოროტად უელავს. დაიხარა, მიწიდან ქვას იღებს. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ისე მხეთქა ხელი ყბაში, თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა. მერე ქვიანი ხელი შემართა...

დასასრული
შემდეგ ნომერში



სამურაების ბრძოლები ტარანტინომ მგზნებარე ლათინურამერიკული რიგმების თანხლებით გადაიღო

მუსიკა ძალა ძაბმასათვის

მუსიკა ნებისმიერი კინობლოკბასტერის წარმატების აუცილებელი წინა პირობაა. ამიტომ კომპოზიტორის სწორად შერჩევა რეჟისორთა და პროდიუსერთათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანადაა ქცეული. ფილმისათვის შექმნილი მუსიკალური შედევრი ჯერ სურათის სავიზიტო ბარათი ხდება, შემდეგ შესაძლოა, მობილურ ტელეფონებშიც გადაინაცვლოს და ფილმის ხანგრძლივი ეკრანული სიცოცხლე, წარმატება და შემოსავალიც გარანტირებულია...

ტაპორი თუ კინოპროტექტორი?

მუნჯი კინოს ეპოქაში, მოძრავი კადრებისა და მუსიკის სიმბიოზი მხოლოდ მხატვრული ღირებულების გამო როდი შედგა: პირველი კინოპროექტორები იმდენად ხმაურიანი იყო, რომ მაყურებელს ყურადღებას უფანტავდა. ტაპიორები მხოლოდ ხმამაღლა როდი უკრავდნენ, ისინი სიუჟეტისათვის შესაფერისი მუსიკის შერჩევასაც ცდილობდნენ და ამისათვის ხშირად, კლასიკური ნაწარმოების თემაზე შექმნილ იმპროვიზაციას მიმართავდნენ.

კინოში ხმის გამოჩენამ მუსიკის პოზიციები ვერ შეარყია. პირიქით, კლასიკამ ეკრანზე მეორე სიცოცხლე შეიძინა და კომპოზიტორები კინემატოგრაფთან დღესაც სიამოვნებით თანამშრომლობენ. სერგეი პროკოფიევმა ხომ ჯერ სერგეი ეიზენშტეინის ფილმისათვის — „ალექსანდრე ნეველი“ — დაწერა მუსიკა და ეს მასალა ცნობილი კანტატის შესაქმნელად, მხოლოდ ამის შემდეგ გააერთიანა.

ჰოლივუდის დიადი სტილი

დასავლეთში „თანამედროვე კინომუსიკის მამად“ ერიკ ვოლფგანგს მიიჩნევენ. კინომუსიკის ამ მეტრმა 17 ფილმის საუნდტრეკი შექმნა, ორი „ოსკარის“ მფლობელი გახდა და კომპოზიტორ მაქს შტაინერთან (მუსიკის ავტორი ფილმისთვის „ქარწაღებულნი“) ერთად, მისდა უნებურად, კინომუსიკაში მთელი მიმდინარეობა შექმნა, რომელსაც დღეს „დიად სტილს“ უწოდებენ. ამ სტილის პრინციპი ძალზე უბრალოა: სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული მელოდია კადრში მიმდინარე მოქმედების ილუსტრირებას ახდენს. თანამედროვე ჰოლივუდში გადაღებულ ფილმთა უმრავლესობის მუსიკალური გაფორმება დღესაც ამ პრინციპზეა აგებული.

ფილმის — „მზიური ველის სერენადა“ — ეკრანებზე გამოსვლამ ჯაზი მოდური გახადა

მუსიკის რევოლუციონერმა ჰენრი მანჩინიმ (მარცხნივ) „ოსკარი“ ფილმისათვის — „საუზმე ტიფანისთან“ — შექმნილი მუსიკისათვის მიიღო

50-იან წლებში, „ოცნებების ფაბრიკაში“ ნამდვილი მუსიკალური რევოლუცია მოხდა, რომლის ავტორადაც, გლენ მილერის ორკესტრის წევრი, ჰენრი მანჩინი ითვლება. მის მიერ ფილმისათვის — „ღვინისა და ვარდების დღეები“ — შექმნილი მუსიკა კადრში მიმდინარე მოქმედების კონტრასტული იყო. „ეს დეგრადაციის გზაზე დამდგარი, მძიბვლელი წყვილის მძიმე დრამაა. ვფიქრობდი, რომ ამ ტრაგედიისათვის საუკეთესო ფონს, აუხდენელი ოცნების მსგავსი მსუბუქი, რომანტიკული მელოდია შექმნიდა. როდესაც ეს მუსიკა შევასრულე, ჩემს ზურგს უკან მსხდომმა რეჟისორმა, ბლეიკ ედვარდსმა, მსახიობმა ჯეკ ლემონმა და პროდიუსერმა ხმა ვერ ამოიღეს. მე კარგად ვიცი, რამდენ ხანს დუმს ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ადამიანი — 10 წამი! ბოლოს, ჯეკ ლემონმა ძლივს ამოილუღლუღა: „ჰენრი! ეს უნამუსობაა, მოულოდნელობისაგან ენა ჩამივარდა!“ — იხსენებს მანჩინი.

დღეს, კადრისა და მელოდიის კონტრასტის მიმდევრად, კვენტინ ტარანტინო გვევლინება. როდესაც ფილმში — „მოკალი ბილი“ — შავი მამბა სამურაის ხმლით იბრძვის, კადრს მიღმა,

კომპოზიტორმა ისაკ დუნაევსკიმ და პოეტმა ვასილი ლებედევ-კუმაჩმა სიმღერის – „Широка страна моя родная“ – დაწერას 6 თვე მოანდომეს

მგზნებარე ფლამენკოს, 80-იანი წლების დისკოს, ტექნოსა და მამაკაცთა გუნდის ნარევი ისმის. მუსიკალური ექსპერიმენტები ტარანტინომ ჯერ კიდევ სურათზე – „დაბადებიდან მკვლელნი“ – მუშაობისას დაიწყო. თავდაპირველად, რეჟისორი მხოლოდ ადრეული როკ-ენ-როლის სტილზე შეჩერებას აპირებდა, მაგრამ მუსიკოსმა ტრენტ რეზნორმა საუნდტრეკისათვის ასეულობით სიმღერისა და ხმოვანი წყაროს გამოყენება შესთავაზა და ამგვარმა მუსიკალურმა კოლაჟმა ტარანტინო სულით ხორცამდე აღაფრთოვანა.

განუყრელნი

ორ უდიდეს იტალიელ შემოქმედს – რეჟისორ ფედერიკო ფელინისა და კომპოზიტორ ნინო როტას მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა. ფელინის უკლებლივ ყველა სურათის მუსიკა ნინო როტამ შექმნა.

მას ახირებული ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა. არაერთხელ შეუქმნია მუსიკა ფილმისათვის ისე, რომ არც სურათის სიუჟეტს იცნობდა და არც გმირთა ხასიათს. მიუხედავად ამისა, როტას მუსიკა იდეალურად გადმოსცემდა ფელინის იდეას, პერსონაჟთა ხასიათსა და სურათის საერთო განწყობილებას. ფედერიკო ფელინი კომპოზიტორს ხშირად, იმ დაბნეულ ფეხით მოსიარულეს ადარებდა, რომელიც მანქანების ნაკადში გზააბნეული დგას.

მაგრამ მსოფლიო დიდება და სახელი ნინო როტას მეორე დიდი იტალიელი რეჟისორის, ფრენსის ფორდ კოპოლას სურათმა – „ნათლიამ“ მოუტანა.

კიდევ ერთი შემოქმედებითი ტანდემის – რეჟისორ სერჯო ლეონესა და კომპოზიტორ ენიო მორიკონეს მეგობრობა სკოლის მერხიდან დაიწყო. ფილმი – „ერთი პეშვი დოლარისათვის“ – ორივესთვის წარმატების ტრამპლინად იქცა. სერჯო ლეონე ვესტერნის გადაღებაზე მუდამ ოცნებობდა და როდესაც ეკრანზე კუროსავას სურათი – „პირადი მცველი“ იხილა, მიხვდა, რომ ამ ფილმის სიუჟეტი შესანიშნავი ვესტერნის საფუძველი გახდებოდა. პროდიუსერი მიიჩნევდა, რომ ასეთ ფილმს მაყურებელი არ ეყოლებოდა. სერჯო ლეონემ ეშმაკურ ხრიკს მიმართა და მთელი გადამღები ჯგუფისთვის ამერიკული გვარები გამოიგონა: თავად, ბობო რობერტსონი გახდა, ენიო მორიკონე კი – ლეო ნიკოლსი. მაყურებელი ამ სატყუარას წამოეგო და კინოთეატრებს ზღვა ხალხი მიაწყდა. ფილმის წარმატებამ რეჟისორს ვესტერნების ალმა-მატერის – ამერიკის შტურმით აღება გადააწყვეტინა. სერჯო ლეონეს ჰოლივუდის დაპყრობაში მისი დიდი ხნის მეგობარი, ენიო მორიკონეც ეხმარებოდა, რომლის ყველაზე ცნობილ საუნდრტრეკად მაინც ფილმისათვის – „პროფესიონალი“ დაწერილი გასაოცარი მელოდია რჩება.

სტივენ სპილბერგის ფილმებისთვის შექმნილი მუსიკისთვის კომპოზიტორმა ჯონ უილიამსმა 3 „ოსკარი“ მიიღო, საერთო ჯამში კი, 5 „ოსკარის“ მფლობელია

დღეისათვის ჰოლივუდის ყველაზე ცნობილ და მყარ ტანდემად, რეჟისორ სტივენ სპილბერგისა და კომპოზიტორ ჯონ უილიამსის შემოქმედებითი წყვილი ითვლება. ისინი პირველად 1974 წელს, ფილმის – „შუგარლენდ ექსპრესი“ – გადაღების დროს შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი წლის შემდეგ, სპილბერგმა უილიამსს ფილმისათვის „ყბები“ მუსიკის დაწერა სთხოვა. კომპოზიტორმა ათიანში მოარტყა. სურათმა ნომინაციაში – „საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის“ – „ოსკარი“ მოიპოვა და მას შემდეგ, „ინდიანა ჯონსიდან“ დაწყებული, „ტერმინატორით“ დამთავრებული, სტივენ სპილბერგის უკლებლივ ყველა სურათის კომპოზიტორად ჯონ უილიამსი გვევლინება.

გაიდაი – ზაკეპინის წინააღმდეგ

კომპოზიტორმა ალექსანდრ ზაცეპინმა ლეონიდ გაიდაი 60-იან წლებში გაიცნო. მოგვიანებით, ზაცეპინი იხსენებდა, რომ ფილმისათვის – „კავკასიელი ტყვე ქალი“ – შექმნილი „დათვების სიმღერა“ (ტექსტის ავტორი ლეონიდ დერბენევი) რეჟისორმა უყოყმანოდ დაიწუნა. „ხალხი ამ სიმღერას არ იმღერებს!“ – ამბობდა იგი. ვიცინი, მორგუნოვი და ნიკულინი ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ სიმღერას – „ლა-ლა-ლა-ლა“ – მთელი ქვეყანა აიტაცებდა, მაგრამ გაიდაი შეუვალი იყო: „თქვენ ხომ ხალხი არ ხართ! თქვენ მსახიობები ბრძანდებით...“ – ამბობდა რეჟისორი და უკვე სხვა კომპოზიტორის მოწვევას აპირებდა. მაგრამ ზაცეპინს კინოსტუდია „მოსფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ივან პირიევი გამოექომაგა.

სამაგიეროდ, ფილმისათვის – „ბრილიანტის ხელი“ – შექმნილმა სიმღერამ

მუსიკა კინოფილმისათვის „ქარწაღებულნი“ მაეს შტაინერმა 70 წლის წინ დაწერა, ის 70 წლის მანძილზე საუკეთესო საუნდტრეკების რეიტინგში მაღალ ადგილებს იკავებს

ფედერიკო ფელინის (მარჯვნივ) ფილმები ნინო როგას მუსიკის გარეშე ძნელი წარმოსადგენია

— „უიღბლობის კუნძული“ — რეჟისორი თავიდანვე აღაფრთოვანა. მაგრამ სიმღერა სურათის სიუჟეტს ვერაფრით მოარგეს. გაიდაი დიდხანს ყოყმანობდა, საბოლოოდ კი, სიმღერა ცალკე დადგმულ ნომრად შევიდა ფილმში. ალექსანდრ ზაცეპინს ეკუთვნის მუსიკა ფილმებისათვის: „ოპერაცია Ы“, „ივან ვასილის ძე პროფესიას იცვლის“, „31 ივნისი“, „სანიკოვის მიწა“ და მრავალი სხვა პოპულარული მელოდია, რომელიც ხალხმა აიტაცა და შეიყვარა.

ლალო შიფრინმა საკუთარი მისია შეასრულა: ფილმისათვის — „მისიის შესრულება შეუძლებელია“ — დაწერილ მუსიკალურ თემას მთელი მსოფლიო იცნობს

ახალი ჰიტი — კარგად დავიწყებული ძველი სიმღერა

ჰოლივუდში კარგად იციან ანდაზა — „ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“, ამიტომ ზოგიერთი სურათის პოპულარული მელოდიები არქივებშია მოძიებული. სწორედ ასეთებს მიეკუთვნება ფილმისათვის — „პირადი მცველი“ — აჟღერებული, სულისშემძვრელი სიმღერა — I will always love you (1992). ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ

ჯეიმს კემერონი „ტიტანიკისათვის“ საუნდტრეკის შექმნას არ აპირებდა. რეჟისორისგან მალულად, კომპოზიტორმა ჯეიმს ხორნერმა სიმღერა — My heart will go on — შექმნა და სელინ დიონთან ერთად ჩაწერა. კემერონს სიმღერა მოეწონა, რასაც „ოსკარი“ მოჰყვა

ეს სიმღერა დოლი ჰარტონმა დაწერა და პირველად, ფილმში — „ტეხასის საუკეთესო პატარა ბორდელი“ (1974) — თავადვე შეასრულა. მაგრამ ნამდვილ ჰიტად ეს სიმღერა უიტნი ჰიუსტონმა აქცია.

იგივე ამბავი დატრიალდა მაშინაც, როდესაც ეკრანებზე პოპულარული სურათი — „მისიის შესრულება შეუძლებელია“ — გამოვიდა, სადაც მთავარ როლს ტომ კრუზი თამაშობდა (1996). სურათი 60-იანი წლების ამავე დასახელების სერიალის მიხედვით გადაიღეს. ფილმმა პირველწყაროდან მემკვიდრეობით, მთავარი მუსიკალური თემაც მიიღო, რომელიც შორეულ 60-იან წლებში ლალო შიფრინმა დაწერა.

„ბონდიანის“ აბსურდული ამბავი

ყველასათვის კარგად ცნობილი „ბონდიანის“ თემის შესახებ, რომელმაც პირველად, ფილმის — „დოქტორი ნო“ — ტიტრებში გაიელვა, ლეგენდებს ჰყვებიან. ერთი რამ უდავოა: ეს მუსიკა კომპოზიტორმა მონტი ნორმანმა შექმნა. ამბობენ, რომ მან მელოდია იმ მიუზიკლისთვის დაწერა, რომლის დადგმა არ განხორციელებულა. მეორე ვერსიის მიხედვით, ნორმანმა ადვილად დასამახსოვრებელი მელოდია ქუჩის მუსიკოსებისგან კუნძულ იამაიკაზე მოისმინა. ასეა თუ ისე, პროდიუსერებმა მელოდიის დამუშავება ჯონ ბერის მიანდვეს, მაგრამ იმ პირობით, რომ მას პრეტენზია არ ექნებოდა საავტორო უფლებაზე. ბერიმ ხვალინდელ ქათამს (სახელის მოხვეჭას), დღევანდელი კვერცხი (ჰონორარი) არჩია და თანხმობა განაცხადა. რა იცოდა, მაყურებელი ამ მელოდიას ასე ძლიერ რომ შეიყვარებდა?! მონტი ნორმანი კი, თავის უფლებებს აცხადებს და ნებისმიერს, ვინც გაბედავს მელოდიის ავტორად ჯონ ბერის მოხსენიებას, სასამართლოში უჩივის.

სწორედ „ბონდიანის“ წყალობაა საუნდტრეკის — „რუსეთიდან — სიყვარულით“ — არსებობა. ეს ის სურათია, რომლის ტიტრები სპეციალურად დაწერილი მუსიკის თანხლებით მიდიოდა. გავიდა დრო და „ბონდიანისთვის“ სიმღერის შესრულებას დიდ პატივად მიიჩნევდნენ ამერიკული ესტრადის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: ლუი არმსტრონგი, ტომ ჯონსი, პოლ მაკარტნი, ტინა ტერნერი, Duran Duran, Garbage და მადონა. მაგრამ ბონდიანის „ბალადების“ უბადლო შემსრულებლად მაინც ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი შირლი ბეისი ითვლება.

დღეს საუნდტრეკი ახალი ფილმების პიარ-კამპანიის განუყოფელ ნაწილად იქცა და ხშირად, ფილმისთვის დაწერილი სიმღერა სურათის ეკრანებზე გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე ჟღერს რადიოეთერში. ის ჯერ ფილმის სავიზიტო ბარათი ხდება, შემდეგ, შესაძლოა, მობილურ ტელეფონებშიც გადაინაცვლოს და ნაწარმოების ხანგრძლივი ეკრანული სიცოცხლის, წარმატებისა და დიდი შემოსავლის გარანტიად იქცეს...

შირლი ბეისი „ბონდიანის“ ბალადების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება (კადრი ფილმიდან „რუსეთიდან — სიყვარულით“)

■

სტივენ სოდერბერგს თილმის გადაღებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაეხმარება

სტივენ სოდებერგი, ჩე გევარას შესახებ ფილმის გადაღებას აპირებს. რეჟისორი ამისათვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოსიეს გამოიყენებს, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ახლახან მოხსნეს. ეს განცხადება რეჟისორმა ცოტა ხნის წინ, ვენეციის კინოფესტივალზე გააკეთა.

ფილმის პირველ ეპიზოდებში არგენტინელი რევოლუციონერის, დიდების მწვერვალისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები იქნება ნაჩვენები. სურათის კულმინაციად კი, 1967 წელს, ბოლივიაში ჩე გევარას დაპატიმრების მომენტი იქცევა.

ჩე გევარას ძებნის ოპერაციას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი, ფელიქს როდრიგესი ხელმძღვანელობდა. როგორც დოსიედან ჩანს, როდრიგესს მაღალჩინოსანი ბოლივიელი ოფიცერი დაუკავშირდა და მას ორსიტყვიანი პაროლი გადასცა: „გევარა“ და „სასჯელი“. როდრიგესმა ეს ბრძანება სისრულეში მოიყვანა. აქამდე საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით კი, ცსს-ს, ჩე გევარას ცოცხლად დაჭერა სურდა.

ახალ ფილმში ჩე გევარას როლს ბენისიო დელ ტორო ითამაშებს. სურათში მონაწილეობას მიიღებენ: ჰავიერ ბარდემი, ფრანკა პოტენტე და ბენჯამინ ბრეტი. გადაღებები 2006 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ■

შვარცენეგერი უსახლკაროთა მთავრული

კალიფორნიის გუბერნატორი ახალი ინიციატივის ავტორი გახდა. შვარცენეგერი იმ პროექტის განხორციელებას აპირებს, რომელსაც California Initiative to End Long-Term Homelessness ეწოდება და რომელიც შტატში უსახლკარო ადამიანთა პრობლემას საბოლოოდ გადაჭრის. პროექტისათვის კალიფორნიის შტატის ბიუჯეტიდან 50 მლნ დოლარი გამოიყო. ეს თანხა, მშენებლობის გარდა, უსახლკაროთა სამედიცინო და სოციალურ მომსახურებასაც მოხმარდება. პირველ ეტაპზე, უსახლკაროთათვის 500 სახლი აშენდება. ამგვარი პროექტის განხორციელების აუცილებლობაში არნოლდ შვარცენეგერი მას შემდეგ დარწმუნდა, რაც ლონგბიჩში ამერიკელ სამხედრო ვეტერანთა საცხოვრებელი კომპლექსი მოინახულა. Los Angeles Times-ის ცნობით, კალიფორნია იმ სამი შტატიდან ერთ-ერთია, სადაც უსახლკაროთა პრობლემების გადამჭრელი სახელმწიფო ორგანო არ არსებობს. დღეისათვის კალიფორნიაში 350 ათასი უსახლკარო ადამიანია. მათგან 80 ათასი ლოს-ანჯელესის ოლქში ბინადრობს. ■

გვინეტ პელტროთ ალაპარაკდა

ბრედ პიტის ყოფილმა საცოლემ, გვინეტ პელტროუმ ჟურნალ Time-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მისი მეგობრის, ჯენიფერ ენისტონის ბრედ პიტთან განქორწინების შესახებ კომენტარი გააკეთა. გვინეტი დარწმუნებულია, რომ პირადი პრობლემები პრესის ჩარევის გარეშე უნდა გადაწყდეს. „ბრედისა და ჯენიფერისათვის უფრო იოლი იქნებოდა, ერთმანეთზე საქვეყნოდ რომ არ ელაპარაკათ. მე 24 წლის ვიყავი, როდესაც ეს მწარე გაკვეთილი კარგად ავითვისე“, – ამბობს გვინეტი, რომელსაც დღესაც ახსოვს, რომ 90-იან წლებში, მისი და პიტის რომანი ბულვარული პრესის განხილვის საგნად იქცა. 1997 წელს, წყვილი ერთმანეთს დაშორდა. გვინეტი მომღერალ კრის მარტინს გაჰყვა ცოლად და ახლა უკვე 1 წლის გოგონა ჰყავს, მაგრამ პირადი ცხოვრების შესახებ პუბლიკაციების მიმართ დღესაც მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. „ჩვენი ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ჩვენ გვეხება. მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით თუ გავიყრებით – ეს მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტია“, – განაცხადა მსახიობმა. ■

მრიუს სპრინგსტინი – ჯეოეის ომიექტი

ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ უესტლონგ-ბრენჩის უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია დასახელებით – Glory Days, რომლის კვლევის საგანი ცნობილი ამერიკელი მუსიკოსის, ბრიუს სპრინგსტინის ცხოვრება და შემოქმედება გახდა. სამდღიან ფორუმში, დიპლომირებული ისტორიკოსები, სოციოლოგები და მუსიკათმცოდნეები მონაწილეობდნენ. სამიტის მსვლელობისას, რამდენიმე მოხსენება და „მრგვალი მაგიდა“ გაიმართა, რომლებიც სპრინგსტინის შემოქმედებაში სხვადასხვა ისტორიული მოვლენის ასახვასა და პირიქით, თანამედროვე საზოგადოებაზე მუსიკოსის შემოქმედების ზემოქმედების საკითხებს მიეძღვნა. აი, ზოგიერთი თემის დასახელებაც: „სპრინგსტინი და კათოლიციზმი“, „სპრინგსტინი და ვიეტნამი“, „სპრინგსტინი და ფემინიზმი“. ერთ-ერთი სტატიის ავტორი, დენიელ კავიჩი დარწმუნებულია, რომ ბრიუს სპრინგსტინის ოცდაათწლიანი რევოლუციური კარიერა თანამედროვედ მოაზროვნე პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა მთელი პლეადის შთაგონების წყაროდ იქცა. „ეს სიმპოზიუმი სპრინგსტინის ნიჭის თაყვანისმცემელთათვის უნიკალური საშუალებაა, რათა ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ და მუსიკოსის შემოქმედების სადავო საკითხები განიხილონ“, – განაცხადა კონფერენციის დაწყებამდე მწერალმა. კონფერენციაში 500 ადამიანი მონაწილეობდა.

ბრიუს სპრინგსტინი დიდი ხანია, მსოფლიოს უდიდესი როკვარსკვლავია, მისი პოპულარობა მხოლოდ ელვის პრესლისა და ბობ დილანის სახელს თუ შეედრება. სპრინგსტინის მიღწევათა შორის აღსანიშნავია მხოლოდ მის სამშობლოში გაყიდული 600 მილიონი დისკი, ყველა დროის უპოპულარულესი ალბომი, ერთი „ოსკარი“ და უამრავი „გრემი“. ■

„აქ ახალი ალაბაგელი ხდება“

ტინეიჯერთა ჯგუფი მოსკოვს მიემგზავრება

ნინო ჯავახიშვილი

ჯგუფი „სეფას ბიჭები“ რამდენიმე თვეში, მოსკოვში მიემგზავრება, რუსეთის შოუბიზნესში ძალების მოსასინჯად. იმის გასარკვევად, თუ ვინ დაინტერესდა ამ ჯგუფით და რა წინადადება შესთავაზა ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა პროდიუსერმა, თავად ბიჭებს მივაკითხეთ. როგორც იცით, „სეფას ბიჭები“ ოთხნი არიან. ირაკლი ალფაიძე ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო-კულტურულ ურთიერთობათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, ჯუბა მარუაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე სწავლობს, გიორგი შენგელია და გიორგი ლავრელაშვილი კი, ეკონომისტები არიან. გიორგი შენგელია განათლების სამინისტროში მუშაობს და ამ ბოლო დროს, მოუცლელობას უჩივის — ვეღარ ახერხებს რეპეტიციებზე სიარულს.

ირაკლი:

— 7 წელია, რაც ჯგუფი არსებობს. რადგან ჩვენი ხელმძღვანელი, ედუარდ სეფაშვილი გახლდათ, „სეფას ბიჭებიც“ ამიტომ ვუწოდეთ ჯგუფს. 3 წელი იქნება, რაც ბიჭებს მეც შევუერთდი — მანამდე, სამნი იყვნენ. ადრე უფრო სხვა ჟანრში ვმღეროდით — გიტარის თანხლებით მხოლოდ ქალაქურ სიმღერებს ვასრულებდით. ახლა ჩვენს რეპერტუარში მსუბუქი როკის ელემენტებიც გაჩნდა. ამჟამად, მეორე ალბომზე ვმუშაობთ. ჩაწერილი გვაქვს 5 ახალი სიმღერა, ალბათ ამდენივეს კიდევ ჩავწერთ და მეორე ალბომსაც გამოვუშვებთ.

ჯუბა:

— ახლახან დავამთავრეთ კიდევ ერთი ახალი, რუსულენოვანი სიმღერის ჩაწერა. ეს აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რაც ადრე გვიმღერია. მსუბუქი როკი გახლავთ. სიმღერაც და არანჟირებაც ჩვენს პროდიუსერს — კოტე მალანიას ეკუთვნის. საერთოდ, სხვა კომპოზიტორის სიმღერებსაც ვასრულებთ, მაგრამ ძირითადად მაინც — კოტეს სიმღერებს; „ჟანეტიც“, რომელმაც პოპულარობა მოგვიტანა, მისია. ახალ სიმღერაზე კლიპს რეჟისორი ბესო სოლომონაშვილი გადაიღებს. გადაღებები რამდენიმე დღეში დაიწყება და ალბათ, ერთ კვირას გასტანს.

ტექსტი, რუსულ ენაზე, უკვე დაგვიწერა ნიკა გომელაურმა და ალბათ, ამ სიმღერასაც ჩავწერთ

— როგორც ვიცი, ამ სიმღერითა და კლიპით უნდა წარდგეთ რუსი მსმენელისა და მაყურებლის წინაშე...

— დიახ, ეს იქნება ერთგვარი სინჯი იმისა, თუ როგორ მიგვიღებს იქაური მსმენელი. ამ სიმღერაზეცაა დამოკიდებული ჩვენი მოსკოვში წასვლა-არწასვლის საკითხი. თუმცა, 90%-ით ეს უკვე გადაწყვეტილია. ახალი წლისთვის ან უფრო ადრეც, უკვე იქ ვიქნებით.

— ვინ დაინტერესდა თქვენით და კონკრეტულად რა წინადადება მიიღეთ?

გიორგი ლავრელაშვილი:

— გლუკოზასთან დავმეგობრდით და როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა, შევხვდით მის პროდიუსერს, რომელმაც მოგვისმინა და მოვეწონეთ. გვითხრა, რომ ჩვენნაირი სტილის, ოთხხმიანი ჯგუფი საინტერესო და მისაღები იქნება რუსი

მსმენელისთვის. ძალიან მოეწონათ „ჟანეტი“ და გვთხოვეს ამ სიმღერის გარემიქსება და მასზე კლიპის გადაღება. ტექსტი, რუსულ ენაზე, უკვე დაგვიწერა ნიკა გომელაურმა და ალბათ, ამ სიმღერასაც ჩავწერთ. მას შემდეგ, რაც იქაური მსმენელი გაგვიცნობს, ჩავალთ და კონტრაქტსაც გავაფორმებთ. ზაფხულში მოსკოვში ვიყავით წასული მოსალაპარაკებლად. შევთანხმდით, რომ ვიმღერებთ კლუბშიც, რომელსაც თვითონ შეგვირჩევენ. კონცერტებსაც დაგვიგეგმავენ.

ჯუგა:

– იქ დაგვხვდება სერიოზული საპროდიუსერო ჯგუფი, რომელიც იზრუნებს ჩვენს პოპულარიზაციაზე – იმიჯზე, ვიზუალურ მხარეზე. ასე რომ, რეპერტუართან ერთად, ჩვენი გარეგნული სახეც შეიცვლება. ამ ჯგუფისა და პროდიუსერის ვინაობის გამხელისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ.

— ამ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდით? თქვენ ტინეიჯერულ ასაკში ხართ. მშობლებისგან წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვდათ?

ირაკლი:

– უყოყმანოდ არ დავთანხმებულვართ. მოვილაპარაკეთ ერთმანეთთან და გადავწყვიტეთ, რომ წინსვლისთვის ამ ეტაპზე ასე ჯობს. რა თქმა უნდა, ძნელია, სხვა ქვეყანაში შენი ადგილი დაიმკვიდრო სცენაზე, მაგრამ ამგვარ წინადადებაზე ვფიქრობ, არც ერთი მომღერალი არ იტყოდა უარს. აქ ახალი და საინტერესო აღარაფერი ხდება, აღარ იქმნება რაიმე ღირებული. არიან ნიჭიერი მომღერლები, მაგრამ მათ კარგა ხანს არ ექნებათ წინსვლის პერსპექტივა... საქართველოში კლიპის გადაღების და სიმღერის ჩაწერის პრობლემა არ გვაქვს: გვეხმარებიან მეგობრებიც, ჩვენი ჰონორარიდანაც ვახერხებთ რაღაც თანხის გადანახვას. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ აქ რაც კეთდება, მდარე ხარისხის პროდუქციაა.

გლუკოზასთან დავმეგობრდით...

გიორგი:

– რაც შეეხება მშობლების დამოკიდებულებას – ჩვენ უკვე ოჯახებით ვმეგობრობთ ერთმანეთთან. გვენდობიან და იციან, რომ ეს მათივე შვილების საკეთილდღეოდ არის საჭირო. ამიტომაც არ ჩარეულან ჩვენს საქმეში და არ უთქვამთ – რატომ მიდიხართო?! თითქმის ყველაფერი გარკვეულია – შემოგვთავაზეს ბინა, სადაც ერთად ვიცხოვრებთ. მოკლედ, საპროდიუსერო ფირმა იზრუნებს ამ ყველაფერზე და ალბათ ორიოდე თვეში, ხელმძღვანელებთან – კოტე და ირმა მალანიებთან ერთად მოსკოვში გავემგზავრებით...

■

ცნობილი მკურნალისა და მლოცველის ფენომენმა უცხოელებიც გააოცა

ცნობილ მკურნალს, მლოცველსა და ექსტრასენს, ირაკლი ლომაიას უამრავი ადამიანი ემადლიერება. მისმა ფენომენმა მარტო ქართველები კი არა, უცხოელებიც გააოცა. ირაკლი რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა ევროპიდან და პაციენტების მიღებას აგრძელებს. ამბობენ, ლოცვით ნამდვილ სასწაულებს ახდენსო; ირაკლი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, მასთან დახმარების საათხოვნელად ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდის. ლოცვის ძალით ირაკლიმ უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევისა და მოსალოდნელ უბედურებას. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედების შედეგს და დაბინძურებულ აურას უარყოფითი მუტანტისგან ასუფთავებს. ირაკლის მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ, მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია.

— ვიცი, რომ უცხოელები კვლავაც გეპატიჟებიან. წახვალთ საზღვარგარეთ?

– ამრიკიდან უკვე მივიღე მიწვევა. კონტრაქტის თანახმად, გამგზავრების ვადა ერთი წელი და ხუთი თვეა. ასე რომ, არ ვჩქარობ.

— ირაკლი, რაში ეხმარებით მაღალჩინოსნებს?

– მაღალჩინოსნები საკუთარ სკამებსა და ბიზნესს იცავენ, წარმატების მისაღწევად იბრძვიან. ცივილიზებულ ქვეყნებში ნებისმიერ თანამდებობის პირს ჰყავს საკუთარი „მცველი“, ჩემნაირი ადამიანის სახით.

— გარდა იმისა, რომ ხსნით ჯადოს, თვალს, თქვენ გზაბნეულ სულებს აცილებთ საიქიოში. როგორ ახერხებთ კავშირს დამყარებას პოლტერგეისტთან?

– მე ვხედავ მიცვალებულთა სულებს და საგანგებო ლოცვებით შემიძლია, გზაბნეული პოლტერგეისტი საიქიოში გავაცილო. ტრავიკულად ანუ არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილები თუ დროზე არ დაადგებიან სასუფევლის გზას, მოხეტიალე სულებად გადაიქცევიან და სპეციალური ლოცვები, პარაკლისი და სამდღიანი საკურთხია საჭირო, რათა არ გაბოროტდნენ და ააქოში არ დიდონ ბინა. გამძვინვარებული სული შესაძლოა, ოჯახში დარჩეს და მის წევრებს უბარაქობა, ავადმყოფობა და უბედურება მოუტანოს, ბედ-იღბალი ჩაუკეტოს, ჩხუბისა და დეპრესიის მიზეზი გახდეს.



— როგორ კურნავთ ავადმყოფებს?

– აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. მძიმე კარმა და ადამიანის ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ჯადო, წინაპრების ცოდვა, საგვარეულო წყევლა, ხატზე გადაცემა და ავი თვალი უამრავ დაავადებას იწვევს. დიაგნოზს ექსტრასენსული მეთოდით ვსვამ, რისთვისაც მჭირდება ახალგადაღებული ფერადი ფოტო (3X4-ზე). სამდღიანი გამოკვლევის შემდეგ ვადგენ, ექვემდებარება თუ არა პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას. წინასწარ ვადგენ, ექსტრასენსული მეთოდი უნდა გამოვიყენო თუ ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით ჩემ მიერ დამზადებული მცენარეული წამლები.

P.S. მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12-დან 17 საათამდე. მისამართი: ყაზბეგის №18 (მე-4 სართული), ბინა №10. საკონტაქტო ტელეფონები: 899-50-15-78. 899-15-17-39 (ჩასწერად). მონაცემები შეტანილია ინტერნეტში:

web-site.www.ikaextrasens.com
e-mail: ika@ikaextrasens.com

R

მძლეოსანი ლამაზმანი პროფესიას იცვლის

ცნობილი იტალიელი მძლეოსანი, სიგრძეზე ხტომაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ფიონა მეი ახალ პროფესიას ეუფლება. უახლოეს მომავალში, იგი ტელევიზიაში მოსინჯავს ძალებს. მეის არაერთი ტიტული აქვს მოპოვებული, თუმცა, როგორც ცნობილია, სპორტული კარიერა არცთუ ისე ხანგრძლივია, ამიტომ ფიონაც ახალ სფეროში ცდილობს დამკვიდრებას. სხვათა შორის, მას სარეკლამო რგოლებში გადაღების დიდი გამოცდილება აქვს. ამიტომაც ტელემსახიობობა გადაწყვიტა. მოსალოდნელია, რომ მისი მონაწილეობით პირველი პროექტი ტელეეკრანებზე მომავალი წლის მარტში გამოჩნდება. ამიტომ უახლოეს მომავალში, შავკანიანი ათლეტი ოფიციალურად გამოეთხოვება დიდ სპორტს და მთლიანად გადაღებებზე გადაერთვება. თავის დროზე, მეი დიდი ბრიტანეთის ნაკრების ღირსებასაც იცავდა, თუმცა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში, იტალიელს გაჰყვა ცოლად და მოქალაქეობაც შეიცვალა. დღეს ლამაზმანი ქმართან ერთად ფლორენციაში ცხოვრობს.

■

კაბაევა დიდ სპორტში ბრუნდება

ათენის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელმა და მხატვრულ ტანვარჯიშში მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ალინა კაბაევამ აქტიური სპორტული კარიერა ტოკიოში წარმატებული გამოსვლით დაასრულა. რითი აღარ იყო დაკავებული გასულ წელს, რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საპატარძლო: ის ჰოლივუდის დაპყრობასაც ცდილობდა, პოლიტიკაში თავის დამკვიდრებასაც, მილიციის მუშაკზე დაქორწინებასაც გეგმავდა... როგორც ჩანს, ალინას ეს ყველაფერი მოჰბეზრდა. იგი დიდ სპორტში ბრუნდება. როგორც ცნობილი სპორტსმენის დედა აცხადებს, მისი ქალიშვილი წლეულს, მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბაქოში 2-10 ოქტომბერს გაიმართება. ამის შემდეგ, კაბაევა 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის მოემზადება. ის უკვე შეუდგა ვარჯიშს: რუსეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ალინამ ორ საწვრთნელ შეკრებაში მიიღო მონაწილეობა – ხორვატიასა და საბერძნეთში. 9 სექტემბერს კი, იტალიელებისა და რუსების მატჩში საჩვენებელი ნომრით გამოვიდა. მსოფლიო ჩემპიონატამდე, კაბაევა „პეტერბურგის მარგალიტის“ სახელით ცნობილ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, 17-18 სექტემბერს ბერლინის გრან-პრიზეც წარდგება. „ალინა საბრძოლო განწყობილებაზეა, – მიიჩნევს სპორტსმენის დედა, – ამასთანავე, კარგადაცაა მომზადებული. აქვს ახალი ნომრები. თუმცა, ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატზე

მხოლოდ სახტუნაოთი გამოვა, გუნდურ ჩათვლაში. თუ 8 საუკეთესოს შორის მოხვდება, ფინალშიც იასპარეზებს. ალინა ეტაპობრივად აპირებს სპორტში დაბრუნებას. მას სურს, რომ 2008 წლის ოლიმპიადისათვის დაზოგოს ძალები“.

■

ზელვეგერი „ჩელსის“ ქომაგობს

ბოლო დროს, ლონდონის „ჩელსის“ ქომაგთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. რომან აბრამოვიჩის კლუბის „ვირუსმა“ თვით ჰოლივუდშიც შეაღწია. როგორც ირკვევა, ცნობილი მსახიობი, რენე ზელვეგერი ინგლისის მოქმედი ჩემპიონის გულშემატკივარი ყოფილა. „უკვე რამდენჯერმე ვუყურე „ჩელსის“ თამაშს, – ამბობს Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ზელვეგერი, – ჯერ კიდევ ვერ ვერკვევი რიგიანად ფეხბურთში, მაგრამ ამ ხარვეზს მალე გამოვასწორებ“. მსახიობი არა მარტო დაინტერესებულია სპორტით, არამედ თავადაც აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარია. დიეტა და სპორტული ვარჯიშები მისთვის განსაკუთრებულად აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ფილმში – „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ – გადაღებისათვის სპეციალურად 12 კგ მოიმატა. ახლა კი, ზელვეგერი ზედმეტი წონის დაკლებას ცდილობს.

■



ქალმა მამაკაცი რინგზე გამოიწვია

უახლოეს მომავალში, უჩვეულო საკრივო ორთაბრძოლა გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს მამაკაცი და ქალი დაუპირისპირდებიან. 34 წლის გულადმა ენი ვულფმა, რომელსაც მეტსახელად „ყავისფერ შაქარს“ ეძახიან, რინგზე ნაკლებად ცნობილი ათლეტი, ბო სკიპერი გამოიწვია. რა თქმა უნდა, ვულფის (მას 22 გამარჯვება აქვს, აქედან 15 – ნოკაუტით, წაგებული აქვს მხოლოდ ერთი მატჩი) გადაწყვეტილებამ კრივის სამყაროში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საგონებელში ჩაცვივდნენ მისისიპის შტატის ათლეტური კომისიის ჩინოვნიკებიც. სწორედ ამ შტატში გაიმართება ქალისა და მამაკაცის საკრივო პაექრობაც. ორგანიზაციის თავკაცმა, ჯონ ლუისმა, ვულფის შესაძლებლობების საკუთარ თავზე გამოცდაც კი გადაწყვიტა. 34 წლის ლუისმა, რომელიც ერთი დროს, Toughman-ის (დილეტანტი მოკრივეების შეჯიბრება, რომელში ასპარეზობაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია) ტურნირებში მონაწილეობდა, ენისთან ოთხრაუნდიანი ორთაბრძოლა ჩაატარა, რის შემდეგაც, იგი კომისიის წევრებთან ერთად დარწმუნდა, რომ ვულფს მართლაც შეუძლია მამაკაცთან ღირსეულად დაპირისპირება. „ეს უბრალოდ სპარინგი არ ყოფილა, მე ნამდვილად ვურტყამდი მას, – ამბობს ლუისი, რომელსაც Toughman-ში 21 მოგება და 3 წაგება აქვს, – მან ჩემს საუკეთესო დარტყმებს გაუძლო, რომლებიც ბევრ მამაკაცს ძირს დასცემდა. ამ ორთაბრძოლამდე, ეჭვი მეპარებოდა, შეიძლებოდა თუ არა ვულფის და საერთოდ, რომელიმე ქალისთვის მამაკაცთან გაჯიბრების უფლების მიცემა. ახლა, როდესაც დავინახე, თუ რა შეუძლია ვულფს, ვფიქრობ, იგი ფულის გამომუშავების შანსის მიცემას იმსახურებს“. სხვათა შორის, ვულფისა და სკიპერის მომავალი ორთაბრძოლის დეტალები ცოტა არ იყოს გაურკვეველია. საქმე ის გახლავთ, რომ ეს შეხვედრა 15 ოქტომბერს ბილოკსიში უნდა შემდგარიყო – ერთ-ერთ ქალაქში, რომელიც ამასწინანდელმა სტიქიამ მეტისმეტად დააზარალა. ამჟამად ენის წარმომადგენლები მატჩის სხვა ქალაქში ჩატარების გეგმას განიხილავენ.

შერინგემი მოდელს გადაეჯიდა

„ვეტს-ჰემის“ 39 წლის ფორვარდმა, ტედი შერინგემმა ფოტომოდელ ჯოდი მარშს დაადგა თვალი. ფეხბურთელი 26 წლის ლამაზმანს რამდენიმე თვის განმავლობაში აბამდა, ახლა კი, როგორც ჩანს, მისი გული საბოლოოდ მოინადირა. ინგლისური საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ბოლო დროს, შერინგემი და მარში სულ ერთად არიან. რა თქმა უნდა, თავდამსხმელს „ვესტ-ჰემი“ ბევრ დროს ართმევს, მაგრამ ეს ფოტომოდელს სულაც არ უქმნის დისკომფორტს. მათთვის ბარიერს არც ასაკობრივი სხვაობა წარმოადგენს. ცოტა ხნის წინ, ჯოდი ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ოჯახის შექმნას ჯერ არ აპირებდა და მისთვის ამ ეტაპზე უმთავრესი, კარიერა იყო. თუმცა, მისი გეგმა ტედი შერინგემმა შეცვალა. ტყუილად როდია ნათქვამი – სიყვარულს ასაკი წინ ვერ დაუდგებაო.

ვენტურას პირადი ცხოვრებისთვის დრო არ რჩება

ცნობილი ფოტომოდელი და ტელეწამყვანი, სიმონა ვენტურა ძალიან ბევრს მუშაობს. ფეხბურთელ სტეფანო ბეტარინის ყოფილ მეუღლეს Rai-ზე ორი პროგრამა მიჰყავს. ორივე მათგანი – ანუ Quelli che il calcio და L`Isola dei Famos – სპორტთანაა დაკავშირებული. ამიტომ სიმონას პირადი ცხოვრებისთვის სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ამის შესახებ 40 წლის ლამაზმანმა ერთ-ერთი იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა. ვენტურას თქმით, იგი იმედს არ კარგავს, რომ კვლავ გაუმართლებს ქორწინებაში. „ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჩემი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა, – ამბობს იგი, – ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქმარს გავეყარე. ახლა ნორმალური პირადი ცხოვრების აწყობას ვერ ვახერხებ. საკმარისია, მამაკაცის კომპანიაში გამოვჩნდე, რომ მეორე დღეს, ყველა ტაბლოიდი ჩემი ახალი რომანის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. ადრე ღარიბი, მაგრამ თავისუფალი ვიყავი, ახლა სიმდიდრემ თავისუფლება წამართვა“. სიმონამ ტელეწამყვანის კარიერა 23 წლის ასაკში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ მისი კარიერა წარმატებულად წარიმართა – ამინდის წამყვანისა და დამწყები მსახიობიდან ვენტურა პოპულარულ პიროვნებად იქცა. მოგვიანებით ის ბეტარინის გაჰყვა ცოლად და ფეხბურთელს ორი შვილიც გაუჩინა. განქორწინების შემდეგ, სიმონა მთლიანად სამუშაოზე გადაერთო და Rai-სა და Rai-2-ზე რეალითი-შოუები მიჰყავდა.

ჯლასიჯის ახალი გამოცემა



Morgan-ის სპორტული ავტომობილები სრულიად გამორჩეული ნაწარმია. დიდი ხნის განმავლობაში, ეს ინგლისური ფირმა ხისგან დამზადებულ ჩარჩოსა და წინა საუკუნის დროინდელ სხვა ტექნოლოგიებს იყენებდა და სწორედ ამის გამო კარგავდნენ ჭკუას „მორგანის“ მანქანებისთვის ამ სახეობის მოყვარულები: მათი აზრით, მხოლოდ ამ ავტომობილებში შეიძლება დარჩე სიჩქარესთან პირისპირ. მაგრამ ტექნიკურმა პროგრესმა და უსაფრთხოებისადმი გაზრდილმა მოთხოვნებმა კომპანიის ინჟინრები აიძულა, „კლასიკის“ მოდერნიზება მოეხდინა. ასე გაჩნდა მოდელი Aero 8. უფრო ხალვათი გახდა მძღოლის სავარძელი, პანელის მარჯვენა მხარეს კი, მგზავრისთვის განკუთვნილი, უსაფრთხოების ბალიში გაჩნდა.

მანქანა აღჭურვილია მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით. ჩარჩო უწინდებურად, ხისგანაა დამზადებული, სამაგიეროდ, ძარა ალუმინის მყარი შენადნობისაა. მოდერნიზების შედეგად, Morgan Aero 8-მ ბრწყინვალედ გაიარა აშშ-ში ჩატარებული ყველა კრეშ-ტესტი, მათ შორის – გვერდიდან და უკანა მხრიდან მიყენებული დარტყმები.

ახალი „მორგანი“ აღჭურვილია 4,4 ლ სამუშაო მოცულობის 8-ცილინდრიანი, 333 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი, რომელიც BMW-ს კონსტრუქტორებს ეკუთვნით. მისი მაქსიმალური სიჩქარე 257 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი 4,9 წმ-ში ავითარებს. მანქანას 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი აქვს. ის საჭის ელექტროგამაძლიერებლითაა აღჭურვილი. რაც შეეხება საწვავის ხარჯს – გავლილ 100 კმ-ზე 10,9 ლ-ს შეადგენს. თუმცა, ეს ციფრი თეორიულია და მანქანა პრაქტიკულად, გაცილებით მეტს ხარჯავს. ინგლისური ავტოტექნიკის ეს საოცრება 90 ათასი ევრო ღირს. ■



Renault-მ ექსპერიმენტებს მიჰყო ხელი

მოახლოებულ ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე ფრანგული ავტოგიგანტი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს კონცეპტუალურ მოდელს – Egeus, რომელიც ე.წ. პრემიუმ-კლასის ყველგანმავალს წარმოადგენს. მის დიზაინში გაგრძელება პოვა იმ ტენდენციამ, რომელსაც „რენოს“ სხვა კონცეპტებში – Wind-სა და Fluenc-ში დაედო სათავე. მანქანა გრძელი საძრავე დანაყოფითა და რადიატორის ცხაურის უქონლობით გამოირჩევა. მის ნაცვლად, ჰაერგამწოვები, მაშუქების ქვეშაა მოთავსებული.

სალონი კუპეს სტილშია შესრულებული. სპიდომეტრი ორი – ციფრული და ანალოგური ფორმით გაცნობებთ სიჩქარის მაჩვენებელს, ცენტრალურ კონსოლზე ნავიგაციური სისტემის დისპლეია მოთავსებული. საბარგულს ელექტროამძრავით აღჭურვილი, მოძრავი პანელი ახლავს – ამგვარად, უფრო იოლია მსხვილგაბარიტიანი საგნების ჩატვირთვა. Egeus 3 ლ მოცულობის, 250 ცხ.ძ. სიმძლავრის 6-ცილინდრიანი დიზელის ძრავათი და 7-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.

ეს ჯერჯერობით ექსპერიმენტული მოდელია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ კონცეპტის ზოგიერთი ტექნიკური სიახლე იმ სერიულ ყველგანმავალში დაინერგოს, რომლის გამოსაშვებადაც „რენო“ იაპონურ ფირმა „ნისანთან“ ერთად ემზადება. მისი დებიუტი არცთუ ისე შორსაა – ის 2007 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

ყველაზე სუფთა მანქანები

ეკოლოგიური რეიტინგის მიხედვით, რომელსაც სისტემატურად ადგენს გერმანიის სატრანსპორტო კლუბი (VCD), იაპონურმა და ფრანგულმა ავტომანქანებმა გაიმარჯვეს. ექსპერტები შემდეგი მაჩვენებლებით აფასებდნენ მანქანებს: ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გადმოფრქვევის დონე, ხმაური, გამონაბოლქვში კანცეროგენური ნივთიერებების შემცველობა და ბუნებისთვის ზიანის მიყენების ხარისხი. ისევე, როგორც შარშან, ყველაზე ეკოლოგიურ ავტომანქანად დაასახელეს Toyota Prius, რომელიც ჰიბრიდული ძრავათია აღჭურვილი: ამ მოდელმა 10 შესაძლებლიდან 8,3 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე სამი „ნამცეცა“ გავიდა: Citroen C1 1.0, Peugeot 107 Petit Filou და Toyota Aygo (7,94 ქულა); სამივე მანქანას ერთმანეთის მსგავსი ძრავები და პრაქტიკულად ერთნაირი ტექნიკური მახასიათებლები აქვს.

გერმანული მანქანებიდან საუკეთესო ათეულში მხოლოდ Opel Corsa ECO 1.0 მოხვდა (7,76 ქულა). ყველაზე ეკოლოგიურ მოდელებს შორისაა აგრეთვე: Daihatsu Cuore 1.0 (7,79), Daihatsu Sirion 1.0 (7,67), Renault Twingo ECO 1.2 (7,60), Toyota Yaris 1.0 ECO3 (7,54) და Suzuki Alto (7,43). პირველი ათეული, აბსოლუტურ



რეიტინგად ითვლება. ბუნებრივია, რომ მასში მცირელიტრაჟიანი ძრავათი აღჭურვილი მანქანები ჭარბობს. რაც შეეხება საუკეთესო მოდელებს კლასების მიხედვით – იქ პირველ ადგილებზე ჰიბრიდული მანქანები გავიდა. კომპაქტურ (სიგრძე – 4 მ, სიმაღლე – 1,55 მ, საბარგულის მოცულობა – 300 ლ და მეტი) მოდელებს შორის, პირველ ადგილზე გავიდა Honda Civic IMA. ე.წ. საოჯახო მანქანებს შორის (სიგრძე – 4,2 მ, საბარგულის მოცულობა – 400 ლ და მეტი) – პირველობა აღნიშნული რეიტინგის აბსოლუტურ ჩემპიონს – Toyota Prius-ს ხვდა წილად. ყველაზე ეკოლოგიურ მინივენად კი, Fiat Multipla Natural Gas 10 დაასახელეს, რომელიც როგორც თხევად გაზზე, ასევე ბენზინზე მუშაობს. ■

VW სალონისთვის ემზადება

ფრანკფურტის ავტოსალონზე გერმანული ავტოგიგანტი რამდენიმე სიახლეს წარმოადგენს. მათ შორისაა მოდიფიკაცია Golf GT 1.4 TSI. მის ყველაზე დიდ ღირსებად სპეციალისტები მიიჩნევენ 4-ცილინდრიან ბენზინის ძრავას, რომელიც ტურბოდაბერვის წყალობით, მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად, ძალზე დიდ სიმძლავრეს – 170 ცხ.ძ-ს „ქაჩავს“. ამასთან, საწვავის ხარჯი 7,2 ლ-ს არ აღემატება. GT-ის სერიაში დიზელისძრავიანი, 2-ლიტრიანი (170 ცხ.ძ.) ვერსიაცაა გათვალისწინებული. ნაკლებმძლავრ (140 ცხ.ძ.) აგრეგატს – 1,4 TSI – 2006 წლის პირველ კვარტალში, მინივენ Touran-ს ჩაუდგამენ. ამავე წლიდან, მინიფურგონი – Caddy „გაზი-ბენზინის“ სისტემის ძრავათი აღიჭურვება. ახალი, 6-ცილინდრიანი (3,2 ლ, 250 ცხ.ძ.) აგრეგატი Passat-ისთვისაა გათვალისწინებული. ფირმის სიახლეებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კიდევ ორ მოდელს – Volkswagen და Multivan „Sport Edition“-ს. ვენის სპორტული ვერსია ქსენონის მაშუქებით, 18-დუიმიანი ჩამოსხმული საბორბლე დისკებით და ე.წ. ერგონომიკური სავრძლებითაა აღჭურვილი. ■

ზალიკო ბერგერი

„ძმაბოლური ჯაბლის წამომადგენლობს ჩემი ჩვენება ყველად ჰქონია დაცდილი...“

სეზონის დამლევს შევიტყვე, რომ დიზაინერი ზალიკო ბერგერი მთელი ზაფხული თბილისში იმყოფებოდა. გამიკვირდა კიდეც და გულიც დამწყდა — მეგონა, წლევანდელი საზაფხულო თავგადასავლების შესახებ მომიყვებოდა... როგორც აღმოჩნდა, დიზაინერი აქტიური დასვენების მოყვარულია, მაგრამ ახლა მაქსიმალურად ცდილობს, მშვიდ ატმოსფეროში იმყოფებოდეს. რა მიზეზით არ გასულა ზალიკო ქალაქიდან, რატომ ეზიზღება „ჭირის დღესავით“ ლაშქრობები, პიკნიკები, სად და როგორ ერთობა ზღვაზე ყოფნისას და რატომ იზიდავს დასასვენებლად ყველაზე მეტად თურქეთი? — ამ კითხვებზე მან საკმაოდ გულახდილად მიპასუხა.

ლიკა ქაჯაია

— ბავშვობაში, დასასვენებლად ბორჯომში (სადაც ჩვენს ოჯახს სახლიც აქვს) დავდიოდით ხოლმე. მას შემდეგ, იქ არც ვყოფილვარ. ხანდახან თელავსაც ვესტუმრებოდით, რადგან სახლი იქაც გვაქვს. უფრო შორეულ ბავშვობაში კი, მანამ, სანამ აფხაზეთი ჩვენთვისაც არსებობდა, ბიჭვინთაში მივყავდით ხოლმე.

— ბორჯომში რატომ აღარ დადიხარ?

— რა ვიცი, რაც გავიზარდე და მეგობრებთან ერთად დავიწყე სიარული, აგარაკზე წასვლას, ზღვას და გარუჯვას ვამჯობინებდი.

— მშობლებისგან დამოუკიდებლად პირველად, როდის წახვედი დასასვენებლად?

— მშობლებისგან დამოუკიდებლად, პირველად მოსკოვში, ფესტივალზე — „ალბა მოდა“ — წავედი. მაშინ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი... თუმცა, მანამდეც ვიყავი სადღაც... ბათუმში წავედი მეგობრებთან ერთად?.. მოკლედ, არ მახსოვს. მოდი, ასე ვთქვათ: არსადაც არ ვისვენებდი, თბილისში ვიყავი *(იცინის)*...

— დასვენება ზღვისპირა ქალაქებში გირჩევნია თუ მთაში?

— ზღვისპირა ქალაქებში. იმიტომ, რომ იქ მეტი ხალხია და უკეთ ვერთობი.

— ეი. აქტიური დასვენება უფრო გიზიდავს, ხომ?

— ამას დასვენება ჰქვია?.. მე ვფიქრობ, რომ ამ დროს, კარგად ვერთობი. ზაფხული ის სეზონია, როცა ზღვისპირა ქალაქებში სულ რაღაც ღონისძიებები ეწყობა... აქ უფრო ვისვენებ — ძირითადად, სახლში ვზივარ, კომპიუტერთან ან მძინავს...

— შენ თქვი, რომ ზღვისპირა ქალაქი იმიტომ გიზიდავს, რომ იქ უფრო მეტი ხალხია. ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გაღიზიანებს?

— მე ისეთ ადგილებში დავდივარ, სადაც ისეთი სოციუმი იკრიბება, რომელსაც შენი პოპულარობით ვერ გააკვირვებ... და თუ პლაჟზე თაყვანისმცემელი ავტოგრაფს გთხოვს, ეს არც საწყენია და არც დიდად შემაწუხებელი... ქართველი თაყვანისმცემლები ისეთები არ არიან, რომ შეგეჭამონ. საბედნიეროდ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან ცნობილ სახეებსა და მათ ფანებს შორის ცივილიზებული ურთიერთობაა და თუ ვინმე ამბობს, რომ ამით შეწუხდა, მე მგონი, ის კი არ დაიღალა, არამედ უნდა, რომ დაიღალოს, შეწუხდეს...

— ლაშქრობებზე ან პიკნიკებზე სიარული თუ გიყვარს?

— ჭირის დღესავით მეზიზღება — სიარული, „რიუგზაკები“, მინდორში სუფრის გაშლა, იქ „გადაგორება-გადმოგორება“... ეს ყველაფერი ბავშვობიდან არ მიყვარდა. ლაშქრობებს, თხილამურებსა და ასეთ რაღაცებს ვერიდებოდი — რამე არ მომტყდეს-მეთქი და აი, ბედის ირონიაც — ფეხი ქორწილში, ცეკვის დროს მოვიტეხე!..

— რას ნიშნავს შენთვის კარგი დასვენება?

— გარუჯვას, მეგობრებთან ერთად კარგ დროის ტარებას.

— როგორ ატარებთ ხოლმე დროს ზღვაზე შენ და შენი მეგობრები?

— ვესწრებით ფესტივალებს, ვიკრიბებით ბუნგალოში და ა.შ.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან, პრინციპში, აქტიური დასვენება გამომივიდა. თუმცა, ამას მთლად დასვენებასაც ვერ დავარქმევ — არჩევნების პერიოდში, ბათუმში მქონდა ჩვენება, რომლისთვისაც რამდენიმე დღის განმავლობაში ვემზადებოდი. ჩვენების მერე, ბათუმში ცოტა ხნით დავრჩი... ამის შემდგომ, 2 დღით წავედი ბაქოში, მაგრამ 2 კვირა დავრჩი — ცნობილ აზერბაიჯანელ მომღერალს, აიგიუნ კიაზიმოვას სოლო კონცერტისთვის კოსტიუმები შევუკერე. თუმცა, ვერ დავიწუწუნებ: ვცხოვრობდი არაჩვეულებრივ სასტუმროში — აუზით და ზღვასთან ახლოს. მერე, ისევ ბათუმში წავედი, „ბუნგალოს“ გახსნაზე (რომელიც ჩემს მეგობარს ეკუთვნის) და იქ ერთი კვირა დავრჩი...

— მოკლედ, დასვენების დროსაც, საქმეებს აკეთებ ხოლმე, არა?

— ჰო, ასე მირჩევნია. უაზროდ ყოფნას და მარტო გართობას ცოტა შრომაც რომ მიუმატო, არაფერი დაშავდება. სექტემბრის ბოლოს, ბათუმში მომიწევს ჩასვლა, სადაც სიმღერის ფესტივალი ტარ-

დება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც უნდა ვიყო. საქმე, სიმღერა და დასვენება ერთდროულად გამომივა. ნუთუ ეს ცუდია?!

— წელს უკვე იყავი დასასვენებლად?

— ჯერ არსად ვყოფილვარ. ამ ფეხის გადამკიდე *(მოტეხილი ფეხი ჯერ ისევ აწუხებს. — ავტ.)*, რაღაც ვერ ავეწყვე. სტამბოლში მეგობრებთან ერთად ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ამ ჯოხით იქ რა მინდა, როცა სტამბოლში, საქართველოს კურორტებისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, რომ კუბში აყვანილი აქტიური ცხოვრება ჩქეფს... ჯობია, ცოტა მოვითმინო და მოგვიანებით, ხავერდოვან სეზონზე ვეწვიო თურქეთს.

— რითი განსხვავდებიან ქართველები და უცხოელები — რა თქმა უნდა, დასვენებისა და გართობის მხრივ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, რითი განსხვავდებიან ან ჰგვანან ერთმანეთს. იქ მეტი თავისუფლებაა. თუმცა, ამ ბოლო დროს, ჩვენებიც კარგად ერთობიან, ისვენებენ. ყოველ შემთხვევაში, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეეგუა ახალ ბარებს, ბუნგალოებს, დისკოთეკებს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ზაფხულის დასვენების კულტურა ჩვენთანაც შემოდის...

— ასეთი აქტიური გართობის მოყვარული, თბილისში როგორ და სად ახერხებ გართობას?

— ჰო-ო!.. თბილისს ძალიან აკლია კლუბები, რესტორნები, ღია დასვენების ადგილები. ადრე ბევრი კარგი კლუბი იყო... შეიძლება ითქვას, რომ დღეს, თბილისი შარდენის ქუჩით შემოიფარგლება. ეს ქუჩა მართლაც კარგია, მაგრამ დედაქალაქისთვის ცოტა არ იყოს პატარაა... რამდენიმე დღის წინ, სტუმრები ჩამოგვივიდნენ სტამბოლიდან და გვიწევდა მათთვის მთელი თბილისის, მცხეთის ჩვენება. დასვენება ქეიფში გადაიზარდა... სტუმრები გავისტუმრე და ახლა მართლა ვისვენებ... ალბათ მალე წავალ ბათუმში და აქტიურ დასვენებას შევუდგები.

— საკურორტო რომანების თუ გჯერა და შენ თვითონ თუ გქონია ასეთი შემთხვევა?

— მქონია, მაგრამ... სიმართლე გითხრა, მარტო რომანს არ ვგულისხმობ — იქ შეიძლება, მეგობარიც, ამხანაგიც გაიჩინო. მაგრამ როცა ქალაქში ბრუნდები, ცხოვრების რიტმი გეცვლება, ძველ საზოგადოებას უბრუნდები და ზაფხულში გაცნობილი ამხანაგისთვისაც იმდენად ვეღარ იცლი. ასევეა რომანიც — იგი აღარ გრძელდება ხოლმე. ან შეიძლება, იშვიათად გაამართლოს...

— საზღვარგარეთ ყოფნისას, ყველაზე უკეთ რომელ ქვეყანაში ისვენებ ხოლმე?

— ძალიან მიყვარს თურქეთი და იქ დასვენება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში საოცრად კარგი ხალხი ცხოვრობს. არადა, აქ სულ სხვანაირი შთაბეჭდილება აქვთ თურქებზე...

— როგორ გგონია — რატომ არ მოსწონს ქართველი საზოგადოების ნაწილს თურქები?

— იცი, რა?.. მე ისეთ ადგილებში ვისვენებ, სადაც ბევრი ვერც მოხვდება: თურქეთში, ისევე, როგორც თბილისში, არსებობს საზოგადოების ახალგაზრდული, ელიტური ფენა — მოდელები, სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები, ცნობილი ოჯახების შვილები და ა.შ. შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთში თითოეულ მათგანს (ყოველ შემთხვევაში, უმეტეს ნაწილს) ვიცნობ. აქედან გამომდინარე, დროსაც კარგად ვატარებ. ქართველები ხედავენ საქართველოში ჩამოსულ თურქებს, რომელთაც ჩემ მიერ ჩამოთვლილი ხალხი გამარჯობასაც არ ეტყვის... საზღვარგარეთ, თბილისიდანაც მიდიან სამუშაოდ და ასევე შეიძლება, რომელიღაც იქ ჩასული ქართველით შეიქმნან შთაბეჭდილება და თქვან — საქართველოს მთელი მოსახლეობა ასეთიაო...

— საზაფხულო კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდი?

— ბათუმში ვისვენებდი. არაჩვეულებრივი საღამო გავატარე. მაგრამ დილით მაინც 7 საათზე გამეღვიძა. ვიფიქრე — სანამ სხვებიც გაიღვიძებენ, „ზაგარს“ მივიღებ-მეთქი და პლაჟზე წავედი. 7 საათიდან პირველ საათამდე, გულაღმა, გაუნძრევლად ვიწექი; პირველის მერე, გადმოვბრუნდი, მზეს ზურგი მივუშვირე და 5 საათამდე გავძელი. იმ ადგილიდან, სადაც ვიწექი, სანამ ზღვას მივუახლოვდებოდი, კბილები ამიკაწკაწდა, 39 გრადუსი სიცხე მომცა... წყლულები გამიჩნდა, გავსივდი, ვეღარ დავდიოდი... მოკლედ, იმდენად მინდოდა, ჩემები გამეკვირვებინა, რომ პირველი ხარისხის დამწვრობა მივიღე.

— რომელ ქვეყანაში ისურვებდი დასვენებას?

— ყველაზე მეტად დასვენებას მონტე-კარლოში ვინატრებდი. იქ რომ წახვიდე, ძალიან მდიდარი უნდა იყო. ამიტომ ვისურვებდი, რომელიმე მეგობარს დასასვენებლად სწორედ მონტე-კარლოში წავეყვანე...

— მეგობარს თუ მდიდარ საცოლეს?

— ჰო, ამაზე არ მიფიქრია... ჭკვიანურია, ხომ იცი... ნომერში ერთ ღამეში 3.000 დოლარი უნდა გადაიხადოს, თორემ, ისე არ მოვიყვან ცოლად *(იცინის)*...

— რა სიახლეებია შენს შემოქმედებაში?

— ამ ზაფხულს, გრიგოლეთში მქონდა ჩვენება *(სასტუმრო „ანდამატის“ პრეზენტაციისთვის გამართული. — ავტ.)*, სადაც გავიტანე საზაფხულო კოსტიუმები. ჩვენებით საოცრად კმაყოფილი დავრჩი.

— დაბოლოს, როგორია შენი უახლოესი გეგმები?

— სექტემბერში, ვაპირებ თბილისში შემოდგომა-ზაფხულის კოლექციის ჩვენებას, სადაც წარმოდგენილი იქნება „ტოპები“, ყოველდღიური ტანსაცმელი გარუჯული დამსვენებლებისთვის... როგორც გითხარი, შარშან არჩევნების დროს, ბათუმში მქონდა ჩვენება. იქ წელსაც ტარდება რაღაც კამპანია და ვიმედოვნებ, რომ დამიახლებენ, რადგან მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ჩემი ჩვენება კარგად აქვთ დაცდილი... ■

ვარსკვლავები, ბლანკეტები და დიეტა

ბევრს შესაძლოა, გაუკვირდეს კიდეც და იკითხოს — რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ასტროლოგიას ზედმეტი კილოგრამების დაკლებასთანო? მაგრამ ჯერ კიდევ ჰიპოკრატე აცხადებდა — პაციენტის მკურნალობის დროს, ექიმმა „ასტროლოგიური შტრიხები“ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოსო. ჰიპოკრატეს ეს რჩევა დიეტის დაცვის დროსაც გამოდგება, რადგან თითოეული ადამიანის სასიცოცხლო პოტენციალი, ვიტალურობა და ორგანიზმის კონსტიტუცია ინდივიდუალურია (კონკრეტული ადამიანი კონკრეტულ მიკროკოსმოსს წარმოადგენს და აბსოლუტურ ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს მაკროკოსმოსთან). აქედან გამომდინარე, ერთი დიეტოლოგის მიერ დანიშნულმა დიეტამ შესაძლოა, სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვანაირი ზეგავლენა მოახდინოს.

როგორც ცნობილია, ადამიანები 12 არქეტიპად (ზოდიაქოს ნიშნად) იყოფიან და თავი რომ დავანებოთ დიეტოლოგის მიერ ადამიანისთვის დიეტის შერჩევის დროს მისი ჰოროსკოპის იმ პარამეტრების განხილვასაც, რომლებიც ჯანმრთელობასა და სასიცოცხლო პოტენციალზე იძლევა ინფორმაციას, ამ ადამიანის ზოდიაქოს ნიშანზე მინიმალური ინფორმაციის ფლობაც კი გარკვეულწილად გაზრდიდა დანიშნული დიეტის ეფექტურობას.



ვერძი

აჩქარებული და იმპულსური ხასიათის გამო შესაძლოა, ყველაფერი მოუფიქრებლად დაიწყოთ — გახდომაც და გასუქებაც. ამიტომ ეცადეთ, წინასწარ კარგად მოიფიქროთ, თუ რა სახის დიეტას იცავთ, თქვენამდე ვინ გამოცადა ის და რაც მთავარია: თუ ბევრს მოძრაობთ ან ვარჯიშობთ, მაშინ არავითარ დიეტას არ გირჩევთ.

დიეტა: გამოიმუშავეთ გახდომის საკუთარი გეგმა, რომელშიც აბსოლუტურად დარწმუნებული იქნებით. გეგმა კი შემდეგი უნდა იყოს: დღეში 1250-1500 კალორიაზე მეტი არ უნდა მიიღოთ; მოერიდეთ ხორცს, თევზს, ბრინჯს, ყველსა და რძეს. შეიძინეთ პროდუქტები, რომლებიც ნაკლებად შეიცავს ცხიმსა და შაქარს. **ვარჯიში**: იყიდეთ წიგნი ან ვიდეოკასეტა აერობიკის გაკვეთილებით და დაუყოვნებლივ შეუდექით ვარჯიშს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, თუ მოძრავი ცხოვრების წესს მისდევთ, მაინცდამაინც ბევრს ნუ ივარჯიშებთ.

ვეფხვი

თქვენ გურმანი ბრძანდებით, ამის გამო შესაძლოა, ყველგან მოგინდეთ რაღაც ახალი სასუსნავის გასინჯვა, რაც წონის მატების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

დიეტა: სამწუხაროდ, გარკვეული მიდრეკილება გაქვთ წონის მატებისკენ და გამუდმებით მოგიწევთ მასთან ბრძოლა. რაღა თქმა უნდა, ამის გამოსწორება შესაძლებელია — იმ შემთხვევაში, თუკი ნახევარი შოკოლადის შეჭშის შემდეგ, მეორე ნახევარს გვერდზე გადადებთ. მიიღეთ ის საკვები, რომელიც ნაკლებ ცხიმს შეიცავს. ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს (ის მკაცრად აკონტროლეთ) და თავშეკავება გამოიჩინეთ სადღესასწაულო სუფრასთან. **ვარჯიში**: დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ დღეში რამდენს მოძრაობთ. შესაძლოა, სიზარმაცემ გძლიოთ და ამის საჭიროებაც ვერ დაინახოთ, მაგრამ გარწმუნებთ — თუკი დღეში ერთხელ მაინც გაისეირნებთ სუფთა ჰაერზე, ეს თქვენს გახდომას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ჩანჩქერი

თქვენ ერთფეროვნება მალე გწყინდებათ და ეს კვებაშიც ვლინდება. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ უცხო და ეგზოტიკურ საკვებს (დაადგინეთ, შემთხვევით ხომ არ შეიცავს ის ზედმეტ კალორიებს).

დიეტა: მოუთმენლობის გამო შესაძლოა, ნებისმიერი დიეტა თქვენთვის მოსაწყენი და უინტერესო გახდეს. ამიტომ, თუკი დიეტის დაცვას გადაწყვეტთ, მოთმინებით აღიჭურვეთ. მიიღეთ ნაკლებკალორიული შემცველობის საკვები (ხილი, ბოსტნეული, იოგურტი, მცირე რაოდენობით თევზი, ოღონდ, არა ზუთხი და მისი ნაირსახეობები). თუ ამას ვერ გაუძლებთ, მაშინ შეგიძლიათ, ხორცის ან თევზის კერძიც მიირთვათ, ასეთ შემთხვევაში, გირჩევთ, დღეში ერთხელ იკვებოთ. **ვარჯიში**: ისევე, როგორც ვერძისთვის, აერობიკა შესაძლოა, თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს. ასევე გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თქვენ მოქნილი და პლასტიკური ხართ, ამიტომ შეგიძლიათ, ვარჯიშად, სპორტული ცეკვებიც კი გამოიყენოთ.

ჯიუტხიბი

მიზანდასახული და პრინციპული პიროვნება ხართ, ამიტომ არ უნდა გაგიჭირდეთ დიეტის დაწყება. თუმცა, ამ დროს თქვენი ემოციური ბუნების გამო ოჯახის წევრთა მიმართ მეტი სიყვარული და სინაზე გმართებთ.

დიეტა: მხოლოდ 1500 კალორია დღეში. მიიღეთ მიუსლი, თევზის კერძები, ბოსტნეულის სალათები. შეგიძლიათ, ორთქლზე მოხარშული, კანგაცლილი კარტოფილიც მიაყოლოთ (ოღონდ, რამდენიმე ცალი); ცოტა ფრინველის ხორციც შეგიძლიათ მიირთვათ და რა თქმა უნდა, თქვენი სიმბოლო — კიბორჩხალა (ის ხომ დელიკატესადაც ითვლება). **ვარჯიში**: დიეტის დაცვის დროს, აუცილებლად დაგჭირდებათ წყალი — დასალევი წყალი არ იგულისხმება: ყოველდღე, 20-30 წუთი აუზზე ცურვა ნამდვილად დაგეხმარებათ. შეგიძლიათ ისეირნოთ ნავით, სერფინგით და იახტითაც კი.

ლომი

ყოველთვის ყურადღების ცენტრში გსურთ ყოფნა, ხართ გულუხვი და გაქვთ მაღალი სასიცოცხლო პოტენციალი. თუმცა, ეს არ დაგეხმარებათ წონის დაკლებაში. სიზარმაცის გამო შესაძლოა, დიეტის დაცვა გაგიჭირდეთ, ამიტომ ასეთ

დროს, საკუთარი თავის „ხელში აყვანა“ მოგიწევთ.

დიეტა: რაციონიდან გამორიცხეთ ცხარე საკვები, ხორცის პროდუქტები, ასევე ალკოჰოლი. დიეტის დაცვისას კარგი იქნება, თუკი სამკურნალო ბალახების ნახარშსაც მიიღებთ (ეს თქვენს ორგანიზმს შლაკებისგან გაწმენდს). კარგი იქნება ასევე ხილის დიეტა – მაგალითად, ავოკადო, ბანანი და ფინიკი. აუცილებლად მიიღეთ მატონიზებელი ჩაი. **ვარჯიში**: ვარჯიშისთვის სპორტის ისეთი სახეობა შეარჩიეთ, სადაც თავს „დაჩაგრულად“ არ იგრძნობთ – მაგალითად, იქ, სადაც ერთი პარტნიორი გეყოლებათ და ოფლსაც საკმარისად დაღვრით.

ქალწული

წვრილმანი და მერკანტილური ხასიათის გამო შესაძლოა, დიეტის დაწყება რამდენჯერმე გადადოთ და იმის ეჭვიც კი გაგიჩნდეთ, რომ თქვენი ჯანმრთელობა არცთუ ისე კარგ მდგომარეობაშია და დიეტა უარესს დაგმართებთ.

დიეტა: თქვენ სუსტი საჭმლის მომნელებელი სისტემა გაქვთ, ამიტომ დიეტის დროს, ნუ მიიღებთ ნახევარფაბრიკატებს, ეცადეთ, ყველაფერი ნატურალური და ახალი იყოს. რაციონში შეიტანეთ ჭვავის პური და ცოცხალი მწვანილი. ასევე მისაღები იქნება რძის პროდუქტები (ხაჭოს გარდა, ყველაფერი). **ვარჯიში**: ყველაზე მისაღები თქვენთვის ტრენაჟორები იქნება. სთხოვეთ მწვრთნელს ან ინსტრუქტორს, შეგიდგინოთ ინდივიდუალური პროგრამა. ვარჯიშის დროს, ყურადღება მიაქციეთ სუნთქვას. გარდა ამისა, ბუნების წიაღში გაისეირნეთ.

სასწორი

თქვენ ყოველთვის გინდათ, რომ ლოგიკური და რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღოთ, ამიტომ წონის დაკლებასთან დაკავშირებული საკითხიც რაციონალურად უნდა გადაწყვიტოთ. მერყევი ხასიათის გამო შესაძლოა, დიეტის შერჩევა ვერ მოახერხოთ, ამიტომ დახმარება სთხოვეთ კომპეტენტურ ადამიანს (პროფესიონალ დიეტოლოგს).

დიეტა: დღიური რაციონი სასურველია, 1600-1700 კალორიას არ აჭარბებდეს და ეს კალორიები საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე შემდეგნაირად გადაანაწილოთ – 25%, 50% და 25%. გახსოვდეთ, რომ სასწორები სხეულის იდეალურ ზომებს იშვიათად აღწევენ, ამიტომ სარკეში ხშირად ჩაიხედეთ და თქვენი სხეულის პარამეტრები ასე აკონტროლეთ. **ვარჯიში**: ყველაზე მეტად იოგა მოგიხდებათ, ეს თქვენს სხეულზე, გონებასა და სულიერ ცხოვრებაზე დადებითად იმოქმედებს. სუნთქვითი ვარჯიშები ჰარმონიულ გუნება-განწყობილებაზე დაგაყენებთ, თაი-ძისა და უშუ-ს ვარჯიშები კი ახალ სამყაროს გაზიარებთ.

ლომიანჯვალი

ძლიერი შინაგანი ბუნების, პრინციპულობისა და დიდი ნებისყოფის წყალობით, ადვილად მოახერხებთ საკუთარი გარეგნობისა და წონის კორექციას. ურთულესი დიეტებიც კი თქვენთვის იოლი დასაძლევი იქნება.

დიეტა: თქვენ თავიდანვე შეგიძლიათ, დღიური რაციონი 1000 კალორიამდე შეამციროთ, ასე ადვილად შეძლებთ წონის დაკლებას. მენიუში კი, შემდეგი პროდუქტები გამოიყენოთ: სოკო, ცოტა თევზი (უფრო სწორად – მისი ნახარში) და ბოსტნეულის სალათები. შეგიძლიათ, ტოსტერში შემწვარი პურიც დააგემოვნოთ. **ვარჯიში**: ყველაზე მეტად, მისტიკური მუსიკა და ცეკვა დაგეხმარებათ. ცეკვა კი ყველანაირი შეგიძლიათ, სცადოთ.

მშვილდოსანი

თქვენი აქტიური ბუნებისა და იმის წყალობით, რომ ბევრს მოძრაობთ, შესაძლოა, ვერ მოახერხოთ დიეტის დაცვა. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, დიეტა არც გჭირდებათ, რადგან როგორც წესი, მშვილდოსანს ზედმეტი წონა იშვიათად აწუხებს.

დიეტა: თუ მაინც გადაწყვიტეთ დიეტის დაცვა, ეცადეთ, ზუსტად დაიცვათ კვების რეჟიმი და თავი აარიდოთ გაუთვალისწინებელ საუზმეს ან ვახშამს. ერთ ჯერზე არ მიიღოთ 500 კალორიაზე მეტი. საუზმეზე შეგიძლიათ მიიღოთ გახეხილი ვაშლი და ერთი ჭიქა ფორთხლის წვენი, სადილზე – ღვიძლი და ორი ნაჭერი რუხი პური, ვახშამზე კი – ყავა და ცოტაოდენი არაქისი. **ვარჯიში**: შეეცადეთ, მისდით ფრენბურთს, ჩოგბურთს, გოლფს, ასევე ცი-გუნს – ასე უფრო მეტად შეძლებთ სასურველი წონის „დაყენებას“.

თხის რქა

იმის გამო, რომ ხშირად გიწევთ ჯდომა – ანუ ერთ ადგილზე მუშაობამ და მოუწესრიგებელმა კვების რეჟიმმა – მოსალოდნელია, წონასთან დაკავშირებული პრობლემები შეგიქმნათ. თუმცა, სავარაუდოა, დიეტის დაცვის დროს, ჯიუტი ხასიათი დაგეხმარებათ და უპრობლემოდ მოახერხებთ მის დაცვას.

დიეტა: ყველაზე მისაღები დიეტა თქვენთვის იქნება ის, რომ საღამოს 7 საათის შემდეგ აღარ მიიღოთ საკვები. მუდმივად აკონტროლეთ თქვენი წონა, რადგან ისევე, როგორც თქვენს ასტროლოგიურ „ძმას“ – კუროს, თქვენც წონის პრობლემა გემუქრებათ. რაციონში ბლომად ხილი და ბოსტნეული შეიტანეთ. **ვარჯიში**: ყველაზე მეტად, ადგილზე სირბილი და ფარიკაობა დაგეხმარებათ. ასევე კარგი იქნება ძალისმიერი სპორტი.

ჩიტაკუდა

მოსალოდნელია გამძაფრებული დამოუკიდებლობის შეგრძნების გამო უბრალოდ არ დაუჯეროთ კეთილისმსურველებს და ამის გამო შეგექმნათ წონის პრობლემა (თუმცა, როგორც ჰაერის სტიქიის სხვა ნიშნებს, ეს თქვენც ნაკლებად გემუქრებათ).

დიეტა: ნაკლებად მიიღეთ ტკბილეული, ღვეზელი და სხვა ნუგბარი, ასევე გაზიანი სასმელი. თქვენ სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალი გაქვთ, ასე რომ, დიეტის გამო ორგანიზმის გამოფიტვა არ გემუქრებათ. კარგი იქნება, თუკი რაციონში შეიტანთ თაფლს. თქვენი დღიური რაციონი არ უნდა აჭარბებდეს 1250 კალორიას. **ვარჯიში**: ყველაზე მისაღები თქვენთვის, გონებრივი ვარჯიშებია, მაგრამ თამაშებიც დადებითად იმოქმედებს – მაგალითად, ფეხბურთი, კალათბურთი, ასევე ნელი ტემპით სირბილი.

თევზები

მგრძნობიარე ხასიათისა და ეჭვიანი ბუნების გამო შესაძლოა, ვინმეს რჩევის მიმართ ეჭვები გაგიჩნდეთ. არადა, ამ რჩევამ (რომელიც რა თქმა უნდა, დიეტასთან იქნება დაკავშირებული) შესაძლოა, წონის პრობლემები მოგიხსნათ.

დიეტა: იყიდეთ რეცეპტების წიგნი და თვითონ შექმენით პერსონალური და გამორჩეული დიეტები. დღიურად უნდა მიიღოთ: რამდენიმე ნაჭერი პური, ბრინჯი, რამდენიმე ცალი კარტოფილი, ხილი და რაღა თქმა უნდა, თევზი (საბოლოო ჯამში, ყველაფერი 1700 კალორიაზე მეტი არ უნდა გამოვიდეს) **ვარჯიში**: ისევე, როგორც კირჩხიბს, თქვენც წყალი გჭირდებათ, ზაფხულში – ზღვა, ტბა, მდინარე, შემოდგომით კი – აუზი. წყალი არა მარტო თქვენს წონის რეგულირებას შეუწყობს ხელს, არამედ ნერვულ სისტემასაც დაგიმშვიდებთ.

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(15 - 21 სექტემბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

მოგიწევთ გაორმაგებული შრომა, რათა გადაჭრათ ამ პერიოდში წარმოქმნილი ყველა პრობლემა. გაჭირვების დროს დახმრებისთვის მიმართეთ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. გირჩევთ, მცირე ხნით მაინც გახვიდეთ ბუნებაში – ეს კარგად იმოქმედებს თქვენს ნერვულ სისტემაზე. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 17, 19. **ნეგატიური დღეები:** 18, 21.

კუროო – 21/IV-21/V

თუ წარმატების მიღწევა გსურთ, ეს კვირა აჩქარებული ტემპით უნდა დაიწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პერიოდი თქვენთვის არცთუ ისე პოზიტიური იქნება, შრომისმოყვარეობის წყალობით, იოლად გაართმევთ თავს პრობლემებს და შესაძლოა, წინსვლაც მოახერხოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 18, 20. **ნეგატიური დღეები:** 15, 17.

მარჩხიბი – 22/V-21/VI

ამ კვირაში კარმული პრობლემების წინაშე დადგებით (შესაძლოა, ძველი შეცდომების გამოსწორებაც მოგიხდეთ). სავარაუდოა, რომ პრობლემებს თავს გაართმევთ. გამოიჩინეთ ყურადღება და გულისხმიერება ოჯახის წევრთა მიმართ, დაინტერესდით მათი გეგმებითა და პრობლემებით. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 16, 18. **ნეგატიური დღეები:** 17, 20.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

წინა კვირასთან შედარებით, სიტუაცია გამოსწორდება და შესაძლოა, გარკვეული წინსვლაც მოახერხოთ. თუმცა, მომძლავრებული ნეგატიური ენერგიის გამო შესაძლოა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ – ეს ყოფითი პრობლემების გამო მოხდება. გამოიჩინეთ მოთმინება და ტაქტი. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 18, 19, 21. **ნეგატიური დღეები:** 15, 16.

ლომი – 23/VII-23/VIII

გირჩევთ, სასწრაფოდ მოაგვაროთ ყველა გადადებული საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემების მოძალება წონასწორობიდან გამოგიყვანთ. კონფლიქტურ სიტუაციაში, მეტი თავდაჭერილობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინეთ და ემოციებს ნუ აჰყვებით – ამგვარად, ბევრ უსიამოვნებას აარიდებთ თავს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური –კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 17, 18, 19. **ნეგატიური დღეები:** 16, 21.

ქალწული – 24/VIII-23/IX

რაღაც ახლის შეცნობის სურვილი შეგიპყრობთ, რაც ხელს შეგიწყობთ სულიერ ტრანსფორმაციაში. თუმცა, ეს ყოვლისმცოდნის ილუზიას შეგიქმნით, არ გირჩევთ სხვის საქმეებში ჩარევასა და სხვისი პრობლემების გადაჭრას – ეს ცხოვრებას გაგირთულებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 19, 21. **ნეგატიური დღეები:** 15, 18.

სასწორი – 24/IX-23/X

ყოყმანი და გაუაზრებლად მოქმედება – აი, რამ შეიძლება აგირიოთ ცხოვრება. ამ პერიოდში მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდება, ამიტომ მთავარია, არ დაიბნეთ, ეცადეთ, სწრაფად და მოქნილად იმოქმედოთ. ამავე დროს, გირჩევთ, გაუმართლებელ რისკზე ნუ წახვალთ. ეცადეთ, არ გამოიჩინოთ აგრესიულობა. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 16, 18, 20. **ნეგატიური დღეები:** 15, 21.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მიმდინარე პერიოდი ძალზე დატვირთული იქნება, ამიტომ ეცადეთ, ყველა საკითხის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეთ. ნუ გამოავლენთ სიჯიუტეს და ნუ იქნებით ინერტული – ამ შემთხვევაში, ძალზე საჭირო ურთიერთობებს დაამყარებთ. იღბალი თქვენს მხარეზე იქნება, ამიტომ შეგიძლიათ, აზარტულ თამაშშიც სცადოთ ბედი. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 17, 18. **ნეგატიური დღეები:** 16, 20.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ისევე, როგორც წინა კვირაში, ფულის ხარჯვა მოგიწევთ. თუმცა, ამ პერიოდში ეს უფრო გამართლებული იქნება, რადგან საზეიმო სიტუაციასთან ან რაღაც დღესასწაულთან იქნება დაკავშირებული. ეცადეთ, ყაირათიანობა გამოიჩინოთ და ზედმეტი არ მოგივიდეთ. შესაძლოა, მიიღოთ ძალზე საჭირო ინფორმაცია, რომელიც თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და თევზებთან, ნეგატიური – ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 17, 19, 20. **ნეგატიური დღეები:** 15, 16.

თხის რქა – 22/XII-20/I

თუ წინა კვირაში სიტუაცია ნეგატიური იყო, მიმდინარე პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდება. ეს ძირითადად, თქვენს მატერიალურ მდგომარეობას ეხება. შესაძლოა, დაუგეგმავი შემოსავალი გაგიჩნდეთ, რაც ძალზე გაგახარებთ. ამავე დროს, ხარჯიც გაიზრდება, ამიტომ მომჭირნეობა გმართებთ, რათა კვლავ ფინანსური პრობლემების წინაშე არ აღმოჩნდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 17, 18, 21. **ნეგატიური დღეები:** 16, 19.

მერწყული – 21/I-19/II

მიმდინარე პერიოდში, არაა სასურველი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რადგან გაიზრდება შეცდომების დაშვების ალბათობა, ეს განსაკუთრებით თქვენს სამსახურებრივ საქმიანობას ეხება. გამოიჩინეთ სიფრთხილე გამოთქმების შერჩევისას, რომ უნებურად შეცდომა არ დაუშვათ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და მერწყულთან, ნეგატიური – კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 17, 19, 20. **ნეგატიური დღეები:** 15, 21.

თევზები – 20/II-20/III

თქვენ მიერ უკვე ჩადენილი შეცდომების გამო, უსიამოვნო განწყობილება დაგეუფლებათ, რაც თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს. გირჩევთ, ამას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ეცადეთ, დაამყაროთ საქმიანი ურთიერთობები იმ ადამიანებთან, რომლებზეც თქვენი წინსვლაა დამოკიდებული. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 15, 19, 20. **ნეგატიური დღეები:** 17, 18.





23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.
30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

ანეკდოტები

***

ზესტაფონელს ეკითხებიან:
— სვამ?
— მაგან არ მომკლა?!.

***

— ჭიჭიკია, ჩემს ჯანმრთელობაზე, ჰოროსკოპის მიხედვით, იუპიტერი მოქმედებს. შენზე?
— ჩემზე კიდო — ურანი.
— მაგ ნიშნით დეიბადე?
— არა, ჯარში ვიყავი... ჩერნობილში.

***

მთვლემარე თანამშრომელს უფროსი წამოადგა თავზე:
— მუშაობის დროს, ძილი აკრძალულია!
— მერედა, ვინ თქვა, რომ ვმუშაობ... „პროსტო“ მძინავს.

***

გურული ეუბნება სადგურის მორიგეს:
— ოზურგეთის მატარებელი მალე მუა?
— დღე-დღეზე ველოდებით, — ამთქნარებს რაჭველი მორიგე.

***

რჩევა ახალგაზრდა მშობლებს:
თუ არ გსურთ, თქვენი პატარის წარმოთქმული პირველი სიტყვა იყოს „მიშა“, ნუ დატოვებთ ბავშვს ჩართულ ტელევიზორთან.

***

— გააკეთე რამე, შვილო ბუხოია, დღეს სკოლაააში?
— დედა დავხააატე.
— რავა ყოველდღე დედაშენს ხატამ, შე უპატრონო! მეტს აფერს გაკეთებიებენ ის ჩემანალაებიი?!.
— რა ვიიცი! შამევიდა კუკურიე მასტალებელი და გვითხრა, რომე — აპა, ბაღნებო! ყველეიმ ხატეთ ახლა, თქვენი დედაო!..

***

პატრულები ქუჩაში მოდიან. ხედავენ, ხეზე კაცს თავი ჩამოუხრჩვია.
— ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?!.
— მოდი, სხვა რაიონში გადავიტანოთ.
გადაიტანეს და ჩამოკიდეს ხეზე. მოდიან იმ რაიონის პატრულები:
— ვაა! ეს ისევ აქ კიდია?!

***

გამომძიებელთან დაკითხვაზე:
— საიდან, შე ახვარო, ეს ამდენი სიმდიდრე?! ხალხის ფულით გამდიდრდი, არა?!!
— სად აქვს, ბიჭო, ხალხს მაგდენი ფული?!.

***

— რით დამთავრდა, ზინიკო, შენი ქორწინება?
— სიკვდილით.
— ვინ მოგიკვდა, ქმარი?!
— არა, დედამთილი... ჩემი დანახვისთანავე გაჭიმა ფეხები.

***

მხოლოდ საპარაშუტო ბისზნესში არის შესაძლებელი კლიენტების ისე გადაგდება, რომ ისინი კმაყოფილი რჩებოდნენ.

***

მიხო ზის და წერს. შემოვიდა მარო:
— მიხო, რას აკეთებ?
— ახალი ჰიმნი უნდა დავწერო.
მარომ აიღო და წაიკითხა.
— მეხი კი დაგაყარე, ქა! სუ გინების კორიანტელი დაგიყენებია!! სუ მარტო გინება რა ჰიმნია, ჰაა?!!
— მაიცა, მარო!.. სუ მარტო გინება რათა სწერია... აგე, მაგალითადა, აქა ხო წერია — „ქვეყანაი“...

***

— ყველა მამაკაცი საშინელი მექალთანეა!
— კარგი, რა, მაკა, ყველა ეგეთი ნამდვილად არ არის.
— აბა, მასეთებს, მამაკაცებს არც ვეძახი...

***

— უცნაურია, — ეუბნება რესტორანში კავალერი ქალს, — როგორც კი თქვენ გამოგიწვევთ საცეკვაოდ, ცეკვა რატომღაც ძალიან მოკლე მეჩვენება ხოლმე.
— ცხადია, — გაეღიმა ქალს — ორკესტრს ჩემი ქმარი ხელმძღვანელობს.

***

შსს-ს ვებსაიტიდან: მკერდში მოგიჭირა? სახსრები გტკივა? უძილობამ შეგაწუხა? დაწერე, რა, აღიარებითი ჩვენება!!!

***

— ჩემი ცოლი ქართულ ფეხბურთს მადარებს.
— ვაა!.. მაგარია! ისეთივე მოქნილი, შემტევი და ცეცხლოვანი...
— რა ცეცხლოვანი?! ოცი წელია, აღარც მოკვდი და აღარც რჩებიო...

***

მიხო სახლში ბრუნდება და მაროს ეუბნება:
— შენი სანათესავოს ფოტოების ალბომი გამამიტანე!
მარო ეკითხება:
— რად გინდა, მიხო?
— კეთილები უნდა გაგინო და... არავინ გამომრჩეს!

***



სვანს სკლეროზი აქვს. ფურცელზე ჩამოწერილი აქვს, რაც უნდა აკეთოს. იღვიძებს დილით, კითხულობს:
— ადექი! — დგება.
— შედი „ვანაში“. — შედის „ვანაში“...
— დაიბანე პირი. — იბანს პირს...
— დაივარცხნე თმა. — ივარცხნის თმას.
გამოიხეხე კბილები... სვანი ამბობს:
— მეზარება.
ისევ ჩაიხედება ფურცელში.
— გამოიხეხე-თქვა!

რამდენად ძლიერი პიროვნება ბრძანდებით?

1. ხშირად თუ ფიქრობთ, როგორ ზეგავლენას ახდენთ თქვენ ქცევით ირგვლივ მყოფებზე?

ა) ძალზე იშვიათად – 0; ბ) იშვიათად – 1;

გ) საკმაოდ ხშირად – 2; დ) ძალზე ხშირად – 3.

2. სიჯიუტის გამო ან შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, ხომ არ ამტკიცებთ ხოლმე იმას, რისიც თავადაც არ გწამთ?

ა) დიახ – 0; ბ) არა –1.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, რომელს აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

ა) გულმოდგინებას – 1; ბ) მასშტაბურ აზროვნებას – 1; გ) საკუთარი თავის წარმოჩენის უნარს – 0.

4. გახასიათებთ თუ არა პედანტიზმი?

ა) დიახ – 2; ბ) არა – 0.

5. ადვილად ივიწყებთ თუ არა მომხდარ უსიამოვნებას?

ა) დიახ – 0; ბ) არა – 2.

6. გჩვევიათ თუ არა საკუთარი საქციელის გაანალიზება?

ა) დიახ – 2; ბ) არა – 0.

7. თქვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანების წრეში ყოფნისას:

ა) ამ წრეში მიღებული ტონის შენარჩუნებას ცდილობთ – 2; ბ) იქცევით ისე, როგორც ყოველთვის – 0.

8. ცდილობთ თუ არა, რომ მოსალოდნელ სიძნელეებზე არ იფიქროთ, როცა რთული საქმისთვის ხელის მოკიდებას აპირებთ?

ა) დიახ – 0; ბ) არა – 2.

9. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, რომელი შეგეფერებათ ყველაზე მეტად?

ა) მეცნიერი – 0; ბ) ქუდბედიანი – 1;

გ) მშრომელი – 3; დ) პედანტი – 2; ე) ფილოსოფოსი – ამ სიტყვის ფართო გაგებით – 2; ვ) მოუსვენარი – 0.

10. საზოგადოებაში ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას:

ა) მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას შესაძლოა, თქვენგან განსხვავებული აზრი ჰქონდეს, საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებას არ მოერიდებით – 2; ბ) მსგავს სიტუაციაში, დუმილს ამჯობინებთ, მაგრამ შინაგანად საკუთარ პოზიციაზე დარჩებით – 0; გ) მართალია, მხარს უმრავლესობას დაუჭერთ, მაგრამ შინაგანად საკუთარ აზრზე დარჩებით – 0; დ) ტკივილის ჭყლეტით ზედმეტად თავს არ შეიწუხებთ და იმ აზრს მიემხრობით, რომელიც საზოგადოებაში მუსირებს – 0.

11. როცა მოულოდნელად შეფი თავისთან გიხმობთ, როგორი გრძნობა გეუფლებათ?

ა) ღიზიანდებით – 0; ბ) განგაშის გრძნობა გიპყრობთ – 1; გ) შეფიქრიანებული ხართ – 2; დ) არანაირი განსაკუთრებული გრძნობა არ გეუფლებათ – 0.

12. როგორ მოიქცევით, თუკი კამათისას, თქვენი ოპონენტი თავს ვერ შეიკავებს და პიროვნულად შეგეხებათ?

ა) იმავე ტონით უპასუხებთ – 0; ბ) ამ ფაქტის იგნორირებას მოახდენთ – 2; გ) წყენას დემონსტრაციულად გამოხატავთ – 1; დ) ტაიმ-აუტის აღებას შესთავაზებთ – 3.

13. თუკი თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს დაიწუნებენ:

ა) განაწყენდებით – 2; ბ) სირცხვილის გრძნობა დაგეუფლებათ – 1; გ) განრისხდებით – 0.

14. პირველ რიგში ვის ადანაშაულებთ, როცა ხათაბალაში ეხვევით?

ა) საკუთარ თავს – 2; ბ) ფატალურ უიღბლობას – 0; გ) სხვა „ობიექტურ" გარემოებებს – 0.

15. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ირგვლივ მყოფები — იქნება ეს ხელმძღვანელობა, კოლეგები თუ ხელქვეითები — თქვენს ცოდნასა და ნიჭს სათანადოდ ვერ აფასებენ?

ა) დიახ – 0; ბ) არა – 2.

16. როგორ იქცევით, როცა მეგობრები ან კოლეგები თქვენს გაჭილიკებას ცდილობენ?

ა) ბრაზობთ მათზე – 0; ბ) საჩქაროდ გაცლას ამჯობინებთ – 1; გ) სულაც არ გაღიზიანდებით და ხუმრობაში აჰყვებით – 2; დ) მათ ქილიკს ყურადღებას არ მიაქცევთ და გაიცინებთ – 0; ე) გარეგნულად არ შეიმჩნევთ, შესაძლოა, გაიღიმოთ კიდეც, მაგრამ გული მოგივათ – 0.

17. როგორ მოიქცევით, თუკი სადღაც მიგეჩქარებათ და ჩვეულ ადგილზე არ დაგხვდებათ ხელჩანთა (ქოლგა, ხელთათმანები, სათვალე და სხვა)?

ა) მდუმარედ განაგრძობთ ნივთის ძებნას – 2; ბ) განაგრძობთ ძებნას და პარალელურად შინაურების მოუწესრიგებლობაზე საყვედურს გამოთქვამთ – 0; გ) საჭირო ნივთის გარეშე წახვალთ – 1.

18. ყველაზე ხშირად, რის გამო კარგავთ წონასწორობას?

ა) მისაღებში გრძელ რიგში დგომისას – 1; ბ) ზედმეტად გადატვირთული საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას – 0; გ) მაშინ, როცა ერთსა და იმავე საქმეზე რამდენჯერმე გიწევთ მისვლა – 2.

19. კამათის დასრულების შემდეგ, გონებაში ხომ არ აგრძელებთ დავას და საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად ახალ-ახალ არგუმენტებს ხომ არ იშველიებთ?

ა) დიახ – 0; ბ) არა – 2.

20. გადაუდებელი საქმის შესასრულებლად, აუცილებლად გესაჭიროებათ დამხმარე. რომელ კანდიდატს მიანიჭებთ უპირატესობას?

ა) საქმის კარგ შემსრულებელს, მაგრამ უინიციატივო ადამიანს – 0; ბ) მცოდნე, მაგრამ ჯიუტ და დავის მოყვარულ ადამიანს – 1; გ) ნიჭიერ, მაგრამ შედარებით ზარმაც ადამიანს – 2.

ტესტის შედეგები

15 ქულაზე ნაკლები: უზრუნველი, გაუწონასწორებელი და სუსტი ხასიათის ადამიანი ბრძანდებით. მზად ხართ, თავს დატეხილ უსიამოვნებაში დაადანაშაულოთ ყველა და ყველაფერი, ოღონდ, არა საკუთარი თავი. ძნელია, ვინმეს თქვენი იმედი ჰქონდეს, როგორც სამსახურში, ასევე სამეგობროში. გირჩევთ, დაფიქრდეთ ამ ყველაფერზე და შეიცვალოთ.

15-25 ქულა: საკმაოდ მტკიცე ხასიათით გამოირჩევით. რეალურად აფასებთ ცხოვრებას, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად გააზრებულად როდი იქცევით — ზოგჯერ ცდებით და ჩავარდნებიც გაქვთ ხოლმე. კეთილსინდისიერი ხართ და არც ირგვლივ მყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. თუმცა, ზოგიერთი ნაკლის დასაძლევად, დაფიქრება არც თქვენ გაწყენდათ (ამის უნარი კი ნამდვილად გაქვთ!).

26-38 ქულა: გულმოდგინე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი ხართ. მართალია, სათანადოდ აფასებთ საკუთარ მოსაზრებებს, მაგრამ სხვის აზრსაც ანგარიშს უწევთ. ამა თუ იმ სიტუაციაში არ გიჭირთ სწორად ორიენტირება და უმრავლეს შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალსაც პოულობთ. ეს კი თქვენს ძლიერ ხასიათზე მეტყველებს. ოღონდ გაითვალისწინეთ, მეტისმეტი სიმკაცრის გამოვლენა სიკეთეს არ მოგიტანთ.

38 ქულაზე მეტი: ამგვარი შედეგის შეფასება მეტისმეტად რთულია — უბრალოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი უზადო ხასიათის ადამიანები ბუნებაში არსებობენ (ხოლო თუკი არსებობენ, მათ უბრალოდ ველარაფერს ვურჩევთ). თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ ქულათა ამგვარი რაოდენობა არაობიექტური თვითშეფასების უნარით იყოს გამოწვეული.

საშობაო გოგენი

ხელოვნების სფეროში უამრავი მნიშვნელოვანი აღმოჩენა სრულიად მოულოდნელად ხდება. ამას წინათ, დანიელ ხელოვნებათმცოდნეებსაც გაუღიმა ბედმა – მათ პოლ გოგენის შედევრი აღმოაჩინეს. ეს გახლავთ მისი ვაჟიშვილის – ჟანის ბიუსტი. სკულპტურა 1881 წელს, პარიზში შეიქმნა, შემდეგ მხატვრის ოჯახთან ერთად კოპენჰაგენში აღმოჩნდა, საიდანაც მისი კვალი საბოლოოდ დაიკარგა. ის ამას წინათ, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა: ვინმე ბატონმა ავნსომ, ვის სახლშიც ბიუსტს საშობაო მორთულობის დანიშნულებით იყენებდნენ, მისი სახლის გაქურდვის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ,

საკუთარი ქონების დაზღვევა გადაწყვიტა. სადაზღვევო ფირმის წარმომადგენელმა სკულპტურის მფლობელს მისი ღირებულების დადგენა შესთავაზა. კოპენჰაგენში მდებარე ორდრუპჰაარდის მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეებმა, სადაც ის ექსპერტიზაზე გაგზავნეს, მაშინვე იცნეს გოგენის სტილი. მუზეუმის თანამშრომელმა საქმის კურსში ჩააყენა ავნსო, რომ ის გოგენის ორიგინალის მფლობელი გახლდათ და ამასთან, ბიუსტის 32 ათას 940 დოლარად გამოსყიდვა შესთავაზა. „ეს სკულპტურა ბებიაბაბუისგან მემკვიდრეობით მივიღე. ახლა კი გავყიდე და ბოლოს და ბოლოს, შევძლებ სახლის გვერდით გარაჟის მიშენებას“, – განაცხადა ბატონმა ავნსომ მუზეუმთან ნასყიდობის დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

■

რეკორდსმენი ნუგბარი

მოსკოველმა მენაყინეებმა გინესის რეკორდის დამყარება გადაწყვიტეს და მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნაყინის ტორტი დაამზადეს. მათ რაღაც რვანახევარ წუთში „ხალხთა მეგობრობის“ შადრევნის პარაპეტი „ვენურ ვალსად“ წოდებული პლომბირის რულეტით მორთეს. ამის შედეგად, მათ მიიღეს 232 მეტრისა და 40 სანტიმეტრი სიგრძის ნუგბარი. დამთვალიერებლებს გემრიელი რეკორდსმენი დროზე ადრე რომ არ შეეჭამათ, შადრევნის გარშემო მილიციელთა კორდონი დააყენეს. გინესის წიგნის წარმომადგენლებმა, როგორც კი სარეკორდო შედეგი დააფიქსირეს, დამთვალიერებლებმა და ღონისძიების სხვა მონაწილეებმა რეკორდსმენი ნუგბარი ნახევარ საათში გააცამტვერეს. არ დაგავიწყდეთ, რომ ტორტი 586 კგ-ს იწონიდა.

■

ერთი ზაზუნას ძალა

ბრიტანელმა სტუდენტმა პიტერ ეშმა საკუთარ ზაზუნას პრაქტიკული გამოყენება მოუძებნა – მან იგი მობილური ტელეფონის ენერგიის წყაროდ აქცია. ცხოველის მობილურის დასამუხტად გამოყენება მას დის გაუთავებელი წუწუნის შემდეგ მოუვიდა თავში. მის დაიკოს არ მოსწონდა ის, რომ ლევისი – ასე ჰქვია ზაზუნას – ღამღამობით გამუდმებით ატრიალებდა ბორბალს, რომლის მონოტონური ხმაურიც მას ძილს



უფრთხობდა. ლევისს რომ ტყუილუბრალოდ არ დაეხარჯა საკუთარი ძალები, პიტერმა მის ბორბალს პაწაწინა ელექროგენერატორი მიუერთა, რომელიც დამტენ ხელსაწყოსთან იყო დაკავშირებული. ეს საკმაოდ ხელსაყრელი და რაც მთავარია, ეკოლოგიურად ძალზე სუფთა ენერგიის წყარო აღმოჩნდა: ზაზუნას ორწუთიანი განუწყვეტელი მოძრაობის შედეგად, მის პატრონს მობილურ ტელეფონზე ნახევარსაათიანი ლაპარაკი გარანტირებული აქვს.

■

მეწარმე „ბომჟი“

უსახლკარო ბრაზილიელმა ედსონ ფერეირა მაიამ საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად, შესანიშნავ ხერხს მიაგნო. ედსონი კარგა ხნის მანძილზე, რიო-დე-ჟანეიროს იმ რაიონში დაწანწალებდა, სადაც ამერიკის საკონსულო მდებარეობს და შეამჩნია, რომ საკონსულოში ვიზიტზე მისულ ადამიანებს შენობაში შესვლისას სისტემატურად ექმნებოდათ პრობლემები – დაცვა მათ, შენობაში მოზრდილი ხელბარგისა თუ ელექტრომოწყობილობების შეტანის უფლებას არ აძლევდა.

მაშინ მან ბარგის შესანახი კამერის მოსაწყობად, საკონსულოს ადმინისტრაციას შენობის შორიახლოს მცირე ზომის ტენტის გაჭიმვის უფლება სთხოვა. ამ სიტუაციაში კი, ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ მან არა მარტო მიიღო ამის ნებართვა, არამედ არაჩვეულებრივად მჭიდრო ურთიერთობაც დაამყარა დაცვის წარმომადგენლებთან, რომლებიც დიდი სიამოვნებით უგზავნიან მას საკონსულოს სტუმრებს, ვისაც ხელბარგთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემა. ახალგამომცხვარი ბიზნესმენი დღეში დაახლოებით 100 დოლარს გამოიმუშავებს. ასე რომ, მას მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუუმჯობესდა.

■

ფოტოკუიზი



№13(104) 1.IX.-14.IX.05

ოჯახის

მეუღლეები

საამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ლოგინობის ხანის პერიოდიკა

ავადმყოფობა წყალს გავატანოთ

კონტაქტური ლინზები

მურალი თვალის სინდრომი

ახალშობილთა ჰემორაგიული დაავადება

მთავარი თემა: ჭიებით ინვაზია

სისტემური სკლეროდერმია

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზია

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის